

ფიზიკური კულტურის ისჯორია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთათვის.

796 (ა) (09)
8 697
A (09)

Михаил Анфимович Горгадзе
ИСТОРИЯ ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ

(на грузинском языке)

Издательство «Ганатлеба»

Тбилиси—1965

რედაქტორი მ. ძიმისტარიშვილი

ტექნორედაქტორი ა. კაციტაძე

კორექტორი მ. ჩახხიანი

გადაეცა წარმოებას 26/XII-64 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 5/V-65 წ.,
ქალაქის ზომა 60×90; ნაბეჭდი თაბახი 16,75; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 15,01;

ფასი 56 კაპ.

შეკვ. № 2408

უე 02098

ტირაჟი 1.000

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კამოს ქ. № 18

Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.

ნ ა წ ი ლ ი კ ი რ ვ ე ლ ი
ფიზიკური კულტურის მსოფლიო ისტორია

თ ა ვ ი I

ფიზიკური კულტურა კველ მსოფლიოში

**§ 1. ფიზიკური კულტურის წარმოშობა და განვითარება
პირველყოფილ-თავურ წარმოშობაში**

ფიზიკურ ვარჯიშობათა წარმოშობის მარქსისტულ-ლენინური თეორია. ფიზიკურ ვარჯიშობათა წარმოშობის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა

ფიზიკური ვარჯიშობების წარმოშობის საკითხი ბურჟუაზიულ თეორიებში მცდარადაა გაშუქებული და ეს შემთხვევითი ამბავი როდია. ამ თეორიების მიხედვით ფიზიკური აღზრდის ჩანასახი დამახასიათებელი იყო ჯერ კიდევ ცხოველებისათვის. ბევრი ბურჟუაზიული მეცნიერის აზრით ადამიანთა თამაშობები წარმოიშვა ცხოველების თამაშობებიდან. ამრიგად, ეს „მეცნიერები“ ვერ ამჩნევენ განსხვავებას ცხოველთა ინსტინქტურ, რეფლექტორულ ქცევასა და ადამიანის შეგნებულ მოქმედებას შორის.

გ. პლენანოვმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ შრომამ წარმოშვა თამაშობა და ფიზიკური ვარჯიშობა. მან პირველმა დაადგინა თამაშობის კავშირი ადამიანის შრომასა და საზოგადოებრივ მოქმედებასთან. პლენანოვმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა თამაშობათა მექანიკური და იდეალისტური თეორიები.

ეს თეორიები თამაშობის წარმოშობას ხსნიდნენ ან ჰარბი ენერჯის განთავისუფლების მოთხოვნილებით, რომელიც ბავშვთა ორგანიზმშია დაგროვილი, ან თამაშობისადმი თავისებური ინსტინქტით, რომელიც თითქოს დამახასიათებელია ბავშვებისა და ახალგაზრდა ცხოველებისათვის.

პლენანოვმა ამხილა ხსენებული თეორიების ბიოლოგიზმი და იდეალიზმი და თამაშობის საკითხის განხილვას ისტორიული თვალსაზრისით მიუღდა. მას შრომა მიაჩნია თამაშობის წარმოშობის საფუძვლად და ამ თამაშობაში, მისი აზრით, ბავშვები ბაძავენ უფროსთა შრომითს პროცესებს.

პლებანოვის თეორია იმ დროისათვის პიროვნულ მოვლენად უხდა ჩაათვალოს. მაგრამ იგი მაინც არ იყო სრულყოფილი, რადგან შრომას, როგორც თამაშობის წყაროს, მხოლოდ საწარმოო-ტექნიკური თვალსაზრისით იხილავდა და უყურადღებოდ ტოვებდა მის სოციალურ არსს.

საბჭოთა ფიზკულტურის ისტორია ეყრდნობა ადამიანთა საზოგადოების მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, კერძოდ ფ. ენგელსის ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ შრომამ შექმნა ადამიანი, და მიაჩნია, რომ ფიზიკური კულტურის წარმოშობის საზოგადოებრივისტორიული საფუძველი შრომაა.

პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოებრივი შრომის როლი ფიზიკური კულტურის განვითარებაში და სამეურნეო მოღვაწეობა მოითხოვდა ყოველდღიურ დაძაბულ და მძიმე შრომას. დაუმუშავებელი ქვის იარაღი ვერ უზრუნველყოფდა ადამიანთა ცალკე არსებობას. საკვების მოპოვება, სადგომის აშენება და მსხვილ ნადირთაგან თავის დაღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ადამიანთა კოლექტიური მოქმედების გზით.

პირველყოფილი ადამიანები ჭკუფურად ცხოვრობდნენ, საკვების მოსაპოვებლად ერთად დახეტიალობდნენ მთებსა, ვეღიზს და ტყეებში. ნადირთან ბრძოლა მეტად ძნელი იყო, რადგანაც სპეციალური საბრძოლო იარაღი ადამიანს ჯერ კიდევ არ გააჩნდა. ნადირობასთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ნაყოფის შეგროვებას ტყეში და ველზე.

შეიქმნა ბუნებასთან თავგამოდებული ბრძოლა ტექნიკურად პრიმიტიული შეიარაღების მქონე ადამიანებისაგან მოითხოვდა ამტანობას, ფიზიკურ ძალას, გამძლეობას, გამბედაობას. ამ თვისებათა შექმნა და განმტკიცება პირველყოფილ ადამიანს შეეძლო მხოლოდ შრომისა და თავდაცვის პროცესში.

კოლექტიური შრომითი მოღვაწეობის პროცესში წარმოებდა ადამიანის ისეთი ჩვევების განვითარება, როგორიცაა სიარული, ხტომა, რბენა, ცოცვა, ტყორცნა, ცურვა და სხვ.

ამ მოძრაობების გამოყენება პირველყოფილ ადამიანს სისტემატურად უხდებოდა და ყოველივე ეს მჭიდროდ იყო დაკავშირებული საკვების მოპოვებასთან და თავდაცვასთან.

პირველყოფილ-თემური წყობილების ადრეულ საფეხურზე ადამიანს არ ჰქონდა წარმოდგენა ხსენებული ჩვევების განვითარების აუცილებლობაზე და ამ მიზნით ვარჯიშობის საჭიროებაზე. სიარული, რბენა, ხტომა, ტყორცნა და სხვა მოძრაობანი ადამიანს ყოველ-

დღიურად უნდებოდა შრომის პროცესში, ამიტომ ისინი ორგანულად იყვნენ დაკავშირებული შრომასთან.

პირველყოფილ-თემური წყობილების ადრეულ საფეხურზე შრომითი მოღვაწეობა ადამიანის ფიზიკური თვისებების გაუმჯობესების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. შრომის პროცესშივე ჩაისახა აღზრდა.

პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრება თანდათან ვითარდებოდა. მოძღვენო ხანებში ადამიანებმა ისწავლეს ცეცხლის მოპოვება (გელურობის საშუალო სტადია), ქვისაგან დანების, სატეხების და ისრის წვერების დამზადება. გამოგონილ იქნა მშვილდი. იარაღის გაუმჯობესებამ შეცვალა არსებობისათვის საჭირო საშუალებათა ბუნებებიც.

ნადირობას იმ ხანებში ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მთავარ სანადირო იარაღს შუბი და მშვილდ-ისარი წარმოადგენდა. დაიწყო ცხოველების მოშინაურობა, პირველყოფილი მიწათმოქმედება.

ნეოლითში, ისევე როგორც ზედა პალეოლითში, საზოგადოების ძირითად უჯრედს მატრიარქატი წარმოადგენდა. მატრიარქატის დროს მეთაურობა ქალს ეკუთვნოდა. იგი ზონით ამუშავებდა მიწას, თესავდა პურს, ამინაურობდა ცხოველებს. ქალი ზრუნავდა ბავშვებსა და მოხუცებზე. მისი შრომა არსებობის ძირითად წყაროდ ითვლებოდა, მამაკაცი კი ნადირობას ეწეოდა. განვითარებულ ნეოლითის ხანაში ადამიანი კიდევ უფრო გაუმჯობესებულ იარაღს იყენებდა (საჭრისი, ხანჯალი, ნაჯახი, ჩაქუჩი, თოხი, ნამგალი, თხილამურები), ამზადებდა ნავებსა და ნიჩბებს.

ამაღლდა ადამიანთა ცხოვრებისათვის მომზადების როლი. აღზრდის მეტად არსებით მხარეს წარმოადგენდა ადამიანის ფიზიკური ძალის განვითარება, რადგან ძირითადად ამით განისაზღვრებოდა ცხოვრებისათვის მისი მზადყოფნა.

მატრიარქატის აღმოცენების პერიოდში ადამიანთა შრომითმა მოღვაწეობამ თავისი გამონატელება ჰპოვა თამაშობით მოქმედებაში და ამგვარი თამაშობები გამოყენებული იყო ყველა ასაკობრივი ჯგუფისათვის, როგორც შრომითი აღზრდის საშუალება. ეს თამაშობები პირველყოფილი ფიზიკური კულტურის ძირითად ელემენტებად უნდა ჩაითვალოს.

მატრიარქატის პატრიარქატში გადასვლას საფუძვლად უდევს საწარმოო ძალთა ზრდა. არქეოლოგიურად პატრიარქატი შეესაბამება ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანას. ვითარდება მიწათმოქმედება (სახნისი), მეჯოგეობა და ხელოსნობა. განსაკუთრებით გაიზარა

და მამაკაცის როლი იმ ხანაში, როდესაც შემოღებულ იქნა საგუთნე მიწათმოქმედება და მეჯოგეობა. გვაროვნული წყობილების ამ საფეხურზე შრომის სანადირო იარაღები უმთავრესად სამსედრო იარაღებადაა გამოყენებული. ფიზიკური კულტურა ჰკარგავს ორგანულ კავშირს საწარმოო შრომასთან. ვარჯიშობები. რომლებიც წინათ შრომითი პროცესის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდნენ, ასლა ასრულებენ მოსამზადებელი ვარჯიშების როლს სამსედრო და შრომითი საქმიანობისათვის.

იძენად. რამდენადაც იმ შორეულ პერიოდში კლასები არ არსებობდა. ფიზიკური კულტურა ადამიანთა მთელი საზოგადოებისათვის იყო მისაწვდომი.

§ 2. ფიზიკური კულტურა მონათმფლობელურ საზოგადოებაში

კლასების ჩასახვისთანავე ფიზიკური კულტურის ისტორია მკიდროდ და განუყრელად დაკავშირებულია კლასთა ბრძოლის ისტორიასთან. ფიზიკურ კულტურას მმართველი კლასები იყენებდნენ თავისი ბატონობის განმტკიცების იარაღად. კლასობრივ საზოგადოებაში გამოიკვალა ფიზიკური კულტურის მიმართულება. მან დაჰკარგა წინათ არსებული კოლექტიური ხასიათი და მონათმფლობელთა ახალგაზრდობის სამსედრო მომზადების ძირითად საშუალებად იქცა.

ფიზიკური კულტურა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში

ა) ასურეთ-ბაბილონი. ასურეთ-ბაბილონი მდებარეობდა მდინარე ტიგროსისა და ევფრატის მდიდარ ნაყოფიერ ველებზე და საჭიროებდა მუდმივ დაცვას მოსაზღვრე ტომების თავდასხმისაგან. ამავ დროს ისინი დაპყრობით ომებსაც აწარმოებდნენ.

მათი ძლიერება და სიმდიდრე ჯარის ძლევამოსილებზე იყო დაფუძნებული, ამიტომ დიდი ყურადღება ექცეოდა მის სამსედრო-ფიზიკურ მომზადებას — ავარჯიშებდნენ რბენაში, ხტომაში, ჭიდაობაში, შუბისა და ქვის ტყორცნაში, ცხენოსნობასა და მშვილდოსნობაში და სხვ. ასურელები და ბაბილონელები ძველთაგან განთქმული მეთოდები იყვნენ და თავისი სიძლიერით მტრებს თავზარს სცემდნენ.

ფიზიკურ ვარჯიშობებს ასურეთსა და ბაბილონში სამკურნალო მიზნებითაც იყენებდნენ.

ბ) ე გ ვ ი ბ ტ ე . ე გ ვ ი ბ ტ ე ს სახელმწიფოს ჩამოყალიბება ეკუთვნის ოთხი ათასი წლის დასაწყისს ძვ. წელთაღრიცხვამდე.

ეგვიპტეში აღმოჩენილია უძველესი დროის სამარხები. რომელთაც 5.000 წლის ისტორია აქვთ. აკლამების ქვებზე გამოხატულია სხვადასხვა სამხედრო ხასიათის ვარჯიშობანი — შუბისა და ისრის ტყორცნა, ფარიკაობა, ჭიდაობა და ცეკვა. ამ ვარჯიშობებს აწარმოებდნენ შეძლებული კლასის წარმომადგენლები — სასახლის დიდებულები და მოხელეები, რომლებიც ფიზიკურ შრომას მრავალრიცხოვან მონებს აკისრებდნენ.

ეგვიპტეში გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ მხედრები და ქურუმები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ განემტკიცებიათ თავიანთი სამხედრო ძალა. ჯარის შეკრების დროს აქ იმართებოდა შეჯიბრებები ფიზიკური ვარჯიშობების სხვადასხვა სახეობებში. შეჯიბრება საერთო მსვლელობით იწყებოდა. შემდეგ იმართებოდა შეჯიბრება რბენაში და, დასასრულს, ჭიდაობაში.

როდესაც ეგვიპტელებმა საბრძოლო ეტლების გამოყენება დაიწყეს, ჯარის წარჩინებულ ნაწილს ეტლოსნები შეადგენდნენ. ეს იყო სამხედრო დიდკაცობის პრივილეგიური ჯგუფი, რომელსაც ლაშქრობის დროს წილად ხვდებოდა ნადავლის უდიდესი ნაწილი. ჯარის დანარჩენი ნაწილი შედგებოდა შუბებითა და მშვილდ-ისრებით შეიარაღებული გლეხობისაგან, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ეტლოსნებით. ეს ჯარი ფარაონებს არასაიმედოდ მიაჩნდათ და მის შეცვლას ცდილობდნენ დაქირავებული რაზმებით.

არქეოლოგიური ძეგლებით მტკიცდება, რომ ეგვიპტეში ერთობ გავრცელებული ყოფილა ჭიდაობა. დღემდე შემონახულია სურათები და ბარელიეფები, რომლებზედაც გამოსახულია ჭიდაობის სხვადასხვა მომენტები. ერთ-ერთი აკლამის კედელზე, რომელსაც 3.000 წელზე მეტი ისტორია აქვს, გამოხატულია 400 წყვილი მოჭიდავე. ეს სურათები ნათელყოფენ, რომ ძველი ეგვიპტელები იყენებდნენ ჭიდაობის მრავალ იმ ფანდს, რომლებიც ახლაც ცნობილია ჩვენთვის. ძეგლები გვარწმუნებენ, რომ ძველი ეგვიპტური ჭიდაობა იაპონურ „ძიუ-დოს“ მსგავს ელემენტებსაც შეიცავდა.

ფიზკულტურის ელემენტები ეგვიპტელებს გართობაშიც ჰქონდათ ჩართული. ფარაონები და მემამულეები ხშირად აწყობდნენ ნადირობას. ძველ ისტორიულ ნაშთებზე გამოხატულია მობურთავე ქალები. სანახაობათა და გართობათა შორის გავრცელებული ყოფილა მქომართა ჭიდაობა და თამაშობანი წყალზე (მენავეთა და მეთევზეთა მონაწილეობით). ისევე როგორც ასურეთსა და ბაბილონში,

ფიზიკურ კულტურას ეგვიპტეში სამკურნალო მიზნებითაც იყენებდნენ.

გ) ჩინეთი და ინდოეთი. დაახლოებით ამავე ხანას ეკუთვნის წერილობითი წყაროები ფიზიკურ ვარჯიშობათა შესახებ ჩინეთში, სადაც, გარდა სამხედრო ხასიათის ვარჯიშობებისა, დაწვრილებით იყო დამუშავებული სუნთქვითი და თავისუფალი ვარჯიში. ჩვენამდე მოაღწია კონფუციუს ტექსტის ზოგიერთმა ადგილმა, რომლებშიც მითითებულია ჰიგიენის წესებზე.

ჩინეთში ფიზიკური კულტურა წარმოადგენდა უმთავრესად სამხედრო მომზადების საშუალებას. ფიზიკური ვარჯიშობანი ფართოდ იყო გავრცელებული მსხვილ მიწათმფლობელთა შორის, რომლებიც ამავე დროს ძირითადად სამხედრო კასტას წარმოადგენდნენ.

ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის ჩინეთში გავრცელებული იყო მშვილდოსნობა ფარიკაობა, ჭიდაობა, ბურთაობა. მათ შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბურთაობა. ჩინეთის იმპერატორის გუან-შის ბრძანებით ბურთაობა არმიაშიც შემოუღიათ. სამწუხაროდ, ამ თამაშის („ტსუ-ჩუ“) აღწერას ჩვენამდე არ მოუღწევია. ფართოდ გავრცელებული ყოფილა სამხედრო ხასიათის ცეკვები და ნადირობა. ფიზიკურ ვარჯიშობებს მიმართუდნენ აგრეთვე ვაჭანსაღებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით. ასე, მაგალითად, 3.500 წლის წინათ ძვ. წელთაღრიცხვით იმპერატორი ჩინ-პონგი იძლევა ბრძანებულებას, რომელშიც მოცემულია ჯანმრთელობის შექმნისა და შენარჩუნების წესები, ხოლო 1.000 წლის შემდეგ გამოიცა კრებული რომელშიც აღწერილია ფიზიკური ვარჯიშობები.

ინდოელებს კარგად ჰქონდათ დამუშავებული ფარიკაობა, რომლისთვისაც სხვადასხვაგვარ იარაღს იყენებდნენ. გარდა ამისა, ძველი ინდოელებისათვის ცნობილი ყოფილა სამკურნალო ტანვარჯიში და მასაჟი.

დ) ირანი. აღზრდას ირანში კლასობრივი ხასიათი ჰქონდა. პეროდოტეს ცნობით. ძველ ირანში მიზნად ისახავდნენ ისეთ მოქალაქეთა აღზრდას, რომელთაც უნდა სცოდნოდათ „ცხენოსნობა, მშვილდოსნობა და სიმართლის ლაპარაკი“ (რა თქმა უნდა, ეს „სიმართლე“ გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურებოდა).

ბავშვების აღზრდაზე თვით სახელმწიფო ზრუნავდა. შვიდი წლიდან ბავშვებს აბარებდნენ სპეციალურ დაწესებულებებში, სადაც მეტად მკაცრი რეჟიმი სუფევდა. აქ ბავშვებს ძირითადად ფიზიკურ ვარჯიშობას ასწავლიდნენ (რბენა, ცხენოსნობა, შუბის ტყორცნა).

ჩვევები, რომელთაც ბავშვები ითვისებდნენ, იმდენად მტკიცე იყო და დისციპლინა იმდენად მკაცრი, რომ თსუთმეტი წლის ჯაბუ-

კებს უკვე დამოუკიდებლად შეეძლოთ ნადირობა, სამხედრო ვარჯიშობათა შესრულება და საზოგადოებრივი დაწესებულებების (სასამართლო, ხაზინა და სხვ.) დაცვა.

შეატრი ჰიგიენური რეჟიმი ბელს უწყობდა გამძლე ხალხის მომზადებას.

თავისთავად ცხადია, რომ ზემომოხსენებულ აღმზრდელით დაწესებულებებში შეძლებული კლასის წარმომადგენელთა შვილები იზრდებოდნენ, რაც შეეხება ჩაგრულთა შვილებს, ისინი მოკლებული იყვნენ ყოველგვარ აღზრდას და მასთან ერთად ფიზიკურსაც.

ფიზიკური კულტურა ძველ საბერძნეთში

ფიზიკური კულტურა
ჰომეროსის პერიოდში

ჰომეროსის პერიოდს უწოდებენ ხანას, რომელიც ძვ. წ. XII—VIII საუკუნეებს მოიცავს.

ჰომეროსის პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“ — თითქმის ერთადერთი წყაროა ხსენებული პერიოდის საბერძნეთის საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლად.

ეს იყო გვაროვნული წყობილების რღვევისა და მონათმფლობელურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პერიოდი:

ამ დროს სამეურნეო ცხოვრება ეყრდნობოდა საკმაოდ განვითარებულ მიწათმოქმედებას და მეჭოჯეობას, ამავე დროს ვითარდებოდა ხელოსნობა. სააღმშენებლო და საზღვაო საქმე. სამეურნეო ტექნიკა. ახალ ეკონომიურ ბაზაზე გარდუვალი იყო ძველი გვაროვნული წყობილების რღვევა. განცალკევდა გვაროვნული არისტოკრატია. არისტოკრატი-მომრები ღებულობდნენ სამხედრო დავლის უმეტეს ნაწილს. ისინი შეძლებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობა თავისუფალ მიწათმოქმედთაგან შედგებოდა. სოციალური დიფერენციაციის პროცესი ამ წრესაც შეესო. მათ შორის აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც თავისი მიწის ნაკვეთი არ მოეპოვებოდათ. მეორე მხრივ, ზოგიერთებმა რამდენიმე ნაკვეთი იგდეს ხელთ. წარმოიშვა სოციალური უთანასწორობა. ყველაზე დაბალ ფენას მეტანასტები (ხალხი, რომლებმაც რიგი მიზეზების გამო დაჰკარგეს თემთან კავშირი და აღარ სარგებლობდნენ მისი მფარველობით), მოჯამაგირეები და მონები შეადგენდნენ. მაგრამ მონობას ჰომეროსის საზოგადოებაში პატრიარქალური ხანაათი ჰქონდა.

სოციალური დიფერენციაციის ზრდასთან ერთად თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა სახალხო ყრილობამ და ტომის მეთაურმა. გაიზარდა უხუცესთა საბჭოს მნიშვნელობა, რომელიც დიდებულებისა და მდიდრებისაგან შედგებოდა.

ჰომეროსის პოემებიდან ჩანს, რომ აღზრდას გვაროვნული წყობილების რღვევის პერიოდში სამხედრო ხასიათი ჰქონდა და ახლად ჩასასულ მონათმფლობელთა კლასის გაბატონების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. თითოეული მამაკაცი — გვარის წევრი. იმავე დროს მეომარი იყო. მაგრამ მეომართა შორისაც არსებობდა განსხვავება — საბერძნეთის იმდროინდელ ჯარში წამყვანი როლი არისტოკრატიულ ელემენტებს ეკუთვნოდათ. ყველა მოქალაქე. გარდა მონებისა, შეიარაღებული იყო. მაგრამ აქაც განსხვავება არსებობდა. არისტოკრატების შეიარაღებას წარმოადგენდა — მუზარადი, ბრინჯაოს აბჯარი (ჯავშანი), რომელიც ჰფარავდა მკერდსა და ზურგს, დიდი მონათული ფარი, შუბი, მახვილი; უბრალო მეომართ ეცვათ ტილოს ტანსაცმელი და შეიარაღებული იყვნენ მხოლოდ შუბითა და მახვილით, ხოლო ფარი ტყავისა ჰქონდათ.

ჰომეროსი გვარდენული არისტოკრატიის წარმომადგენელთ „გმირებს“ უწოდებს. ისინი ჯარს მეთაურობენ და ომის დროს მთავარ როლს ასრულებენ. ჰომეროსის გმირები — აქილეესი, ოდისეესი, აგამემნონი და სხვა მეფენი და გმირები დგანან სამხედრო ეტლებში, ისინი კარგად არიან შეიარაღებული და აწარმოებენ ხელჩართულ ბრძოლას; მსუბუქად შეიარაღებული უბრალო მეომრები კი კვალდაკვალ მისდევენ ეტლს გვერდით და დამხმარე მოვალეობას ასრულებენ.

როგორც ჰომეროსის პოემებიდან ჩანს, თავის ძალ-ღონეს გმირები არა მარტო ომში ამჟღავნებდნენ. არამედ შეჯიბრებებში, რომლებიც ხშირად იმართებოდა ძველ საბერძნეთში.)

(ჰომეროსის პოემებში აღწერილია მრავალი ფიზიკური ვარჯიშობა, რომლებიც გავრცელებული ყოფილა ამ პერიოდში — ჭიდაობა, კრივი, რბენა, შუბისა და ბადროს ტყორცნა, სამხედრო ეტლებით რბენა და მრავალი სხვ.)

(რაც უფრო ძლიერდებოდა სამხედრო-არისტოკრატიული კლასი, მით უფრო ფართოდ იყენებდა იგი ფიზიკურ კულტურას თავისი გაბატონების საშუალებად. ამავე დროს უუფლებო მოსახლეობას და განსაკუთრებით მძნებს აკრძალული ჰქონდათ ფიზიკური ვარჯიშობა.)

(ჰომეროსის პერიოდის შემდეგ საბერძნეთში მალე განვითარდა მონათმფლობელური ურთიერთობა.)

ძველი საბერძნეთის სოციალურ-პოლიტიკური წყობის დამახასიათებელ თვისებას ქალაქების — „პოლისების“ არსებობა წარმოადგენდა. თითოეული ასეთი ქალაქი მის ირგვლივ მდებარე სოფლების ტერიტორიითურთ ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარ-

მოადგენდა. ამ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანა სპარტა და ათენი იყო. მათში აღზრდის სისტემებს, მართალია, ბევრი საერთო ჰქონდათ. მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არსებობდა.

ფიზიკური აღზრდა სპარტაში
მონათმფლობელური სპარტის სამეურნეო ცხოვრების საფუძველს მიწათმოქმედება შეადგენდა. სპარტაში კერძო მონათმფლობელობა როდი იყო და მონები სპარტას არისტოკრატიულ სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდნენ.)

სპარტის მოსახლეობა შედგებოდა სპარტიატების, პერიეკებისა და ილოტებისაგან. სპარტიატები გაბატონებულ კლასს წარმოადგენდნენ. მათ ხშირად უხდებოდათ მონათა აჯანყებების ჩაქრობა და საამისოდ ძლიერი სამხედრო ორგანიზაციაც გააჩნდათ. ისინი საწარმოო შრომას არ ეწეოდნენ და მთელ დროს ლაშქრობასა და სამხედრო ვარჯიშობას ანდომებდნენ.

პერიეკები ეწეოდნენ ხელოსნობასა და ვაჭრობას. პირადად თავისუფალნი იყვნენ. მაგრამ არავითარი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ. ისინი მოვალენი იყვნენ ხარკი ეხადათ სპარტიატებისათვის.

ილოტები მონათა მდგომარეობაში მყოფი გლეხობა იყო, რომელიც ამუშავებდა მიწას და თავისი მძიმე შრომით არჩენდა სპარტიატებს.)

სპარტიატები ილოტების საშინელ ექსპლუატაციას ეწეოდნენ, უკანასკნელნი კი ხშირად აწყობდნენ მათ წინააღმდეგ აჯანყებებს. სპარტიატები ილოტების, საწინააღმდეგოდ ეგრეთ წოდებულ „კრიპტიებს“ აწყობდნენ, რომლის დროსაც შეიარაღებული სპარტიატები თავს ესხმოდნენ უიარაღო ილოტებს და ხოცავდნენ მათ.

აღზრდას სპარტაში სახელმწიფოებრივი და კლასობრივი ხასიათი ჰქონდა. აღსანიშნავია აღზრდის სამხედრო მიმართულებაც. აღზრდის სისტემა მეტად მკაცრი იყო. ბავშვებს აჩვენებდნენ ყოველგვარი გაპირვების ატანას. ნორჩ სპარტანელებს ზამთარ-ზაფხულში ერთსა და იმავე ტანსაცმელში ატარებდნენ ფეხშიშველს, აწინებდნენ ცის ქვეშ თივაზე. აჩვენებდნენ შიმშილის, სიცივის, ტკივილების ატანას.)

ბიჭების აღზრდის საქმეში მთავარი ყურადღება ფიზიკურ ვარჯიშობებს ენიჭებოდა. სწავლობდნენ რბენას, ხტომას, კიბაობას, ბადროსა და შუბის ტყორცნას, ბურთაობას და სამხედრო თამაშობებს; ჭაბუკათთვის იმართებოდა ლაშქრობა, ნადირობა, ეწყობოდა ღამით სისხლიანი თავდასხმები ილოტებზე.

შვიდ წლამდე ბავშვები მშობლებთან იზრდებოდნენ, შემდეგ კი მათ ათავსებდნენ სპეციალურ დაწესებულებებში, რომელთაც თვით

სახელმწიფო ინახავდა) პლუტარქე გადმოგვცემს, ბიქს. რომელიც თორმეტი წლისათვის საუკეთესო ყოფაქცევას და მასთან ერთად შამაცობას გამოამჟღავნებდა, აირჩევდნენ ჯგუფის უფროსად, დახარჩენი მისი ამხანაგები კი მოვალენი იყვნენ მისი განკარგულებები შეესრულებიათ. 12 წლის ზევით თითოეული საღმზრდელი ჯგუფის (ეირენთა ჯგუფი) მეთაურად ნიშნავდნენ ყველაზე უფრო დაწინაურებულ ქაბუქს. 18 წლის ვაჟი ევრეთ წოდებული ეფებების ჯგუფში გადადიოდა. აქ ვაჟები მკაცრ სამხედრო აღზრდას ღებულობდნენ — ვარჯიშობდნენ სამხედრო იარაღის ნმარებაში, მონაწილეობდნენ ლაშქრობებსა და კრიპტიებში და ბევრ დროს ანდომებდნენ ბიჭების წვრთნას. 20-დან 30 წლამდე სპარტანელები გადადიოდნენ მელეირენთა ჯგუფში. მათ ევალეპოდათ ომში მონაწილეობა და ბიჭების აღზრდის ხელმძღვანელობა.

აღსანიშნავია, რომ სპარტაში ქალთა აღზრდასაც დიდი ყურადღება ექცეოდა. ქალი სპარტაში შედარებით დიდი თავისუფლებით სარგებლობდა და ხშირად საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აქტიურად მონაწილეობდა. ქალების აღზრდა ვაჟების აღზრდისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა. აბალგაზრდა სპარტანელ ქალებს ავარჯიშებდნენ რბენასა და ტყორცნაში, სტომასა და კიდაობაში, ასწავლიდნენ ცეკვას და სხვ. ვაჟებისაგან განსხვავებით ქალები ოჯახში იზრდებოდნენ. სპარტანელი ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის სამხედრო დაცვაში.

ფიზიკური აღზრდა ათენში. სპარტაზე ბევრად რთული იყო ათენის გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა ძველი აღმოსავლეთისა და მცირე აზიის ქვეყნებთან. დიდი განვითარება ჰქონდა ათენში მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებმა (განსაკუთრებია ძვ. წ. V საუკუნეში). მონათმფლობელურ დემოკრატიას ათენში მკაფიოდ გამოხატული სახე ჰქონდა.

გონებრივი აღზრდა ათენში კერძო ინიციატივას ეყრდნობოდა. და მას ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა. ბოლო რაც შეეხება ფიზიკურ აღზრდას, იგი სახელმწიფოს ხელში რჩებოდა და ამ მიზნით სპეციალური დაწესებულებები — გიმნასიები არსებობდა. მაგრამ აღზრდას კლასობრივი ხასიათი ჰქონდა და სკოლები მისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებული კლასის წარმომადგენელთათვის. ბავშვის აღზრდა სათანადო გადასახადს და ხარჯებს მოითხოვდა ათენში აღზრდის იდეალს წარმოდგენდა გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის შეხამება. ამ იდეალს ჰქონდა მკაფიოდ გამოსახული კლასობრივი — მონათმფლობელური ხასიათი. ფიზი-

კური შრომა არისტოკრატთათვის სამარცხვინო საქმედ ითვლებოდა.

თუ სპარტაში ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებით დიდ როლს ანიჭებდნენ, ათენში, რომელსაც მჭიდრო საეკონომიკურ და კულტურული კავშირი ჰქონდა სხვა ქვეყნებთან, ფიზიკურ აღზრდასთან ერთად ჭრფვანი ყურადღება ექცეოდა გონებრივ აღზრდასაც.

მედიდ წლამდე ბავშვი ოჯახში იზრდებოდა. ამ ასაკში დიდი ყურადღება ექცეოდა თამაშობებს. შვიდი წლიდან იწყებოდა ათენელი ბიჭის სასკოლო ცხოვრება, მაგრამ ბავშვს სასკოლო სწავლების პროცესშიაც არ იყო ოჯახს მოწყვეტილი.

ათენში ბიჭებისათვის სამი ტიპის სკოლა არსებობდა: 1) გრამატიკული სკოლა (გრამატიკისტი), სადაც ბავშვებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ანგარიშს; 2) მუსიკალური სკოლა (კიფარისტისტი), სადაც ასწავლიდნენ სიმღერას, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრას და დეკლამაციას და 3) ტანვარჯიშული სკოლა — „პალესტრა“.

12—14 წლის ბიჭები ამთავრებდნენ სწავლას გრამატიკისტიდან და კიფარისტისტიდან და გადადიოდნენ ტანვარჯიშულ სკოლაში („პალესტრაში“), სადაც ორი-სამი წლის განმავლობაში ვარჯიშობდნენ სპეციალური მასწავლებლის — პედოტრიხის ხელმძღვანელობით და სწავლობდნენ ცურვას, რბენას, ჭიდაობას. შუბისა და ბადროს ტყორცნას და სხვ. ახალგაზრდებისათვის აქვე ატარებდნენ საუბრებს პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე.

ახალგაზრდობის უმრავლესობა პალესტრების დამთავრებით ასრულებდა სწავლას ყველაზე უფრო შეძლებული მშობლების შვილები, რომლებიც ემზადებოდნენ სახელმძღვანელო თანამდებობების დასაკავებლად, აგრძელებდნენ სწავლას გიმნასიებში, სადაც უმთავრესი მნიშვნელობა ფიზიკურ ვარჯიშობებს ენიჭებოდა და ერთდროულად ფილოსოფიას და პოლიტიკასაც სწავლობდნენ.

გიმნასიებში მოსწავლენი ვარჯიშობდნენ პედოტრიხების და გიმნასტების ხელმძღვანელობით. გიმნასიას მართავდა სპეციალური საბჭო, ეგრეთ წოდებული არეოპაგეი, რომლის შემადგენლობას ათენელები ირჩევდნენ წარჩინებულთა შორის. არეოპაგის და გიმნასიის სათავეში იდგა ერთი წლის ვადით არჩეული გიმნასიარხი.

ბერძნული ტანვარჯიში სამი განაყოფისაგან შედგებოდა: 1) პალესტრიკა, 2) ორქესტრიკა და 3) თამაშობანი.

პალესტრიკა შეიცავდა: პენტათლონს (სუთქიდი), რომელშიც შედიოდა რბენა, ხტომა. ბირთვის კვრა, ბადროს ტყორცნა და ჭიდაობა. გარდა ამისა, პალესტრიკას მიაკუთვნებდნენ კრივის-

მშვილდოსნობას, შურდულით ქვის ტყორცნას, ცურვას, ცხენოსნობას, ცხენშებმული ეტლით რბენას და სხვ. ორქესტრია შეიცავდა ორგვარ ცეკვას: ა) საკულტოსა და რელიგიურს, რომლებსაც ღმერთებს მიუძღვნდნენ, და ბ) ჩვეულებრივს, ანუ ხალხურს, რომელთაც სათეატრო წარმოდგენების ან საზოგადოებრივი დღესასწაულების დროს იყენებდნენ. თამაშობები შედგებოდა როგორც ბურთით თამაშობებისაგან, აგრეთვე დიდძალი მოძრავი თამაშებისა და გართობებდაგან.

✓ რთული ფიზიკური ვარჯიშობების ჩასატარებლად გიმნასიებისათვის სპეციალურ ნაგებობებს აშენებდნენ, სადაც ტარდებოდა პროგორც წინასწარი სამზადისი, ისე თვით შეჯიბრება. გიმნასიის მთავარ ნაგებობას წარმოადგენდა პალესტრა. იგი შედგებოდა ოთხკუთხა შენობისა და შიდა ეზოსაგან, ზოგჯერ ასეთი ეზოს გარშემო დარგული იყო ხეები და იგი მოსწავლეთა დასვენების ადგილს წარმოადგენდა. ეზოს სამ მხარეს მოთავსებული იყო პატარა პორტიკები, განკუთვნილი სიტყვიერ საგნებში მეცადინეობისათვის. მეოთხე მხარეზე მოთავსებული იყო ფიზიკური ვარჯიშობებისათვის განკუთვნილი სადგომები. ცენტრში მდებარეობდა დიდი ოჯახი, ეგრეთ წოდებული ეფეიონი, სადაც გროვდებოდა ახალგაზრდობა და სადაც ცუდ ამინდში ტარდებოდა ვარჯიშობა. მის გვერდით მოთავსებულ სადგომს კორიკეიონი ეწოდებოდა, აქ ყმაწვილები კედელზე კიდებდნენ პატარა ტომრებში ჩადებულ ტანსაცმელს. აქვე წარმოებდა კრიეში წვრთნა. პალესტრის იმავე ნაწილში მოთავსებული იყო სადგომები სხვადასხვა პროცედურებისათვის, რომელთაც ბერძნებუ იყენებდნენ ვარჯიშობის წინ ან მის შემდეგ. აქ იყო მოთავსებული ოთახები ტანზე სილის დასაყრელად, ტანის ცივი წყლით დასაბანად, ტანზე ზეთის წასასმელად, ოთახი ცხელი ორთქლით, ოთახი ცხელი და მშრალი ჰაერით, ტანის ცხელი წყლით დასაბანად და სხვ.

პალესტრის გვერდით მდებარეობდა დიდი მოედანი სუფთა პაერზე სავარჯიშოდ; აქვე მოწყობილი იყო ჩრდილიანი ხეივანები. ამ ნაწილში გამართული იყო ადგილები რბენისათვის და შეჯიბრების ჩასატარებლად ჰიდაობასა და კრიეში. ✓

საბერძნეთის სხვადასხვა ადგილებში იმართებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის თამაშობანი. მაგრამ ეწყობოდა საერთო მნიშვნელობის თამაშობებიც. ამ უკანასკნელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ოლიმპიური თამაშობანი იყო. ✓

ოლიმპიური თამაშობანი არა მარტო დიდ სპორტულ დღესასწაულს წარმოადგენდა, არამედ იგი განუყრელად დაკავშირებული იყო ბერძენთა ცხოვრების მრავალ მხარესთან. უწინარეს ყოვლისა,

ოლიმპიური თამაშობანი დაკავშირებული იყო საბერძნეთის ცალკე სახელმწიფოების სამხედრო პოლიტიკასთან. რადგან არსებულ ტრადიციით ოლიმპიადის პერიოდში ცხადდებოდა „საღმრთო თვე“, რომლის განმავლობაში საომარ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოებს ომი უნდა შეეწყვიტათ. ოლიმპიურ თამაშობებს ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა. რადგან იგი ვაჭრობასთანაც იყო დაკავშირებული. ცნობილია, რომ ოლიმპიური თამაშობების დროს იმართებოდა დიდი ბაზრობა, სადაც თავს იყრიდნენ არა მარტო საბერძნეთის ყველა კუთხის, არამედ სხვა შორეული ქვეყნების ვაჭრებიც, ჩამოჰქონდათ საქონელი. ოლიმპიურ თამაშობებს საერთო კულტურული მნიშვნელობაც ჰქონდა. ოლიმპზე ეწყობოდა მუსიკოსების და მომღერალთა გამოსვლები. აქვე გამოდიოდნენ პოეტები, ფილოსოფოსები, რომლებიც ხალხში ქადაგებდნენ თავიანთ მოძღვრებას, ხოლო დიპლომატები თათბირობდნენ და სდებდნენ სხვადასხვა ხელშეკრულებებს. ოლიმპიური თამაშობები ამავე დროს წარმოადგენდა მმართველი—გაბატონებული კლასის ძალების დემონტაჟირებას.

ოლიმპიურ თამაშობებს ესწრებოდნენ საბერძნეთის დიდი ფილოსოფოსები ანაქსაგორე, დიაგორე, პითაგორე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე და სხვ.) ზოგიერთი მათგანი შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა. ასე, მაგალითად, პლატონს ახალგაზრდობაში არაერთხელ გაუმარჯვნია ჭიდაობაში.

თამაშობები იმართებოდა ოლიმპის ველზე, ქალაქ ოლიმპის მახლობლად, ზევსის პატივსაცემად. ოლიმპიაში ამართული იყო ზევსის ტაძარი და მისი ქანდაკება. აქვე გაართული იყო სტადიონი, რომელიც 40.000 მაყურებელს იტევდა. ოლიმპიურ თამაშობებში მონაწილე ათლეტების წინასწარი წვრთნისათვის ოლიმპიაში იყო გიმნასია. ყოველი შეჯიბრებაში მონაწილე მოვალე იყო თამაშობათა დაწყებამდე, ერთი თვით ადრე, ჩამოსულიყო ოლიმპიაში და გაეგლო წვრთნა სპეციალური მწვრთნელებისა და მსაჯების ხელმძღვანელობით.

ოლიმპიური თამაშობანი ოთხ წელიდან ერთხელ იმართებოდა. მათ დასაწყისს ჩვეულებრივ ძვ. წ. 776 წელს მიაკუთვნებენ. მაგრამ სინამდვილეში თამაშობების დასაწყისი უფრო ადრეულ პერიოდს ეკუთვნის. 776 წელი კი ის თარიღია, რომლიდანაც დაიწყო ოლიმპიურ თამაშობათა ზუსტი აღრიცხვა.

თავდაპირველად ოლიმპიური თამაშობები ერთი დღის მანძილზე ტარდებოდა, მაგრამ ძვ. წ. V საუკუნის დამდეგისათვის თამაშობები უკვე ხუთი დღე გრძელდებოდა.

თამაშობათა დაწყების დღეს. დღაადრიან, ადგილები სტადიონის ირგვლივ უკვე გაქედლილი იყო ხალხით. შეჯიბრება საზეიმო ვითარებაში ტარდებოდა. მსხვერპლთშეწირულობანი, ჰიმნები ღმერთების პატივსაცემად. პროცესიები, ბადროების კურთხევა წინ უძღოდა შეჯიბრებათა დაწყებას.

შეწამულ ტანსაცმელში გამოწყობილი მსაჯები და ხელმძღვანელები გამოდიოდნენ სტადიონზე. ჩაუვლიდნენ მრავალათასიან მაყურებლებს და იკავებდნენ სპეციალურად განკუთვნილ ადგილებს. აქვე იკრიბებოდნენ თანამდებობის პირები, ქურუმები, საბერძნეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები, დელეგაციების მეთაურები.

ოლიმპიურ თამაშობებში მონაწილეობის უფლებას მოკლებულა იყვნენ მონები, ბარბაროსები (ასე უწოდებდნენ ბერძნები უცხოელებს) და ის პირნი, რომელთაც ჰქონდათ ნასამართლობა. შეჯიბრებებზე დასწრების უფლება არ ჰქონდათ ქალებს. მით უმეტეს ეკრძალებოდათ თამაშობებში მონაწილეობის მიღება. ეს გამოწვეული იყო საბერძნეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა უუფლებობით.

არსებული წესების მიხედვით ოლიმპიურ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება ყოველ თავისუფალ ბერძენს ენიჭებოდა. მინამდვილეში კი მარტო არისტოკრატებს შეეძლოთ თამაშობებში მონაწილეობა, რადგან მხოლოდ მდიდართ გააჩნდათ იმ დიდი ხარჯის გაწევის საშუალება, რომელიც საჭირო იყო ოლიმპიური თამაშობებისათვის მომზადებისა და მასში მონაწილეობისათვის. 13 ოლიმპიადის განმავლობაში თამაშობათა პროგრამა შეიცავდა მარტო სტადიონ დრომს (რბენას სტადიონის ერთ სიგრძეზე, ე. ი. 192,27 მეტრზე). მე-14 ოლიმპიურ თამაშობათა პროგრამას დაემატა დიასულოსი (რბენა სტადიონის ორ სიგრძეზე, ანუ ორმაგი რბენა — 384,54 მეტრზე), მე-15 თამაშობების პროგრამას დაემატა დიდ მანძილზე რბენა დოლიხოდრომი (1346—4615 მეტრამდე), მე-19 ოლიმპიადის პროგრამაში შეტანილი იყო პენტათლონი (ხუთქიდი), 23-ე თამაშობათა პროგრამას დაემატა კრივი, ხოლო 33-ეს — პანკრატონი (ჭილაობისა და კრივის შეხამება).

შემდეგ თამაშობების პროგრამა თანდათან მდიდრდებოდა (სამხედრო შეიარაღებით რბენა, მებუკეთა და ჰეროლდების რბენა და სხვ.).

ოლიმპიურ ასპარეზობას ხელმძღვანელობდნენ სპეციალურად არჩეული მსაჯები, თავდაპირველად ოლიმპიურ თამაშობებს მხოლოდ ორი მსაჯი სჯიდა. 95-ე ოლიმპიადისათვის მსაჯთა რიცხვი

კსრამდე ასულა. ხოლო 108-ე ოლიმპიადისათვის --- ათამდე. შემდეგში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა (ფერამეტამდე). ოლიმპიური თამაშობებისათვის მსაჯებს ირჩევდნენ თამაშობების დაწყებამდე ერთი წლით ადრე. მათ მოვალეობას შეადგენდა შეჯიბრების წესების წინასწარ შესწავლა, შეჯიბრებათა ადგილების მომზადების ხელმძღვანელობა, შეჯიბრების მონაწილეთა შერჩევა, შეჯიბრებათა მსაჯობა და გამარჯვებულთა დაჯილდოება.

შეჯიბრებათა წესების დარღვევისათვის შემოღებული იყო დამნაშავეთა დაჯარიმება.

მსაჯები გამარჯვებულთ თავს უმკობდნენ ზეთისხილის გვირგვინით. იმართებოდა საზეიმო მსვლელობა, ხალხი აღტაცებით ეგებებოდა გამარჯვებულთ და ყვავილებით ამკობდა. შემდეგ ეწყობოდა მსხვერპლთშეწირვა და ბოლოს იმართებოდა დიდი ლხინი.

ოლიმპიურ თამაშობებში გამარჯვებულთ დიდი პატივისცემა ელოდა. მათ სახელს მიაკუთვნებდნენ ოლიმპიურ ოთხწლელს. ამობლიურ ქალაქში დაბრუნებულ გამარჯვებულს ზეიმით ეგებებოდნენ. მდიდრულად მოწყობილ ეტლში მჯდომ ოლიმპიონიკს გაატარებდნენ ქალაქის სპეციალურად გარღვეულ და თალებიან კედელში, ხოლო ოლიმპოზე იდგმებოდა მისი ქანდაკება. მას მდიდრულად ასაჩუქრებდნენ, ათავისუფლებდნენ გადასახადებისაგან და ანიჭებდნენ ზოგიერთ პრივილეგიას, ხოლო პოეტები უძღვნიდნენ ლექსებს.

ოლიმპიური თამაშობანი იმართებოდა 1.170 წლის მანძილზე და 393 წელს აკრძალა იმპერატორმა თეოდოსემ.

ძველ საბერძნეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ვარჯიშობა ბურთაობა იყო. თამაშობდნენ ბავშვები და უფროსებიც. ბერძნები ხმარობდნენ სხვადასხვა ზომის ბურთებს რომელთაც ტყავის გარსი ჰქონდათ, ხოლო შიგნით მატყლით. სილით, ბუმბულით ან ფქვილით იყო გამოტენილი. ძველმა ბერძნებმა ბურთაობის სხვადასხვა ვარიანტი იცოდნენ.

ბერძენთა ერთ-ერთ საყვარელ ვარჯიშობას რბენა წარმოადგენდა. გარდა ზემოთ მოხსენებული რბენის სახეობისა, საბერძნეთში გავრცელებული იყო რბენა გამძლეობაზე. ანუ ვრძელ მანძილზე რბენა (დოლიხოდრომ). რბენის ეს სახეობა ხანგრძლივ წვრთნას მოითხოვდა.

ბერძნები დარბოდნენ აგრეთვე კელაპტრებით, სამხედრო იარაღ-ასხძელნი (მუზარადით, ფარით, შუბიო და სხვ.) გავრცელებული იყო ქვიშიან ნიადაგზე რბენა ძველ საბერძნეთში სცოდნიათ აგრეთვე სწრაფი სიარული, რომლითაც ბერძნები ფართოდ სარგებლობ-

დნენ ქალაქიდან ქალაქში ცნობების გადასაცემად და სხვა საზოგადოებრივ დავალებათა შესასრულებლად.

საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ხტომაც, ბერძნები იყენებდნენ მარტივ და რთულ ხტომებს. რთული ხტომის სახეობას წარმოადგენდა მკირე ორბირთულებით ხტომა. გავრცელებული იყო აგრეთვე წინალობებზე ხტომა, ხტომა სიგრძეზე და სიმაღლეზე, ხტომა ზევიდან ქვევით, ქვემოდან ზევით და ა. შ.

ბადროს ტყორცნა ბერძენთა უძველესი ვარჯიშობა იყო. ბადროს ძველი ბერძნები მალლობ ადგილიდან ტყორცნიდნენ. ტყორცნის ხერხიც თანადროულისაგან განსხვავდებოდა. მტყორცნელი ბადროს მარჯვენა ხელში დაიჭერდა, ამავე დროს ტანი წინ დახრილი ჰქონდა, მარჯვენა ფეხი მუხლში მოღუნული და მასზე მარცხენა ხელი დაყრდნობილი. მარჯვენა მკლავს რამდენჯერმე წინ და უკან გაიქნევდა და ბადროს წინ გადაისვრიდა წიბოთი მიწისაკენ. ბადროს ზომა შეადგენდა დიამეტრში 14—21 სმ-ს, ხოლო წონა 1,3—4,7 კგ-ს. მას ამზადებდნენ როგორც ლითონისაგან, აგრეთვე ხისა და ქვისაგან.

ასეთივე ძველ ვარჯიშობას წარმოადგენდა შუბის ტყორცნა. მიზანს წარმოადგენდა ხის ბოძი, ფარი ან მიწაზე მოხაზული წრე.

ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის საპატიო ადგილი ეკირა ჭიდაობას. ბერძნებს ჭიდაობის სპეციალურად დამუშავებული წესები ჰქონდათ. მათ ორი სახის ჭიდაობა იცოდნენ, ერთ შემთხვევაში ჭიდაობა დგომში წარმოებდა და საჭირო იყო მოწინააღმდეგის დგომიდან მიწაზე წაქცევა. ასეთი წესით სამჯერ ზედიზედ წაქცეული (დამოუცილებლად იმისა ბეჭებზე დაეცემა თუ არა) დაძლეულად ითვლებოდა. მეორე სახის ჭიდაობა ჩოქბჯენში მიმდინარეობდა. ამ შემთხვევაში სავალდებულო იყო მოწინააღმდეგის ბეჭებზე დაწვენა. ჭიდაობის დროს წესების დაცვას დიდი ყურადღება ექცეოდა. ჭიდაობის წინ ბერძნებს ჩვეულებად ჰქონდათ ტანზე ზეთის წასმა, ხოლო შემდეგ სილის მოყრა.

ჭიდაობაზე არანაკლებ გავრცელებული იყო კრივი. კრივში მონაწილე ბერძნები ხელებზე იხვევდნენ რბილ თასმებს, ხოლო შემდეგში რბილი თასმები შეიცვალა უხეში ტყავებით, რომელთაც მახვილი ნაპირები ჰქონდათ და დარტყმის დროს ადამიანს ჰკრილობებს აყენებდნენ. უფრო მოგვიანებით უხეში ტყავის თასმებზე პატარ-პატარა ლურსმნებს და ლითონის ხორკლებს აკეთებდნენ. ამნაირად შეიარაღებულ მუშტს დიდი ძალა ეძლეოდა და უბედური შემთხვევებიც კრივის დროს იშვიათი როდი იყო. მოკრივეები მაგარი ტყავის ხელთათმანებსაც იყენებდნენ. კრივში შეჯიბრების ხანგრძლიობა არ იყო განსაზღვრული. თუ მოწინააღმდეგეთა თანასწო-

რი ძალების გამო ბრძოლა შედეგს არ იძლეოდა, მ.შინ მეტად ველურ ხერხს მიმართავდნენ: მოწინააღმდეგენი ერთი მეორეს პირდაპირ დადგებოდნენ და თითოეულ მათგანს რიგრიგობით ნება ეძლეოდა ეცემნა მოწინააღმდეგისათვის, რომელსაც არ ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევის უფლება. ასე სცემდნენ მოკრივენი ერთმანეთს რიგრიგობით, ვიდრე რომელიმე მათგანი თავს დამარცხებულად არ ცნობდა.

ოლიმპიური ასპარეზობის დროს განსაკუთრებული ადგილი პენტათლონს და პანკრაციონს ეკირა. პენტათლონში შემავალი ფიზიკური ვარჯიშობები, ჭიდაობის გამოკლებით, ერთ დღეში ტარდებოდა. გამარჯვებული ის რჩებოდა, ვინც ყველა სახეობაში იმარჯვებდა. ჭიდაობა, მისი სირთულის გამო, დასასრულს იმართებოდა. შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება ენიჭებოდა მხოლოდ ორ საუკეთესო მონაწილეს და მათი ჭიდაობის შედეგი სწყვეტდა პირველობის საკითხს.

მონათმფლობელური წყობილების კრიზისი საბერძნეთში და ფიზიკური აღზრდის მონათმფლობელური სისტემის დაცემა

განვითარების უმაღლეს წერტილს ფიზიკურმა კულტურამ საბერძნეთში მიაღწია მონათმფლობელური კულტურის უმაღლეს განვითარების ხანაში, მაგრამ მან ვერ შეინარჩუნა დამკვიდრებული ადგილი მონათმფლობელური საზოგადოების არსებობის მთელ მანძილზე. მონათმფლობელური საზოგადოების შემდგომი სოციალურ-ეკონომიური პროცესის მსვლელობამ გამოიწვია ფიზიკური კულტურის სწრაფი დაცემა. მონათმფლობელური მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება იწვევდა დიდ სიმდიდრეთა დაგროვებას მცირერიცხოვან მონათმფლობელური არისტოკრატის ხელში და წვრილ მესაკუთრეთა და შინამრეწველთა გაკოტრებას. ამ გზით თანდათან იზრდებოდა მრავალრიცხოვანი ანტიკური ლუმპენპროლეტარიატი. მონათმფლობელური საზოგადოების ზედაფენების ცხოვრებაშიც ისეთი ცვლილებანი ჩაისახა, რომელნიც მონათმფლობელური წყობილების გახრწნის ნიშნებზე მოწმობდნენ. სიმდიდრეთა კონცენტრაციამ გამოიწვია არისტოკრატის ფუფუნება. სამხედრო საქმეს, რომელიც წინათ მთლიანად მათ ხელში იყო, ისინი ადვილად სთმობენ, რათა თავიდან აიცილონ სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული სიძნელები. მათ ირჩიეს ფუფუნებაში ცხოვრება. მოქალაქეთა ლაშქრებისაგან შემდგარი ძველი ჯარი დაიშალა და შემოდებულ იქნა დაქირავებული ჯარის სისტემა. ამასთან დაკავშირებით ფიზიკურმა აღზრდამ, როგორც სამოქალაქო რაზმისათვის

მებრძოლთა მომზადების საშუალებამ. დაჯარგა თავისი მნიშვნელობა.

უწინდელ პალესტრების ნაცვლად აღმოცენდა ახალი სკოლები. სადაც ამზადებდნენ პროფესიონალ ათლეტებს, წინანდელმა შეჯიბრებებმა და დღესასწაულებმა მიიღეს სანახაობათა ხასიათი და დაჯარგეს წინანდელი მნიშვნელობა. არისტოკრატების ნაცვლად ამ სანახაობებში მონაწილეობდნენ პროფესიონალი ათლეტები. წინანდელ ჯიშნასიებში, სადაც ფიზიკური აღზრდა კარბობდა — ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა გონებრივ აღზრდას მიენიჭა.

წინანდელმა ცვლილებებმა ოლიმპიურ თამაშობებსაც ვერ აუხვია გვერდი. მათ დაჯარგეს თავისი ძველი მნიშვნელობა და ახლა სანახაობათა ხასიათი მიიღეს. ძველი არსებული ტრადიციის მიხედვით ოლიმპიურ თამაშობებში ახლაც საბერძნეთის ცალკეულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები გამოდიოდნენ შეჯიბრებაში, მაგრამ არისტოკრატებს აღარ შეეძლოთ მათში მონაწილეობა თავისი გაუწვრთნელობის გამო და იძულებული იყვნენ თავის ნაცვლად ასპარეზობაში დაქირავებული პროფესიონალი ათლეტები გამოეყვანათ, ამიტომაც საბერძნეთში ძვ. წ. IV საუკუნიდან სწრაფად გამრავლდა პროფესიონალ ათლეტთა რიცხვი. მათ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა ვიწრო სპეციალიზაცია. თუ წინათ ბერძენი ათლეტები განთქმული იყვნენ როგორც მრავალჭიდელები — ახლა, მონათმფლობელური სისტემის კრიზისის პერიოდში, პროფესიონალები გამოდიოდნენ ფიზიკურ ვარჯიშობათა მსოლოდ რომელიმე ერთ სახეობაში.

ფიზიკური კულტურა ძველ რომში

რომის სახელმწიფოს გაბატონებულ ეროვნებას შეადგენდნენ ლათინები. უძველეს სოციალურ უჯრედს რომში გვარი და კურია წარმოადგენდა. გვაროვნულ რომში მონათმფლობელობა ჭერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული. საქალაქო თემი რომის მკვიდრი მოსახლეობისაგან შედგებოდა. მოსახლეობის ეს ნაწილი (პატრიციები) საზოგადო მიწებს ფლობდნენ. ცალკეულ ოჯახებს მსოლოდ პატარა საკარმიდამო ნაკვეთები ეკუთვნოდათ (ბალი, ბოსტახი და სხვ.); ნაკვეთებზე ოჯახის ყოველი წევრი მუშაობდა და თანაც გამოყენებული ჰყავდა ერთი ან რამდენიმე მონა.

პატრიციების რამდენიმე ოჯახი გვარს შეადგენდა; ათი გვარი — კურიას, ხოლო ათი კურია — ტრიბას (ტომი).

რომის ყველა 300 პატრიციული გვარის უზუცესები ჰქმნიდნენ

„უხუცესთა საბჭოს“. ანუ სენატს, რომელიც განაგებდა თემის ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

სენატის გარდა, არსებობდა სახალხო კრება კურების მიხედვით. რომელიც წყვეტდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა ბელადის არჩევა, ომის გამოცხადება, ზავის დადება, ახალი კანონების შემოღება და სხვ.

გარდა პრივილეგიური კლასისა, რომში უფლებო კლასიც არსებობდა — პლებეები, რომლებიც, თუმცა პირადად, თავისუფლები იყვნენ, მაგრამ არ გააჩნდათ მოქალაქეობრივი უფლებები. ისინი არ მონაწილეობდნენ სახალხო კრებაში, არ მსახურობდნენ ჯარში. არ ჰქონდათ უფლება ესარგებლათ საზოგადოებრივი მიწით, აკრძალული ჰქონდათ პატრიციების რელიგიურ წესებში მონაწილეობა.

უძველეს დროს რომს მეფეები განაგებდნენ. მეფეები მემკვიდრეობითი უფლებებით არ სარგებლობდნენ — მათ ირჩევდნენ ყველაზე უფრო გამოცდილ და მამაც მეომართა რიგებიდან. ძველ რომში შემონახული ზოგიერთი ჩვეულებანი და წესები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მეფის არჩევის დროს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა მის ფიზიკურ თვისებებს.

ძველ სერვიუს ტულიუსმა ძვ. წ. VI საუკუნეში პლებეებისათვის ჩაატარა მნიშვნელოვანი რეფორმა, რომლითაც უკანასკნელთ ენიჭებოდათ ჯარში სამსახურისა და ამასთან ერთად ზოგიერთი პოლიტიკური უფლებაც.

ამ რეფორმის მიხედვით რომის თავისუფალი მოსახლეობა (როგორც პატრიციები, ისე პლებეები) დაიყო ხუთ ქონებრივ წყებად, ანუ კლასად.

კლასობრივი დანაწილების გარეშე დარჩენილ ღარიბ ფენას პროლეტარებს უწოდებდნენ. ისინი თავისუფალი იყვნენ გადასახადებისა და ბეგარისაგან. მათ სამხედრო სამსახურიც არ ეხებოდათ, არ ითვლებოდნენ მოქალაქეებად და არ მონაწილეობდნენ კომიციებში. მხოლოდ უკიდურესი საშიშროების ყაშს მათ იწვევდნენ ლაშქარში და მაშინ გადადიოდნენ სახელმწიფოს კმაყოფაზე.

ამნაირად რომში შეიქმნა თავისებური სამხედრო-პოლიტიკური წყობილება, რომლის დროსაც საზოგადოებრივი ხელისუფლება სამხედრო ვალდებულ მოქალაქეთა ხელში იყო. ეს ხელისუფლება მიმართული იყო როგორც მონების, ისე პროლეტართა წინააღმდეგ.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო და ფიზიკურ მომზადებას.

თუ საბერძნეთში აღზრდას საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა, რომში გაბატონებული იყო ოჯახური აღზრდა. ადრეულ პერიოდში

რომაულ აღზრდას სამხედრო მიმართულება ჰქონდა და თემის ინტერესებს ემსახურებოდა.

ორივე სქესის ბავშვთა თავდაპირველ აღზრდას დედა კისრულობდა, მაგრამ ბიჭი რომ წამოიზრდებოდა, მის აღზრდას მამა თაობდა, ხოლო გოგო კვლავ დედის ხელქვეით რჩებოდა. აღზრდა რომში საკმაოდ მკაცრი იყო. ბიჭი თან დაკეცვებოდა მამას, უკვირდებოდა მის მოქმედებას. ითვისებდა მომავლისათვის საჭირო ჩვევებს, თან ახლდა მამას მუშაობისა და ნადირობის დროს. ასეთი აღზრდა 16 წლამდე გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში ბიჭი სწავლობდა ცურვას, ფარიკაობას, ცხენოსნობას, ჭიდაობას და სხვა ფიზიკურ ვარჯიშობებს. 16 წლის ქაბუჯი შეკყავდათ რომაელ მოქალაქეთა სიაში. ახლა იგი მოვალე იყო გაეგლო სამხედრო სამსახური ბანაკში, სადაც გრძელდებოდა მისი გაწვრთნა სამხედრო საქმეში. აქ ახალგაზრდებს ასწავლიდნენ ფარიკაობას, შუბის ტყორცნას, მშვილდოსნობას. სროლას, ცხენოსნობას, რბენას და სხვ.

ასეთი ხასიათი ჰქონდა აღზრდას რომში ძვ. წ. II საუკუნემდე, როდესაც კონსულმა გაიოს მარიუსმა ძვ. წ. 107 წელს ჩაატარა არმიის რეფორმა, რომლითაც ჯარში შესვლა და სამსახური ყოველ მსურველს შეეძლო, მათ შორის მოსახლეობის უქონელ ნაწილს — ქალაქის და სოფლის პროლეტარებს და მონებსაც.

შეძლებული კლასის წარმომადგენლები ხშირად ეწეოდნენ ფიზიკურ ვარჯიშობას. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და საყვარელი თამაშობა იყო ბურთაობა.

გარდა ბურთაობისა, რომაელები ბადროს ტყორცნასა და სიმძიმეების აწევავშიც ვარჯიშობდნენ. სიმძიმეების აწევისათვის იყენებდნენ ოვალური ფორმის ლითონის ფირფიტებს, რომელთაც ხვრეტილები ჰქონდათ თითების ჩასაქდობად. იყენებდნენ აგრეთვე ერთმანეთთან ღერძით შეერთებულ ლითონის ორ სფეროს (თანამედროვე „შტანგის“ მსგავსად).

გაიოს მარიუსის რეფორმასთან დაკავშირებით ფიზიკურმა აღზრდას რომაელთათვის დაკარგა თავისი მნიშვნელობა და აღარ წარმოადგენდა სამხედრო მომზადების საშუალებას. ფიზიკური აღზრდა განდევნილ იქნა სკოლებიდან (რომლებიც აღმოცენდა რესპუბლიკის პერიოდის რომში საბერძნეთის გავლენით).

რესპუბლიკის ეპოქაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საზოგადოებრივ თამაშობებს. ეს უკანასკნელნი ჩვეულებრივ რელიგიური დღესასწაულების ან სხვა რაიმე უქმე დღეს იმართებოდა. თამაშობები ტარდებოდა სპეციალურად აშენებულ ცირკებში. ჯერ კიდევ ძვ. წ. VI საუკუნეში ქ. რომში აგებული იყო დიდი ცირკი (Circus

Maximus), რომელიც 180—190 ათას მაყურებელს იტევდა. ძვ. წ. III საუკუნეში აგებულ იქნა ფლამინიუსის ცირკი (Circus Flaminius).

რომაელები ამფითეატრებსაც აშენებდნენ: მათ ოვალური ფორმა ჰქონდათ. ამფითეატრთა შორის ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო ფლავიუსის მიერ ახ. წ. 90 წელს აგებული კოლიზეუმი. იგი 90 ათას მაყურებელს იტევდა, მისი წრეწირი 524 მეტრს უდრიდა და დიამეტრში 188 მეტრი იყო, სიმაღლე 45 მეტრს შეადგენდა. კოლიზეუმი განთქმული იყო თავისი მორთულობით, წვიმის შემთხვევისათვის მოწყობილი ჰქონდა ტილოს სახურავი.

რომში ცირკების და ამფითეატრების გავრცელება შემთხვევითი როდი იყო. იულიუს კეისრისადმი (ძვ. წ. I საუკუნე) მიძღვნილ ეპისტოლეში სახელმწიფო წყობილების შესახებ ნათქვამია, რომ მმართველი უნდა ზრუნავდეს, რათა საჩუქრებით და სახელმწიფო პურით მოისყიდოს ბრბო, გაუჩინოს მას გასართობი და ამით არ მისცეს საშუალება თავისი მოქმედებით ზიანი მიაყენოს საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ძალაუფლების მქონე ან უფრო მეტი უფლების მოსურნე პირება ცდილობდნენ გართობებისა და სანახაობების საშუალებით მოეპოვებიათ ხალხში ავტორიტეტი. ასე, მაგალითად, იულიუს კეისარმა, ჯერ კიდევ ედილად ყოფნის დროს (ძვ. წ. 65 წელს), თითქმის მთელი თავისი ქონება მონადრომა გრანდიოზული თამაშობების გამართვას და ამ გზით მიაღწია ხელისუფლებას.

სანახაობები განსაკუთრებით გავრცელდა იმპერატორთა პერიოდში, მათი რიცხვი თანდათან მატულობდა.

ცირკებში მრავალი ასპარეზობა იმართებოდა. წამყვანი ადგილი ეტლებით რბენას ენიჭებოდა. დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ ეტლოსნები, რომელთა შორის აღსანიშნავია ესპანელი ეტლოსანა დიოკლე. მან 24 წლის მანძილზე 1462 გამარჯვება მოიპოვა. ეტლოსნები უმთავრესად პროფესიონალები იყვნენ, მაგრამ ზოგჯერ რომის არისტოკრატებიც მონაწილეობდნენ ეტლებით რბენაში. გარდა ამისა, ცირკებში იმართებოდა ცხენოსნობაში, კრივში, ჭიდაობასა და რბენაში შეჯიბრება. ცირკის პროგრამაში ერთ დროს წარჩინებული გვარების ბიჭთა ვარჯიშობანიც შედიოდა.

ამფითეატრების პროგრამა ცენტრალურ ადგილს გლადიატორთა ბრძოლებს უთმობდა. პირველი ცნობები გლადიატორთა ბრძოლების შესახებ ძვ. წ. 264 წელს მიეკუთვნება.

გლადიატორთა უმრავლესობას შეადგენდნენ სამხედრო ტყვე-

ები, რომლებსაც ადრეულ ხანებში ხოცავდნენ, ხოლო შემდეგში გლადიატორთა სკოლებში ათავსებდნენ. აქ მათ ფარეხობას ასწავლიდნენ და შემდეგ გლადიატორთა სისხლიან ბრძოლებში გამოჰყავდათ. გლადიატორთა სკოლები არსებობდა რომში, პრენესტეში, რავენაში, ალექსანდრიაში, კაპუაში და სხვა ქალაქებში.

შეიარაღებისა და მიხედვით, გლადიატორთა სხვადასხვა ჯგუფი არსებობდა: სამნიტები, სეკუტორები, რეტარიები, თრაჯიელები, ესედარიები, ეკვიტორები. სამნიტები ბრძოლის დროს შეიარაღებული იყვნენ დიდი მოგრძო ფარით. მოკლე მახვილით და მუზარადით. სეკუტორების შეიარაღებას წარმოადგენდა მუზარადი, ფარი და მახვილი. რეტარებს არც ფარი და არც მუზარადი არ გააჩნდათ; მათ ერთ ხელში სამკაპი ეჭირათ, ხოლო მეორეში ბადე და ცდილობდნენ იგი მოწინააღმდეგისათვის წამოესხათ. თრაჯიელები ხმარობდნენ მცირე მრგვალ ფარს და მოკლე მოღუხულ ხანჯალს. ესედარიები ეტლოსნებს წარმოადგენდნენ, ხოლო ეკვიტორები — ცხენოსნებს, რომლებიც მუზარადით. მრგვალი ფარითა და შუბით იყვნენ შეიარაღებული.

გლადიატორები იწყებდნენ ბრძოლას ბლავვი იარაღით. ხოლო ბუკის დაკვრისთანავე გადადიოდნენ ნამდვილ ბრძოლაზე მახვილი იარაღის გამოყენებით. თუ ერთ-ერთი მოწინააღმდეგე ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრებოდა და ჰკარგავდა ბრძოლის გაგრძელების უნარს, იგი მიმართავდა მაყურებელთ (იმპერატორების პერიოდში კი იმპერატორს), პატიებას სთხოვდა და ამის ნიშნად აწევდა მარჯვენა ხელს. თუ ხალხი მის თხოვნას შეიწყნარებდა ბრძოლა შეწყდებოდა, თუ არადა, მაშინ დაჭრილი გლადიატორი კვლავ ფეხზე უნდა წამოძდგარიყო და განეგრძო ბრძოლა. თუ ამასაც ვერ ახერხებდა, მაშინ ცემით ან შიშველ ტანზე გახურებული რკინის შეხებით აიძულებდნენ ფეხზე დადგომას, გამარჯვებულს კი სათანადოდ აჯილდოებდნენ.

გარდა ხმელეთისა, გლადიატორთა მასობრივი ბრძოლები წყალზეც იმართებოდა. ამგვარ ბრძოლებს „ნავმახიები“ ეწოდებოდა. პირველად ნავმახიები მოაწყო იულიუს კეისარმა ძვ. წ. 46 წელს. მარსის ველზე რომში გათხარეს დიდი ტბა და შიგ ჩაუშვეს ხომალდები.

ამფითეატრების არენაზე დროგამოშვებით მხეცებთან ბრძოლაც იმართებოდა; საამისოდ სპეციალურად წვრთნიდნენ გლადიატორებს. ხშირად ნადირთან საბრძოლველად სიკვდილმისჯილნიც გამოჰყავდათ. ზოგჯერ ამგვარ ბრძოლებში მოხალისენიც გამოდიოდნენ.

გლადიატორები მძიმე და აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ.

უმნიშვნელო. დანაშაულისათვის ამოთრახებდნენ, დაღვდნენ გახურებული რკინით, ბორკილებს უყრიდნენ და სატუსალოში ათავსებდნენ.

გლადიატორთა ერთ-ერთი სკოლა, რომელიც ქ. კაპუაში მდებარეობდა. დიდი სიმკაცრით განირჩეოდა. ამან გლადიატორთა დიდი უქაყოფილება გამოიწვია და მათ შეთქმულება მოაწყეს. შეთქმულება მალე გამომქლავნდა. სკოლაში მყოფ 200 გლადიატორთაგან უმრავლესობა შეიპყრეს, ხოლო 78 კაცმა შეძლო გაქცევა და სპარტაკის მეთაურობით ვეზუვის მთებში დამალვა. სპარტაკს მიემხრნენ. მონები, მოკამაგირეები და ღარიბები, რომლებიც გამაგრდნენ ვეზუვის მთაზე.

სპარტაკი წარმოშობით თრაკიელი იყო. იგი როგორც კი ტყვე მონად მოხვდა რომში, გაქცევა სცადა, მაგრამ ამისათვის დაისაჯა და საგლადიატორო სკოლაში მოათავსეს. სპარტაკი მეტად გონიერი. გულადი, მტკიცე ნებისყოფის და სამხედრო ნიჭით დაჯილდოებული: „პიროვნება“ იყო. ვერ შეურიგდა გლადიატორობას; იგი ამბობდა: „სჯობს სიკვდილი თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ვიდრე ბრძოლა ცირკის არენაზე“.

სპარტაკის წინააღმდეგ სამიათისიანი რაზმი გაიგზავნა, რომელიც გარს შემოერთყა ფრიალო კლდოვან მთაზე გამაგრებულ მონებს და ვეზუვიდან ერთდარეთი ჩამოსასვლელი გზა შეუკრა. ვეზუზე ბლომად იზრდებოდა გარეული ვაზი. მისი ყლორტებისაგან მონებმა დაამზადეს ბაგირები და რომაელთა შეუმჩნეველად დაეშვნენ ძირს კლდიდან. ამის შემდეგ სპარტაკმა ზურგიდან შემოუარა რომაელთა ჯარს. თავს დაესხა მას და გაანადგურა.

აჯანყების ჩასაქრობად სენატმა სპარტაკის წინააღმდეგ გაგზავნა: ოთხი ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც სპარტაკმა: სწრაფი დარტყმით გაანადგურა. თანდათანობით სპარტაკი მრისხანე და უძლეველი გახდა — იზრდებოდა მისი სახელი და მასთან ერთად არძიაც: იგი 70 ათასზე მეტი კაცისაგან შედგებოდა. მაგრამ აჯანყებულთა ბანაკში მალე თავი იჩინა უთანხმოებამ. თავისუფალ მიწათმოქმედთა მეთაური ქსერქსი დაუყოვნებლივ რომზე გალაშქრებას მოითხოვდა, სპარტაკი კი არჩევდა ჩრდილოეთისაკენ, ალპები! მიმართულებით მოძრაობას და მონების (გალების, გერმანელების და თრაკიელების) სამშობლოში გაყვანას.

ძვ. წ. 72 წლის მეორე ნახევარში სპარტაკის არმიის რიგებში 120 ათასამდე მეომარი ითვლებოდა. ჩრდილოეთიდან სპარტაკი სამხრეთისაკენ გამობრუნდა. ამისი ნამდვილი მიზეზები გამოურკვეველი რჩება, უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა მიზეზებთან ერთად მნიშვნე-

ლოვანი როლი შეასრულა იმ სიძნელეებმა, რომლებიც დაკავშირებული იყო აღიღებულ მდინარე პოზე და ალპებზე გადასვლასთან.

სამხრეთ იტალიიდან სუცილიაზე გადასვლის გეგმა სპარტაკს გაუმტყუნდა და იძულებული გახდა უკან გამობრუნებულიყო, მაგრამ აქ რომაელების მიერ გაყვანილობა ღრმა თხრილებმა მას გზა გადაუღობეს; მონების არმიამ გმირულად სძლია ეს დაბრკოლებანი.

სპარტაკი თავგამოდებით იბრძოდა რომის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. მისმა ჯარებმა რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რითაც თავზარი დასცა მონათმფლობელებს, მაგრამ საბოლოოდ სპარტაკი დამარცხდა.

თამაშობათა შორის რომში ყველაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა პონტიფიკებს და ტარენტის თამაშობებს, რომლებიც 100—110 წელიწადში ერთხელ ეწყობოდა. აღსანიშნავია აგრეთვე ტროის თამაშობანი, რომელთა პროგრამა ძირითადად ცხენოსნობას შეიცავდა.

ათლეთიკური შეჯიბრებანი რომში შედარებით გვიან ჩაისახა და არც კპოვა დიდი გავრცელება. იმპერატორმა ავგუსტემ მოაწყო დიდი ტანვარჯიშული და მუსიკალური შეჯიბრება. ოლიმპიური თამაშობების მსგავსად, ეს ასპარეზობა უნდა განმეორებულყო ყოველ ოთხ წელში, მაგრამ იგი მხოლოდ ერთხელ ჩატარდა. იმპერატორმა ნერონმა სცადა თამაშობების მოწყობა. რომელთაც ნერონეა უწოდეს, მაგრამ მათაც ისეთივე ბედი ეწიათ. ეს თამაშობებიც მხოლოდ ორჯერ ჩატარდა.

უფრო მეტი წარმატება ჰქონდათ კაპიტოლიუმის თამაშობებს, რომლის პროგრამაში შედიოდა ათლეთების, ძომღერლების, მუსიკოსების, პოეტების გამოსვლები. შეჯიბრებების ჩასატარებლად მარსის ველზე აგებული იყო სტადიონი 15.000 მაყურებლისათვის.

დიდ დაპყრობათა შედეგად რომის იმპერია ძალზე გაიზარდა და დამორჩილებული ხალხების დიდ ექსპლუატაციას ეწეოდა. იმპერიის ბოლო საუკუნეებში, როდესაც გაძლიერდა მონათმფლობელური წყობილების რღვევა, რომის კულტურა დაცემას განიცდიდა. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა რომაელთა ცხოვრების ყველა მხარეზე, მათ შორის აღზრდაზე, კერძოდ, ფიზიკურ აღზრდაზე.

ქრისტიანობის განმტკიცებამ კიდევ უფრო დააჩქარა რომში ფიზიკური აღზრდის დაცემა.

მონათმფლობელური საზოგადოების რღვევამ გამოიწვია ანტიკური საზოგადოების და მისი კულტურის დამხობა. მასთან ერთად დაიღუპა ანტიკური ფიზიკური კულტურაც.

ფიზიკური კულტურა შუა საუკუნეებში

§ 1. ფიზიკური კულტურა აღმოსავლეთი და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში

ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის წარმოშობა და განვითარება მოასწავებდა პროგრესულ ნაბიჯს ისტორიაში.

ფეოდალური ურთიერთობის პირობებში გაბატონებულ კლასს ფეოდალები წარმოადგენდნენ, ხოლო ექსპლუატირებულს — ყმები. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მათ შორის მწვავე კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა. ამასთან ერთად ვითარდება რკინის გამოდნობისა და დამუშავების საქმე, ფართოდ ვრცელდება რკინის გუთანის და საფეიქრო დაზგა, ინტენსიურად მისდევენ მიწათმოქმედებას. დიდად ვითარდება ხელოსნობა, ხოლო მის გვერდით ისახება და ვითარდება მანუფაქტურული წარმოება.

ფეოდალები მოსახლეობის სასტიკ ექსპლუატაციას ეწეოდნენ, თვითონ კი თავილოდნენ ფიზიკურ შრომას, თუმცა არც გონებრივ მუშაობას ეწეოდნენ. ფეოდალების ძირითად თვისებებს წარმოადგენდა ძალმომრეობა, უხეში მოპყრობა და კონსერვატიზმი. მათ ერთადერთ ღირსეულ საქმედ ომის წარმოება და ნადირობა მიიჩნდათ.

ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეობები (რომელთა საწყისი პირველყოფილ-თემური წყობილებიდან მომდინარეობს) მისაწვდომი იყო მთელი ხალხისათვის მხოლოდ რომის იმპერიის დაცემის პირველ საუკუნეებში, ვიდრე დამყარდებოდა გლეხთა ბატონყმური დაშოკიდებულება. მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის დამყარებიდან ფიზიკური აღზრდის საქმე მთლიანად გაბატონებული კლასის ხელში გადავიდა. ფიზიკური ვარჯიშობების ხალხური სახეობიდან თანდათანობით აღმოცენდა სამხედრო-ფიზიკური აღზრდის რაინდული სისტემა, გლეხობამ კი შემოინახა ძველი ხალხური თამაშობანი და ვართობები.

სწავლა-განათლების საქმე სასულიერო წოდების ხელში იყო. აღზრდა-განათლებას მეტად ზერელე, უშინაარსო, სქემატური და სქოლასტიკური ხასიათი ჰქონდა. სწავლების საგნებს საეკლესიო სკოლებში წარმოადგენდა წერა-კითხვა, ლათინურენოვანი საეკლესიო გალობა, რიტორიკა, ლათინური ენა, ასტროლოგია და სხვა. აქ მკაცრი დისციპლინა სუფევდა — ბავშვთა ჩვეულებრივ სასჯელად

მიჩნეული იყო მარხულობა. კარცერი და ცემა. ფიზიკური აღზრდა სრულებით განდევნილი იყო, გამონაკლისს წარმოადგენდა საერო ფეოდალთა ვაჟების აღზრდა, რომელსაც სამხედრო მიმართულება ჰქონდა.

სწავლა-განათლება თავდაზნაურთა და სამღვდლოების ხელში მოექცა. არისტოკრატიის ქალთა აღზრდის საქმე მონასტრების ხელში იყო. რაც შეეხება არისტოკრატების ვაჟთა აღზრდას, სამღვდელოებამ ვერ შეძლო ამ საქმის მთლიანად ხელში აღება და რაინდების აღზრდა განცალკევებულად მიმდინარეობდა. რაინდები ღებულობდნენ სამხედრო და ფიზიკურ აღზრდას.

ფეოდალები, ვასალები და სენიორები, აგრძობდა ფიზიკური აღზრდა რთვე ცალკე სამთავროები განუწყვეტლივ ბრძოლას აწარმოებდნენ ერთმანეთს შორის. ეს მოითხოვდა ფეოდალთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების აუცილებლობას. ასეთსავე მომზადებას მოითხოვდნენ ფეოდალებისაგან კლასობრივი ბატონობის დაცვისა და შემდგომი განმტკიცების ინტერესები. ამიტომ ფეოდალთა შორის თანდათანობით შეიქმნა და ჩამოყალიბდა რაინდული აღზრდის თავისებური სისტემა, რომლის საფუძველსაც სამხედრო და ფიზიკური მომზადება შეადგენდა.

რაინდები სწავლობდნენ ცხენოსნობას, ცურვას, ფარცაობას. შუბის ტყორცნას, ნადირობას, ჭადრაკის თამაშს და ლექსების თხზვას. გარდა ამისა, რაინდები ვარჯიშობდნენ რბენასა და ხტომაში, ქვის ტყორცნასა და ჭიდაობაში.

ფეოდალის ვაჟი შვიდი წლიდან იზრდებოდა მის მშობლებზე უფრო ცნობილ და შეძლებულ ფეოდალის ოჯახში. 14 წლამდე ვაჟი ეწეოდა პაეის მოვალეობას, იმყოფებოდა ფეოდალის მეუღლის განკარგულებაში, ასრულებდა მის დავალებებს. თან ახლდა სერნობისა და ნადირობის დროს. მომავალი რაინდი აქვე სწავლობდა „ქრისტიანულ სათნოებას“. სიყვარულის და გულისმოგების ხელოვნებას. ბიჭი ერკვეოდა და ითვისებდა თავის წოდების ზნე-ჩვეულებას და სასახლის ეთიკეტს. ამავე პერიოდში ბიჭი ღებულობდა მტკიცე ფიზიკურ აღზრდას. იგი სწავლობდა იარაღის ხმარებას, ფარცაობას, ცურვას, ქვისა და შუბის ტყორცნას და ჭიდაობას.

თუ ფეოდალის ციხე-დარბაზში რამდენიმე ბიჭი იზრდებოდა, მაშინ მათ ფიზიკურ მომზადებას რომელიმე გამოცდილი საჭურველ-მტვირთველი ან რაინდი ხელმძღვანელობდა. ამრიგად, რაინდთა აღზრდის ცენტრს მსხვილი ფეოდალების ციხე-დარბაზები წარმოად-

ერდნენ. აქ ჩვეულებრივ ფიზიკური ვარჯიშობისათვის არსებობდა სპეციალური მოედანი ან სარგებლობდნენ სატურნირო მოედნებით.

14 წლიდან ბიჭი საჭურველმტვირთველის (იარაღის მტარებელი) შოვალეობას ასრულებდა და ახლა თვით ფეოდალის განკარგულებაში გადადიოდა. მას ევალეობდა იარაღის შენახვა და გასუფთავება. ცხენების მოვლა. ნადირობაში მონაწილეობა, ტურნირში და ომში პატრონის (ფეოდალის) გაცილება, ჭრილობის მიღების შემთხვევაში მისთვის დახმარების აღმოჩენა და სხვ. ამავე დროს საჭურველმტვირთველი განაგრძობდა წვრთნას ფარიკაობაში, ცხენოსნობაში, ცურვასა და სხვა სახეობებში, ეუფლებოდა სამხედრო საქმეს. საჭურველმტვირთველის აღზრდას მთლიანად სამხედრო მიმართულება ჰქონდა. იგი წვრთნიდა გარეულ ცხენებს, ეჩვეოდა დაბრკოლებათა გადალახვას. დადიოდა სანადიროდ. 21 წელს მიღწეულ საჭურველმტვირთველს ლებულობდნენ რაინდად. საამისო ცერემონიაც არსებობდა. რაინდად მისაღებს ჩააცმევდნენ თეთრ ტანსაცმელს და მიიყვანდნენ საყდარში, სადაც მღვდელი აკურთხებდა მის ხმალს, შემდეგ მომავალი რაინდი მუხლს მოიდრეკდა ყველაზე უფრო პატივსაცემი ფეოდალის წინაშე და ფიცს წარმოსთქვამდა, რომ იგი სარწმუნოებისა და მეფის ერთგული იქნებოდა, გულმოდგინედ დაიცავდა ქვეყანას, სუსტებს და ქვრივ-ობლებს და საზოგადოებრივ კეთილდღეობას. რაინდები მართლაც ერთგული იყვნენ თავიანთი ფიცისა, პირნათლად ემსახურებოდნენ თავისი კლასის ინტერესებს. სამსახურს უწევდნენ ღმერთს და მეფეს და „იცავდნენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას“ — რაინდულ ვარჯიშობათა საშუალებითა შეძენილ ძალ-ღონეს იყენებდნენ უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ გლეხთა აჯანყებების ჩასაქრობად.

ფიცის შემდეგ ცერემონია გრძელდებოდა. მომავალ რაინდს გაუკეთებდნენ ოქროს დეზებს, აძლევდნენ რაინდულ საჭურველს — ჩააცმევდნენ აბჯარს, გაუკეთებდნენ საბარკულებს, რკინის ხელჯაგებს, გადაკიდებდნენ ხმალს. ამის შემდეგ მას კისერზე ან ბეჭზე სამჭერ ბრტყლად დაარტყამდნენ ხმალს; ბოლოს მისცემდნენ მუზარადს, შუბსა და ფარს.

ტურნირი

დროგამოშვებით იმართებოდა რაინდთა ასპარეზობა, რომელსაც ტურნირს უწოდებდნენ. ეს იყო დიდი საჯარო შეჯიბრება, რომელიც რაინდთა ძალების დავალიერებას და მათი კლასობრივი ბრძოლისათვის მზადყოფნის დემონსტრაციას წარმოადგენდა.

ტურნირებს პირველად მეფეები და მსხვილი ფეოდალები აწყობდნენ, რაიმე დღესასწაულთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგში მათ

სისტემატურად მართავდნენ სხვადასხვა ადგილებში. ტურნირების დასაწყისი IX საუკუნეს მიეკუთვნება.

ტურნირი რაინდთა თამაშობების საერთო სახელწოდება იყო. სი-საძღვილეში კი იგი სამი სახეობისაგან შედგებოდა: 1) ტურნირი (სა-კუთრივ), 2) კარუსელი და 3) ყუტი (ანუ ტიოსტი).

ტურნირი წარმოადგენდა ცხენოსანთა მასობრივი ბრძოლის ინსცენირებას. მაგრამ იგი იმდენად რეალურად ტარდებოდა და მებრძოლთა გატაცება იმდენად დიდი იყო, რომ ხშირად ადგილი ჰქონდა ადამიანთა მსხვერპლს.

კარუსელის პროგრამა შეიცავდა შეჯიბრებას ცხენოსნობის დაუფლებაში. მონაწილენი უჩვენებდნენ ცხენზე მოხდენილი ჯდომისა და ტარების ხელოვნებას. აქვე მხედარს უნდა გამოემყლავნებია ხმლისა და შუბის აცილების ხერხების კარგი დაუფლება.

ყუტი წარმოადგენდა ორთაბრძოლას. ჰენების დროს მოწინააღმდეგენი შუბის საშუალებით ცდილობდნენ ერთმანეთის ცხენიდან ჩამოგდებას. დიდ გამარჯვებად ითვლებოდა თუ ცხენიდან მოწინააღმდეგის ჩამოგდებისას მხედარი მას შუბსაც გადაუტეხავდა.

გარდა ტურნირებისა, რაინდები მართავდნენ სამხედრო თამაშობებს. ისინი წარმოადგენდნენ საომარ მოქმედებათა ცალკე ეპიზოდების განსახიერებას (ქალაქისათვის ალყის შემორტყმა, ქალაქის აღება, სპეციალურად აშენებული ხის ციხის აღება და სხვ.).

ჩვეულებრივ ტურნირი იმართებოდა ქალაქის ან ციხე-დარბაზის მახლობლად, სპეციალურად გამოყოფილ და კედლით შემოღობილ ადგილზე. აქ დასწრება მხოლოდ პრივილეგიური კლასის წარმომადგენლებს შეეძლოთ. წარჩინებულ ფეოდალთა, ქალაქებისა და მსაჯებისათვის გამოყოფილი იყო სპეციალური ლოკები.

შეჯიბრებებისათვის გამოყოფილ მსაჯებს ევალებოდათ ასპარეზობაში რაინდთა მონაწილეობის უფლების შემოწმება, იარაღისა და ცხენების შემოწმება, შეჯიბრების წესების მეთვალყურეობა და სხვ.

განაჩენი უმაღლესი ჯილდოს მინიჭების შესახებ გამოჰქონდა მეფეს, უზუცეს რაინდებს და სპეციალურად არჩეულ მსაჯებს; ხშირად ამ საკითხს მანდილოსნებსაც ანდობდნენ. ჯილდოს წარმოადგებდა რაიმე ფასიანი საჩუქარი — ოქროთი მოვარაყებული ხმალი, ოქროს ბეჭედი, ოქროს ძეწკვი, გვირგვინი და სხვა ნივთები. გამარჯვებული მიჰყავდათ სასახლეში, სადაც იმართებოდა ნადიმი. მათი სახელები შეჰქონდათ საგანგებო სიებში. გამარჯვებულს უფლება ჰქონდა დამარცხებულისათვის ჩამოერთმია ცხენი და იარაღი. მას უფლება ჰქონდა აგრეთვე ტყვედ წაეყვანა დამარცხებული და მოეთხოვა მისგან გამოსასყიდი.

ტურნირი ჩვეულებრივ ხუთი დღე გრძელდებოდა. მონაწილეობისა და სტუმრებისათვის პირველ დღეს იმართებოდა დიდი მეჯლისი; მეორე დღეს წარმოებდა მონაწილეთა იარაღის დათვალიერება და შემოწმება; მესამე დღე ეთმობოდა წვრთნას და შემდეგ დასვენებას; მეოთხე დღეს მონაწილენი ფიცსა სდებდნენ, რომ პატიოსნად იბრძოლებდნენ და ამავე დღეს იმართებოდა კარუსელი; მეხუთე დღე მთლიანად ეთმობოდა ორთაბრძოლებსა და მასობრივ ბრძოლებს.

ტურნირები იშვიათად თუ მთავრდებოდა ადამიანთა მსხვერპლის გარეშე. განსაკუთრებულ საშიშროებას რაინდთა სიცოცხლისათვის წარმოადგენდა ყუტი. 1240 წელს ტურნირში, რომელიც ქ. კელნის მახლობლად გაიმართა, 60-ზე მეტი რაინდი და საჭურველმტვირთველი დაიღუპა.

მეფე მიწებს ურიგებდა თავის ვასალებს (ყმებს), რისთვისაც უკანასკნელნი მოვალენი იყვნენ ომის დროს მიეცათ მისთვის შეიარაღებული რაზმები. რაზმების შესაგროვებლად მეფის ვასალებიც თავის მხრივ არიგებდნენ მიწის ნაკვეთებს და ამრიგად მათაც ჰყავდათ თავისი ვასალები (ყმები); უმაღლესი სენიორი (პატრონი) იყო მეფე, მას ჰყავდა მსხვილი ვასალები, უკანასკნელნი თავის მხრივ სენიორებს წარმოადგენდნენ თავისი ვასალების მიმართ და ა. შ.

სენიორები და ვასალები მძიმე ტვირთად აწვნენ გლეხობას. გლეხებს გააჩნდათ თავისი მიწის ნაკვეთები, თავისი მეურნეობა და იარაღები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ უფლება მიეტოვებიათ თავისი პატრონი. გლეხები მოვალენი იყვნენ საპატრონეო გადასახადები გაძოვლოთ და სამუშაოდ გამოსულიყვნენ. გლეხს კვირაში რამდენიმე დღე ბატონის მიწაზე უნდა ემუშავა, მოეჩხხა და მოეზიდა შეშა, აეშენებია და შეეკეთებია შენობები, გაეყვანა და შეეკეთებია გზები და სხვ. გარდა ამისა, გლეხი მოვალე იყო ფეოდალისათვის მიეცა თავისი მოსავლის ნაწილი. გლეხების მძიმე მდგომარეობა იწვევდა მათ უკმაყოფილებას. უკვე IX საუკუნეში გლეხთა მრავალ აჯანყებას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ფეოდალთა ხელთ იყო როგორც ძალაუფლება, ისე სამხედრო რაზმები და დიდი სიმკაცრით აქრობდნენ აჯანყებებს.

არსებობის მძიმე პირობებმა ვერ შეარყია გლეხობის სიყვარული ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეობების, ცეკვებისა და თამაშობებისადმი. მაგრამ ამ თამაშობებს და ვარჯიშობას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი. გლეხთა მძიმე ფიზიკური შრომა არ იძლე-

ოდა ამის საშუალებას. გლესობას მხოლოდ უქმე დღეებში თუ შე-
ეძლო გართობა-თამაშობების ჩატარება.

ფიზიკური ვარჯიშობებიდან გლესობისათვის მისაწვდომი იყო
მხოლოდ ისეთი ვარჯიშობები და თამაშობები, რომლებიც არ მოი-
თხოვდნენ ხარჯების გაწევას. ასეთი იყო რბენა, ხტომა, სიმძიმეების
აწევა და გადატანა, ქვის ტყორცნა, ქიდაობა, ლოკის მიმოქიშვა,
თხილამურებით სიარული, ცურვა, მრავალი მოძრავი თამაშობანი,
ცეკვა და სხვ.

ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეობები წარმოადგენდნენ
გლესების ფიზიკური მომზადების საშუალებას. ამ ვარჯიშობათა
შედეგად გლესობა იძენდა ძალ-ღონეს. სიმარდეს. გამბედაობას და
სხვ. ფიზიკურსა და ნებელობითს თვისებებს, რომლებიც ესოდენ
საჭირო იყო ფეოდალებთან ბრძოლის დროს.

საწარმოო ძალთა და შრომის საზოგადოებ-
მოქალაქეთა ფიზი- რივი განაწილების საფუძველზე (მიწათმოქმე-
კური კულტურა დებისაგან ხელოსნობის გამოყოფა) X — XI სა-
უკუნეებში აღმოცენდნენ ქალაქები, როგორც ხელოსნობისა და
ვაჭრობის ცენტრები. ქალაქები შემოზღუდული იყო მიწა-
ყრილით ან კედლით. პიოველ ხანებში ქალაქის მცხოვრებთ
არ ჰქონდათ გაწვეტილი კავშირი სოფლის მეურნეობასთან: მათ
ჰქონდათ მინდვრები, ბაღები, ბოსტნები. ეწეოდნენ საქონლის მოშე-
ნებას. ქალაქებში ცხოვრობდნენ ხელოსნები და ვაჭრები. რადგან
ქალაქები მდებარეობდნენ ფეოდალთა მიწებზე, უკანასკნელნი მო-
ქალაქეებისაგან მოითხოვდნენ საბატონო ბეგარას და ღალას.

XII—XIII საუკუნეებში ევროპაში აღმოცენდა მრავალი ქალა-
ქი. რომელთა მოსახლეობა საგრძობლად გაიზარდა. ამასთან ერთად
შეიკვალა ქალაქების გარეგნული ხედიც. ფეოდალთა გამუდმებულ-
მა ომებმა ქალაქები აქცია ციხეებად — დიდი კედლებით, კოშკებით
და სათოფურებით.

ქალაქის მცხოვრებთა ძირითად მასას ხელოსნები შეადგენდნენ.
დახელოვნებული ხელოსანი, რომელსაც სახელოსნოს გახსნის უფლე-
ბა მიეცემოდა, ღებულობდა ოსტატის სახელწოდებას. ოსტატს
სახლშივე ჰქონდა მოწყობილი სახელოსნო, სადაც მისი ოჯახის ყვე-
ლა წევრი მუშაობდა. გარდა ამისა, მას სამუშაოდ აყვანილი ჰყავდა
ქარგლები და შეგირდები, რომლებიც შემდგომში თვითონაც ხე-
ლოსნები ხდებოდნენ.

ერთი და იგივე სპეციალობის ხელოსნები კავშირებში — საამქ-
როებში იყვნენ გაერთიანებული (ფეიქრები, კალატოზები, მჭედ-
ლები, მღებავები და სხვ.).

კარდა ხელოსნებისა და ქარგლებისა. ქალაქებში ცხოვრობდნენ ვაჭრები, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ გილდიებში. ქალაქებში ცხოვრობდნენ აგრეთვე არაორგანიზებული შავი მუშები, მტვირთავეები, სამღვდელთა.

XII საუკუნიდან დასავლეთ ევროპის ქალაქებს სასტიკი ბრძოლა უზღებოდათ ფეოდალებთან. ამ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებდნენ ხელოსანთა საამქროები. რომლებიც თავისებურ სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენდნენ და სამხედრო მოქმედების დროს გამოდიოდნენ თავიანთი დროშებით და მეთაურებით.

ქალაქთა სამხედრო ორგანიზაციები ჩამოყალიბებული იყო საამქრო რაზმების სახით. სამხედრო სამსახური ქალაქებში მუდმივი იყო და მშვიდობიანობის დროსაც კი მოქალაქეები ვალდებულნი იყვნენ ციხის კედლებთან და ქალაქის კარებთან ემორიგევათ.

მოქალაქეებს უმთავრესად თავდაცვითი ხასიათის ომების წარმოება უზღებოდათ. ამიტომაც ისინი იყენებდნენ მშვილდ-ისარს, შურდულს, შუბს, მოკლე მახვილს, ცულს და კვერთხს. აღნიშნული იარაღების ხმარებას წინასწარი და სისტემატური წვრთნა ესაჭიროებოდა. აუცილებელი იყო ფარცაობაში. ისრის სროლასა და შუბის ტყორცნაში ვარჯიშობა. საჭირო იყო სხვა სამხედრო-გამოყენებათი ხასიათის ვარჯიშობების წარმოებაც. ამრიგად მოქალაქეთა ფიზიკური აღზრდა სამხედრო მიზნებს ემსახურებოდა.

ფიზიკური კულტურის ორგანიზატორებად ქალაქებში გამოდიოდნენ საამქროები, რომელთაც დაარსებული ჰქონდათ ეგრეთ წოდებული მსროლელთა და მოფარცავეთა ძმობები. ეს უკანასკნელნი დიდ როლს ასრულებდნენ ფეოდალებთან მოქალაქეთა ბრძოლის საქმეში.

მსროლელთა ძმობები დასავლეთ ევროპის ქალაქებში გავრცელდა მოქალაქეთა რაზმების საბრძოლო ჩვევათა განმტკიცების მიზნით. მათი ამოცანა იყო სროლის ტექნიკის საფუძვლიანად დაუფლება. პირველი ამგვარი ძმობები XIV საუკუნეში დაარსდა. შემდეგში, როდესაც თოფის წამალი იქნა გამოგონილი და სასროლო იარაღი (თოფი) შემოვიდა ხმარებაში, მსროლელთა ძმობები ფართოდ გავრცელდა. მათ თავიანთი გამაერთიანებელი კავშირებიც კი გააჩნდათ და ხშირად აწყობდნენ როგორც ადგილობრივ, ისე საქალაქთაშორისო შეჯიბრებებს სროლაში.

დაახლოებით იმავე ხანებში დასავლეთ ევროპის ქალაქებში ჩაისახა მოფარცავეთა ძმობები, რომელთა ამოცანას შეადგენდა ფარცაობის გავრცელება და მისი ტექნიკის დაუფლება. მოფარცავეთა ძმობების განსაკუთრებულ გავრცელებას ხელი შე-

უწყო იმ გარემოებამ, რომ მოქალაქენი რაინდებთან შეტაკებისას გრძობდნენ უკანასკნელთა უპირატესობას და აუცილებლად მიაჩნდათ ფარცაობის საფუძვლიანად შესწავლა და მისი ფართოდ გავრცელება მოქალაქეთა შორის. მოფარცავეთა ძმობებსაც თავისი გამართიანებელი კავშირი გააჩნდათ. ძმობების წევრობა მხოლოდ ხელოსნებს შეეძლოთ. მათ ჰყავდათ სპეციალური მასაწვლებლები, რომლებსაც სათანადო ქირას უხდიდნენ. გულმოდგინე მეცადინეობის შედეგად მოქალაქეს შეეძლო ფარცაობის ოსტატის წოდება მიეღო. ამისათვის საჭირო იყო მსურველს საჯაროდ გამოცდა ჩაებარებინა. მის წინააღმდეგ გამოჰყავდათ ძლიერი მოფარცავე — ოსტატი და თუ გამოსაცდელი გამომჟღავნებდა კარგ ცოდნას და მომზადებას — იგი ღებულობდა ოსტატის წოდებას და ფარცაობის სწავლების უფლებას.

იმ ხანებში ფარცაობის მრავალ სახეს იყენებდნენ. ფარცაობდნენ გრძელი მახვილებით, დანებით და ხანჯლებით, დაშნებით და სხვა იარაღით. ფარცაობასთან ერთად მოქალაქენი ჰიდაობასაც სწავლობდნენ, რადგან ეს ორი სახე ერთად ორჰიდს წარმოადგენდა. ჰიდაობაში წვრთნის აუცილებლობა იმით იყო გამოწვეული, რომ ფარცაობაში შეჯიბრების დროს მოწინააღმდეგენი ცდილობდნენ ერთმანეთისათვის ხელიდან გაეგდებინებიათ იარაღი (განსაკუთრებით დანებით და ხანჯლებით ფარცაობის დროს) და ამ შემთხვევაში შეჯიბრება ჰიდაობით ბოლოვდებოდა. ამ სახის ჰიდაობაში დაშვებულა იყო მრავალი მიუღებელი ხერხი, როგორც, მაგალითად, საფეთქელში, კბილებში და წელში დარტყმა, ხელების და ფეხების გადაბრუნება და სხვ.

როგორც სროლაში, ისე ფარცაობაში იმართებოდა ასპარეზობა, რომელიც ნამდვილ ხალხურ დღესასწაულს წარმოადგენდა. შეჯიბრება იმართებოდა ან ცალკეულ რომელიმე სახეობაში (სროლაში ან ფარცაობაში), ან ორივე ამ სახეობაში ერთად. ამგვარი შეჯიბრებანი იმართებოდა როგორც ერთი ქალაქის მასშტაბით, ისე რამდენიმე ქალაქს შორის. ასე, მაგალითად, ქ. აუგსბურგის მუნიციპალიტეტმა გამართა სასროლო შეჯიბრება, რომელშიც 40 ქალაქის 466 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. იმავე ქალაქში 1509 წელს გამართულ დღესასწაულში 1.406 კაცი მონაწილეობდა. ქ. ნიუნბერგში გამართულ სასროლო შეჯიბრებაში 5.000 კაცი მონაწილეობდა.

უნდა ითქვას, რომ ეს დღესასწაულები მეტად დიდ როლს ასრულებდნენ იმდროინდელი ქალაქების ცხოვრებაში, რადგან ისინი წარმოადგენდნენ ქალაქთა საბრძოლო ძალების დათვალეიერებას და ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადყოფნის დემონსტრა-

ციას. შემდეგში დღესასწაულების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა და იგი ქალაქების ერთმანეთთან ეკონომიური და პოლიტიკური დაახლოების ძლიერ ფაქტორად იქცა. სწორედ ამიტომ ქალაქის მუნიციპალიტეტები სათავეში ჩაუდგნენ ამ საქმეს და არ იშურებდნენ ხარჯებს შეჯიბრების ჩასატარებლად.

საქალაქო შეჯიბრებებში, რომელდაც მოქალაქეთა ტურნირებს უწოდებდნენ, მონაწილეობის უფლება მხოლოდ მოქალაქეებს ჰქონდათ. საქალაქო ტურნირები შეიცავდნენ . შეჯიბრებას სროლაში (იგი ძირითად სახეობად ითვლებოდა), ფარიკაობაში, ქვის ტყორცნაში, რბენასა და ხტომაში. ამ უკანასკნელ სამ სახეობაში შეჯიბრებას ჩვეულებრივ ფარიკაობაში შეჯიბრებას უკავშირებდნენ.

სასროლო შეჯიბრების საწყისი სახეობა მშვილდოსნობა იყო, რომელსაც XV საუკუნის დასაწყისიდან ცეცხლსასროლი იარაღებით სროლა დაემატა. შეჯიბრებას სპეციალური მსაჯთა კომიტეტი სჯიდა 8 კაცის შემადგენლობით. მშვილდიდან ტყორცნის დროს მანძილი შეადგენდა 150 ნაბიჯს, ხოლო თოფიდან სროლისას — 300 ნაბიჯს. საუკეთესო მსროლელთ აჯილდოებდნენ ფასიანი საჩუქრებით.

ქალაქების დაარსების პირველ ხანებში შეჯიბრებები და ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიშობა ტარდებოდა იმავე მოედანზე, სადაც მოქალაქენი იკრიბებოდნენ სამხედრო წვრთნისათვის. დღემდე შემონახული ძველი ქალაქების ილუსტრაციების გაცნობა საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ იმ დროს სპეციალურად მოწყობილი მოედნები არ არსებობდა, მხოლოდ XV საუკუნიდან ვხვდებით ქალაქებში ფიზიკურ ვარჯიშობათა და შეჯიბრებათა ჩასატარებლად მოწყობილ, სპეციალურ მოედნებს. ასე, მაგალითად, 1448 წელს ქ. ნიუნბერგში მოწყობილი ყოფილა მოქალაქეთა გასართობად მინდორი, რომელზედაც იმართებოდა შეჯიბრებები ხტომაში, რბენაში, ჭიდაობასა და სროლაში. ზოგიერთ ქალაქში რამდენიმე გამწვანებული მოედანიც კი ყოფილა. ამგვარი მოედნების მოწყობაზე ქალაქის თვითმმართველობა ზრუნავდა.

გარდა გამწვანებული მოედნებისა, დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქალაქში მოწყობილი ყოფილა იპოდრომები. მაგალითად, ქ. მიუნხენში XV საუკუნის დასაწყისში მოწყობილი ყოფილა იპოდრომი და ცხენოსნობის სკოლა დიდი დარბაზით.

ფარიკაობისათვის მოწყობილი იყო სპეციალური საფარიკაო სახლები. შუა საუკუნეთა ქალაქებში ამგვარი სახლების წარმოშობის თარიღი გამოურკვეველია, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ ქ. ნიუნბერგში უკვე XIV საუკუნის დასაწყისში არსებობდა სა-

ფიზკულტურული ნაგებობანი

ფარიკაო სახლი. ჩვენამდე დიდი რაოდენობით მოაღწია იმდროინდელმა გრავიურებმა, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება წარმოდგენა ვიკონიოთ საფარიკაო სახლების შესახებ. ამ ტიპის ნაგებობა შეიცავდა დიდ ღია მოედანს, რომელიც განიერი თარჯით იყო შემოვლებული. იქვე, თარჯთან, მოთავსებული იყო ადგილები სტუმრებისა და მსაჯებისათვის.

მოედნის ირგვლივ აღმართულ ხის ნაგებობაზე მაყურებელთათვის ქანდარები იყო მოწყობილი. ფარიკაობაში წვრთნისა და მეცადინეობისათვის შენობაში მოთავსებული ყოფილა დარბაზები.

დასავლეთ ევროპის ქალაქებში დიდი გავრცელება ჰპოვა ბურთაობამ, რის გამოც აქ მრავლად მოიპოვებოდა საბურთაო სახლები.

შეძლებულ მოქალაქეთა შორის გავრცელებული იყო ბურთაობის სახეობა. რომელსაც „ე-დე-პომს“ უწოდებდნენ. იგი ემსგავსებოდა თანამედროვე ჩოგბურთს. შუა საუკუნეთა ქალაქებში ამ თამაშობის ორი ნაირსახეობა იყო ცნობილი: ეგრეთ წოდებული „ლონგ-პაუმი“ და „კურტ-პაუმი“. პირველი სახეობისათვის აწყობდნენ სპეციალურ მოედანს, რომელიც ბადით ორ თანასწორ ნაწილად იყო გაყოფილი. მეორე თამაშობისათვის აშენებდნენ სპეციალურ დარბაზს. მოთამაშენი შეიარაღებული იყვნენ ფიცრის, ჩოგნებით და მცირე ზომის ბურთით. ეს თამაშობა ყველაზე მეტად საფრანგეთში იყო გავრცელებული. პარიზში სპეციალური სახელოსნოები არსებობდა და იმ დროს მთელ ევროპას ბურთებით ამარაგებდა.

მშრომელ მოსახლეობაში გავრცელებული იყო ფეხბურთი („შულ“, ანუ „სულ“). რომელმაც ევროპის ყველა ქალაქში მოიკიდა ფეხი. განსაკუთრებით კი ინგლისში.

სპეციალური სათამაშო მოედნების უქონლობის გამო მოქალაქენი ფეხბურთს თამაშობდნენ ყველგან, სადაც მოუხდებოდათ: ქალაქის ჩვეულებრივ მოედანზე, საბაზრო მოედანზე, ქუჩებში. არ არსებობდა დამუშავებული წესები. მოთამაშეთა რაოდენობაც არ იყო ვანსაზღვრული. 80—100-მდე მოთამაშე იყრიდა თავს ქალაქის მოედანზე ან რომელიმე ქუჩაზე, იწყებოდა თამაში. მოთამაშეთა გატაცება და სპორტული აზარტი სცილდებოდა ყოველგვარ საზღვრებს: ამსხვრევდნენ დარბაზებს, სახლების ფანჯრებს, ფეხქვეშ სთელავდნენ გამკვლელ-გამომვლელთ. არც თუ ისე იშვიათი იყო ადამიანთა მსხვერპლი. ვაჭრების მოთხოვნით გამოიკა კანონი, რომლითაც ერთხანს აიკრძალა ფეხბურთის თამაში, ხოლო კანონის დამრღვევთათვის აღესდგინეს საპყრობილეში.

ეკლესიის დამოკიდებულება ფიზიკური კულტურისადმი

შუა საუკუნეებში დიდ როლს ასრულებდა ეკლესია. ეკლესია არამც თუ ამართლებდა და აკანონებდა ფეოდალურ წყობას. არამედ თვითონაც მსხვილ ფეოდალურ მიწისმფლობელს წარმოადგენდა. ყველაზე უფრო მსხვილი მიწისმფლობელები იყო მონასტრები, რომლებიც გლეხობის ექსპლუატაციას ეწეოდნენ.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა საკითხი თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ეკლესიას ფიზიკურ კულტურასთან. აზრი იმის შესახებ. თითქოს ეკლესია შუა საუკუნეთა მთელ მანძილზე უარყოფდა ფიზიკურ კულტურას -- მცდარია. უეჭველია, რომ ეკლესია ადრეულ პერიოდში უარყოფითად იყო განწყობილი ფიზიკულტურისადმი. გამოხატავდა რა თავის სიძულვილს ყოველივე მიწიერისადმი, ეკლესია არ ზრუნავდა ადამიანის სხეულზე და მას ფიზიკურ განვითარებაზე, პირიქით, იგი მოითხოვდა სხეულის მოკვდინებას ლოცვის, მარხვის და ორგანიზმის ყოველგვარი დაუძღურების საშუალებით. ამიტომაც ადრეული შუა საუკუნეების აღზრდის სისტემაში ეკლესია სავსებით უარყოფდა ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის ელემენტებს. შემდეგში ეკლესიის შეხედულება ფიზიკურ კულტურაზე მკვეთრად შეიცვალა. ეკლესია მტკიცედ იცავდა თავის ძველ პოზიციებს უუფლებო გლეხთა ფიზიკური აღზრდის მიმართ, ხოლო ყოველმხრივ მხარს უჭერდა და იწონებდა ფეოდალთა ფიზიკურ აღზრდას.

საერო ფეოდალებთან ერთად, წარმოადგენდა რა მსხვილ მემამულეს, ეკლესია საჭიროებდა თავისი სიმდიდრის დაცვას, ამიტომაც იგი აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა ფეოდალთა აღზრდასა და მათი რაინდებად კურთხევის ცერემონიაში.

ძრავალრიცხოვან სასულიერო ორდენთა შორის შუა საუკუნეებში არსებობდა ბერ-რაინდთა ორდენებიც, რომელთა წესდებაში გათვალისწინებული იყო ფიზიკური კულტურის ელემენტები. XII საუკუნეში აღმოცენებულ სასულიერო რაინდთა ორდენებში დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ აღზრდას.

შობოვება ცნობები იმის შესახებ, რომ რომის ზოგიერთი პაპი თვითონაც ეწეოდა ფიზიკურ ვარჯიშს. ამისათვის მათ მოწყობილი ჰქონდათ სპეციალური საბურთაო სახლები. პაპების გალაშქრება რაინდთა ტურნირების წინააღმდეგ მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ტურნირები ხშირად ადამიანთა მსხვერპლით ბოლოვდებოდა, ეკლესიის კლასობრივი ინტერესები კი მოითხოვდა რაინდთა სიცოცხლის შენარჩუნებას.

XVI საუკუნეში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაბატონებულ კლასად ჯერ კიდევ ფეოდალები რჩებოდნენ, მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობა სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა და მტკიცდებოდა.

გვიანდელი ფეოდალიზმის ხანაში მწვავე ბრძოლა მიმდინარეობდა ძველი დრომოკმეული ფეოდალიზმისა და ახლად ჩასახულ ბურჟუაზიულ წყობათა შორის.

ამ ბრძოლაში უპირატესობა ჰქონდა ბურჟუაზიას, რომელმაც გამოიყენა გლეხობა და ქალაქის მშრომელები. ბურჟუაზია თანდათანობით ეუფლებოდა პოზიციებს ეკონომიკის დარგში, გავლენას ახდენდა სახელმწიფოს შინაგან პოლიტიკაზე, ავითარებდა თავის კერძომესაკუთრულ იდეოლოგიას.

ფეოდალური დაქსაქსულობა ანელებდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას, ამიტომაც მოქალაქეებს ესაჭიროებოდათ მტკიცე ცენტრალიზებული ხელისუფლება.

ახლად ჩასახული ბურჟუაზიის წარმომადგენელთა უფრო საღმა გონებამ მთლიანად დაარღვია ფეოდალური საზოგადოების ძველი წარმოდგენები და იდეები. შეირყა ეკლესიის ავტორიტეტი და დაიწყო ასკეტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. აღიძრა ინტერესი სისხლქარბი მიწიერი ცხოვრებისადმი. ამასთან ერთად აღიძრა ინტერესი ფიზიკური აღზრდისა, ადამიანის ფიზიკური განვითარებისა და ადამიანის ორგანიზმის შესწავლისადმი.

ახალი მეცნიერული გამოკვლევები ხელს უწყობდნენ თეოლოგიისაგან ბუნებისმეტყველების განთავისუფლებას. საგრძნობლად გაფართოვდა ევროპელთა გეოგრაფიული ჰორიზონტები, განვითარდა ოპტიკა და ასტრონომია. დიდი მიღწევები იქნა მოპოვებული ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიაში. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერებისათვის აგრეთვე გალილეის (1564—1642 წწ.) სწავლებას მექანიკის შესახებ. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ზრდამ და განვითარებამ დიდი გავლენა მოახდინა კულტურის ყველა მხარეზე და მასთან ერთად ფიზიკური აღზრდის თეორიაზე. ბუნებისმეტყველების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ხელოვნება და ლიტერატურა. ახალი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამტარებლები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ადამიანის პიროვნების ინტერესებს და ამიტომაც მათ ჰუმანიტეტს უწოდებდნენ.

ნაცვლად შუა საუკუნეთა სქოლასტიკური პედაგოგიკისა, რო-

მელიც ეყრდნობოდა საგნების ფორმალურ შესწავლას და უარყოფდა ფიზიკურ აღზრდას, ჰუმანისტებმა წამოაყენეს ახალი პედაგოგიკა, რომლის ამოცანას წარმოადგენდა მოზარდი თაობის არამარტო გონებრივი, არამედ ფიზიკური აღზრდაც. მათ მიზანს შეადგენდა მოხერხებული, ფიზიკურად განვითარებული ბურჟუის აღზრდა, რომელსაც კლასობრივი ინტერესების განმტკიცების უნარი ექნებოდა.

აღზრდას კლასობრივი ხასიათი ჰქონდა. გლეხობა და ქალაქის ღარიბ-ღატაკობა ყოველგვარი აღზრდის გარეშე რჩებოდა.

ფიზიკური აღზრდის საკითხები ჰუმანისტების პედაგოგიკურ თეორიაში გვიანდელი პერიოდის ჰუმანისტთა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო პადუას უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი იერონიმე მერკურიალისი (1530—1606 წწ.). მან საფუძვლიანად შეისწავლა ძველი დროის ექიმებისა და ფილოსოფოსების ნაშრომები ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკურ ვარჯიშობათა გავლენის შესახებ.

მან შეკრიბა და სისტემაში მოიყვანა ანტიკური ფიზიკური კულტურის მასალები და სცადა თანამედროვე მკურნალობის საფუძვლად ანტიკური ტანვარჯიში დაედო.

მერკურიალისმა დაწერა შრომა, რომელიც ექვს წიგნს შეიცავს. პირველი სამი წიგნი მან მიუძღვნა ფიზიკურ ვარჯიშობათა ისტორიას, ხოლო დანარჩენი სამი — ფიზიკური ვარჯიშობის საექიმო ანალიზს. მისი განმარტებით ფიზიკური ვარჯიშობა წარმოადგენს ადამიანის სხეულის გაგვარჯიშებას — წარმოებულს შეგნებულად; იგი აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას და განამტკიცებს ადამიანის ჯანმრთელობას. მაგრამ მერკურიალისი ფიზიკურ ვარჯიშობებს განიხილავს არა როგორც მთლიანი პედაგოგიური პროცესის ერთ-ერთ საშუალებას, არამედ როგორც მედიცინის ნაწილს.

ძველი ფიზიკური ვარჯიშობანი მერკურიალისმა სამ ჯგუფად დაჰყო:

1) ჰიგიენური ტანვარჯიში, რომლის მიზანს ჯანმრთელობის შენარჩუნება და განმტკიცება წარმოადგენს;

2) სამხედრო ვარჯიშობები, რომლებიც სამხედრო-გამოყენებითს ჩვევებს ანმტკიცებენ და

3) ათლეთიკური, რომლის მიზანს მაღალი სპორტული თვისებების დაუფლება წარმოადგენს.

აღნიშნულ ვარჯიშობათა შორის ყველაზე უფრო სასარგებლოდ მას ჰიგიენური ვარჯიშობები მიაჩნია, ხოლო ათლეთიკურს უარყოფს.

მერკურიალისის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი „ცდილობს

დაუბრუნოს მსოფლიოს ტანვარჯიშული ხელოვნება“ უარყოფილია მისივე წიგნების შინაარსით. ფაქტიურად მერკურიალისმა ვერ „დაუბრუნა მსოფლიოს ტანვარჯიში“, იგი შეეცადა მხოლოდ დაემორჩილებია ტანვარჯიში მმართველი კლასის ინტერესებისათვის; იგი ცდილობდა ფიზიკური ვარჯიშობანი გაეხადა გამაჯანსაღებელ-პიტიუტური ფაქტორის დამხმარე საშუალებად.

ფრანგი მწერალი — ჰუმანისტი ფრანსუა რაბლე (1483—1553 წწ.) პირველ ხანებში ბერი და მღვდელმსახური იყო. შემდეგ დაანება თავი მღვდლობას და მედიცინის შესწავლას დაეწაფა. მან დაამთავრა მონპელიეს უმაღლესი სკოლა და მალე პროფესორიც გახდა. კითხულობდა ლექციებს ლიონში. იგი ერთ-ერთი იმ მეცნიერთაგანი იყო, რომელმაც პირველად გამოიყენა გვამები ანატომიის შესწავლისას. ამასთან ერთად რაბლე განათლებით ენციკლოპედისტი იყო — მედიკი, იურისტი, ფილოსოფოსი, არქეოლოგი, ბუნებისმეტყველი.

რაბლე ილაშქრებდა თანამედროვე ცრუმეცნიერულ იდეათა წინააღმდეგ, სასტიკად ჰკმობდა შუასაუკუნეობრივ სქოლასტიზმს და აკრიტიკებდა სამღვდლოებას; რისთვისაც იგი ღვეწას განიცდიდა.

რაბლეს ნაწარმოებთა შორის ყველაზე უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა ფანტასტიკური რომანი „გარგანტუა და პანტაგროფელი“, იგი თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი. ამ გენიალურ სატირაში ავტორი დასცინის სქოლასტიკური განათლების უაზრობას, მის სრულ მოწყვეტილობას ცხოვრებისაგან და გამოხატავს პროგრესულ, ჰუმანისტურ შეხედულებებს აღზრდა-განათლებაზე. თავის სატირაში რაბლე შეეხო ეპოქის მსოფლმხედველობის ყველა მხარეს, გამოსთქვამს ძირითად აზრებს აღზრდის შესახებ, იძლევა არსებული აღზრდის სისტემის კრიტიკას. თავის რომანში რაბლე ფიზიკური აღზრდის საკითხებსაც შეეხო.

რომანში რაბლე მოგვითხრობს გოლიათების შეფის შვილის — გარგანტუას აღზრდის შესახებ. პირველად იგი სქოლასტიკოსი პედაგოგების ხელშია და ხანგრძლივი უსისტემო სწავლების შედეგად ძლიერს აითვისა ანბანი. სქოლასტიკური უაზრო გონებრივ აღზრდასთან პარალელურად მიმდინარეობდა მისი რელიგიური აღზრდა — ყოველ დღე დადიოდა ეკლესიაში და ისმენდა 26 წირვას. გარგანტუა არანორმალურ ცხოვრებას ეწეოდა — იღვიძებდა გვიან, უზომოდ ძღებოდა, სვამდა, თამაშობდა ბანქოს და ბოლოს სულ დაუჩლუნგდა გონება.

რაკი გარგანტუას მამა დარწმუნდა, რომ ამგვარმა აღზრდამ

მხოლოდ უარყოფითი ნაყოფი გამოიღო. მან განდევნა ძველი მასწავლებლები და აღსაზრდელად შეიღს ახალი მასწავლებელი — პონოკრატი მიუჩნია. ეს ახალი ტიპის პედაგოგი-ჰუმანისტი იყო.

ახლა სრულებით შეიცვალა გარგანტუას დღის რეჟიმი და მთელი ცხოვრება. იგი დილით ადრე დგება. გასეირნების შემდეგ იმეორებს, გაკვეთილებს, კითხულობს, შემდეგ თამაშობს ბურთს და ამ ვარჯიშით წვრთნის სხეულს მარდ და მოქნილ მოძრაობებში, თამაშობა გრძელდება კარგა ხანს, ვიდრე გარგანტუა არ დაიღლება და არ გაოფლიანდება. ამის შემდეგ იგი კვლავ მეცადინეობს. გონებრივი მეცადინეობის შემდეგ გარგანტუა სპეციალური მასწავლებლის ხელმძღვანელობით ისევ ფიზიკურად ვარჯიშობს. ამ ვარჯიშობათა პროგრამა დიდია: ჭიდაობა, ცხენოსნობა, ფარიკაობა, რბენა, სტომა. ცურვა, შუბის ტყორცნა, ლატანზე და ბაგირზე ცოცვა, სიმძიმეების აწევა და სხვ. ვახშმის შემდეგ გარგანტუა მუსიკით ერთობა და ამით თავდება დღე.

რაბლე მოითხოვდა აღსაზრდელისათვის დღის მტკიცე რეჟიმს. პირად ჰიგიენას (ხშირი ბანაობა, მასაჟი), კვების რეჟიმს და სხვ.

როგორც ზემოხსენებული ფიზიკური ვარჯიშობების დასახელებიდან ჩანს, რაბლე ცდილობდა ბურჟუაზიის წარმომადგენელთათვის მიეცა ყოველმხრივი ფიზიკური აღზრდა. იგი ინდივიდუალური აღზრდის მომხრეა. ეს დამახასიათებელი თვისებაა ბურჟუაზიული იდეოლოგიისათვის — სწავლება წარმოებს არა სკოლაში, არამედ ოჯახში ცალკე მოსწავლესთან აღმზრდელის ხელმძღვანელობით.

მიუხედავად იმისა, რომ რაბლე ახალ რევოლუციურ იდეებს ქადაგებდა, იგი მაინც არსებული სოციალური წყობის ფარგლებში რჩებოდა და აღზრდის თავისი სისტემა გათვალისწინებული ჰქონდა ბურჟუაზიისათვის.

საფრანგეთის ჰუმანისტების მეორე წარმომადგენელი იყო მწერალი-ფილოსოფოსი მ ი შ ე ლ მონტენი (1533—1592 წწ.).

ადამიანის აღზრდისა და სწავლების საქმეში მონტენი გამოდიოდა მოსწავლეთა ბუნებრივი მიდრეკილებებიდან და მათი თავისებურებათა გათვალისწინებიდან.

ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მხარეებს იგი განიხილავდა როგორც მთლიანის თანასწორ ნაწილებს. ამიტომაც გადაჭრით სვამს საკითხს არა მარტო გონების, არამედ სხეულის აღზრდაზედაც. მონტენი ყოველმხრივი აღზრდის მომხრეა — ფიზიკურის, გონებრივისა და ზნეობრივის. იგი ხაზს უსვამს გონებრივი და ფიზიკური აღზრდის მთლიანობის აუცილებლობას, მისი მსჯელობით „ჩვენ ვზრდით არა გონებას, არა სხეულს, არამედ ადამიანს მთლიანად და ამიტომ ჩვენ

იგი არ უნდა დავყოთ ორ ნაწილად“. ღრმად განათლებული და განვითარებული ადამიანის შექმნის აუცილებელ პირობად მას მიაჩნია გონებრივი და ფიზიკური აღზრდის ერთმანეთთან შეკავშირება და მთლიანობა.

აღზრდის საქმეში იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თამაშობებს, ხტომას, ჭიდაობას, ფარიკაობას, ცხენოსნობას, ნადირობას და განსაკუთრებით მოგზაურობას (იგულისხმება ტურიზმი), რომელიც, მისი აზრით, დიდად აკაეებს ყმაწვილთა ორგანიზმს და ამტკიცებს მათ ხასიათს. მონტენი ილაშქრებდა ბევრეთა სათუთი აღზრდის წინააღმდეგ, თუმცა სასტიკად გმობდა მათ ფიზიკურ დასჯას.

სხვა ჰუმანისტების მსგავსად, მონტენს თავისი პედაგოგიური იდეები გათვალისწინებული ჰქონდა საზოგადოების შექმნის ფუნქციისათვის და არ ზრუნავდა მატერიალური დოვლათის შემქმნელებზე.

თოფის წამლის და სასროლი იარაღის გამოგონების შემდეგ დაიწყო რაინდობის სწრაფი ტემპით დაქვეითება. ძირითადად საბრძოლო ძალას ახლა წარმოადგენდა ქვეითი ჯარი და არტილერია, ხოლო რაინდთა ცხენოსანმა ჯარმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგან რკინის ჯავშანს არ შეეძლო ტყვიისაგან დაეცვა რაინდი, ხოლო მათი ციხე-კოშკების კედლები — არტილერიისაგან. ამის შედეგად რაინდთა სამხედრო ფიზიკური აღზრდა უნაყოფო გახდა და XIV საუკუნის დამლევსა და XV საუკუნის დამდეგს იგი გადაგვარების პროცესს განიცდიდა. მის პარალელურად ახლა არსებობდა რეგულარული დაქირავებული ჯარების ფიზიკური აღზრდის სისტემა. ეს ჯარები არა მარტო აზნაურებისაგან, არამედ მღაბიოთაგანაც შედგებოდა.

თავისი მნიშვნელობა დაკარგა რაინდთა ტურნირებმაც; ისინი ახლა გასართობ კომერციულ სანახაობად იქცნენ. ბევრმა რაინდთაგანმა ავანტიურას მოჰკიდა ხელი—დადიოდნენ დიდ გზებზე, თავს ესხმოდნენ მგზავრებს, გამვლელ-გამომვლელთ ორთაბრძოლაში იწვევდნენ და უარის შემთხვევაში მოითხოვდნენ გამოსასყიდს; ეწეოდნენ ყოველგვარ გამოძალვას და თუ საჭირო გახდებოდა არც აშკარა ძარცვას ერიდებოდნენ.

შეომარ-რაინდთა აღზრდის მკაცრი სისტემა თანდათან დავიწყებას მიეცა და მის ნაცვლად განმტკიცდა აზნაურთა მომზადების თავისებური სისტემა, გათვალისწინებული სამეფო კარის უქნარას როლისათვის. ჯარში მყოფი აზნაურები კი მოვალენი იყვნენ გაეცლოთ სამხედრო-ფიზიკური მომზადების ახალი სისტემა.

შეიცვალა მდგომარეობა — ამაღლდა ქალაქები და, პირიქით, დაცემას განიცდიდნენ ციხე-დარბაზები და მონასტრები. შუა საუკუნეთა ქალაქებში ვაჭრობისა და ხელოსნობის აყვავებასთან დაკავშირებით განვითარდა მოსახლეობის სამი ჯგუფი — პატრიციატი, ბიურგერები და პლებეები. ამ ჯგუფთა შორის წინააღმდეგობანი, განსაკუთრებით პატრიციების და ბიურგერების ერთი მხრივ და პლებეებისა მეორე მხრივ, კლასობრივ ბრძოლაში გადადიოდა და ხშირად ღია და მწვავე ხასიათს ღებულობდა. ქალაქების პატრონები პატრიციები და ბიურგერები გახდნენ. ქარგლები, შავი მუშები და სხვა მშრომელი მოსახლეობა ქონებახეზსა და მიწურებში ცხოვრობდნენ. ისინი უწყალო ექსპლუატაციას განიცდიდნენ და თავისი მძიმე შრომით ვერ უზრუნველყოფდნენ თავიანთ თავს და ოჯახებს, ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს, ხოლო პატრიციები და ბიურგერები ცდილობდნენ კიდევ უფრო შეეზღუდათ მათი უფლებები.

ქალაქის თვითმმართველობა ახლა მხოლოდ პატრიციებისა და ბიურგერების ფიზიკურ აღზრდაზე ზრუნავდა. ახლა ქალაქის წარჩინებულთა ფიზიკური კულტურა განიცდიდა აყვავებას, ხოლო მშრომელი ხალხისა — დაცემას. მსროლელთა ძმობები საერთო საქალაქო გაერთიანებების ნაცვლად პატრიციატის იარაღად იქცნენ. ამ მსროლელთა კორპორაციებს პატრიციები მეთაურობდნენ; ხოლო წევრებად ბიურგერები ითვლებოდნენ. უკვე XV საუკუნის დამლევისათვის ისინი გახდნენ პატრიციატის სამხედრო, სპორტული და პოლიციური სამსახურის ცენტრებად.

XV საუკუნის დამლევს მოფარიაკავეთა ძმობებიც საამქროს დიდკაცობის კარჩაყეტილ ორგანიზაციებად იქცნენ. საფარიაკო ძმობებში წვერად მიღებისას ითვალისწინებდნენ შემომსვლელის ქონებრივ მდგომარეობას.

XVI საუკუნის დამდეგიდან ქალაქის პატრიციატი თავის რეზიდენციების დასაცავად დაქირავებულ ჯარებს მიმართავდა. ამ მდგომარეობამ საგრძნობლად შეანელა პატრიციებისა და მდიდარი ბიურგერების სამხედრო-ფიზიკური მომზადების აუცილებლობა. ამ უკანასკნელთათვის ფარიაკობა და სროლა ახლა მხოლოდ გართობად იქცა.

შემდეგში განმტკიცდა ქალაქის პატრიციატის კავშირი წარჩინებულ აზნაურობასთან. ახლა პატრიციები მედიდურობას იჩენენ არა მარტო მშრომელი მოსახლეობის, არამედ ბიურგერების მიმართაც. ცეკვისა და ბურთის სათამაშოდ ამ პერიოდში ჩაისახა სპეციალური სახლები, რომლებითაც სარგებლობდნენ პატრიციები და მათ მიერ მოპატიჟებული აზნაურები. პატრიციების გართობას მიეკუთვნებო-

და აგრეთვე ნადირობა. ცნენოსნობა და დახურულ აუზებში ცურვა. სასროლო დღესასწაულებია ახლა ბიურგერების კუთვნილება, იქცა და ამ ასპარეზობებში მონაწილეობის უფლება პლებებს აღარ ჰქონდათ.

მძიმე მდგომარეობას განიცდიდნენ ქალაქებში ქარგლები და დღიური მუშები. მათი ქონმახები საცხოვრებლად არ ვარგოდა, ნახევრად დამშეულებს ტანზეც დაფლეთილი ტანსაცმელი ეცვათ.

პატრიციებისა და ბიურგერების ამაღლების შემდეგ აიკრძალა მსროლელთა და მოფარიკავეთა ძმობებში მშრომელთა შესვლა. მათთვის მისაწვდომი იყო მხოლოდ ძველი ხალხური ვარჯიშობები: — რბეხა, ხტომა, კიდაობა. ქვის ტყორცნა და სხვ. ქარგლები და შავი მუშები მართავდნენ თავის შეჯიბრებებს ქალაქგარეთ მინდორზე. აქ იმართებოდა რბეხა, კიდაობა, ხტომები. შეჯიბრება ჩვეულებრივ ტანსაცმელში წარმოებდა. ქალაქგარეთ შეკრების დროს ხანდახან ჯოხებით ფარიკაობაც იმართებოდა. ასეთ შემთხვევებში წამომწყებნი და მსაჯები სწორედ ის ხანში შესული ქარგლები იყვნენ, რომელთაც წინათ — ქალაქების დემოკრატიულობის ხანაში, ჰქონდათ მიღებული ცოდნა მოფარიკავეთა ძმობებში. ხანდახან იმართებოდა მშვილდოსნობაც.

კიდევ უფრო უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდა გლეხობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას დიდი მისწრაფება ჰქონდა ფიზიკური ვარჯიშობებისადმი და დროგამოშვებით მაინც ეწაფებოდა საყვარელ ვარჯიშობებსა და გართობებს. შუა საუკუნეებში გლეხთა შორის გავრცელებული იყო ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეობები, რომლებიც იმართებოდა დღესასწაულებზე. ასეთ სახეობას წარმოადგენდა, პირველ რიგში, სამჭიდი — ქვის ტყორცნა, ხტომა და კიდაობა. გარდა ამისა, გლეხები მიმართავდნენ შუბის ტყორცნას, უიარალოდ თავდაცვას, თხილამურებზე სიარულს, ცურვას, თოკის მიმოქიშვას და სხვ. ყველა ეს ფიზიკური ვარჯიშობა ხელს უწყობდა გლეხების ფიზიკურ მომზადებას, რომელსაც ისინი კარგად იყენებდნენ გლეხთა აჯანყებების დროს.

უკვე XVI საუკუნეში ჩაისახა მიმდინარეობა, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეალების ჩარჩოებში ცილდებოდა. გამოჩნდნენ მოაზროვნენი, რომლებიც ოცნებობდნენ იდეალურ კომუნისტური საზოგადოების აშენებაზე. ადრეული უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლებს ეკუთვნის თომას მორი და თომასო კამპანელა.

ადრეული სოციალისტ-უტოპისტების შეხედულებანი ფიზიკურ აღზრდაზე

რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეალების ჩარჩოებში ცილდებოდა. გამოჩნდნენ მოაზროვნენი, რომლებიც ოცნებობდნენ იდეალურ კომუნისტური საზოგადოების აშენებაზე. ადრეული უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლებს ეკუთვნის თომას მორი და თომასო კამპანელა.

1
თოძას მორმა (1478- 1535 წწ.) ოქსფორდში მიიღო პემა-
ნისტური განათლება და სპეციალური იურიდიული მომზადება. იგი
გამოჩენილი ვეჭილი იყო და მალე მიაღწია მაღალ სახელმწიფოებ-
რივ თანამდებობებს, მაგრამ მას კონფლიქტი ჰქონდა მეფე ჰენრი VIII-სთან. რის გამოც სახელმწიფოს ლაღატი დასწამეს და სიკვდი-
ლით დასაჯეს.

მორი უთანაგრძნობდა ჩაგრულთ. 1516 წელს გამოვიდა მისი
ცნობილი თხზულება „ოქროს წიგნი საუკეთესო საზოგადოებრივი
წყობის და ახალი კუნძულის უტოპიის შესახებ“. შრომის პირველ
ნაწილში მორი იძლევა იმდროინდელი ინგლისის სახალხო მეურნე-
ობისა და პოლიტიკური წყობილების გამანადგურებელ კრიტიკას,
ხოლო მეორე ნაწილში გვისახავს იდეალური სოციალური წყობის
სურათს.

XVI საუკუნეში ინგლისში სწრაფად ვითარდებოდა მატყლის
წარმოება, რამაც მეცხვარეობის განვითარებას შეუწყო ხელი. ამას-
თან დაკავშირებით მიწისმფლობელი ლორდები ყოველმხრივ ცდი-
ლობდნენ ხელთ ჩაეგდოთ გლეხების მიწები. დაიწყო გლეხობის მა-
სობრივი გადატაკება. ბევრი გადატაკებული და მათხოვრად ქცეული
გლეხი ადგილიდან ადგილზე დაეხეტებოდა. ამ დროს ევროპის
ყველა ქვეყანაში გამოიცა სასტიკი კანონი მაწანწალათა წინააღ-
მდეგ. როგორც ფ. ენგელსი ამბობს, ახლანდელი მუშათა კლასის
შაქები დაისაჯნენ იმისათვის, რომ ისინი ძალით გახადეს მაწანწალე-
ბად და პაუპერებად.

თავის თხზულების პირველ წიგნში მორი გვისურათებს ჩაგრულ-
თა მასების საშინელ მდგომარეობას მაშინ. როდესაც მუქთახორები
ცხოვრობდნენ ფუფუნებასა და ბრწყინვალეებაში.

საზოგადოებრივი უთანასწორობის ბოროტების ფესვებს მორი
კერძო საკუთრებაში ხედავდა.

თავის „უტოპიაში“ მორი წერს: „ყველგან, სადაც არსებობს
საკუთრების უფლება, სადაც ყველაფერი განიზომება ფულით.
სამართლიანობაზე და საზოგადოებრივ კეთილყოფაზე ლაპარაკიც
კი არ შეიძლება. საზოგადო ავლა-დიდება შეადგენს ნადავლს გან-
ცხრომით გაუმადლარ ერთი მუჭა ადამიანების ხელში, მაშინ როდესაც
მასა იღუპება სიღატაკისაგან. ქონების თანაბრად და სამართლი-
ანად გაყოფის და საყოველთაო კეთილდღეობის ერთადერთი საშუ-
ალება არის საკუთრების უფლების გაუქმება. სანამ ის არის საზოგა-
დოებრივი ამშენებლობის საძირკველი, მანამდე ყველაზე მრავალ-
რიცხოვან და მწარმოებელ კლასებს წილად რჩებათ მხოლოდ სიღა-
რიბე. მწუხარება და სასოწარკვეთილება“.

„უტოპიის“ მეორე ნაწილში თომას მორი მოგვითხრობს იმ ბედნიერ და ნეტარ ცხოვრებაზე, რომელიც კუნძულ უტოპიაზე სუფევს. აქ არ არსებობს კერძო საკუთრება, აქ არ არიან არც ღარიბები და არც მდიდრები და მოქალაქეთა შორის თანასწორობაა. უტოპიაში ყველა მოქალაქე შრომობს, რის გამოც თითოეულ მათგანს დღეში მხოლოდ ექვსი საათის მუშაობა უხდება. აქ ვაჭრობა როდი წარმოებს, მოხმარების საგნები ინახება საზოგადო საწყობებში, საიდანაც თითოეული ღებულობს იმდენს, რამდენიც მას ესაქიროება.

მორმა არ იცოდა თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო მის მიერ დასურათებული იდეალური საზოგადოებრივი წყობილება. ამასთან ერთად მორის მოძღვრებას მთელი რიგი შეცდომები ახასიათებს (და ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მორი მოღვაწეობდა XVI საუკუნის პირველ ნახევარში), მაგრამ მას დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ, როგორც პირველ სოციალისტ-უტოპისტს.

დიდ ინტერესს წარმოადგენს თომას მორის პედაგოგიური იდეები. იგი მომხრეა ადამიანის ყოველმხრივი აღზრდისა, მას პირველად ნათლად აქვს ჩამოყალიბებული შრომითი აღზრდის იდეებიც. მორი მოითხოვდა ერთნაირ აღზრდა-განათლებას როგორც ვაჟების, ისე ქალებისათვის.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მორი ფიზიკურ აღზრდას. იგი მოითხოვდა ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებას ტანვარჯიშისა და საშხედრო ვარჯიშობების საშუალებით.

მართალია, თომას მორის ნაწარმოებებში ჩვენ არ ვხედავთ პირდაპირ და კონკრეტულ მითითებებს ფიზიკური აღზრდის დაყენების შესახებ, მაგრამ იგი არა ერთხელ მიუთითებს უტოპიელთა ფიზიკური თვისებების და მტკიცე ჯანმრთელობის აუცილებლობაზე.

„უტოპიელი მარდია... თუმცა მაღალი ტანისა არაა, მაგრამ უფრო ღონიერია, ვიდრე ეს პირველი შეხედვით მოგეჩვენებათ“.

„უტოპიელები ყველა ფიზიკურ სიხარულთაგან — ჯანმრთელობას ამჯობინებენ“. „უტოპიელები ხალისით ზრუნავენ სხეულის სილამაზესა, ძალასა და სისხარტეზე“. ბუნების საუკეთესო საჩუქრად მათ ჯანმრთელობა მიაჩნიათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მორი არ ასხვავებდა ვაჟთა და ქალებს აღზრდა-განათლებას. მორი ფიზიკურ აღზრდას ქალებისათვისაც საჭიროდ თვლიდა. ყოველმხრივი აღზრდის ეს ახალი პრინციპი მან პრაქტიკაშიც განახორციელა: მან თავის ასულებს ბრწყინვალე ყოველმხრივი აღზრდა-განათლება მისცა.

ჯანმრთელობაზე ზრუნვა მორს მიაჩნია უტოპიელთა სახელმწიფოებრივ მოვალეობად.

თომაზოკამპანელა (1568—1639 წწ.) მოღვაწეობდა იტალიაში. ესპანეთის ბატონობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის კამპანელა საპყრობილეში ჩააგდეს, სადაც მან 27 წელი დაჰყო. აქ ყოფნის დროს მან დაწერა წიგნი — „მზის ქალაქი“, რომელშიც გვიხატავს ახალ საზოგადოებრივ წყობის სურათს. თავისი შეხედულებებით კამპანელა მორის საქმის განმგრძობი იყო. ისე როგორც კუნძულ უტოპიაზე, მზის ქალაქშიც კერძო საკუთრება არ არსებობს, ყოველი მოქალაქე ნაყოფიერ შრომას ეწევა, თითოეული ღებულობს ყოველივე საჭიროს მოთხოვნილებისამებრ. ყველა ბავშვისათვის შემოღებულია. საზოგადოებრივი აღზრდა, რომელსაც მზის ქალაქში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

აღზრდის და განათლების მიზანია — პიროვნების ჰარმონიულად აღზრდა. გონებრივ და შრომითს აღზრდასთან ერთად ბავშვებს აძლევენ კარგ ფიზიკურ მომზადებას. ბავშვთა თავდაპირველ აღზრდაში ცენტრალური ადგილი თამაშობას და გასეირნებას ენიჭება.

მზის ქალაქის ორივე სქესის მცხოვრებნი სწავლობენ სამხედრო საქმეს და სისტემატურად იწვრთნებიან სამხედრო ვარჯიშობაში. კარგი ფიზიკური გაწვრთნისა და სამხედრო მომზადების მეშვეობით მზის ქალაქის მცხოვრებნი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიან მათთვის თავსმომხვეულ ომებში.

სხეულზე ზრუნვას კამპანელა თვლიდა მზის ქალაქის მცხოვრებთა უპირველეს მოვალეობად.

თ ა ვ ი III

ფიზიკური კულტურა საზღვარგარეთის ქვეყნებში ახალი ისტორიის ხანაში

§ 1. ფიზიკური კულტურა და სპორტი ახალი დროის პირველ პერიოდში

ფეოდალიზმის წინააღმდეგ გლეხთა ბრძოლა კარგად გამოიყენა ახლად ჩასახულმა კლასმა — ბურჟუაზიამ იმისათვის, რომ დაეჩქარებია ფეოდალური წყობის დამხობა, შეეცვალა ბატონყმური ექსპლუატაცია კაპიტალისტურით და ხელში ჩაეგდო ძალაუფლება.

ახალი ისტორიის პერიოდში დამყარდა კაპიტალისტური წყობა. ახლა ძირითად კლასებს წარმოადგენდნენ ბურჟუაზია და მის მიერ

ექსპლუატირებული მუშები. თანდათანობით ვითარდება და ღვივდება კლასობრივი ბრძოლა მათ შორის.

ხსენებულ პერიოდში ყალიბდება ბურჟუაზიული ფიზიკური აღზრდის თეორიული საფუძვლები და შემდგომ განვითარებას პოულობს ბურჟუაზიული ფიზიკური კულტურა.

ბურჟუაზია ცდილობდა აღეზარდა ფიზიკურად ძლიერი, გააყვებული, სამხედრო საქმეს დაუფლებული მოზარდი თაობა. რომელიც შეძლებდა ყოველგვარ სიძნელეთა გადალახვას და კლასობრივი ბატონობის განმტკიცებას.

ბურჟუაზიული შეხედულებანი ფიზიკურ აღზრდაზე XVII—XVIII საუკუნეებში

ფიზიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისათვის დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული თეორიებიდან ამ ეპოქოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯონ ლოკის, ჟან-ჟაკ რუსოს და იოჰან პესტალოცის პედაგოგიკურ შეხედულებებს.

ჯონ ლოკი (1632--1704 წწ.) თავდაპირველად სწავლობდა ვესტმინსტერის სკოლაში, სადაც კლასიკური განათლება მიიღო. აქ იგი დიდ ყურადღებას აქცევდა თავის ფიზიკურ განვითარებას — ბურთაობდა, თამაშობდა კროკეტს, ბევრს ვარჯიშობდა რბენასა და ნიჩბოსნობაში. შემდეგ სწავლა განაგრძო ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც ეუფლებოდა ბუნებისმეტყველებას და მედიცინას. მაგრამ უნივერსიტეტში სწავლამ ვერ დააკმაყოფილა ლოკი და იგი თვითგანათლებას დაეწაფა — სწავლობდა ბეკონის, დეკარტის, ბოილისა და სხვათა ნაწარმოებებს. ოქსფორდის უნივერსიტეტში პედაგოგიკური მოღვაწეობის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა მეცნიერულ საქმიანობას.

ლოკი ბურჟუაზიული პედაგოგიკის თეორეტიკოსი იყო. მისი აღზრდის სისტემის მიზანია — ახალგაზრდა ბურჟუის პირადი ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის მომზადება. ლოკის აზრით ადამიანი შეიძლება გახდეს ადამიანად მხოლოდ აღზრდის საშუალებით. ახალგაზრდა კაცს უნდა ჰქონდეს განვითარებული გონება, ძლიერი ნებისყოფა და გამობრძმედილი სხეული, რომელიც დაემორჩილება ნებისყოფას. რამდენადაც უფრო სუსტია სხეული, მით უფრო გვიმორჩილებს ჩვენ. ამასთან ერთად ადამიანი უნდა ფლობდეს ცხოვრებაში საჭირო ზოგნერტ ჩვევას (ცურვა, ცბენოსნობა, ფარეკაობა და სხვ.).

ლოკის მიხედვით ახალგაზრდა კაცს უნდა ჰქონდეს მაღალი წრის საზოგადოებაში თავდაქერის უნარი, ლამაზი მიხვრა-მოხვრა, კარგი

მანერები, რათა დაიმსახუროს საზოგადოების სიმპათია და ამით უზრუნველყოს თავისი წარმატება ცხოვრებაში.

აღზრდის საერთო სისტემაში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფიზიკურ აღზრდას. მან დაამუშავა ფიზიკური აღზრდის სათანადო თეორია. თხზულებაში — „ბავშვთა აღზრდის შესახებ“, ლოკმა გამოთქვა თავისი შეხედულება ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაზე. მისი აზრით საჭიროა ორგანიზმის განმტკიცება. რათა იგი ადვილად შეეჩვიოს დადლილობის, სხვადასხვა დაბრკოლებების ძლევას. ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის ჯონ ლოკს უფრო სასარგებლოდ მიაჩნია სიარული, რბენა, მოძრავი თამაშობანი, ფარიკაობა, ცხენოსნობა.

ფიზიკური აღზრდა ლოკის პედაგოგიკურ სისტემაში მიზნად ისახავდა ჯანმრთელობის განმტკიცებას, ნებისყოფის და ხასიათის აღზრდას. ცხოვრებისათვის საჭირო ჩვევებისა და თვისებების შექმნას, რომლებიც ესაჭიროებოდა ინგლისის ახალგაზრდა ბურჟუაზიას კაპიტალიზმის გამარჯვებისა და განმტკიცების პერიოდში.

ჯონ ლოკი მომხრეა ინდივიდუალური აღზრდისა მდიდარ ბურჟუაზიულ ოჯახში გუვერნიორის ხელმძღვანელობით --- ასეთია მისი იდეალი, სკოლა კი მიაჩნია „უზრდელი და უხეში ბავშვების შეკრებად“.

სახელოვანი ფრანგი მოაზროვნე და მწერალი, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელი ჟან-ჟაკ რუსო (1712--1778 წწ.) დაიბადა ენევეაში ხელმოკლე მესაათის ოჯახში, იგი ადრევე იძულებული გახდა დაეწყო ხეტიალი ლუკმა პურის მოსაპოვებლად. ბოლოს რუსო დამკვიდრდა პარიზში და აქ დაუახლოვდა მოწინავე ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

თავისი რწმენისათვის რუსოს დევნა დაუწყო ხელისუფლებამ. ხოლო მისი განთქმული თხზულება „ემილი“ დაწვეს. რუსო შვეიცარიაში გაიხიზნა. მაგრამ აქაც სდევნიდნენ და იძულებული გახდა ინგლისში წასულიყო. ბოლოს კვლავ საფრანგეთში დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა 1778 წელს.

მისი თხზულებები აღსავსეა პროტესტით ფეოდალური ჩაგვრისა და უთანასწორობის წინააღმდეგ. თავის თხზულებაში „უთანასწორობის წარმოშობის შესახებ“ რუსო აშკარად გამოხატავს კერძო საკუთრებას, მას იგი ბოროტებად აღიარებს, მაგრამ ეს ბოროტება რუსოს გარდუვალად მიაჩნია და ურიგდება მას. რუსოს აზრით საჭიროა მხოლოდ მისი შეზღუდვა — შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მსხვილ მესაკუთრეებს და, პირიქით, დაცულ უნდა იქნეს წვრილ მესაკუთრეთა ინტერესები. კაპიტალისტურ განვითარებას

რუსო არ უთანაგრძნობდა, პირიქით, მას ეწინოდა მის მიერ წარმო-
შობილი საზოგადოებრივი წინააღმდეგობების და გამოსავალს
წვრილ კერძო საკუთრებაში ხედავდა.

1762 წელს რუსომ გამოაქვეყნა პედაგოგიკური რომანი — „ემი-
ლი, ანუ აღზრდის შესახებ“, რომელშიც ის გმობს ფეოდალურ აღ-
ზრდას-სქოლასტიკურ სკოლას და იძლევა ახალი ადამიანის აღზრ-
დის სურათს.

რუსოს აზრით მხოლოდ აღზრდის საშუალებით შეიძლება ქვეყ-
ნიერების წესიერად გარდაქმნა. იგი აღნიშნავს, რომ სიმდიდრემ
შექმნა უთანასწორობა და საზოგადოებაც გააფუჭა. ამგვარი საზო-
გადოება კი ხელს უწყობს უზნეო ადამიანების აღზრდას. აქედან
გამომდინარეობს დასკვნა: ბავშვი უნდა იზრდებოდეს უზნეო სა-
ზოგადოების გარეშე, ბუნებრივ პირობებში. ახალი ადამიანის აღ-
ზრდა მოითხოვს ბავშვის ყველა შემოქმედებითი შესაძლებლობის
განვითარებას დაუმახინჯებელი ბუნებრივი ცხოვრების პირობებში
(„ბუნებრივი აღზრდა“). ამრიგად, ფეოდალური აღზრდის საწინა-
აღმდეგოდ რუსო გამოვიდა „ბუნებრივი აღზრდის“ თეორიით. ეს
თეორია მცდარი იყო, რადგან არასწორ იდეოლოგიურ პრინციპებს
ეყრდნობოდა. აქ ადგილი ჰქონდა ბავშვების ბუნების იდეალიზა-
ციას (ბავშვის პირადი გამოცდილების გადაფასება), მასწავლებლის
როლის დაქვეითებას, სისტემატური სწავლების დარღვევას და სხვ.
მაგრამ იმ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში რუსოს პედაგოგიკა,
ყველა თავისი უარყოფითი მხარეებით, პროგრესულად უნდა ჩაით-
ვალოს, რადგან იგი წარმოადგენდა ფეოდალური სკოლის წინააღმ-
დეგ მიმართულ მძლავრ პროტესტს.

დიდად დასაფასებელია ბავშვებისადმი რუსოს სიყვარული და
პატივისცემით მოპყრობა, მათი უფლებების დაცვა, ბავშვთა ორ-
განიზმის თავისებურებათა გათვალისწინების მოთხოვნა. აღზრდის ამ
მხარეებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის და ახალი ნა-
კადი შექმნდა აღზრდის თეორიაში.

რუსო მთლიანად ბუნებრივი აღზრდის მომხრეა და მხოლოდ ამ
პირობებში მიაჩნია შესაძლებელი პიროვნების ყოველმხრივი გან-
ვითარება. მისი აზრით, ბავშვი უნდა იყოს ჯანმრთელი, ამტანი, შეჩ-
ვეული ბუნების სხვადასხვა მოვლენათა ცვლილებებს.

ჯანმრთელობას იგი ადამიანის სწორი განვითარების აუცილებელ
პირობად თვლის, ხოლო რაც შეეხება ავადმყოფ ბავშვებს, მათზე
ზრუნვა, მისი აზრით, არ შედის პედაგოგის ფუნქციებში.

მოზარდი ადამიანის განვითარებას რუსო ოთხ პერიოდად ჰყოფს:
I პერიოდი — დაბადებიდან ორ წლამდე. ამ ასაკში ყურადღების

ცენტრშია ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე ზრუნვა; II პერიოდი—
ორიდან 12 წლამდე გრძელდება. ამ პერიოდში მთავარი ყურადღება
ექცევა გარეგან გრძნობათა ორგანოების განვითარებას. ამ პერი-
ოდშიც არამეორეხარისხოვანი როლი ენიჭება ფიზიკურ აღზრდას;
III პერიოდი. — 12-დან 15 წლამდე, გონებრივი აღზრდის პერიო-
დი. რუსო დიდ ყურადღებას აქცევს ამ ასაკის მოზარდთა შრომითს
სწავლებასაც; IV პერიოდი — 15-დან სრულწლოვანებამდე გრძელ-
დება. იგია ზნეობრივი განვითარების პერიოდი. რუსო მოითხოვს
ამ ასაკის მოზარდთა ფიზიკურ შრომას და რაც შეიძლება მეტ მო-
ძრაობას სუფთა ჰაერზე. ამგვარი დაყოფა უთუოდ მნიშვნელოვანია,
მაგრამ მან იგი სწორად ვერ განახორციელა, რადგან ასეთი დაყოფა
ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას.

მეტად მცდარ აზრს გამოთქვამს რუსო ქალთა აღზრდის შესა-
ხებ. მისი აზრით, ქალისათვის არაა საჭირო სერიოზული გონებრივი
აღზრდა, რადგან ზოგიერთი მეცნიერება, თითქოს, ბუნებრივად უც-
ხოა ქალისათვის, ზოგიერთიც არ შეეფერება მის დანიშნულებას.
ქალებისა და მათი აღზრდის საკითხში რუსო არ გასცილებია ხე-
ლოსანთა შორის იმ დროს გავრცელებულ შეხედულებათა ფარგ-
ლებს. უფრო პროგრესულ აზრებს გამოსთქვამს რუსო ქალთა ფიზი-
კური აღზრდის შესახებ. მას ერთნაირად საჭიროდ მიაჩნია ფიზიკუ-
რი აღზრდა როგორც ვაჟთა, ისე ქალთათვის.

რუსო უარყოფითად უყურებს იმ დროის საზოგადოებას, აკრი-
ტიკებს მას და ამაში მდგომარეობს მისი რევოლუციურობა. მან სა-
კითხი დასვა ადამიანის ყოველმხრივი აღზრდის შესახებ. ფიზიკურ
ვარჯიშობათა სწავლებაში იგი ითვალისწინებს ასაკობრივ თავისებუ-
ლებებს. მაგრამ რუსოს შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ
მოითხოვს არსებული საზოგადოების გარდაქმნას. მას შესაძლებლად
მიაჩნია ემილის იზოლირება და განცალკევებით აღზრდა არსებული
საზოგადოებრივ წყობის ფარგლებში. რევოლუციური აღზრდის
ნაცვლად იგი ცდილობს შეასწავლოს ემილს ხელოსნური წარმოება.
ამრიგად რუსოს რევოლუციურობა შეზღუდული — ბურჟუაზიუ-
ლია. თუმცა რუსო არ ისახავს რელიგიას მიზნად, მაგრამ იგი არ
უარყოფს ბუნების სარწმუნოებრივი ახსნის შესაძლებლობას. ეს
წვრილბურჟუაზიული თვისება აუცილებლად აქვეითებს რუსოს
მნიშვნელობას.

ძიუხედავად ზოგიერთი არასწორი დებულებისა და წინააღმდე-
გობებისა, რუსომ დიდი როლი შეასრულა პედაგოგიკური აზროვნე-
ბის განვითარების ისტორიაში. რუსოს სისტემა გამსჭვალულია დე-
მოკრატიზმით. მას სძულდა ფეოდალიზმი და მისი სქოლასტიკური

სკოლა, იგი გამოვიდა ბავშვის პიროვნების უფლებათა დამცველად. როსომ დიდი გავლენა მოახდინა შემდგომ პედაგოგიკაზე. მის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ დემოკრატი-პედაგოგები.

იან ამოს კომენსკის (1592—1670 წწ.) დაიბადა მორავიაში, მეწისქვილის ოჯახში. გერმანიაში განათლების მიღების შემდეგ დაბრუნდა თავის სამშობლოში და რამდენიმე ხანს ეწეოდა პედაგოგიკურ მოღვაწეობას, მაგრამ ბელაია გორასთან ჩეხების დამარცხების შემდეგ იძულებული გახდა პოლონეთში გასიხნულიყო. შემდეგ — ჰამბურგში, აქედან კი ამსტერდამში გადასახლდა და აქ დარჩა სიკვდილამდე.

კომენსკი დიდი პედაგოგი — ჰუმანისტი და დემოკრატი იყო, ამასთან ერთად დიდი პატრიოტი და მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა მშობლიური ჩეხეთის ჩაგვრის წინააღმდეგ.

კომენსკი გამოხატავდა ჩეხეთის მოსახლეობის დემოკრატიული ფენების ინტერესებს. 1632 წელს კომენსკიმ დაამთავრა თავისი ძირითადი ნაწარმოები „ღიადი დიდაქტიკა“, რომელშიც მოცემულია მისი პედაგოგიკური სისტემა.

იან კომენსკი ყოველმხრივი აღზრდის მომხრეა; იგი მოითხოვს საყოველთაო დაწყებით სწავლას და დამუშავებული აქვს მთლიანი სკოლის სისტემა. „არა მარტო მდიდრების ან წარჩინებულების ბავშვები, — ამბობს კომენსკი. — არამედ ყველა ერთნაირად. წარჩინებულები და არაწარჩინებულები, მდიდრები და ღარიბები, ვაჟები და ქალები. ყველა ქალაქსა და სოფელში უნდა იყვნენ ჩაბმული სკოლებში“.

იან კომენსკი პირველი პედაგოგი იყო, რომელმაც საკითხი წამოჭრა სკოლამდელი აღზრდის საჭიროების შესახებ და ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებათა გათვალისწინებით დაწვრილებით დაამუშავა ამ აღზრდის შინაარსი.

რამდენადაც კომენსკის დროს თითოეულ მოსწავლესთან მეცადინეობა წარმოებდა ინდივიდუალურად. რასაკვირველია, არ არსებობდა კლასები და არც გაკვეთილი ჩვენი თანამედროვე გაგებით. კომენსკიმ წამოაყენა მცნება გაკვეთილის, სასწავლო წლის, მოსწავლეთა მეცადინეობის აღრიცხვის შესახებ, დაამუშავა საბელმძღვანელოები.

აღზრდის სისტემაში იან კომენსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფიზიკურ აღზრდას. „ღიად დიდაქტიკაში“ სწავლებისა და აღზრდის თეორიის განხილვას იგი იწყებს ფიზიკური აღზრდის საკითხებიდან. კომენსკი ეხება ბავშვთა ფიზიკური განვითარების, მათი ორგანიზმის

ჯანმრთელობის, ჰიგიენური რეჟიმის, კვების საკითხებს. ფიზიკური აღზრდის მიზნად მას მიაჩნია ადამიანის სხეულის გამოწრთობა. ჯანმრთელობის გამაგრება და ადამიანის გონებრივი მოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

იან კომენსკის დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს. რომ მან საკითხი წამოკრა ბავშვთა ჯანმრთელობის შესახებ და ფიზიკურ აღზრდას პედაგოგიკურ მუშაობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მიანიჭა.

კომენსკის პედაგოგიკურმა სისტემამ დიდი გავლენა მოახდინა პედაგოგიკურ აზროვნების შემდგომ განვითარებაზე და იმდროინდელი სკოლის პრაქტიკაზე.

იან-ჟაკ რუსოს იდეებმა დიდი გავლენა მოახდინეს გერმანიაზე, შვეიცარიაზე. ინგლისზე და სხვა ქვეყნებზე. რუსოს გავლენით ჩამოყალიბდა დიდი პედაგოგ-დემოკრატის პესტალოცის პედაგოგიკური სისტემა.

პენრიხ პესტალოცი დაიბადა 1746 წელს ექიმის ოჯახში. პესტალოცის დროს შვეიცარიაში ძალაუფლება ერთი მუქა არისტოკრატის (ქალაქის პატრიციატის) ხელში იყო, რომელიც ძალზე ავიწროებდა გლეხობას. ორმაგად იჩაგრებოდა სოფელი — ერთი მხრივ პატრიციების და მეორე მხრივ კაპიტალიზმის მიერ. სოფელს ეზიზღებოდა ქალაქი და ყოველგვარი ბოროტების წყაროდ მიაჩნდა იგი. შვეიცარიის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა დააარსა წრეება, რომელთაც მიზნად გლეხთა დახმარება დაისახეს. პესტალოცმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პატრიოტთა კავშირში.

ავადმყოფობამ შეცვალა პესტალოცის ცხოვრება. მან ხელი მოკიდა პედაგოგიურ მუშაობას. ერთ ხანს სოფლად ცხოვრობდა და პრაქტიკულად შეისწავლა მიწის დამუშავება. 1768 წელს მან სცადა საჩვენებელი მეურნეობის მოწყობა — მას სურდა, რომ მეზობელ გლეხებს შეესწავლათ მიწათმოქმედება, რთვა და ქსოვა. მაგრამ მისმა საცდელმა მეურნეობამ მოლოდინი ვერ გაამართლა და პესტალოცი იძულებული გახდა ვალების დასაფარავად ქონების ნაწილი გაეყიდა. 1775 წლიდან პესტალოცი მთლიანად პედაგოგიურ მუშაობაში ჩაება.

აღზრდა პესტალოცის აზრით ყოველი ადამიანის საკუთრებად უნდა გამხდარიყო, მაგრამ თავისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებათა შეზღუდულობის გამო იგი არც კი ოცნებობდა ისეთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შექმნაზე, რომელიც ბოლოს მოუღებდა სოციალურ უთანასწორობას და აღზრდას მართლაც მთელი ხალხის ავლადიდებად გახდიდა.

ცენტრალურ ფიგურას პესტალოცისათვის გლეხი წარმოადგენს. იმ დროს შვეიცარიაში უკვე ვითარდებოდა მრეწველობა და უმიწაწყოლოდ დარჩენილი გლეხობა ქალაქისაკენ მიეშურებოდა. ბევრი მათგანი ვერ ეგუებოდა ქარხანაში მუშაობას და უმუშევარი რჩებოდა, ამიტომაც პესტალოცი, რომელიც სოფელთან იყო დაკავშირებული, დიდი ყურადღებით ეკიდებოდა გლეხობის აღზრდის საკითხს.

პესტალოცი ოცნებობდა გლეხთა და ხელოსანთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე; იგი ხედავდა მათ მძიმე მდგომარეობას, მაგრამ ვერ გამოენახა ამ მდგომარეობიდან გამოსავალი გზა. იგი დიდ იმედს ამყარებდა კეთილ მემამულეზე; რომელსაც: მისი აზრით: უნდა ეზრუნა გლეხთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე.

შექმნილ პირობებში პესტალოცი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ისეთ მოძრაობათა და ვარჯიშობათა დამუშავებას, რომელთა საშუალებით გლეხი ადვილად შეძლებდა შრომის ერთი სახედან მეორეზე გადასვლას. მან საკითხი დასვა შრომითი ტანვარჯიშის შესახებ. თავის ერთ-ერთ ნაშრომში იგი წერს: „ტანვარჯიშის საწყის წერტილს უნდა წარმოადგენდეს ის მოძრაობანი, რომელნიც დასკირდებათ ბავშვებს შრომის იმ სახეობებისათვის, რომლებშიც მათ მომავალში მუშაობა უხდებათ“.

პესტალოცი იმ ძირითადი დებულებიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანის ბუნება შემკულია ყოველგვარი შესაძლებლობით და უნარით.

ეს უნარი შეიცავს სამ ძირითად მოქმედებას:

1. გონებრივს.

2. საზოგადოებრივ-ზნეობრივსა და

3. პრაქტიკულს, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს პროფესიულ შრომას და ფიზიკურ აღზრდას. ყველა ეს მხარე აუცილებლად ჰარმონიულად უნდა იქნეს განვითარებული.

ცხოვრებაში საჭირო მოძრაობების შესწავლა პესტალოცის შესაძლებლად მიაჩნია მოძრაობათა ელემენტარული ფორმების დაუფლების საშუალებით. ელემენტარულ მოძრაობებს პესტალოცი უწოდებს იმ მოძრაობებს, რომლებიც სახსრებში წარმოებს, ხოლო ამგვარ მოძრაობებისაგან შემდგარ ტანვარჯიშს — სახსრების ტანვარჯიშს უწოდებს. ეს უკანასკნელი მას ფიზიკური აღზრდის ძირითად მეთოდად მიაჩნია.

პესტალოცი დაყინებით მოითხოვს, რომ პედაგოგიური მუშაობა ფიზიკური აღზრდის დარგში მჭიდროდ იყოს დაკავშირებული გონებრივ და ზნეობრივ აღზრდასთან, მაგრამ ეს სავსებით სწორი აზრი პრაქტიკულად მან ცუდად განახორციელა.

პესტალოცის შრომითი აღზრდაც საჭიროდ მიაჩნია; იგი ეხება მწარმოებლური შრომის სწავლებასთან შეერთების პრობლემას, მაგრამ თეორიულად და პრაქტიკულად იგი სწორად ვერ გადაქრა. აღსანიშნავია, რომ შრომითი აღზრდა მას საჭიროდ მიაჩნია მარტო გლეხებისა და ხელოსნებისათვის.

ჰენრიხ პესტალოცის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი გამსჭვალულია ჰუმანიზმით და დემოკრატიზმით, იგი მხურვალედ უთანაგრძნობს ჩაგრულ ხალხს, მაგრამ იგი წერილობრიუაზიული დემოკრატია და ამიტომაც არ ძალუძს აღმოაჩინოს ხალხის გასაჭირას ჰუმარატი მიზეზები და გამოიხსოს სწორი გზა მათ აღმოსაფხვრელად. პესტალოცი ოცნებობს მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეაგუოს გლეხი კაპიტალისტურ წყობილებას და მის პირობებში არსებულ შრომას და ამით შეამსუბუქოს მათი მდგომარეობა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია და მისი მნიშვნელობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფიზიკური კულტურის განვითარებისათვის

ფეოდალური საზოგადოების ფარგლებში უკვე საკმაოდ მომწიფდა ახალი კაპიტალისტური საწარმოო ძალები, რომლებიც მოითხოვდნენ ახალ წარმოებით ურთიერთობათა დამყარებას. საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ გზა გაუკაფა კაპიტალიზმის განვითარებას და დიდი გავლენა მოახდინა მთელ ევროპაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაზე.

საფრანგეთის ბურჟუაზია იმ დროისათვის რევოლუციური და პროგრესული კლასი იყო, რომელმაც ისეთი დიდი მეცნიერები, მწერლები, ფილოსოფოსები და პოლიტიკური მოღვაწეები წამოწია, როგორიც იყვნენ დიუფონი, ლაჟუაზიე, რემიურაი, მონტესკიე, ვოლტერი, დიდრო, რუსო, პოლბახი, ჰელვეციუსი და მრავალი სხვა.

ხსენებულმა მეცნიერებმა და მოაზროვნეებმა დიდი როლი შეასრულეს ფეოდალურ წყობილებასთან ბრძოლის საქმეში და წამოქრეს ახალი პოლიტიკური პრინციპები.

საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ წამოაყენა ახალი პედაგოგიკური პრინციპები, რომლებიც უმთავრესად სახალხო განათლების სისტემას და საორგანიზაციო პრინციპებს ეხება.

მებრძოლი პარტიების მეთაურები დიდ როლს ანიჭებდნენ აღზრდასა და განათლებას, კერძოდ კი ფიზიკურ აღზრდას. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ბრძოლის მწვავე მომენტებშიც კი სახალხო განათლების საკითხებს ჭეროვანი ადგილი ეთმობოდა რევოლუციურ საკანონმდებლო დაწესებულებათა დღის წესრიგში.

ამ პერიოდის აღზრდა-განათლების პროექტთა შორის მხოლოდ

ერთს შევეხებით -- სახელდობრ იაკობინელ ლეპელტიეს ხალხთა მასების აღზრდის გეგმას.

ლეპელტიეს აღზრდის საშუალებით სურდა ახალი ადამიანის შექმნა. ამისათვის საკვიროდ მიაჩნდა აღზრდის ახალი სისტემის დამუშავება. მისი აზრით აღზრდა საყოველთაო უნდა ყოფილიყო, პირველ რიგში ღარიბთათვის.

მისი პროექტი ითვალისწინებდა „ნაციონალური აღზრდის სახლების“ დაარსებას. აქ უნდა მოეთავსებინათ ბიჭები და გოგონები 5-დან 11--12 წლამდე (სახელმწიფო ხარჯზე). ამ სახლებში ბავშვების გაბარება სავალდებულო უნდა ყოფილიყო ყოველი მოქალაქისათვის.

გარდა გონებრივი განათლებისა, ნაციონალური აღზრდის სახლებში ბავშვებს უნდა მიეღოთ ფიზიკური აღზრდაც.

თავის პროექტში ლეპელტიე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვთა ძალ-ღონის, ამტანობის, სიცქვიტისა და სხვა ფიზიკური თვისებების განვითარებას და ამასთან ერთად თვითმოქმედების გაღვივებას.

მცდარი იყო ლეპელტიეს აზრი ოჯახებისაგან ბავშვების სრული იზოლირების შესახებ ნაციონალურ აღზრდის სახლებში ყოფნის მთელ მანძილზე. მცდარი იყო აგრეთვე მისი იმედები იმის შესახებ, რომ თითქოს შესაძლებელი ყოფილიყო აღზრდის საშუალებით სოციალისტური ლიკვიდაცია და თანასწორობის დამყარება. ლეპელტიეს პროექტი მოწონებულ იქნა იაკობინელთა მიერ, მაგრამ ცხოვრებაში არ განხორციელებულა.



კაპიტალიზმსა და ფეოდალიზმს შორის ბრძოლამ, კაპიტალისტური ქვეყნების ერთმანეთთან შეტაკებამ გამოიწვია მასობრივ არმიათა ჩამოყალიბება. ასეთი არმიები პირველად საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და ნაპოლეონის ომების დროს ჩაისახა. მასობრივი არმიების ჩამოყალიბებამ მოითხოვა წვევამდელთა მომზადების სისტემის შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდებოდა მოკლე ვადაში ჯარში გაწვეულთა სამხედრო საქმისათვის წინასწარი მომზადება. ამ მომზადებაში დიდი ადგილი უნდა დათმობოდა ფიზიკურ კულტურას. ამიტომაც ფიზიკური აღზრდის ბურჟუაზიული სისტემების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა სამხედრო საქმემ.

ხსენებული პერიოდის ბურჟუაზიულ ფიზკულტურულ მოძრაობაში ადგილი ჰქონდა ფიზიკური აღზრდის სისტემათა ორ მიმარ-

თულებას: ევროპის კონტინენტზე გაბატონებული იყო ტანვარჯიშული, ხოლო ინგლისში -- სპორტული მიმართულება (სპორტი და სპორტული თამაშობანი).

ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიული რევოლუციების და ნაპოლეონის ომების პერიოდში იქმნებოდა დიდი არმიები და საჭირო ხდებოდა მათი განუწყვეტლოვანი შევსება და მომზადება. უპირატესობა ენიჭებოდა ტანვარჯიშს. ტანვარჯიშის საშუალებით მეომრებს ასწავლიდნენ მოძრაობების ერთდროულად შესრულებას, აჩვენებდნენ განკარგულებათა კოლექტიურად შესრულებას. განამტკიცებდნენ დისციპლინას და ასწავლიდნენ ყველაფერს, რაც საჭირო იყო სამხედრო მომზადებისათვის.

ზღვებით გარშემორტყმული ინგლისი დაცული იყო თავდასხმებისაგან. მას არ ესაჭიროებოდა მრავალრიცხოვანი არმიების შექმნა. სამხედრო სამსახური ინგლისში ნებაყოფლობითი იყო და ამიტომაც სამხედრო საქმისათვის მოსახლეობის დაჩქარებული სამზადისი კარგავდა თავის მნიშვნელობას. ყოველივე ამის გამო ინგლისში გამოყენებული იყო სპორტი და არა ტანვარჯიში.

ფიზიკური აღზრდა ევროპის ქვეყნებში ვითარდებოდა კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად.

ევროპის ქვეყნებში (გარდა ინგლისისა) იქმნებოდა ფიზიკური აღზრდის სისტემები, რომელთა პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენდა ხალხთა მასების ნაციონალური გაერთიანება და მისი საშუალებით ომის დროს ნაციონალური სფლისკვეთების შექმნა, ინგლისისათვის კი ეს საჭიროებას არ წარმოადგენდა. ინგლისს გააჩნდა ძლიერი ფლოტი და მძლავრი მრეწველობა, რომელიც მძლავრ ბაზას წარმოადგენდა სამხედრო ტექნიკისათვის. ამიტომ ინგლისი ომებში გამარჯვებული გამოდიოდა და დიდ კოლონიებსაც იმორჩილებდა.

ამ პერიოდის დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აღმოცენდა და განვითარდა ფიზიკური აღზრდის შემდეგი ნაციონალური ბურჟუაზიული სისტემები: 1) გერმანული ტანვარჯიშული სისტემა, 2) შვედური ტანვარჯიშული სისტემა, 3) ფრანგული ტანვარჯიშული სისტემა, 4) ინგლისური სპორტული სისტემა.

ამ პერიოდში გერმანია დაქუცმაცებულ, სუსტ გერმანული ტანვარჯიშული სისტემა და ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. ეკონომიურად და პოლიტიკურად ბურჟუაზია ჯერ კიდევ სუსტი იყო და მმართველობა კონსერვატიული თავდაზნაურობის ხელში იყო. კონსერვატიზმი განსაკუთრებით პრუსიის თავადაზნაურობას ახასიათებდა. მათ სძულდათ პროგრესული იდეები, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ პრუსიის პედაგოგია,

ნაცვლად მოსწავლეთა წახალისებისა, ფართოდ იყენებდა სასჯელს. სწავლას ზერელე ხასიათი ჰქონდა და ძირითად საგნად საღვთო სჯული ითვლებოდა. ფიზიკური ვარჯიშობა და თამაშობები სკოლაში აკრძალული იყო.

საფრანგეთიდან შემოდღეული ჟან-ჟაკ რუსოს იდეების გავლენით გერმანიაში დაარსდა ახალი ტიპის სკოლა — ფილანთროპინი, მაგრამ იმდროინდელი გერმანიის უბადრუკი სინამდვილის პირობებში რუსოს იდეებმა ვერ ჰპოვეს სწორი მიმართულება.

1786 წელს ფიზიკურ ვარჯიშობათა სწავლება ამ სკოლაში მიანდეს ფიტს, რომელმაც ფიზიკური აღზრდის საკითხებზე სპეციალური თხზულება დაწერა („ყმაწვილთა აღზრდა“). ყველა ვარჯიშს იგი ყოფს მარტივ და რთულ ვარჯიშებად. თავის მხრივ ეს ვარჯიშები დაყოფილია კიდევ ტანვარჯიშულ (რბენა, ხტომა, ტყორცნა, წონასწორობა, ჭიდაობა, ცურვა) და რაინდულ ვარჯიშებად (ცეკვა, ფარიკაობა, ცხენოსნობა).

1784 წ. ტიურინგიაში დაარსდა ფილანთროპინი, სადაც ტანვარჯიშისა და გეოგრაფიის მასწავლებლად მოწვეული იყო გუტს-მუტსი. მან შეკრიბა ყველა მანამდე არსებული ფიზიკური ვარჯიშობა, შეავსო იგი და ერთგვარ სისტემაში მოიყვანა. პედაგოგიკური თვალსაზრისით გუტს-მუსტი ფიზიკურ ვარჯიშობებს სამ სახედ ჰყოფდა: 1. საკუთრივ ტანვარჯიში, 2. ხელგარჯილობა, 3. ბავშვთა თამაშობანი. თავისი მნიშვნელობის მიხედვით ფიზიკური ვარჯიშობები მას დაყოფილი აქვს მარტივ და რთულ, აქტიურ და პასიურ ვარჯიშებად. ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეები, რომელთაც გუტს-მუსტი იყენებდა, შემდეგია: 1) ხტომა, 2) სიარული და რბენა, 3) ტყორცნა, 4) ჭიდაობა, 5) ცოცვა, 6) წონასწორობა, 7) სიმძიმეების აწევა და გადატანა, 8) სამხედრო სიარულში ვარჯიშობა, 9) ცურვა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას გუტს-მუსტი ანიჭებდა თამაშობებს, რომლებსაც იგი ყოფდა ორ ნაწილად: 1) მოძრავ და 2) უძრავ თამაშობად.

გუტს-მუტსის-საჭიროდ მიაჩნდა გერმანიაში ნაციონალური ტანვარჯიშული დღესასწაულების სისტემატურად გამართვა. ამ დღესასწაულების საშუალებით მას სურდა გერმანული ნაციონალური სულის ამღვლეობა.

როგორც გერმანულ პედაგოგიაზე, ისე გერმანულ ნაციონალურ სამხედრო-გამოყენებით ტანვარჯიშზე გავლენა მოახდინა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის რეაქციულმა იდეებმა. გერმანული ფილოსოფოსები ჰეგელი და ფიხტე ცდილობდნენ დაემტკიცებინათ გერმანული ხალხის უპირატესობა სხვა ხალხებთან შედარებით. ისინი

წამლავდნენ გერმანელ ახალგაზრდობას ნაციონალიზმის იდეებით. ფიხტემ დასახა ხალხის ნაციონალური აღზრდის გეგმა, რომელშიც იგი დიდ ადგილს უთმობდა ფიზიკურ აღზრდას (ტანვარჯიშსა და სპორტს ვარჯიშობებს). ამგვარი აღზრდის მიზანს შეადგენდა ისეთი მორჩილი ჯარისკაცის მომზადება, რომელიც მზად იქნებოდა თავი შეეწირა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. ამ გავლენას განიცდიდა გერმანული ნაციონალური ტანვარჯიშიც, რომლის მამამთავარია ფრიდრიხ იანი (1778—1852 წწ.). იგი იმ დროს გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როცა ნაპოლეონ I-ის ლაშქრობით შევიწროებული გერმანიის დაქსაქსული სახელმწიფოები მიისწრაფოდნენ გაერთიანებისაკენ. იანიც ამ გაერთიანების მხურვალე მომხრე იყო და ამით მიიპყრო ყურადღება. ფრიდრიხ იანი ბერლინის ერთ-ერთ სასწავლებელში მასწავლებლობდა, სადაც აწყობდა თამაშობებსა და ფიზიკურ ვარჯიშობებს. ექსკურსიების დროს მოწაფეებთან საუბრებს ატარებდა სხვადასხვა პოლიტიკურ თემებზე. თავის საუბრებში იანი მონარქისტულ იდეებს გამოსთქვამდა.

იანმა გამოიყენა ფიტისა და გუტს-მუტის მიერ დაგროვილი და დამუშავებული მასალები და შექმნა გერმანული ეროვნული ტანვარჯიშის სისტემა „ტურნერი“; ამ სისტემის საშუალებით იანს სურდა ხელი შეეწყო დამჯერი და მორჩილი ჯარისკაცის მომზადებისათვის.

ფრიდრიხ იანის სისტემის მიხედვით ვარჯიშობები შემდეგ ჯგუფებადაა დაყოფილი: 1) წყობითი ვარჯიში; 2) თავისუფალი ვარჯიში, 3) იარაღებზე ვარჯიში: ა) კილი, ბჯენი, 4) „ხალხური ვარჯიშები“ (ანუ სპორტული); 5) თამაშობანი. იარაღებიდან ლერძი და ორძელა ახლად იყო შემოღებული. 1816 წელს იანმა გამოსცა თხზულება „გერმანული ტანვარჯიში“, სადაც აღწერა ლერძზე, ორძელზე და ტაიქზე ვარჯიშობანი.

მეთოდური თვალსაზრისით იანის სისტემა საკმაოდ პრიმიტიულია. ტანვარჯიშულ იარაღებზე ვარჯიშობები საკმაოდ მარტივი — იყენებდნენ ხის ლერძს, რომელზედაც ვარჯიშობების რაოდენობა შეზღუდული იყო. ამ სისტემაში ყველაფერი მოძრაობათა ფორმას ემორჩილებოდა, არ იყო გათვალისწინებული ვარჯიშობათა გავლენა ადამიანის ორგანიზმზე და სხვ.

იანის სისტემა შემოღებულ იქნა გერმანიის არმიის, მაგრამ უფრო ფართოდ იგი გამოყენებული იყო მოსახლეობაში. „ტურნერის“ საზოგადოებათა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. მალე გერმანიაში შეიქმნა ტურნერთა კავშირები (ტურნერენები). მიუხედავად იმისა, რომ ტურნერთა კავშირები, მათ დამაარსებელთა აზრით, ნაციონა-

ლიზმის გამავრცელებლად უნდა გამხდარიყვნენ. ბევრმა მათგანმა პროგრესული როლი შეასრულა.

XIX საუკუნის შუა ხანებში გაძლიერებული ბურჟუაზია რევოლუციურ გამოსვლებს აწყობდა მონარქიისა და ფეოდალთა წინააღმდეგ. ბურჟუაზიის მიერ შექმნილი ტანვარჯიშული ორგანიზაციები წარმოდგენდნენ პროგრესული ახალგაზრდობის გაერთიანების ერთ-ერთ ფორმას. ტურნერთა ორგანიზაციები აწარმოებდნენ არა მარტო ფიზიკურ ვარჯიშობას. არამედ აწყობდნენ პოლიტიკურ დემონსტრაციებს და მიტინგებს გერმანიის გაერთიანებისა და მისი დემოკრატიულ რესპუბლიკად გადაქცევისათვის. აქ ხშირად წარმოთქვამდნენ მხურვალე სიტყვებს და ხშირად გაისმოდა რევოლუციური სიმღერები. ტურნერთა მრავალი ორგანიზაცია იმყოფებოდა „კომუნისტთა კავშირის“ გავლენის ქვეშ. ხსენებული კავშირის წევრები ტანვარჯიშულ ორგანიზაციებში ატარებდნენ აღმზრდელი მუშაობას. როდესაც 1849 წელს გერმანიის ცალკე სახელმწიფოებში ბრძოლა დაიწყო საიმპერიო კონსტიტუციისათვის, ტურნერთა ორგანიზაციების უმრავლესობა შეიარაღებული ბალხის მხარეზე აღმოჩნდა.

შვედური სისტემის მამამთავარი იყო პიერ შვედური ტანვარჯიშული სისტემა ჰენრიხ ლინგი. ხოლო მისი საქმის განმგრძობი — მისივე ვაჟი იალმარ ლინგი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან იმოგზაურა ევროპის ქვეყნებში, სადაც გაეცნო აღზრდის საქმეს. 1805 წელს ლინგმა დაიკავა ლუნდის უნივერსიტეტის ფარიკაობის მასწავლებლის ადგილი, ამასთან ერთად იგი ტანვარჯიშსაც ასწავლიდა.

ლინგმა მიზნად დაისახა ტანვარჯიშული სისტემის შექმნა. მისი ტანვარჯიშული სისტემა მიზნად ისახავდა ბურჟუაზიული არმიისათვის ჯარისკაცის მომზადებას.

პიერ ლინგი განიცდიდა ფრანგ მატერიალისტ-მექანისტთა სწავლების გავლენას. იმ პერიოდში ძირითადად ცნობილი იყო ადამიანის სხეულის მხოლოდ ანატომიური თავისებურებანი. მაშინ ანატომებს ადამიანი წარმოდგენილი ჰყავდათ თავისებურ მანქანად, რომელიც ცალკეული ნაწილებისაგან შედგება. აქედან წარმოიშვა რწმენა, თითქოს ფიზიკური განვითარების საუკეთესო მეთოდია თითოეული ორგანოს ცალ-ცალკე გავარჯიშება.

ლინგის მიერ შექმნილ შვედურ სისტემაში გამოყენებულია ზოგერთი სატანვარჯიშო იარაღი (შვედური სკამი, შვედური კედელი, ბუმი, პლინტი, კიბე, ლატანი, ხარისხა და სხვ.). მიუხედავად ამისა, ეს სისტემა არაა იარაღული, რადგან იარაღები შვედურ სისტემაში მხო-

ლოდ დამხმარე როლს ასრულებენ. შვედური იარაღების ძირითად დანიშნულებას შეადგენს ადამიანის სხეული იმ ნაწილების იზოლაცია, რომლებიც არ მონაწილეობენ მოცემულ ვარჯიშის შესრულებაში. ლინგის სისტემით ყველა ვარჯიში დაყოფილია 12 ჯგუფად:

- 1-ლი ჯგუფი წყობითი ვარჯიში,
- მე-2 „ მოსამზადებელი ვარჯიშები,
- მე-3 „ კინული ზნეკები.
- მე-4 „ აწევ-დაწევა და ცოცვა.
- მე-5 „ წონასწორობაში ვარჯიში,
- მე-6 „ ბეჭების, ზურგისა და კისრის კუნთების ვარჯიში,
- მე-7 „ მუცლის კუნთების ვარჯიში,
- მე-8 „ სიარული და რბენა,
- მე-9 „ ნაირმხრივი ვარჯიშები მუცლის პრესისათვის,
- მე-10 „ ფეხების ვარჯიში,
- მე-11 „ ხტომები;
- მე-12 „ სუნთქვითი ვარჯიში.

ადამიანის ორგანიზმისადმი ფორმალური მიდგომით, ლინგმა მხედველობიდან გამოუშვა ადამიანის ფუნქციონალური მოქმედება და ამით ტანვარჯიშს ფორმალურ-პრაქტიკული ხასიათი მისცა.

საფრანგეთის სამხედრო-გამოყენებითი ტან-
 ვარჯიშული სისტემა ვარჯიში ჩაისახა XIX საუკუნის პირველ მესამედში. მისი ფუძემდებელი იყო ესპანელი არმიის ოფიცერი ფრანცისკო ამოროსი (1770—1848 წწ.), რომელიც პარიზში გადასახლებამდე მადრიდის სატანვარჯიშო ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. 1817 წელს მან პარიზში მოქალაქეთაგან გახსნა ტანვარჯიშული დაწესებულება; ხოლო 1820 წელს — სამხედრო პირთათვის. 1834 წელს ამოროსს მიანდეს საფრანგეთში არსებული ყველა ტანვარჯიშული დაწესებულების ხელმძღვანელობა.

საფრანგეთში ტანვარჯიშის განვითარება XIX საუკუნის დასაწყისში გამოწვეული იყო ხელმძღვანელი სამხედრო წრეებისა და ბურჟუაზიის რევანშისტული მისწრაფებით — მოემზადებიათ მოსახლეობა და არმია ახალი ომისათვის.

თავისი სისტემის შედგენისას ამოროსმა გამოიყენა ა. სუვოროვის ძირითადი დებულება იმის შესახებ, რომ ჯარისკაცი უნდა სწავლობდეს იმას, რაც ომის დროსაა საჭირო. ამოროსის სისტემა შეიცავს სამხედრო-გამოყენებითი ხასიათის ვარჯიშობათა 17 ჯგუფს: სიარულს, რბენას, ხტომას, წონასწორობას, ცოცვას, ჭიდაობას, ცურვას, ტყორცნას, სიმძიმეების აწევას და გადატანას, სროლას, ფარაკობას, ცხენოსნობას, კედლის, მესერისა და თხრილების დაძლევის

როგორც ტვირთით, ისე უტვირთოდ. ცურვას ტანსაცმელში და თოფით, მიზანში სროლას და სხვ.

ამოროსის მიერ დამუშავებული ფიზიკური აღზრდის მეთოდს მისმა მიმდევრებმა „ბუნებრივ-გამოყენებითი ტანვარჯიში“ უწოდეს. მაგრამ ამოროსის სისტემა მეთოდური თვალსაზრისით სუსტადაა დამუშავებული. არა აქვს მეცნიერული საფუძველი და ემპირიულ ხაზიათს ატარებს.

სპორტის განვითარება ინგლისში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისში, ნაცვლად ტანვარჯიშისა. სპორტი ვითარდებოდა. მართალია, მოგვიანო პერიოდში ინგლისში აღმოცენდა სამხედრო ტანვარჯიში, მაგრამ იგი არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სისტემას. ის შედგებოდა გერმანული, ფრანგული და შვედური ტანვარჯიშული სისტემების ელემენტებისაგან და ამრიგად კომპილაციას წარმოადგენდა. სამაგიეროდ ინგლისში სწრაფად ვითარდებოდა სპორტი, რადგან იგი ბურჟუაზიას მიაჩნდა ახალგაზრდობის ნაციონალური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად.

სპორტის სხვადასხვა სახეობები და სპორტული თამაშობანი ინგლისში ადრევე ჩაისახა. ასე, მაგალითად, 1730 წელს აქ ფართოდ გავრცელდა სპორტული თამაშობა — კრიკეტი, შემდეგ — გოლფი. 1767 წელს ჩატარდა შეჯიბრება გრძელ მანძილზე რბენაში — ლონდონიდან იორკამდე (647 კმ)¹. 1775 წელს ინგლისში მდინარე ტემზაზე პირველად ჩატარდა შეჯიბრება ნიჩბოსნობაში.

კიდევ უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა სპორტმა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც განმტკიცდა ბურჟუაზიის ძალაუფლება. ბურჟუაზია ახლა ინგლისის მსოფლიო ჰეგემონიისათვის იბრძოდა. ხალხური ფიზიკური ვარჯიშობანი და გართობები ამ დროს დევნას განიცდიდნენ. სპორტი ინგლისში იქცა მმართველი კლასის მონოპოლიად და გახდა ბურჟუაზიული ახალგაზრდობის სამხედრო-ფიზიკური აღზრდის საშუალებად.

ზრუნავდა რა მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდაზე, ბურჟუაზია ყოველნაირად უწყობდა ხელს სპორტის განვითარებას ინგლისის უნივერსიტეტებში და ეს უკანასკნელები სპორტული ცხოვრების ცენტრებად გახდნენ. 1829 წლიდან იწყება ტრადიციული შეჯიბრება ნიჩბოსნობაში ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტთა შორის. 1823 წელს ინგლისში ჩაისახა ახალი სპორტული თამაშობა რეგბი.

1828 წელს ლივერპულში გაიხსნა ევროპაში პირველი საჯარო პლაჟი. ამავე პერიოდში ჩაისახა სპორტის მექანიკური სახეები. 1830 წელს ინგლისში პირველად მოეწყო ველორბოლა. 1844 წელს

¹ ეს მანძილი დაფარული იყო 138 საათში.

ქ. დუბლინში ჩატარდა პირველი შეჯიბრება ჰიდრობაში, ხოლო 1845 წელს ქ. იტონში პირველად გაიმართა შეჯიბრება მძლეოსნობაში. 1862 წელს გაიხსნა პირველი მძლეოსნური კლუბი. 1858 წელს დაარსდა ათლეტიკური საზოგადოება, რომელიც 15 კლუბს აერთიანებდა. 1871 წელს დაარსდა შოტლანდიის უნივერსიტეტთა კავშირი.

სოციალისტ-უტოპისტ-რობერტ ოუენი ფიზიკური აღზრდის შესახებ

ბატონყმობის გადავარდნა და „თავისუფალი“ კაპიტალიზმის განვითარება მოასწავებდა მშრომელთა ექსპლუატაციის ახალი სისტემის დამკვიდრებას. ძალზე მცირე ხელფასი, ხანგრძლივი სამუშაო დღე, უმუშევრობა იწვევდნენ მუშათა კლასის გაღატაკებას. ასეთ პირობებში მშრომელთა ფიზიკური აღზრდის განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ცხოვრების მძიმე და აუტანელი პირობების გამო მუშათა კლასი იძულებული გახდა ბრძოლა დაეწყო თავის უფლებათა მოპოვებისათვის. გაძლიერდა მუშათა რევოლუციური აქტივობა, ჩამოყალიბდა მუშათა სხვადასხვა ორგანიზაციები (მათ შორის სპორტულიც).

ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი უთანაგრძნობდა მუშებს, სურდა მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ ფიქრობდა, რომ მშვიდობიანი გზით შეიძლებოდა საზოგადოების სოციალური გარდაქმნა, ასეთ მოაზროვნეთ სოციალისტ-უტოპისტებს უწოდებდნენ. მათ რიგებს ეკუთვნოდა რობერტ ოუენი.

რობერტ ოუენი (1771—1858 წწ.) ოცნებობდა სამართლიან სოციალურ წყობაზე. ოუენის აზრით, ადამიანის ხასიათი ყალიბდება გარემოს გავლენით და ამიტომ გარემოს პირობათა შეცვლის გზით შეიძლება ადამიანში სასურველი ხასიათის გამომუშავება. იგი ფიქრობდა, რომ ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება შესაძლებელი იყო ხალხის აღზრდისა და განათლების საშუალებით. დაასაბუთა რა მუშების მძიმე მდგომარეობა, ოუენმა მწვავედ გააკრიტიკა არსებული სოციალური წყობა, მაგრამ მისი მოძღვრების დადებითი ნაწილი საკმაოდ მოისუსტებს. აქ ოუენი ამქდავნებს თავის გულუბრყვილობას. მას წამს გულკეთილობა და სულგრძელობა მდიდრებისა, რომლებიც, მისი აზრით, თვითონვე განაცხადებენ უარს ღარიბთა ექსპლუატაციაზე.

ხალხთა მასების მძიმე მდგომარეობაზე ფიქრმა რობერტ ოუენი მიიყვანა რწმენამდე, რომ საჭიროა მშრომელთა ცხოვრების პირობათა გაუმჯობესება. ნიუ-ლენარკში ოუენი მართავდა ძაფსართავ ქარხანას, სადაც მან ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებები მუშათა შრომისა და ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად და მოზარდთაობის აღსაზრდელად. 14—16-საათიანი სამუშაო დღე ოუენმა

10¹/₂ საათამდე შეამცირა. საგოგნობლად მოუმატა მუშებს ხელფასი. ააშენა მათთვის ახალი საცხოვრებლები, მოაწყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები მოზრდილთათვის და ხელს უწყობდა ბავშვთა საზოგადოებრივ აღზრდას. ოუენმა დააარსა ბაგა და საბავშვო ბაღი. ააგო მოედნები თამაშობებისათვის. 6-10 წლის ბავშვთათვის გახსნა დაწყებითი სკოლა და საღამოა სკოლა ქარხანაში მომუშავე მოზარდთათვის. მუშებისათვის საღამოობით იმართებოდა ლექციები და კულტურულ-გართობები, რომლებშიც მუშების ოჯახების წევრებიც მონაწილეობდნენ.

რობერტ ოუენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ აღზრდას. ჯანმრთელობა მას მიაჩნდა ადამიანია ბედნიერების საფუძვლად. სკოლაში ფიზიკური აღზრდის საშუალებად გამოყენებული იყო სუფთა ჰაერზე სეირნობა. თამაშობები, ტანვარჯიში და სამხედრო ვარჯიშობები. დიდი ყურადღება ექცეოდა სკოლაში შრომითს აღზრდას.

ოუენის აზრით. გონებრივი განათლება უნდა შეუკავშირდეს მალალ დონეზე დაყენებულ ფიზიკურ აღზრდას და საწარმოო შრომას. ახასიათებს რა ოუენის ამ დებულებას, კარლ მარქსი წერს: „საფაბრიკო სისტემიდან. როგორც ეს დაწვრილებით შეიძლება დავინახოთ რობერტ ოუენის ნაწერებში. აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა, რომელიც გარკვეულ ასაკს ზევით ყველა ბავშვისათვის მწარმოებლურ შრომას სწავლებასა და ტანვარჯიშობას უკავშირებს და ეს იქნება არა მარტო მეთოდი საზოგადოებრივი წარმოების გასადიდებლად, არამედ -- ერთადერთი მეთოდიც ყოველმხრივ განათლებულ ადამიანთა შესაქმნელად“¹.

ოუენი პედაგოგიკის საშუალებით ფიქრობდა ახალი საზოგადოების აღზრდას. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პედაგოგიური კადრების მომზადებას. რომლებიც. მისი აზრით, მოწოდებული არიან როგორც გონებრივი. ისე ფიზიკური განათლების ხელმძღვანელობისათვის.

რობერტ ოუენი ყველა სოციალისტ-უტოპისტზე უფრო დაუახლოვდა თავისი პედაგოგიკური შეხედულებებით მარქსისა და ენგელსის იდეებს.

ჩეხური („სოკოლის“) სისტემის წარმოშობა და განვითარება

დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის განვითარებამ, ჯერ კიდევ არალიკვიდრებული ფეოდალიზმის პირობებში, გამოიწვია მრავალეროვანი სახელმწიფოების წარმოშობა და მათში შემავალი მცირე ერების ჩაგვრა. ამ ჩაგვრამ გამოიწვია ნაციონალურ-განმანათლებელი ბრძოლა. რომელსაც განსაკუთ-

¹ მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 611--612.

რებით აქტიურად სლავი ხალხები — ჩეხები, პოლონელები და უკრაინელები აწარმოებდნენ.

ჩეხმა ხალხმა ბელოგორის ბრძოლის შემდეგ 1620 წელს დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა და დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას. ისინი შეუპოვარ ბრძოლას იწყებენ დამპყრობ გერმანელთა წინააღმდეგ და დროდადრო აწარმოებენ განმათავისუფლებელ ომებს.

ჩეხეთის გლახობა დიდ შევიწროებას განიცდიდა კათოლიკური ეკლესიის მხრივაც, რომელიც გლახთა დიდ ექსპლუატაციას ეწეოდა. აჯანყებები, რომლებიც ამ შევიწროებას მოჰყვა, არსებითად, რევოლუციურ ხასიათს ატარებდნენ. საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციამ კიდევ უფრო გააღრმავა რევოლუციური მოძრაობა ჩეხეთში.

მიუხედავად ეროვნული ჩაგვრისა, ჩეხეთის ბურჟუაზია საკმაოდ გაძლიერდა. იგი ცდილობდა გერმანელთა ბატონობისაგან თავის დაღწევას და ამით კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას. ამიტომაც ჩეხეთის ბურჟუაზია ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა რევოლუციური მოძრაობისათვის მიეცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულება.

მოსახლეობის გაერთიანებისა და დარაზმვის მიზნით ჩეხური ბურჟუაზია ქმნიდა სხვადასხვაგვარ ორგანიზაციებს. ასეთ ორგანიზაციებს ეკუთვნოდა სატანვარჯიშო საზოგადოება „სოკოლი“, რომელიც დაარსებულ იქნა პრაღის უნივერსიტეტის პროფესორის მიროსლავ ტირშისა და მდიდარი ვაჭრის ფიგნერის მიერ 1862 წელს. ამ საზოგადოების ძირითად იდეას შეადგენდა ჩეხი ხალხის განთავისუფლება ეროვნული ჩაგვრისაგან. „სოკოლის“ ორგანიზაციებს უნდა მოემზადებია ის რაზმები, რომელთაც უნდა დაემხოთ ავსტრიის მონარქია და აეშენებიათ ჩეხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო.

„სოკოლის“ სისტემის მამამთავარი მიროსლავ ტირში საფუძვლიანად გაეცნო ფიზიკური აღზრდის არსებულ სისტემებს და საკუთარი სისტემის შედგენისას გამოიყენა მათი დადებითი მხარეები. თავის საშუალებათა მიხედვით „სოკოლის“ სისტემა უახლოვდება გერმანულს. ჩეხური ტანვარჯიშული სისტემაც იარაღულია. განსხვავება თითქოს მარტო გარეგნულია, მაგალითად, „სოკოლის“ სისტემაში უფრო რთული და ლამაზი თავისუფალი ვარჯიშია გამოყენებული. აქაც იგივე იარაღებია, რომლებიც გერმანულ ტანვარჯიშულ სისტემაშია გამოყენებული. მაგრამ ამასთან ერთად ტანვარჯიშის გამოყენება და მეთოდები ჩეხურ სისტემაში ბევრად განსხვავდება გერმანუ-

ლისაგან. „სოკოლის“ სისტემაში ადგილი ჰპოვა ბევრმა ახალმა პრაქტიკმა.

„სოკოლის“ სისტემაში იარაღულ ვარჯიშებს ცენტრალური ადგილი უჭირავს, მაგრამ ტირშმა თავის სისტემაში სხვა ვარჯიშებიც შეიტანა.

ყველა ვარჯიში „სოკოლის“ სისტემით დაყოფილია ოთხ გვარად:

- I. უიარაღო ვარჯიშობები,
- II. იარაღული ვარჯიშობები,
- III. გუნდური ვარჯიშობები,
- IV. ბრძოლითი ვარჯიშობები.

უიარაღო ვარჯიშობები დაყოფილია შემდეგ ჯგუფებად: ა) სიარული და რბენა, ბ) წყობითი ვარჯიში, გ) თავისუფალი ვარჯიში, დ) ქვეითი ვარჯიში.

იარაღული ვარჯიშობანი დაყოფილია ორ ჯგუფად: 1) იარაღებით ვარჯიში — ჯოხებით, გურჯებით, ალმებით, სიმძიმეებით ვარჯიში, ტყორცნა; 2) იარაღებზე ვარჯიში—ხტომა, სახტუნელები, ტაიჭი, ხარისხა, მაგიდა, ღერძი, ორძელი, რგოლები, ქანღერძი, საქანტრიპლო, კიბე, ბაგირი, ლატანი, დვირი, ოჩოფეხა.

გუნდური ვარჯიშობანი იყოფა შემდეგ განყოფილებებად: ა) გუნდობები—უიარაღოდ, იარაღებით, იარაღებზე, იარაღებთან; ბ) თამაშობები.

ბრძოლითი ვარჯიშობები იყოფა ორ განყოფილებად: ა) წინაღობა, კიდაობა, კრივი; ბ) ფარკაობა (ჯოხებით, რაპირით, ესპადრონით, ხიშტით).

1864 წელს საზოგადოება „სოკოლმა“ გამართა თავისი პირველი „მოფრენი“, რომელშიც რამდენიმე ათასი კაცი მონაწილეობდა. ამის შემდეგ ჩვენ შევარდენთა „მოფრენები“ სისტემატურად იმართებოდა ოთხ წელიწადში ერთხელ. „სოკოლის“ ორგანიზაციები სწრაფად იზრდებოდა არა მარტო ჩეხეთში, არამედ სხვა სლავურ ქვეყნებშიც, რადგან იმ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში „სოკოლის“ მოძრაობა გერმანიზმის წინააღმდეგ სლავ ხალხთა ბრძოლის დროშად იქცა.

მიუხედავად ამისა, ჩეხეთის ბურჟუაზია ცდილობდა „სოკოლი“ გამოეყენებია თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის და ამ საზოგადოებას ასურათებდა, როგორც აპოლიტიკურ ორგანიზაციას, სადაც ყველანი თანასწორი არიან — როგორც მდიდრები, ისე ღარიბები. მაგრამ ამ გარეგნული და მოჩვენებითი თანასწორობით იფარებოდა „სოკოლის“ შინაგანი წინააღმდეგობანი და მისი ორქოფული როლი ერთი მხრივ „სოკოლი“ მის წევრთა შორის აღვივებდა ეროვნული

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სულისკვეთებას. ამ თვალსაზრისით „სკოლის“ ორგანიზაციები პროგრესული იყო. მაგრამ მეორე მხრივ ეს ორგანიზაციები ბურჟუაზიის მიერ გამოყენებული იყო თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის.

ფიზიკური აღზრდა ამერიკაში ჩრდილოეთ და სამხრეთ შტატებს შორის მომხდარ ომთან დაკავშირებით, ამერიკის სკოლებში პირველად იქნა შემოღებული სამხედრო მწყობრი. მთავრობამ წინადადება მისცა სასწავლებლების ხელმძღვანელებს მასწავლებლებად ოფიცრები მიეწვიათ.

ევროპიდან ემიგრაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით ამერიკაში განვითარდა სპორტის სხვადასხვა სახეობები და თამაშობები. ამან გააუმჯობესა ფიზიკური აღზრდის საქმე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სპორტი მისაწვდომი იყო მხოლოდ ბურჟუაზიული ახალგაზრდობისათვის და ერთი მუჰა ეგრეთ წოდებული „მუშური არისტოკრატიისათვის“. გაძლიერებულ იქნა ფიზიკური აღზრდა ამერიკის დაწყებითსა და საშუალო სკოლებში. ამავე დროს სპორტი ვრცელდება უმაღლეს სასწავლებლებში. შემოღებულ იქნა სპორტი და გაძლიერდა ფიზიკური აღზრდა არმიასა და ფლოტში.

ფიზიკური აღზრდის საქმეში მცირე გაუმჯობესება შეიტანა ჰორვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა სერუანტმა, რომელმაც, გარდა მოძრავი თამაშობებისა და ტანვარჯიშისა, გამოიყენა სპეციალური იარაღი — ლარი, რომელიც ჩამოკიდებული იყო ბლოკზე და მიბმული ჰქონდა ტვირთი.

ისევე, როგორც ინგლისში, ამერიკაში სპორტული მუშაობის ცენტრებს უნივერსიტეტები წარმოადგენდნენ.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი ფიზიკური აღზრდის შესახებ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს კომუნიზმის აუცილებლობა. მარქსისა და ენგელსის სწავლება აღზრდის შესახებ, რომელიც აგებულია დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლებზე, წარმოადგენს მეცნიერული კომუნიზმის ნაწილს. მარქსიზმის ფუძემდებლებმა საფუძველი ჩაუყარეს პროლეტარიატის პედაგოგიკას და ისტორიაში პირველად დაუკავშირეს აღზრდის საკითხები მოწინავე კლასის რევოლუციურ ბრძოლას.

მარქსმა და ენგელსმა დაამტკიცეს, რომ აღზრდის შინაარსი, მეთოდები და ფორმები ატარებენ ისტორიულ ხასიათს და განისაზღვრებიან იმ საზოგადოებრივი ურთიერთობით, რომლებითაც ხასიათ-

დება ესა თუ ის საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია. მათ გამოამყდვენ ალზრდის კლასობრივი ხასიათი, რომ გაბატონებული კლასები ალზრდას იყენებენ ჩაგრული კლასის დამონების იარაღად და რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ალზრდა ატარებს ბურჟუაზიულ-კლასობრივ ხასიათს.

ინგლისის მაგალითზე მარქსმა და ენგელსმა ნათელყვეს. თუ რა მძიმე გავლენა მოახდინა სამრეწველო გადატრიალებამ პროლეტართა ბავშვთა ალზრდაზე. მანქანების შემოღებამ გამოიწვია ქალებისა და ბავშვების მასობრივი ჩაბმა წარმოებაში. ფაბრიკა-ქარხნებში ქალების ხანგრძლივი და მომქანცველი შრომა საშუალებას არ აძლევდა მათ სათანადო ყურადღება მიექციათ ბავშვების ალზრდისათვის. ცუდი მოვლის, ალზრდისა და არსებობის მძიმე პირობების გამო ბავშვები სახიზრდებოდნენ როგორც ფიზიკურად. ისე სულიერად.

მძიმე საბინაო პირობები, ცუდი კვება და სამკურნალო დახმარების უქონლობა იწვევდნენ მუშების ბავშვთა მალალ სიკვდილიანობას.

მარქსი და ენგელსი გვისურათებენ იმ უბადრუკ განათლებას, რომელსაც ბურჟუაზიული სახელმწიფო აძლევს პროლეტართა ბავშვებს. ისინი აღნიშნავენ, რომ ბურჟუაზია არასოდეს არ მოისურვებს მუშებისათვის სრულფასოვანი განათლების მიცემას. მხოლოდ პროლეტარაატის ბურჟუაზიაზე გამარჯვების გზით შეიძლება განათლების ფართო გავრცელება ხალხთა მასებში.

მარქსმა და ენგელსმა შექმნეს კომუნისტური ალზრდის მთლიანად სისტემა, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების კანონებით განპირობებულ საზოგადოებრივ-კლასობრივ მოვლენას. მათვე განსაზღვრეს ალზრდის მიზნები სოციალისტურ საზოგადოებაში. დაადგინეს გონებრივი განათლების შინაარსი და მეთოდები, აწლებურად დასვეს საკითხი ზნეობრივი და ფიზიკური ალზრდის შესახებ და შექმნეს ტექნიკური განათლების თეორია.

მარქსსა და ენგელსს კომუნისტური ალზრდის მიზნად მიაჩნდათ ყოველმხრივად განვითარებული ადამიანის ალზრდა. ალზრდაში „კ. კ. მარქსი გულისხმობს სამ რამეს:

„პირველი: გონებრივი ალზრდა,

მეორე: ფიზიკური ალზრდა ისეთი, რომელსაც იძლევა ტანვარჯიშობის სკოლები და სამხედრო ვარჯიშობანი.

მესამე: ტექნიკური სწავლება, რომელიც აცნობს წარმოების ყველა პროცესის ძირითად პრინციპებს და ამავე დროს

აძლევს ბავშვსა და მოზარდს ყველა წარმოების უმარტივესი იარაღების გამოყენების ჩვევებს¹.

მარქსი თავის „კაპიტალში“ რამდენჯერმე იხსენიებს ტანვარჯიშს, რომელაც ფიზიკური აღზრდის კარგ საშუალებლად მიაჩნია. ლაპარაკობს იგი სამხედრო ვარჯიშობების მნიშვნელობაზეც. თავის თხზულებებში ენგელსი დაწვრილებით ეხება ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას. მას სასურველად მიაჩნია სკოლებში ტანვარჯიშისა და სამხედრო მწყობრის შემოღება.

ფიზიკურ აღზრდას მარქსიზმის ფუძემდებლები განიხილავენ, როგორც მუშათა კლასის გაჯანსაღებისა და კაპიტალიზმის პირობებში შრომის დამლუპველი გავლენისაგან დაცვის საშუალებას. ამასთანავე ფიზიკური აღზრდა მათ წარმოდგენილი აქვთ მუშათა კლასის და განსაკუთრებით მისი მოზარდი თაობის საერთო განვითარების საშუალებად.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მიუთითებენ, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში პროლეტარიატს მხოლოდ რევოლუციური ბრძოლის საშუალებით შეუძლია გამოიყენოს ფიზიკური აღზრდა კაპიტალისტური წარმოების დამლუპველი მოქმედებისაგან დაცვის საშუალებად.

მარქსის მითითება, რათა ფიზიკურ აღზრდაში შეტანილ იქნეს სამხედრო ვარჯიშობანი, რომლებიც ხელს უწყობენ ჯანმრთელობის განმტკიცებას, ძალ-ღონის, გამბედაობის, ამტანობის გამომუშავებას — მიზნად ისახავდა ახალგაზრდა მუშების მომზადებას მომავალი კლასობრივი ბრძოლებისათვის.

პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ შეიქმნება პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტური საზოგადოების ყველა წევრის ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას. მარქსის და ენგელსის გამოთქმებიდან ჩანს, რომ ისინი ფიზიკურ აღზრდას თვლიან საყოველთაო და ყოველმხრივი აღზრდის შემადგენელ ნაწილად.

თავის შრომებში ენგელსი იძლევა სამხედრო ხელოვნების ღრმა ისტორიულ ანალიზს კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეპოქაში. ამ ანალიზმა ენგელსი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ფიზიკურ აღზრდას ჯარისკაცის მომზადების სისტემაში მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

მარქსიზმის ფუძემდებლების შეხედულებებს ფიზიკურ აღზრდა-

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, სახალხო განათლების შესახებ, 1948, გვ. 133.

ზე დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ფიზიკური აღზრდის სისტემის თეორიისა და პრაქტიკისათვის.

როგორც მარქსისა და ენგელსის პირადი მიწერ-მოწერიდან ჩანს, ისინი თავის პირად ცხოვრებაში დიდ ყურადღებას აქცევდნენ ფიზიკური ვარჯიშობებისა და ჰიგიენური პროცედურების გამოყენებას.

წერილებში ისინი ხაზგასმით მოითხოვენ ჯანმრთელობისადმი ყურადღებით მოპყრობას და სისტემატური ფიზიკური ვარჯიშობის აუცილებლობას ორგანიზმის გამოწრთობის მიზნით. მარქსი ხანგრძლივი გონებრივი მუშაობის შემდეგ აწყობდა ქალაქგარეთ გასეირნებას, სადაც ბავშვებთან ერთად თამაშობდა, ასრულებდა წყლის პროცედურებს და ზღვაში ბანაობდა. ხანდახან აწყობდა ცხენით გასეირნებას.

მრავალიცხოვან წერილებიდან ჩანს, რომ ენგელსი კარგი მოფარკავე, მოცურავე და ცხენოსანი ყოფილა, სისტემატურად ეწეოდა ტანვარჯიშს, ნადირობდა. მისი საყვარელი ვარჯიშობა იყო აგრეთვე ტურიზმი და მთასვლელობა.

მარქსი და ენგელსი თავის წერილებში მოითხოვენ აქტიური დასვენების აუცილებლობას.

„დასვენება. — წერს ენგელსი, — მნიშვნელოვანი მოქალაქეობრივი მოვალეობაა“. ჯანმრთელობაზე ზრუნვას მარქსიზმის ფუძემდებლები თვლიდნენ პროფესიონალური რევოლუციონერების უპირველეს მოვალეობად“.

§ 2. ფიზიკური კულტურა კაპიტალიზმის დაცემისა და მისი იმპერიალიზმში გადაზრდის პერიოდში (1870—1918 წწ.)

ხსენებულ პერიოდს ეწოდება კაპიტალიზმის დაწყებული დაქვეითების, პარიზის კომუნის მიერ კაპიტალიზმისათვის პირველი ლახვრის ჩაცემისა და ძველი „თავისუფალი“ კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდის პერიოდი.

1870-71 წწ. საფრანგეთ-პრუსიის ომი საფრანგეთის დამარცხებით დამთავრდა. ამ ომის შემდეგ დამკვიდრებულმა სახალხო გაჭირვებამ, უმუშევრობამ, მასების მაღალი წოდებით უკმაყოფილებამ, მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობამ გამოიწვია 1871 წლის რევოლუცია. 1871 წელს საფრანგეთის მუშეთა კლასმა გამოაცხადა პარიზის კომუნა. ბურჟუაზიული მთავრობა პარიზიდან ვერსალში გაიქცა და ხელისუფლება პარიზის მუშებმა იგდეს ხელთ.

მიუხედავად თავისი არსებობის მოკლე ხანისა, კომუნამ შეძლო მთელ რიგ ღონისძიებათა ჩატარება: მან შეცვალა მუდმივი არმიის სისტემა საყოველთაო სახალხო შეიარაღებით, გამოაცხადა ეკლესიის

სახელმწიფოსაგან გამოყოფა. ფაბრიკა-ქარხნები გადასცა მუშათა არტელებს, დიდი დაინტერესება გამოიჩინა აღზრდა-განათლების საქმეში.

პარიზის კომუნამ ახალი პედაგოგიური იდეები წამოკრა: 1) ანტი-რელიგიური აღზრდა, 2) საყოველთაო და სავალდებულო სწავლება, 3) ყოველმხრივი განვითარება, 4) უფასო სწავლების იდეა, 5) საწარმოო შრომის სწავლასთან დაკავშირება, 6) საერთო განათლება, 7) სკოლის გარეშე აღზრდა, 9) ფიზიკური აღზრდა.

პარიზის კომუნის მიერ ჩატარებული ღონისძიებანი განათლების დარგში ნათლად მოწმობს იმის შესახებ, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პროლეტარიატი ხალხთა მასების განათლებას და ბავშვთა აღზრდას. პარიზის კომუნამ დიდი ყურადღება მიაქცია ფიზიკური აღზრდის საკითხებს. მიაჩნდათ რა ფიზიკური აღზრდა საერთო აღზრდის განუყრელ წაწილად, კომუნარები საკვიროდ თვლიდნენ ფიზიკური აღზრდის ფართო განვითარებას არა მარტო სკოლებში, არამედ მშრომელთა ფართო მასებშიც. პარიზის VIII ოლქის ყველა სკოლაში შემოღებული იყო ტანვარჯიში. გარდა ამისა, აქ არსებობდა „ნორმალური სატანვარჯიშო სკოლა“, რომელიც ამზადებდა ტანვარჯიშის მასწავლებლებს.

XIX საუკუნის უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ძველი კაპიტალიზმი გადაიზარდა იმპერიალიზმში. იმპერიალიზმის პერიოდში კაპიტალიზმის რღვევის ძლიერ ფაქტორს წარმოადგს ბრძოლა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და მათ ჯგუფებს შორის.

კლასთა ბრძოლის გამწვავება და იმპერიალისტური ომებისათვის სამზადისი ბურჟუაზიისაგან მოითხოვდა ყველა არსებული საშუალების გამოყენებას მშრომელთა იდეოლოგიური დამორჩილებისათვის, მათი პოლიტიკური ბრძოლისაგან ჩამოცილებისა და მოსახლეობაში სამხედრო ფიზიკური მომზადების ჩატარებისათვის. ამგვარ საშუალებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკირა ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. კაპიტალისტები ცდილობდნენ მოესყიდათ მუშათა არისტოკრატია და ამით განხეთქილება გამოეწვიათ მუშათა მოძრაობაში. მუშათა ზედაფენებისათვის მისაწვდომი გახდა ახლად დაარსებულ საზოგადოებებში ჩარიცხვა, რაც შეეხება პროლეტარიატის ქვედაფენებს, მატერიალური მდგომარეობისა და პოლიტიკური უუფლებობის გამო მათთვის შეუძლებელი იყო ბურჟუაზიულ სპორტულ ორგანიზაციებში მოხვედრა. მაგრამ მალე კაპიტალისტებმა მიმართეს ისეთ ხერხებს, რომელთა საშუალებით სურდათ მუშათა მასების მოტყუება და დამორჩილება. კაპიტალისტებმა თავიანთ ფაბრიკა-ქარხნებთან თვითონვე დააარსეს მუშებისათვის სპორტული

კლებები და წრეები. ამ მოძრაობას ფიზიკური კულტურის ისტორიაში სამეწარმო სპორტი ეწოდება.

სამეწარმო საფაბრიკო-საქარხნო სპორტი

სხნებულ პერიოდში გერმანიაში და აგრეთვე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში აღმოცენდა და განვითარდა სამეწარმო საფაბრიკო-საქარხნო

სპორტი, რომელიც ისახავს შემდეგ ამოცანებს:

- 1) მშრომელთა ჩამოცილებას რევოლუციური მოძრაობისაგან;
- 2) მუშათა შრომისუნარიანობის ამაღლებას;
- 3) მშრომელთა მილიტარიზაციას.

1. ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონენი და მათი დამქაშები მშრომელთა შორის ავრცელებენ აზრს, თითქოს ფაბრიკანტები ზრუნავენ მუშების ჯანმრთელობაზე და არ იშურებენ თანხებს ამ საქმისათვის. ისინი აარსებენ მუშებისათვის სპორტულ კლებებს და წრეებს. მუშათა უფრო შეუგნებელი ნაწილი ეგება ანკესზე და ებმება სამეწარმო სპორტში;

2. მართალია, ქარხნების მეპატრონეები ეწევიან განსაზღვრულ ხარჯებს მუშათა სპორტული წრეების დასაარსებლად, მაგრამ მუშების შრომისუნარიანობის ამაღლების საშუალებით კიდევ უფრო მეტ შემოსავალს მოელიან;

3. სამეწარმო სპორტი, ამავე დროს, ხელს უწყობდა მშრომელთა მილიტარიზაციის ჩატარებას და მათ მომზადებას მომავალი ომებისათვის.

სკაუტიზმის განვითარება

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ინგლისმა დაკარგა თავისი პირველობა მრეწველობაში, რამაც გამოიწვია მუშათა კლასის მდგომარეობას

გაუარესება. მრეწველობის შენელებამ XIX საუკუნის 80-იან წლებში ხელი შეუწყო კლასთა ბრძოლის გამწვავებას. ამ პირობებში ფიზიკური კულტურა გამოყენებული იყო ინგლისის ბურჟუაზიის მიერ, როგორც კოლონიალური იმპერიის გაძლიერების საშუალება. ახალგაზრდობის მილიტარიზაციის მიზნით მეტი ყურადღება დაეთმო ფიზიკურ აღზრდას დაწყებითა და საშუალო სკოლებში, გაძლიერდა სპორტული მუშაობა უნივერსიტეტებში. XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა კლებები და კავშირებ სპორტის ცალკე სახეობებში და დაიწყო მათი გაერთიანება.

მტაცებლურმა ომებმა და გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ აიძულა ბურჟუაზიის აგრესიული სამხედრო წრეები გაეძლიერებიათ თავიანთი, გავლენა მოზარდ თაობაზე და XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე ინგლისში ჩამოყალიბდა სკაუტთა რაზმები.

სკაუტიზმის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი იყო ინგლი-

სელი გენერალი, ჯაშუში და მზვერავი ბადენ-პაუელი. ამ ორგანიზაციის მიზანს შეადგენს ახალგაზრდობის აღზრდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სულისკვეთებით.

„სკაუტიზმის“ სისტემის ავტორი ასე განმარტავდა სკაუტთა ორგანიზაციის ამოცანებს:

1) მოზარდი თაობის არიდება „მემარცხენე“ პოლიტიკისაგან, 2) მცოდნე მუშებისა და „კარგი“ მოქალაქეთა აღზრდა და 3) წვევამდელთა მომზადების უზრუნველყოფა. თუ გავხსნით ბრჭყალებს, ეს ამოცანები ასე უნდა გავიგოთ: 1) რევოლუციური მოძრაობისაგან მოზარდი თაობის ჩამოცილება და მათი გახრწნა ბურჟუაზიული იდეოლოგიით; 2) „კარგი“ მოქალაქეთა მომზადება, ე. ი. კაპიტალიზმის ყურმოჭრილი მონების აღზრდა; 3) მოზარდი თაობის მომზადება იმპერიალისტური ომისათვის და სხვ.

სკაუტთა ორგანიზაციის მუშაობის მეთოდები ასეთია: სკაუტებმა სწავლობენ კავშირგაბმულობას, ტოპოგრაფიას, სანიტარულ და საზღვაო საქმეს. სკაუტების ფიზიკური ვარჯიშობანი და თამაშობები ატარებენ ვიწრო სამხედრო-გამოყენებით ხასიათს. თამაშობებში განზრახ დაშვებულია ძალმომრეობისა და უხეშობის მომენტები, რომელთა საშუალებით მუშავდება აგრესორ-ჟარისკაცთა თვისებება. ფიზიკური აღზრდა დაკავშირებულია იმპერიალისტური მორალის პროპაგანდასთან. სკაუტიზმი ფართოდ იყენებს ბავშვთა მიდრეკილებას თამაშობებისადმი. ეს ორგანიზაცია გამოცხადებულია აპოლიტიკურ ორგანიზაციად, მაგრამ საკმაოდ ცნობილია, რომ სკაუტები არაერთხელ გამოსულან შტრეიკებზეერთა როლში. სკაუტიზმი ახალგაზრდობას ზრდის რელიგიური სულისკვეთებით.

სკაუტთა ორგანიზაციის მიზანია აღზარდოს ფიზიკურად ძლიერი, ამტანი და გამჭირავი მზვერავები და ჯაშუშები. პირველი მსოფლიო ომის დროს სკაუტები ფართოდ გამოიყენა ინგლისის სამხედრო სამინისტრომ. მის განკარგულებაში ნახევარ მილიონამდე სკაუტი იმყოფებოდა.

ინგლისიდან სკაუტიზმი მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

ფიზიკური აღზრდის ძველი ბურჟუაზიული სისტემების მოდერნიზაცია. ახალი ისტორიის მეორე პერიოდში, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის დამლევებიდან, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა სპორტს. ომის წარმოების ახალი ხერხები ჟარისკაცისაგან მოითხოვდა ინიციატივას, ამტანობას, სიმარდეს, სიერცისა და დაბრკოლებათა სწრაფად დაძლევას და სხვა თვისებებს. რომელთა შესაძენად არ იყო საკმარისი მარტო ტანვარჯიში, არამედ

საჭირო იყო სპორტიც. სპორტის განვითარებასთან ერთად კაპიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარეობდა ფიზიკური აღზრდის ძველი სისტემების გაუმჯობესება და ახალი სისტემების დამუშავება.

ევროპის ქვეყნებში ამ დროს გაიშალა ტანვარჯიშის კრიტიკა. ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ XIX საუკუნის 80-იან წლებში დამტკიცებულ იქნა, რომ იმდროინდელი ტანვარჯიშული სისტემები მოკლებული იყო მეცნიერულ საფუძველს. ზოგიერთი კრიტიკოსი საერთოდ უარყოფდა ტანვარჯიშის სარგებლობას, ანდა მას მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა, ზოგიერთიც თვლიდა, რომ ტანვარჯიში უნდა დაჩქეს ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის ძირითად საშუალებად, მხოლოდ საჭიროა მისი შინაარსისა და მეთოდების გადახედვა და მათი შეცვლა ახლით, რომელსაც მეცნიერული საფუძველი ექნება. ამ კამათმა გამოიწვია ახალი სისტემების ჩასახვა. ასეთ სისტემებს ეკუთვნიან დემენისა და ებერის სისტემები.

დემენის სისტემა ე. ო რ ე დ ე მ ე ნ ი (1850—1917 წწ.) ითვლება ახალი ფრანგული სისტემის მამამთავრად. მან მოაწყო სამეცნიერო-კვლევითი ფიზიოლოგიური

სადგური, სადაც ბევრს მუშაობდა მოძრაობათა მექანიკისა და წვრთნის შედეგების საკითხებზე. 1892 წელს იგი საფუძვლიანად გაეცნო შვედურ სისტემას თვით შვეციაში და მისი მხურვალე მომხრე გახდა, მაგრამ შემდეგში თანდათანობით კრიტიკულად მიუდგა ამ სისტემას და ბოლოს მის აშკარა მოწინააღმდეგედ იქცა. 1909 წელს მან გამოსცა წიგნი საფრანგეთის ფიზიკური აღზრდის სისტემის ევოლუციის შესახებ, სადაც იგი თავის საკუთარ პრინციპებს აყალიბებს. ამ პრინციპებით შემდეგში არაერთი მისი მიმდევარი ხელმძღვანელობდა. ხსენებული პრინციპები შემდეგში მდგომარეობს:

1. ფიზიკური აღზრდა უნდა ეყრდნობოდეს დინამიკას და სინთეზს და არა სტატიკას და ანალიზს;

2. რომ ვარჯიშობიდან მივიღოთ მაქსიმალური სასარგებლო მოქმედება, საჭიროა მას თავიდანვე მიეცეს ბუნებრივი ფორმა და პრაქტიკული მიმართულება, ამიტომ ყველა მოძრაობა უნდა სრულდებოდეს ისე, როგორც ეს მათი პრაქტიკულად გამოყენების პირობებში ხდება.

დემენის სისტემით ვარჯიშობები ორი განყოფილებისაგან შედგება: ა) მოსამზადებელი ვარჯიშები — მოქნილობისა და სიმარდის გასავითარებლად; ბ) გამოყენებითი ვარჯიშები — მოძრაობათა უნარის გასავითარებლად. მოსამზადებელი ვარჯიშები შედგება თავისუფალი და იარაღული ვარჯიშებისაგან, რომლებიც თავისი გარეგნობით შვედურს მოგვაგონებენ.

გამოყენებითი ვარჯიშები შეიცავენ: სიარულს, რბენას, ცოცვას, სომქიმეების აწევას და გადატანას, ცურვას, ნიჩბოსნობას, ჭიდაობას. გაკვეთილი დემენის სისტემით 7 ნაწილსაგან შედგება:

1. წყობითი ვარჯიში (3 წუთი),
2. თავისუფალი ვარჯიში იარაღებით და უიარაღოდ (4 წუთი),
3. კიდი და ბჯენი (4 წუთი),
4. რბენა, თამაშობანი, ცეკვა (4 წუთი),
5. ჭიდაობა, რთული თავისუფალი ვარჯიში (3 წუთი),
6. ყველაზე უფრო ძნელი ვარჯიშობანი (4—5 წუთი),
7. დამამშვიდებელი ვარჯიშები (2 წუთი).

ავტორის აზრით, თუ გაკვეთილის ნაწილი ენერგიულად ჩატარდა, შემდეგ ნაწილზე შეუსვენებლივ გადასვლა არ იქნება მიზანშეწონილი.

დემენის ფუნქციონალური ტანვარჯიშის სისტემა შეზღუდულაა ბურჟუაზიის იმ მოთხოვნებით, რომელთაც იგი უყენებს ფიზიკური აღზრდის სისტემას. აქედან გამომდინარეობს ამ სისტემის სამხედრო მიმართულება.

დემენის შეცდომათა შორის აღსანიშნავია: 1) სწრაფ მოძრაობათა უარყოფა. მისი აზრით ყოველი მოძრაობა ნელი ტემპით უნდა სრულდებოდეს; 2) ლატანზე და ბაგირზე ცოცვისა და ღერძზე აწევ-დაწვევის აკრძალვა. მისი აზრით ამგვარი ვარჯიშები მოითხოვენ მხრების მოხრას, როდესაც ადამიანისათვის, პირიქით, საჭიროა მხრების გაშლა. ამიტომ ასეთი ვარჯიშები, დემენის აზრით, უნდა სრულდებოდეს არა ღერძზე, არამედ ორ პარალელურ ბუმზე; 3) დამახასიათებელია დემენის კონსერვატული პოზიცია ქალთა ფიზიკური აღზრდის საკითხში. ქალთა ფიზიკურ აღზრდას იგი მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით უდგება. იგი ამ შემთხვევაში ბურჟუაზიულ შეხედულებას გამოხატავს. ამიტომაც დემენის ქალთა ფიზიკური აღზრდის სისტემა შეიცავს ცეკვითი ხასიათის ვარჯიშებს, რიტმულ მოძრაობებს მუსიკის თანხლებით.

ე ბ რ ე ბ ე რ ი საფრანგეთის საზღვაო ებერის სისტემა ფლოტის ოფიცერი იყო. მან ქუანგილში დაამთავრა ფიზიკური აღზრდის სამხედრო სკოლა, სადაც, სხვათა შორის. მის მასწავლებლად დემენიც იყო. კურსის დაამთავრების შემდეგ ხუთი წლის განმავლობაში მან ფიზიკურად მოამზადა სხვადასხვა ასაკის 7.000-მდე კაცი.

უნდა აღინიშნოს, რომ ებერის შეხედულებებზე დიდი გავლენა მოახდინა საზღვაო ფლოტში სამსახურმა. მას ხშირად უხდებოდა საფრანგეთის კოლონიებში მოგზაურობა (კერძოდ აფრიკაში). აქ

ებერი უკვირდებოდა აფრიკის მკვიდრთ, რომლებიც შესანიშნავად იყვნენ განვითარებული ფიზიკურად. რა თქმა უნდა, ყოველგვარი დადებითი ფიზიკური თვისებები (ძალ-ღონე, ამტანობა, სიმარდე, მოქნილობა და სხვ.) აფრიკელებს შექმნილი ჰქონდათ ყოველგვარ ტანვარჯიშულ სისტემათა გარეშე. აქედან ებერმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ სწორედ ბუნებრივი მოძრაობები უწყობენ ხელს ადამიანის იდეალურ განვითარებას.

ებერი თავის სისტემას ბუნებრივ მეთოდს უწოდებს, რადგან მას მიზანშეწონილად მიაჩნია მხოლოდ ის ვარჯიშობები, რომლებსაც ადამიანი ბუნებრივად იყენებს ყოველდღიური ცხოვრების პირობებში. იგი ილაშქრებს არაგამოყენებითი ხასიათის მოძრაობათა წინააღმდეგ, რომელთაც ადგილი აქვთ შეედურსა და გერმანულ ტანვარჯიშში.

ებერი სპორტით გატაცების წინააღმდეგია, რადგან, მისი აზრით, სპორტი თითქოს ხელს უწყობს ინდივიდუალიზმის, მედიდურობის, პროფესიონალიზმის განვითარებას. იგი ვიწრო სპეციალიზაციის წინააღმდეგია და მის ნაცვლად ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას მოითხოვს. ამ მიზნით იგი სამხედრო-გამოყენებით კომპლექსს იპლევს.

ებერის სისტემის მიხედვით ვარჯიშობები ორ ნაწილადაა დაყოფილი:

- 1) აღმზრდელითი ნაწილი და
- 2) ძირითადი ნაწილი.

აღმზრდელითი ნაწილის მიზანია ადამიანის გულმკერდის გაფართოება, ყველა კუნთისა და განსაკუთრებით მუცლის პრესის კუნთების განვითარება, ორგანიზმის ყოველგვარი ნაკლოვანებისა და აგებულების ნორმიდან გადახრის გამოსწორება (მაგ., მომრგვალო ზურგი, მოხრილი ან დაშვებული ბეჭები, ხერხემლის გამრუდება და სხვ.), ადამიანისათვის პრაქტიკულად საჭირო მოძრაობების დაუფლება და სხვ.

ძირითადი ნაწილი მიზნად ისახავს ადამიანის ყველა ფიზიკურ თვისების დამუშავებას და აღმზრდელითი ნაწილის შედეგად შექმნილ ძალ-ღონისა და მოქნილობის გამოყენებას, პრაქტიკული შედეგების მიღწევას და ყოველგვარი მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევას.

აღმზრდელითი ნაწილი შეიცავს შემდეგ ვარჯიშობებს:

ა) მკლავების, ფეხებისა და ზეტანის ელემენტარულ მოძრაობებს, რომლებიც სრულდება უიარაღოდ და იარაღებით (ჯოხები, გურზები, მცირე ორბირთულები და სხვ.);

ბ) კიღს და კიღში ხელსვლას ფეხების ნაირი მოძრაობებით, სხვადასხვა იარაღებზე;

გ) ბჯენს, წოლბჯენს და დგომბჯენს;

დ) წახტომებს ადგილიდან და ადგილზე. ცალ და ორ ფეხზე;

ე) წონასწორობას ცალ ფეხზე;

3) სუნთქვით ვარჯიშებს;

ზ) ბუნებრივ ვარჯიშებს გადასვლაში (სიარული, რბენა, ხტომა);

თ) პრაქტიკულად საჭირო ვარჯიშობებს — ცურვას, ცოცვას, სიმძიმეების აწევას, ტყორცნას, მოგერიების ხერხებს.

გამოყენებით ნაწილში შედის შემდეგი ვარჯიშობები:

ა) ბუნებრივი ვარჯიშობები გადასვლაში — სიარული, რბენა, ხტომა უფრო რთულ პირობებში (უფრო ხანგრძლივი სიარული და რბენა, უფრო ჩქარი სიარული და რბენა, იგივე დაბრკოლებებით და სხვ.);

ბ) პრაქტიკულად საჭირო ვარჯიშობები — მათი უფრო რთულ პირობებში შესრულება (მაგ., ტანსაცმელში ცურვა და სხვ.);

გ) შველაში ვარჯიშობა წყალზე და ხანძრის შემთხვევაში, „დაპრილთა“ გადატანა და სხვ.;

დ) სპორტის სახეობები, ათლეტიკური თამაშობანი და ხელგარჯილობა.

რაც შეეხება ნორმალური გაკვეთილის გეგმას, იგი ებერს დემენისაგან აქვს გადმოღებული და შვიდი სერიისაგან შედგება.

ებერის სისტემის უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს თამაშობების იგნორირება. ებერმა დაამუშავა ყოველმხრივად განვითარებული ადამიანის ნორმები.

ებერის სისტემა ამოცანად ისახავს სამხედრო-გამოყენებითი ჩვევების განვითარებას და მთლიანად გათვალისწინებულია ბურჟუაზიული არმიის ჯარისკაცთა მომზადებისათვის.

ნაციონალური სპორტული კავშირების შექმნა მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზია ფარავდა თავის სამზადისს მსოფლიო ომისათვის. ქმნიდა მრავალრიცხოვან ნაციონალურ სპორტულ ორგანიზაციებს სპორტის გავრცელების მიზნით.

სპორტული ორგანიზაციების განვითარებამ განსაკუთრებით თავი იჩინა XIX საუკუნის დამლევეს და XX საუკუნის დამდეგს. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა შეჯიბრებათა რიცხვი როგორც ცალკე ქვეყნებში, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ჩაისახა კავშირები და კლუბები სპორტის ცალკეულ სახეობებში, ნაციონალური სპორტუ-

ლი გაერთიანებები: კათოლიკური კლუბები, ქრისტიანული ახალ-გაზრდობის კავშირები და სხვ.

ამნაირად აღმოცენდა ინგლისში მრავალი სპორტული კავშირი და ლიგა. სპორტული კლუბები გაერთიანდნენ სპორტის ცალკე სახეობების მიხედვით. ამერიკის შეერთებულ შტატებში სპორტის სხვადასხვა სახეობებში აღმოცენდა ასოციაციები. გერმანიაში ჩაისახა გასამხედროებელი სპორტული ფერდინები (კავშირები) და სხვ.

განსაკუთრებული ადგილი ეკირათ მუშათა სპორტულ ორგანიზაციებს. რომლებიც აღმოცენდნენ ამ პერიოდში კაპიტალისტურ ქვეყნებში: ამ ორგანიზაციებიდან შემდეგში წარმოიშვა მუშათა საერთაშორისო სპორტული მოძრაობა.

ბურჟუაზიული სპორტის განვითარების და საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარების საქმეში დიდი როლი შეასრულა „საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა“.

საფრანგეთის სპორტულ საზოგადოებათა კავშირის ინიციატივით 1894 წელს მოწვეულ იქნა „საერთაშორისო ათლეტიკური კონგრესი“, რომელშიც 34 სახელმწიფოს წარმომადგენელი მონაწილეობდა. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება ოლიმპიურ თამაშობათა აღდგენის შესახებ. ამ ასპარეზობას საერთაშორისო ხასიათი უნდა მიეღო და კიდევაც არჩეულ იქნა „ოლიმპიურ თამაშობათა საერთაშორისო კომიტეტი“.

ოლიმპიური თამაშობების დედაზრი უდავოდ დადებითია. მასში განსახიერებელია მშვიდობისათვის ბრძოლის და ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის იდეა. მიუხედავად ამისა, სპორტის რეაქციონერი მოღვაწეები ყოველთვის ცდილობდნენ და ცდილობენ ოლიმპიური თამაშობები გამოიყენონ თავიანთი ანტიხალხური და ანტიდემოკრატიული მიზნებისათვის.

პირველ მსოფლიო ომამდე ჩატარდა ზუთი მორიგი და ერთი რიგ-გარეშე ოლიმპიადა.

პირველი ოლიმპიური თამაშობები ჩატარდა 1896 წ. ათენში. პროგრამა შეიცავდა შემდეგ სახეობებს: 1) ათლეტიკურ სპორტს --- ბადროს ტყორცნა, სიმძიმეების აწევა, მარტივი და მარათონული რბენა (მარათონიდან ათენამდე), 2) ტანვარჯიშს — ქანდერძზე, ღერძზე, რგოლებზე, ორძელზე და სხვა იარაღებზე ვარჯიშობა, 3) ფარიკაობას — რაპირით, ხმლით და ხიშტით, 4) რომაულ-ბერძნულ ჭიდაობას, 5) მიზანში სროლას, 6) აფრიან ნაევებით მარულას და ნიჩბოსნობას, 7) ველოსპორტს, 8) ცხენოსნობას (სამანეყო ცხენოსნობა, მარულა წინალობებით, ვოლტიჟირება და ცხენოსნობის უმაღლესი

სკოლა) 2) ათლექტიკურ თამაშობებს (ლაუნტენისი და კრიკეტი). მონაწილეთა რიცხვი პირველ ოლიმპიურ ასპარეზობაში 285 კაცს არ აღემატებოდა, ამასთან თითქმის ორასს ბერძნები შეადგენდნენ. შეჯიბრებებზე დასასწრებლად სხვა ქვეყნებიდან 1000-მდე მაყურებელი ჩამოვიდა.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში დაკავებული პირველი ადგილების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა: 1) აშშ (11 პირველი ადგილი), 2) საბერძნეთი (10 პირველი ადგილი), 3) გერმანია (7 პირველი ადგილი), 4) საფრანგეთი (5 პირველი ადგილი), 5) ინგლისი (3 პირველი ადგილი), 6) ავსტრალია (2 პირველი ადგილი) და ა. შ.

ტექნიკური მიღწევები კერძოდ მძლეოსნობაში ასეთი იყო:

| | | |
|--------------------------------------|--------------------|-----------|
| 100 მ რბენა | ბერკე (აშშ) | 12,0 |
| 400 " " | ბერკე (აშშ) | 54,2 |
| 800 " " | ფლეკი (ავსტრალია) | 2.11,0 |
| 1.500 " " | ფლეკი (ავსტრალია) | 4.33.2 |
| მართონული რბენა | ლუისი (საბერძნეთი) | 2:58.50,0 |
| თარჯრბენი 110 მ | კერტისი (აშშ) | 17.6 |
| ხტომა სივრძეზე გამორბენით | კლარკი (აშშ) | 6.35 |
| ხტომა სიმაღლეზე გამორბენით | კლარკი (აშშ) | 1,81 |
| სამხტომი | გონოლი (აშშ) | 13,71 |
| ჰოკით ხტომა | ხოტი (აშშ) | 3,30 |
| ბირთვის კვრა | გარეტი (აშშ) | 11.22 |
| ბადროს ტყორცნა | გარეტი (აშშ) | 29,15 |

მეორე საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობა ჩატარდა 1900 წელს პარიზში. ამ თამაშობებში 20 სახელმწიფოს 1066 სპორტსმენი მონაწილეობდა. იმავე წელს პარიზში მსოფლიო დიდი გამოფენა მოეწყო. ამ ორ მსხვილ ღონისძიებათა ერთდროულად ჩატარებამ ხელი შეუშალა ასპარეზობის ნორმალურ მსვლელობას. მეორე ოლიმპიურ თამაშობათა პროგრამაში ჩართული იყო სპორტის ახალი სახეობები — ნიჩბოსნობა, იალქანსპორტი. წყალბურთი, ფეხბურთი, რეგბი, ცხენოსნობა, გოლფი, მშვილდოსნობა. მძლეოსნობის სახეობებიდან პროგრამაში დამატებული იყო 200 მეტრზე რბენა და უროს ტყორცნა.

აღნიშნულ თამაშობებში პირველად მონაწილეობდნენ ქალი სპორტსმენები, რომელთა შეჯიბრების პროგრამა განისაზღვრებოდა გოლფითა და ჩოგბურთით.

ისევე, როგორც პირველ ოლიმპიურ თამაშობებში, აქაც ამერიკელებს მეტოქენი არა ჰყავდათ. ქვემოთ მოყვანილია შედეგები მძლეოსნობაში:

| | | |
|-----------------|------------------|--------|
| 60 მ რბენა | კრენცლეინი (აშშ) | 7,0 |
| 100 " " " | ჭერვისი (აშშ) | 10,8 |
| 200 " " " | ტიუკსბერი (აშშ) | 22,2 |
| 400 " " " | ლონგი (აშშ) | 49,4 |
| 800 " " " | ტიზოუ (ინგლისი) | 2.01,4 |
| 1500 " " " | ბენეტი (ინგლისი) | 4.06.0 |
| 110 " თარჯრბენი | კრენცლეინი (აშშ) | 15,4 |
| 200 " " " | კრენცლეინი (აშშ) | 25,4 |
| 400 " " " | ტიუკსბერი (აშშ) | 57,6 |
| ხტომა სიგრძეზე | კრენცლეინი (აშშ) | 7,185 |
| " სიმაღლეზე | ბეკსტერი (აშშ) | 1,90 |
| სამხტომი | პრინსტეინი (აშშ) | 14,44 |
| ჰოკით ხტომა | ბეკსტერი (აშშ) | 3,30 |
| ბირთვის კვრა | შელდონი (აშშ) | 14,10 |
| ბადროს ტყორცნა | ბაუერი (უნგრეთი) | 36,54 |
| უროს ტყორცნა | ფლანაგანი (აშშ) | 51,00 |

მესამე საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობანი ჩატარდა 1904 წელს სენტ-ლუისში (ამერიკის შეერთებული შტატები). დიდმა მანძილმა და სახსრების უქონლობამ ბევრ ევროპელ სპორტსმენს უარი ათქმევინა ამერიკაში გამგზავრებაზე. ამიტომაც ევროპის ხუთი ქვეყნიდან (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი და საბერძნეთი) სულ 53 სპორტსმენი მონაწილეობდა ამ ოლიმპიადაში. მონაწილეთა საერთო რიცხვი 496 კაცს შეადგენდა.

სენტ-ლუისში ოლიმპიადის ჩატარება დაემთხვა მსოფლიო გამოფენის მოწყობას იმავე ქალაქში. მოსახლეობამ თითქმის არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა ოლიმპიადისადმი და შეჯიბრებებზე 2.000-ზე მეტი მაყურებელი არ იკრიბებოდა. ასპარეზობისათვის სპეციალური სტადიონიც კი არ იყო მოწყობილი, საერთოდ, სპორტული ბაზები გაფანტული იყო ქალაქის სხვადასხვა ნაწილში და არ იყო სათანადოდ მომზადებული.

ასპარეზობის პროგრამაში ჩართული იყო მძლეოსნობა, ძალოსნობა, კრივი, თავისუფალი ჭიდაობა, ფარიკაობა, ველოსპორტი, ტანვარჯიში, მშვილდოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, ფეხბურთი, ჩოგბურთი, კალათბურთი, გოლფი, ლაქროსი და როკი.

ტექნიკური მიღწევები კერძოდ მძლეოსნობაში ასეთი იყო:

| | | |
|------------|-----------------|--------|
| 60 მ რბენა | ხანი (აშშ) | 7,0 |
| 100 " " " | ხანი (აშშ) | 11,0 |
| 200 " " " | ხანი (აშშ) | 21,6 |
| 400 " " " | ხილმენი (აშშ) | 49,2 |
| 800 " " " | ლაიტბოლდი (აშშ) | 1.56,0 |

| | | |
|---------------------------|----------------------------|-----------|
| 1500 მ რბენა | ლაიტბოლი (აშშ) | 4.05,4 |
| მართონული რბენა | ნიკსი (აშშ) | 3.28.53,0 |
| 110 მ თარჯრბენი | სკული (აშშ) | 16,0 |
| 200 " " | ხილმენი (აშშ) | 24,6 |
| 400 " " | ხილმენი (აშშ) | 53,0 |
| ხტომა სიმალლეზე | ჯონსი (აშშ) | 1,803 |
| " სიგრძეზე | პრინსტეინი (აშშ) | 7,35 |
| ჟოკით ხტომა | დვორაკი (აშშ) | 3,505 |
| სამხტომი | პრინსტეინი (აშშ) | 14,326 |
| ბირთვის კვრა | როუზი (აშშ) | 14,808 |
| ბადროს ტუორცნა | შერიდენი (აშშ) | 39,28 |
| ჟროს " | ფლენგანი (აშშ) | 51,23 |
| მრავალქიდი | კილი (ინგლისი) | 6036 ქულა |

მიღწევები ცურვაში

| | | |
|--------------------------------|--------------------------------|---------|
| 50 იარდი (45,72 მ) თავ. სტ. | ხალმანი (უნგრეთი) | 28,0 |
| 100 " (91,44 მ) " " | ხალმანი (უნგრეთი) | 1.02,8 |
| 220 " (201, 16 მ) " " | დანიელსი (აშშ) | 2.44,2 |
| 440 " (402, 32 მ) " " | დანიელსი (აშშ) | 6.16,2 |
| 1/2 ინგ. მილი (804,5 მ) " " | რაუში (გერმანია) | 13.11,4 |
| 1 ინგ. " (1609 მ) " " | რაუში (გერმანია) | 27.18,2 |
| 100 იარდი ზურგზე | ბრაკი (გერმანია) | 1.16,8 |
| 1/4 ინგ. მილი (402,25 მ) ბრასი | ზახარიასი (გერმანია) | 7.27,6 |
| ესტაფეტი 4 X 50 იარდი | აშშ-ის გუნდი | 2.04,6 |

1906 წელს პირველი ოლიმპიური ასპარეზობის ჩატარების 10 წლისთავთან დაკავშირებით ათენში მოეწყო რიგგარეშე საიუბილეო თამაშობები, რომლებშიც 22 ქვეყნის 901 სპორტსმენი მონაწილეობდა.

მეოთხე საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობანი ჩატარდა 1908 წელს ლონდონში, სადაც სამისოდ სპეციალურად ააგეს დიდი სტადიონი 100.000 მაყურებლისათვის. ყველა სპორტული ბაზა სტადიონის მახლობლად იყო განლაგებული, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა შეჯიბრებების სათანადო დონეზე ჩასატარებლად. ასპარეზობაში 2059 სპორტსმენი მონაწილეობდა 22 სახელმწიფოდან.

შეჯიბრებების პროგრამა შესამჩნევად იყო გაფართოებული და შემდეგ სახეობებს შეიცავდა: მძლეოსნობა, კრივი, თავისუფალი და კლასიკური ჰიდაობა, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ტანვარჯიში, ფარიკაობა, იალქანსპორტი, ველოსპორტი, ნიჩბოსნობა, სროლა, რეგბი, პოლო, მშვილდოსნობა, პოკი (საველე) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან პირველად მონაწილეობდა 5 სპორტსმენი. ესენი იყვნენ მოჭიდავენი — ა. პეტროვი, ნ. ორლოვი, ე. ზამოტინი, გ. დიომინი და მოციგურავე — ნ. პანინი. პანინმა ოქროს მედალი მოიპოვა. ხოლო მოჭიდავეებმა ორლოვმა (მსუბუქი წონა) და პეტროვმა (მძიმე წონა) ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, მეოთხე ოლიმპიური ასპარეზობა წარმატებით ჩატარდა და დიდი ინტერესიც გამოიწვია.

განსაკუთრებული წარმატება ინგლისელებს ხვდა წილად. ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

| | | | | | | |
|---------------|---|---|---|---|----|-------------------------------|
| 1. ინგლისი | : | : | : | : | 56 | პირველი ადგილი (ოქროს მედალი) |
| 2. ამერიკა | : | : | : | : | 22 | " " |
| 3. შვეცია | : | : | : | : | 7 | " " |
| 4. საფრანგეთი | : | : | : | : | 5 | " " |
| 5. უნგრეთი | : | : | : | : | 3 | " " |
| 6. გერმანია | : | : | : | : | 3 | " " |

მეხუთე საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობები ჩატარდა სტოკჰოლმში 1912 წელს. ამჯერად ასპარეზობაში 28 სახელმწიფოს 3.641 სპორტსმენი მონაწილეობდა. სტოკჰოლმში აგებულ იქნა სპეციალური სტადიონი, რომელიც 25.000 მაყურებელს იტევდა. პირველად ჩატარდა შეჯიბრება თანამედროვე ხუთქილში ვაეებისათვის და ცურვაში ქალებისათვის.

პირველად მონაწილეობდა რუსეთის მრავალრიცხოვანი დელეგაცია 169 კაცის რაოდენობით, მაგრამ სპორტსმენთა შერჩევა და სამზადისი ცუდად ჩატარდა. რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა ვერ მოაბა თავი საქმეს. ზაბელინი — მეხუთე ოლიმპიადის მონაწილე მიიგვიტობს: „მე და ჩემმა ოთხმა ამხანაგმა — ტანმოვარჯიშემ, შეჯიბრებამდე მხოლოდ თვენახევრით ადრე გავიგეთ, რომ მონაწილეობა უნდა მიგველო მეხუთე ოლიმპიურ თამაშობებში. ჩვენ არ ვითვლებოდით ცუდ ტანმოვარჯიშეებად, მაგრამ, თუ რატომ მაინცდამაინც ჩვენ მიგვაგლინეს ოლიმპიადაზე — ეს ჩემთვის გამოცანად დარჩა. მოსკოვში, ოდესაში, ხარკოვში და თვით პეტერბურგშიც ჩვენზე ძლიერი ტანმოვარჯიშეები მოიპოვებოდნენ“.

მეხუთე ოლიმპიადის მონაწილე ფეხბურთელი ვ. უიტარიოვი წერს: „როდესაც დაისვა საკითხი ოლიმპიადისათვის გუნდის ჩამოყალიბების შესახებ, მოსკოვსა და პეტერბურგს შორის ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა. ორივე ქალაქის ფეხბურთელთა ლიგების მეთაურები ცდილობდნენ ნაკრების შემადგენლობაში რაც შეიძლება მეტი „თავიანთი“ მოთამაშეები გაეყვანათ. შერჩევითმა მატჩებმა მოსკოვის გუნ-

დის უპირატესობა გამოავლინა, მაგრამ სპორტული ინტერესები და-
ვიწყებული იქნა და დაიწყო ნამდვილი ვაჭრობა“.

მეფის მთავრობის გულგრილობამ და უპასუხისმგებლობამ
ოლიმპიადის საქმისადმი, რა თქმა უნდა, არანაკლები გავლენა მოაზ-
ღინა ასეთ შედეგებზე.

საერთოდ კი მეხუთე ოლიმპიურ თამაშობათა ტექნიკური შედე-
გები (არა გეყავს მხედველობაში რუსეთი) მეტად მალალი აღმოჩნდა.

ტექნიკური შედეგები მძლეოსნობაში

| | | |
|------------------|---------------------------|-----------|
| 100 მ რბენა | კრეიგი (აშშ) | 10,8 |
| 200 " " | კრეიგი (აშშ) | 21,7 |
| 400 " " | რეიდატი (აშშ) | 48,2 |
| 800 " " | მერედითი (აშშ) | 1.51,9 |
| 1.500 " " | ჯეკსონი (ინგლისი) | 3.56,8 |
| 5.000 " " | კოლემზმინენი. (ფინეთი) | 14.36,6 |
| მარათონული რბენა | მაკ-არტური (სამხ. აფრიკა) | 2:36.54,8 |
| 110 მ თარჯრბენი | კელი (აშშ) | 15,1 |
| ესტაფეტი 4×100 | ინგლისის გუნდი | 42,4 |
| " " 4×400 | აშშ-ს გუნდი | 3.16.6 |
| ხტომა სიმაღლეზე | რიჩარდსი (აშშ) | 1,93 |
| " სიგრძეზე | გატერსონი (აშშ) | 7,60 |
| ქოკით ხტომა | ბებკოკი (აშშ) | 3,95 |
| სამხტომი | ლინდბლუმი (შვეცია) | 14,76 |
| ბირთვის კვრა | მაკ-დონალდი (აშშ) | 15,34 |
| ბადროს ტყორცნა | ტაიპალე (ფინეთი) | 45,21 |
| შუბის " | ლემინგი (შვეცია) | 60,64 |

ველოსპორტი:

| | | |
|----------------------------|-----------------------|------------|
| მარულა გზატკეცილზე 320 კმ. | შვეციის გუნდი | 44:35.33,6 |
| " " 300 კმ. | ლუისი (სამხრ. აფრიკა) | 10:42.39,0 |

ცურვა (ვაჟები):

| | | |
|-------------------------|------------------|---------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | კახანამოკუ (აშშ) | 1.03.4 |
| 400 " " | ხოჯსონი (კანადა) | 5.24.4 |
| 1.500 " " | ხოჯსონი (კანადა) | 22.00.0 |
| 100 " ზურგზე | ხებნერი (აშშ) | 1.21.2 |
| 200 " ბრასი | ბატე (გერმანია) | 3.01,8 |
| 400 " " | ბატე (გერმანია) | 6.29,6 |
| 4×200 თავისუფალი სტილით | ავსტრალიის გუნდი | 10.11,2 |

ც უ რ ვ ა (ქ ა ლ ე ბ ი):

100 მ თავისუფალი სტილით . . . დიურჯი (ავსტრალია) . . . 1.22,2
ესტაფეტი 4X100 ინგლისის გუნდი . . . 5.52,8

პროფესიონალიზმი
სპორტში

ახალი ისტორიის მეორე პერიოდში ბურჟუაზიის პოლიტიკა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში სულ უფრო და უფრო რეაქციული ხდება. კაპიტალისტები სპორტს იყენებენ თავისი გაძლიერების მიზნით. მიმდინარეობს სპორტის მილიტარიზაცია. ერთდროულად ვითარდება პროფესიონალიზმი სპორტში. ბურჟუაზიულ ფიზიკურ კულტურას დაეტყო რღვევის პირველი ნიშნები. უკვე XX საუკუნის დამდეგიდან ამ რღვევამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. მის ერთ-ერთ ნიშანს სწორედ პროფესიონალიზმის განვითარება წარმოადგენდა.

ბურჟუაზიული სპორტული მოძრაობა ჰყოფს სპორტსმენებს სპორტის მოყვარულებად და პროფესიონალებად. არსებული დებულებით სპორტის მოყვარულს ეკრძალება ფულის აღება შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის; მას აკრძალული აქვს პროფესიონალთა შეჯიბრებაში მონაწილეობა და ფირმებთან კონტრაქტის დადება.

პროფესიონალურ სპორტში შეჯიბრებები მთლიანად კომერციული მიზნებს ემსახურება. პროფესიონალიზმში ფართოდაა გამოყენებული სპორტსმენებით ვაჭრობა — მათი ყიდვა და გაყიდვა მოგების მიზნით. ამგვარი კომერციული წამოწყება მრავალი კაპიტალისტის გამდიდრების წყაროს წარმოადგენს.

ჩვეულებრივ პროფესიონალებს აგროვებენ მოყვარულთა წრიდან, რომლებთანაც კაპიტალისტი-წამომწყები დებს ხელშეკრულებას. პროფესიონალს კონტრაქტის დადების დროს განსაზღვრულ თანხას აძლევენ. ამით იგი უკვე ნაყიდი, ამის შემდეგ ის ფაქტიურად კაპიტალისტს ეკუთვნის. უკანასკნელს შეუძლია პროფესიონალი დიდი სარგებლით გაყიდოს — უმნიშვნელო პროცენტები მას არგუნოს და დიდი მოგება თვითონ დაიტოვოს.

პროფესიონალთა შეჯიბრებების მომწყობ კაპიტალისტს ორმაგი შემოსავალი აქვს. ბილეთების დიდ ნაწილს იგი უთმობს სპექულანტებს მეტად მაღალ ფასებში, ცალკე გადასახადს ახდევინებს ფოტორეპორტიორებსა და გაზეთების კორესპონდენტებს, რომლებიც მის მიერ მოწყობილ შეჯიბრებებს ესწრებიან. ჩაისახა მენაჯერთა ინსტიტუტი. მენაჯერიც დიდ სარგებლობას ნახულობს თავისი საქმიანობით.

ბურჟუაზიული სპორტის რღვევის ნიშნებს წარმოადგენდა

აგრეთვე სპორტში ნაციონალური ანტაგონიზმის განვითარება და ცალკეული ერების დისკრიმინაცია (ზანგები, ებრაელები და სხვ.). ბურჟუაზიული სპორტის ამ ამორალურმა განხრწნილობამ განსაკუთრებით იჩინა თავი პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

XX საუკუნის დამდეგს და განსაკუთრებით კი პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში კაპიტალისტურ ქვეყნებში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა ფიზიკური აღზრდის გასამხედროება. ყველა ქვეყანაზე მეტად ეს მოვლენა ახასიათებდა გერმანიას, სადაც ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მოსახლეობის გაძლიერებულ მილიტარიზაციას. ფიზიკური აღზრდის დაყენება სკოლებსა და ბურჟუაზიულ სპორტულ-ტანვარჯიშულ კავშირებში მიკლიანად ემსახურებოდა გერმანელ იმპერიალისტთა მტაცებლურ გეგმებს. აქ ერთობ გავრცელდა სპორტის გასამხედროეული სახეობები. დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ აღზრდას არმიაში.

ფიზიკური აღზრდის მილიტარიზაცია მიმდინარეობდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. როგორც მილიტარიზაციის საშუალებამ, სპორტმა ფართო გამოყენება ჰპოვა ამერიკის სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ხოლო სამხედრო-ფიზიკურმა მომზადებამ — არმიასა და ფლოტში.

ფიზიკური აღზრდის
ახალი ამერიკული
სისტემა

ახალი ამერიკული სისტემა არ წარმოადგენს შტატებში საყოველთაოდ მიღებულ მთლიან სისტემას. ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალი სხვადასხვა სისტემა არსებობს. ახალი ამერიკული სისტემა ჯერ შემოღებული იყო ნიუ-იორკის სკოლებში (1912 წელს), ხოლო შემდეგ გავრცელდა სხვა ადგილებშიც. ახალი სისტემით გაკვეთილს საფუძვლად უდევს არა ვარჯიშობათა ფორმა, არამედ ის შედეგი, რომელსაც გაკვეთილი იძლევა.

ახალი სისტემა შემდეგ ვარჯიშობებს შეიცავს:

1. სამხედრო ვარჯიშობები;
2. პლასტიკური, რიტმული, ნელი მოძრაობანი;
3. ვარჯიშობები, რომლებიც მოითხოვენ შესრულების სიზუსტეს;
4. რიტმული მოძრაობანი ტანისა, ფეხებისა და ზურგისათვის, ძალისმიერი ან სისწრაფეზე;

5. ბუნებრივი მოძრაობანი — მძლეოსნობა, თამაშობანი, ცეკვა;

6. სამხედრო ვარჯიშობანი.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ გაკვეთილი ამ სისტემით იწყება და ბოლოვდება სამხედრო ვარჯიშობებით, რადგან ამ სისტე-

მის ძირითადი ამოცანაა ჯარისკაცის მომზადება ბურჟუაზიული არმიისათვის.

ნილს ბუკის „ძირითადი ტანვარჯიში“

1915 წლიდან დანიაში გავრცელდა ნილს ბუკის სისტემა.

ბუკი ჯერ მასწავლებლად მუშაობდა. შემდეგ დაამთავრა კოპენჰაგენის სატანვარჯიშო ინსტიტუტი, მუშაობდა ინსპექტორად და თავისი მუშაობის შედეგად შექმნა ტანვარჯიშული სკოლა. ბუკმა დამოუკიდებლად დაამუშავა ტანვარჯიშის პირველდარწყებითი საფეხური, ანუ „ძირითადი ტანვარჯიში“ (როგორც თვითონ უწოდებდა).

თავისი სისტემის მიზნების გამორკვევის დროს ბუკი გამომდინარეობდა იმ დებულებიდან, რომ სხეულის სხვა მიზეზის (მათ შორის ყოველდღიური მძიმე შრომის) გამო ადამიანის კუნთებმა დაჰკარგეს თავისი ელასტიკურობა და მოქნილობა. ამიტომაც ადამიანს უჭირს სწრაფი და ეკონომიური მოძრაობების შესრულება. ვიდრე ადამიანი შეძლებდეს ამგვარ მოძრაობათა შესრულებას, მისთვის საჭიროა წინასწარი მომზადება. ამ მიზანს კარგად ემსახურება, ბუკის აზრით, „ძირითადი ტანვარჯიში“.

ყველა ვარჯიშობა ნილს ბუკის სისტემით 14 ჯგუფადაა დაყოფილი: 1. წყობითი ვარჯიში, 2. ქვედა კიდურების ვარჯიში, 3. მკლავების ვარჯიში, 4. კისრის ვარჯიში, 5. გვერდების კუნთების ვარჯიში, 6. წინა ნაწილის ვარჯიში, 7. ზურგის ვარჯიში, 8. ჰინული ზნექები, 9. აწევ-დაწევა, 10. წონასწორობაში ვარჯიში, 11. სიარული და რბენა, 12. ხტომა, 13. სიმარდისა და მოქნილობის განმავითარებელი ვარჯიშები, 14. თამაშობანი სიმღერით და ბავშვთა თამაშობები.

გაკვეთილი ნილს ბუკის სისტემით სამი ნაწილისაგან შედგება: 1) უიარაღო ვარჯიშობანი, 2) ვარჯიშობანი შვედურ სკამზე, ბუმზე და სხვ., 3) სიარული, ხტომა, სისხარტის განმავითარებელი ვარჯიში. გაკვეთილში მოცემულია ვარჯიშობათა დიდი რაოდენობა (40-დან 50-მდე). მათი ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ვარჯიშები სწრაფი ტემპით იქნება შესრულებული. მოვარჯიშენი შეუსვენებლივ გადადიან ერთი ვარჯიშიდან მეორეზე, ამიტომაც ბუკის სისტემით გაკვეთილის სიმჭიდროვე ერთობ დიდია. ნილს ბუკის სისტემის საბოლოო მიზანი ჯარისკაცთა გაწვრთნაა.

მუშური სპორტულ-ტანვარჯიშული ორგანიზაციების ჩასახვა

კლასთა ბრძოლის განვითარებამ და მუშათა კლასის ზრდამ გამოიწვია პოლიტიკურ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სპორტული კლუბების ჩასახვა. პირველი ინტერნაციონალის გავლენით, ჯერ კიდევ XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, და-

იწყობდა მუშათა სპორტული ორგანიზაციების დაარსება. პროლეტარი-
ატს სურდა მათი გამოყენება კლასთა ბრძოლის იარაღად. მუშათა
სპორტული ორგანიზაციები განსაკუთრებით გავრცელდა პირველი
მსოფლიო ომის წინა პერიოდში.

1850 წელს ამერიკაში ჩაისახა „სოციალისტური ტანვარჯიშული
კავშირი“. 1856 წელს გერმანიაში დაარსდა მუშათა „პოლიტექნი-
კური საზოგადოება“, რომელთანაც 1861 წელს ჩამოყალიბდა ტან-
ვარჯიშული სექცია.

1893 წელს გერმანიაში დაარსებულ იქნა „მუშათა სპორტული
კავშირი“. 1895 წელს ფინეთში ჩამოყალიბდა „სოლიდარობის კავ-
შირი“, ხოლო 1897 წელს ჩეხეთში — „მუშათა ტანვარჯიშული
კავშირი“. 1906 წელს ინგლისში დაარსდა პირველი მუშათა ველ-
ოკლუბი „კლარიანი“. XIX საუკუნის 90-იან წლებში ჩაისახა მუშათა
სპორტული მოძრაობა საფრანგეთში, ხოლო 1908 წელს იქვე დაარს-
და „მუშათა ათლეტიკური კავშირი“.

XIX საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ მუშათა მოძრაობაში
თავი იჩინა ოპორტუნიზმმა. მუშათა წრეებიდან გამოიყო მაღალ-
ხელფასიანი მუშათა არისტოკრატია. პროფკავშირებისა და სხვა
მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომელთაც მაღალი
ხელფასი ჰქონდათ, არ სურდათ თავისი მდგომარეობის შერყევა და
ამიტომ მაინცდამაინც აღარ უთანაგრძნობდნენ რევოლუციურ
მოძრაობას.

ოპორტუნიზმი განსაკუთრებით გერმანიაში განვითარდა, იგი
მუშათა სპორტულ მოძრაობაზეც გავრცელდა. სოციალ-დემოკრა-
ტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ მუშათა სპორტულ ორგა-
ნიზაციებს, სპორტის აპოლიტიკურობას ქადაგებდნენ და ცდილობდ-
ნენ რევოლუციური სულის ჩახშობას.

ყოველივე ამის შედეგად პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას
ტანვარჯიშული და სპორტული ორგანიზაციების პროგრესული ძა-
ლები დაქსაქსული აღმოჩნდა, რის შედეგადაც მან კაპიტალიზმთან
მუშათა კლასის ბრძოლის საქმეში არსებითი როლი ვეღარ შეას-
რულა.

პირველი მსოფლიო ომის წინ დაარსებულ იქნა მუშა-სპორტსმენ-
თა საერთაშორისო ამხანაგობა. 1911 წელს შეიქმნა საორგანიზაციო
კომიტეტი, რომელსაც დაევალა მუშათა სპორტული და ტანვარჯი-
შული ორგანიზაციების სპორტული ინტერნაციონალში გაერთიანების
საკითხის დამუშავება. საორგანიზაციო კომიტეტმა დაამუშავა ხსე-
ნებული საკითხი, შეადგინა მოქმედების გეგმა და განსაზღვრა კონ-

გრესის დრო და ადგილი. კონგრესი მოეწყო 1913 წელს ქ. გენტში. კონგრესის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ მისი მონაწილენი სპორტსმენები იყვნენ, რომლებიც დღისით შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, ხოლო საღამოობით თათბირს ატარებდნენ. ასე ჩამოყალიბდა მუშათა სპორტული ინტერნაციონალური კავშირი.

ამის შემდეგ ყველაფერი თითქოს ნორმალურად უნდა წარმართულიყო, მაგრამ II ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატების გამცემლური პოლიტიკა აბრკოლებდა მუშათა სპორტული ორგანიზაციების ნორმალურ განვითარებას. სოციალ-დემოკრატები ამ პერიოდში გამოდიოდნენ ბურჟუაზიის აგენტების როლში, მათი ინტერესების დამცველებად და ცდილობდნენ მოტყუებით, პროვოკაციითა და შემთხვევითი გზით ჩაეშალათ მუშათა სპორტული მოძრაობის მთლიანობა. სოციალ-დემოკრატებს სურდათ მუშათა სპორტული მოძრაობის ბურჟუაზიის ინტერესებისათვის დამორჩილება.

სოციალ-დემოკრატები ირწმუნებოდნენ, რომ, თითქოს, არსებული კაპიტალისტური წყობის ფარგლებში სავსებით შესაძლებელია მუშათა კლასის ფიზიკური გაჯანსაღება. სოციალ-დემოკრატების „მოღვაწეობამ“ ხელი შეუწყო სამეწარმო სპორტის განმტკიცებას და მუშათა სპორტული მოძრაობის დასუსტებას. სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირა ომს და ამით სავსებით გამოამყლავნა თავისი ქვეშაირი სახე. გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა მოუწოდეს მუშებს ჯაიზერის არმიის შესულიყვნენ; ინგლისის მუშათა სპორტული მოძრაობის ხელმძღვანელებმაც მიმართეს ინგლისის მუშა-სპორტსმენებს შესულიყვენ ჩარში მფრინავეებად, მოტოციკლისტებად და სხვ. ასევე მოხდა სხვა ქვეყნებშიც და გენტში ჩამოყალიბებული მუშათა საერთაშორისო სპორტული კავშირი დაიშალა.

თ ა ვ ი V

ფიზიკური კულტურისა და სპორტის უახლესი ისტორია

§ 1. ფიზიკური კულტურა კაპიტალისტურ მანუფაქტურ კირველი და მთორე მსოფლიო ომის შორის პერიოდში

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ფიზიკური აღზრდის აშკარა მილიტარიზაცია. ფიზიკური კულტურა და სპორტი ამ ქვეყნებში ფართოდ იყო გამოყენებული ახალი ომებისათვის ახალგაზრდობის მომ-

ზადების საშუალებად. ამავე დროს ბურჟუაზიული სპორტული ტანვარჯიშული მოძრაობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კლასობრივი ბრძოლებისაგან მშრომელთა მასების ჩამოშორების საქმეში.

ომის შემდეგ კაპიტალისტური ქვეყნები მიისწრაფოდნენ მსოფლიოს ხელახლა განაწილებისაკენ და, ამიტომაც პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო მეორე ომისათვის სამზადისი, რომელსაც უფრო ინტენსიურად აწარმოებდნენ ომის შედეგებით უკმაყოფილო ქვეყნები — გერმანია, შემდეგ იტალია და იაპონია. იტალიასა და იაპონიაში ომისათვის მზადება აშკარად მიმდინარეობდა, ხოლო გერმანიაში ფარულად, რადგან ვერსალის საზავო ხელშეკრულებით მას აეკრძალა დიდი არმიის ყოლა, ამიტომ გერმანელი იმპერიალისტების ყურადღება მიიპყრო სპორტული ორგანიზაციების განვითარებამ. უკვე 1932 წლისათვის გერმანიას გააჩნდა სპორტული და ტანვარჯიშული კლუბების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების ფართო ქსელი. ერთდროულად აღმოცენდა მუშათა ორგანიზაციების საგრძნობი რაოდენობა, მაგრამ მათი უმრავლესობა იმყოფებოდა სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ. ეს უკანასკნელები ახშობდნენ მუშათა კლასობრივ შეგნებას. როდესაც გერმანიაში ფაშისტური დიქტატურა დამყარდა, ყველა სპორტული ორგანიზაცია დაუმორჩილეს ეგრეთ წოდებულ „სპორტის საიმპერიო კომისარს“. მუშათა სპორტული ორგანიზაციები ფაშისტურმა მთავრობამ გარეკა, ხოლო დანარჩენ სპორტულ კავშირებსა და საზოგადოებებში დაიწყო ახალგაზრდობის აშკარა სამხედრო და ფიზიკური მომზადება.

საგრძნობლად გაძლიერდა სკოლის ახალგაზრდობის, ბავშვთა და მოზარდთა ორგანიზაციების და სტუდენტთა სამხედრო-ფიზიკური მომზადება.

ფიზიკური კულტურის ფაშისტურმა მიმდინარეობდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. ამერიკაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბურჟუაზიული ფიზკულტურის განვითარება დაეტყო აშკარად იმპერიალისტური მიმართულება. სკოლებსა და კოლეჯებში 30-მილიონამდე ახალგაზრდა გადიოდა ფიზიკურ მომზადებას, რომელსაც სამხედრო მიმართულება ჰქონდა. ამავე დროს ვითარდებოდა სკაუტთა მოძრაობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ქადაგებდნენ, რომ სპორტში ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკას და თითქოს იგი არავითარ კლასობრივ ამოცანებს არ ისახავს, მისი მიზანი, თითქოს, მთელი ამერიკელი ხალხის ფიზიკური აღზრდა და გაჯანსაღებაა. ასეთი ლოზუნგების საშუალებით ამერიკის ბურჟუაზია ცდილობს ჩა-

მოაშოროს მშრომელები კლასობრივ ამოცანებს და ჩააბას სპორტულ მოძრაობაში მილიტარიზაციის მიზნით. 1918 წლის შემდეგ ამერიკის შერეთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ მიიღო სათანადო ღონისძიებები სამხედრო სწავლების დარგში. ფართოდ იქნა გამოყენებული სპორტი ჯარისკაცთა მოსამზადებლად ომებისათვის.

ბურჟუაზიული სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობა საფრანგეთში მიმდინარეობდა სამხედრო სამინისტროს უშუალო და აქტიური მონაწილეობით. სამხედრო სამინისტრო წამყვან როლს ასრულებდა სკოლებში ფიზიკური აღზრდის, ხოლო ლიცეუმებსა და კოლეჯებში სპორტის მილიტარიზაციის საქმეში.

ხსენებულ პერიოდში კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ამერიკაში, სპორტში თავი იჩინა ინდივიდუალიზმმა, ჩემპიონობის კულტმა და პროფესიონალიზმის უკიდურესმა ფორმამ. სპორტსმენი-პროფესიონალები სპორტული მონოპოლიების ექსპლუატაციის საგანს წარმოადგენენ, ვითარდება სპორტული ბიზნესი, აუიოტაუი და სხვა მეტად უარყოფითი მოვლენები სპორტში. ამერიკაში გაძლიერდა რასიზმი და ეკლესიის გავლენა სპორტზე, გაძლიერდა აგრეთვე ბავშვთა, მოზარდთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების მოქმედება.

ამ პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნები მიისწრაფვიან ფიზკულტურული მოძრაობის ცენტრალიზაციისა და გასახელმწიფოებრიობისაკენ. ამავე დროს ძლიერდება ფიზიკური კულტურის მილიტარიზაცია.

გერმანიაში 1919 წელს მოხდა სპორტის ცალკე სახეობების მიხედვით კავშირების გაერთიანება და შეიქმნა ეგრეთ წოდებული „კავშირთა კავშირი“. შემდეგში დაარსებულ იქნა საიმპერიო კავშირი. 1930 წელს ჩამოყალიბდა სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის კომიტეტი და ბოლოს დაარსდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამინისტრო. როდესაც ძალაუფლება ჰიტლერის ხელთ აღმოჩნდა, მან დაშალა მანამდე არსებული 45 სპორტული კავშირი და მათ ნაცვლად შექმნა 15. გააუქმა სპორტის ძველი ხელმძღვანელობა და დანიშნა „სპორტის საიმპერიო კომისარი“, რომელსაც დაუმორჩილა მთელი სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობა გერმანიაში.

მეცადინეობა სპორტულ კლუბებში მთლიანად მილიტარიზებულ იქნა. სპორტული შეჯიბრებები და გამოსვლები დაუკავშირეს სროლაში შეჯიბრებებს. სასროლო სპორტში სამ მილიონამდე სპორტსმენი იყო ჩაბმული. ჰიტლერელები არ ფარავდნენ თავიანთ მიზნებს. სპორტის კომისარი გაზეთ „ფელკიშერ ბეობახტერში“ წერდა:

„სპორტს განვიხილავთ, როგორც სამხედრო მომზადების საშუალებას. მისი მთავარი განმხორციელებელი სპორტული კავშირებია“.

უკვე 1935 წლისათვის გერმანიას გააჩნდა სპორტულ მოედნებსა და დარბაზებში მომზადებული 5-მილიონიანი არმია.

საფრანგეთში 1934 წელს დაარსდა ფიზიკური აღზრდის უმაღლესი საბჭო, ხოლო 1936 წელს ჩამოყალიბდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სამდივნო.

იტალიაში 1923 წლიდან იწყება ნებაყოფლობითი ორგანიზაციების უნიფიკაცია. ბევრთა, მოზარდთა და ახალგაზრდული ორგანიზაციები ღებულობდნენ მილიტარიზებულ წყობილებას. ბავშვები 6—8 წლამდე გაერთიანებული იყვნენ ორგანიზაციაში, რომელსაც „მგლის ვაჟებს“ უწოდებდნენ. 8-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვების ორგანიზაციას ეწოდებოდა „ბალია“. 14—18 წლის ყმაწვილები გაერთიანებული იყვნენ ორგანიზაციაში „აენგარდის“ სახელწოდებით, ხოლო ვაჟები 18-დან 21 წლამდე — „საბრძოლო კავშირში“, რომელიც იმყოფებოდა იტალიელი ფაშისტების მეთაურის—მუსოლინის უშუალო კონტროლის ქვეშ. ფაშისტური იტალიის სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობა მუდამ უწევდა სამსახურს იტალიის იმპერიალისტთა მტაცებლურ პოლიტიკას. ახალგაზრდობას იტალიაში აგონებდნენ „რომის დიდი იმპერიის“ აღდგენის იდეა და სხვ.

ხსენებულ პერიოდში ბურჟუაზიულ ქვეყნებში შემოღებულ იქნა ეგრეთ წოდებული საყოველთაო სასპორტო ბეგარა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის სამხედრო მომზადება. 1924 წლიდან სასპორტო ბეგარა შემოღებული იყო უნგრეთში, ხოლო 1934 წლიდან—რუმინეთში. ამავე წლიდან შემოღებულ იქნა სასპორტო ბეგარა იუგოსლავიაში, სადაც ბეგარისაგან თავის არიდებისათვის შემოღებული იყო სასჯელი. თუმცა საფრანგეთში სასპორტო ბეგარა არ არსებობდა, მაგრამ მრავალ სკოლასთან შექმნილი იყო სამხედრო-სასროლო ორგანიზაციები, რომელთაც 2.000 ოფიცერი ხელმძღვანელობდა.

სახელმწიფოთა მეორე ჯგუფი აერთებდა სპორტულ და შრომით ბეგარას. ამერიკაში არ არსებობდა შრომითი ბეგარა, მაგრამ იქ ჩამოყალიბებული იყო შრომითი არმია 225.000 კაცის რაოდენობით, რომლებიც სამხედრო ნაგებობებს აწენებდნენ. ამ სამუშაოებს 5400 ოფიცერი ხელმძღვანელობდა. გერმანიაში შემოღებული იყო სამხედრო-შრომითი ბეგარა; საამისოდ არსებობდა სათანადო ბანაკები. აქ, გარდა სპორტისა, გადიოდნენ სამხედრო-სამწყობრო მომზადებას, მუშაობდნენ სამხედრო-სტრატეგიულ ნაგებობებზე, სწავ-

ლობდნენ სამხედრო-სასროლო საქმეს და ა. შ. შრომითი ბეგარა გერმანიაში ქალებსაც ეხებოდათ, ისინი ბანაკებში მომსახურებას უწევდნენ მამაკაცებს (სარეცხის რეცხვა, დალაგება, სადილის და საუზმის მომზადება და სხვ.).

იაპონიაში არსებობდა ახალგაზრდული კავშირი (13-21 წ.), რომელიც 2 მილიონ 700 ათასი წევრი ირიცხებოდა. ამ ორგანიზაციის მიზანი იყო ახალგაზრდობის სამხედრო სულისკვეთებით აღზრდა და მათში შოვინიზმის გავლევება. ახალგაზრდობას აგონებდნენ, რომ მოქალაქე ეკუთვნის სახელმწიფოს და რომ იმპერატორი ხელუხლებელი პიროვნებაა. ახალგაზრდობას უნერგავდნენ სამურაების იდეებს და სხვ. საერთოდ, იაპონიაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოსახლეობის გასამხედროებას დიდი ყურადღება ექცეოდა და სპორტმა აქ დიდი გავრცელება ჰპოვა.

XX საუკუნის 30-იან წლებში იაპონიაში ექვსი მილიონი სპორტსმენი ირიცხებოდა. სპორტის კლასიკურ სახეობებთან ერთად აქ ფართოდ იყენებდნენ სპორტის ხალხურ სახეობებს—მშვილდოსნობას, ხმლებით ფარიკაობას, კიდაობას („ორსუმი“), „ძიუ-დოს“ და სხვ.

იაპონიის სკოლებში ტარდებოდა წვევამდელთა მომზადება. კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე სასროლო სპორტს. სწრაფად ვითარდებოდა სპორტის მექანიზებული სახეობები — ავიო- და საპარაშუტო სპორტი, ავტო-მოტო საქმე, ველოსპორტი და ა. შ.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ დიდი გავლენა მოახდინა მთელ მსოფლიოს მუშათა კლასზე. მან დიდად შეუწყო ხელი მუშათა კლასის გარეგოლუციურებას მთელ კაპიტალისტურ სამყაროში. მუშათა სპორტულ მოძრაობაში ჩაისახა შემარცხენე რევოლუციური ფრთა. ეს გარემოება არ იყო ხელსაყრელი მუშათა ფიზკულტურული მოძრაობის სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობისათვის, რომელიც კაპიტალიზმის სოციალიზმში გადაზრდის შესახებ ჭადაგებდა.

1920 წლის სექტემბერში ქ. ლუცერნში (შვეიცარია) შედგა მუშათა სპორტის ოპორტუნისტული გაერთიანების დამფუძნებელი კონგრესი. შემდეგში ამ გაერთიანებას „ლუცერნის სპორტული ინტერნაციონალი“ ეწოდა. ამ გაერთიანების შექმნა ნიშნავდა ომამდე არსებულ მუშათა რეფორმისტული სპორტული ინტერნაციონალის აღდგენას, რადგან მისი ხასიათი არ შეცვლილა. თუმცა, მართალია, „ლუცერნის სპორტული ინტერნაციონალის“ დეკლარაციაში ნათქვამი იყო, რომ იგი იბრძოლებდა კაპიტალიზმის, ნაციონალიზმის და

პილიტარიზმის წინააღმდეგ და მოუწოდებდა მთელი ქვეყნის მუშა-სპორტსმენებს შეერთებისაკენ, მაგრამ სხენებული სპორტული ინ-ტერნაციონალის ბელადების სიტყვა სრულებით არ შეეფერებოდა მათ მოქმედებას—საკმარისია გავიხსენოთ ლუცერნის კონგრესის დადგენილება იმის შესახებ, რომ არ მიეღოთ ლუცერნის სპორტინ-ტერნის რიგებში საბჭოთა კავშირის სპორტული ორგანიზაციები.

1921 წლის 22 ივლისს მოსკოვში შედგა „წითელი სპორტული ინ-ტერნაციონალის“ დამფუძნებელი კონგრესი. „წითელმა სპორტულმა ინტერნაციონალმა“ შემდეგი ამოცანები დაისახა: ყველა იმ მუშურ-გლეხური სატანვარჯიშო და სპორტული ორგანიზაციის გაერთიანება, რომლებიც პროლეტარულ კლასობრივ პლატფორმაზე იდგნენ; ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასების შეკავშირება. იდეოლო-გიური და ფიზიკური აღზრდის მიზნით; პროლეტარული სპორტის საერთაშორისო მთლიანობის დამყარება.

„წითელი სპორტული ინტერნაციონალის“ პირველი კონგრესის შემდეგ „ლუცერნის სპორტული ინტერნაციონალის“ რიგებში ჩაისა-ხა თანამგრძობთა ჯგუფები, რომლებიც იზიარებდნენ „წითელი სპორტინტერნის“ პროგრამას. მეორე კონგრესის შემდეგ „წითელი სპორტული ინტერნაციონალი“ აერთიანებდა საბჭოთა კავშირის, ჩე-ხოსლოვაკიის, საფრანგეთის, იტალიის, ესტონეთის სექციებს, ხოლო თანამგრძობთა ჯგუფები დაარსდა გერმანიაში, ფინეთში, ელზას-ლოტარინგიასა და შვეიცარიაში. გარდა ამისა, შვეიცასა და ნორვე-გიაში ბურჟუაზიული სპორტული მოძრაობის რიგებში შექმნილი იყო პროლეტარული ოპოზიცია, დამოუკიდებელი მუშათა სპორტუ-ლი გაერთიანების შექმნის მიზნით. „წითელმა სპორტულმა ინტერ-ნაციონალმა“ შემდეგში კავშირი დაამყარა აგრეთვე სხვა ქვეყნების მუშათა სპორტულ ორგანიზაციებთან. იგი თავგამოდებით იბრძოდა პროლეტარული სპორტული მოძრაობის მთლიანობისათვის.

რათა ჩაეშალა სპორტულ მოძრაობაში მთლიანი პროლეტარული ფრონტის განხორციელება, „ლუცერნის სპორტული ინტერნაციონ-ალის“ ხელმძღვანელობამ უარყო „წითელი სპორტული ინტერნაციო-ნალის“ წინადადება ფრანკფურტის ოლიმპიადის ერთად ჩატარების შესახებ და აუკრძალა „წითელი სპორტინტერნის“ სექციებს ოლიმ-პიადაში მონაწილეობა. მაგრამ „წითელმა სპორტინტერნმა“ „ლუ-ცერნის სპორტინტერნის“ ბელადთა სურვილის გარეშე გაგზავნა ფრანკფურტში თავისი დელეგაცია, რომელიც აღტაცებით მიიღეს „ლუცერნის სპორტინტერნის“ რიგითმა წევრებმა. ეს ფაქტი გვარ-წმუნებს იმაში, თუ რამდენად დიდი იყო უფსკრული „ლუცერნის

სპორტინტერნის“ რიგითს წევრებსა და მათ ბელადებს შორის საერთოდ, და კერძოდ, მთლიანი ფრონტის საკითხში.

„ლუცერნის სპორტინტერნის“ პარიზის კონგრესზე რეფორმისტულმა ლიდერებმა ვერ გაბედეს მასების სურვილის წინააღმდეგ გალაშქრება და იძულებული გახდნენ დაეშვათ „წითელი სპორტინტერნის“ დელეგატები, რომელთა წარმომადგენელს 30 წუთი დაეთმო წინადადების გამოსაქვეყნებლად ორივე „სპორტული ინტერნაციონალის“ გაერთიანების შესახებ.

„წითელმა სპორტულმა ინტერნაციონალმა“ ოთხი მოთხოვნა წამოაყენა: 1) „წითელი სპორტინტერნის“ წარმომადგენელთა დაშვება პარიზის კონგრესზე; 2) ორივე „ინტერნაციონალის“ კონგრესის მოწვევა საერთაშორისო მუშათა სპორტული მოძრაობის გაერთიანების საკითხის განსახორციელებლად; 3) ორივე „ინტერნაციონალის“ თანამშრომლობის დამყარება და 4) „ლუცერნის სპორტინტერნის“ მეორე ინტერნაციონალთან ოფიციალური შეერთების უარყოფა.

„ლუცერნის სპორტინტერნის“ უმრავლესობამ ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ „წითელი სპორტინტერნის“ გავლენით პარიზის კონგრესს ბევრი დადებითი შედეგი მოჰყვა. ასე, მაგ., „წითელი სპორტინტერნის“ დელეგაცია კონგრესზე დაუშვეს და მისი წინადადება ყურადღების ცენტრში იყო, „ლუცერნის სპორტინტერნის“ ფორმალური შეერთება მეორე ინტერნაციონალთან უარყოფილ იქნა, კონგრესმა გადაწყვიტა ორივე „სპორტინტერნის“ ურთიერთშეჭიბრებათა დაშვება.

„ლუცერნის სპორტინტერნის“ ჰელსინგფორსის კონგრესზე 1927 წელს „წითელი სპორტინტერნის“ აღმასკომმა კიდევ შეიტანა წინადადება პროლეტარული სპორტული ორგანიზაციების და ორივე „ინტერნაციონალის“ გაერთიანების შესახებ. ეს გაერთიანება უნდა მომხდარიყო შემდეგ პირობებზე:

ა) პროლეტარული სპორტის გაერთიანებულ ინტერნაციონალს უნდა ემუშავა ბურჟუაზიის წინააღმდეგ გადამწყვეტი კლასობრივი ბრძოლის პრინციპების საფუძველზე;

ბ) გაერთიანებულ ინტერნაციონალს გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ეწარმოებია ბურჟუაზიული სპორტული მოძრაობის წინააღმდეგ;

გ) გაერთიანებულ ინტერნაციონალს გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ეწარმოებია მილიტარიზმის, იმპერიალისტური ომების, რეაქციისა და ფაშისტური ორგანიზაციების წინააღმდეგ;

დ) გაერთიანებული ინტერნაციონალი ორგანიზაციულად არც ერთ პოლიტიკურ და პროფკავშირულ ინტერნაციონალს არ უერთ-

დება და მუშაობა უნდა წარემართა სხვადასხვა პროლეტარულ ორგანიზაციებთან კონტაქტში;

ე) გაერთიანებულ კონგრესზე უნდა აერჩიათ ინტერნაციონალის ხელმძღვანელი ორგანო (აღმასრულებელი კომიტეტი).

ამ დროს იმპერიალისტური ბურჟუაზია კბილებს იღესავდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამზადებდა თავდასხმას. საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია უკვე სავსებით შეეზარდა კაპიტალიზმს და აქტიურად მონაწილეობდა ახალი იმპერიალისტური ომისათვის სამზადისში.

ჰელსინგფორსის კონგრესმა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენელი, უარყო „წითელი სპორტული ინტერნაციონალის“ წინადადება და „ლუცერნის სპორტული ინტერნაციონალის“ ბელადების მონაწილეობით დაადგინა „წითელი სპორტინტერნის“ აღმასკომთან კავშირის გაწყვეტა, საბჭოთა კავშირისათვის სპორტის დარგში ბლოკადის გამოცხადება და მოსკოვის 1928 წლის სპარტაკიადაში „ლუცერნის სპორტინტერნის“ წევრთათვის მონაწილეობის აკრძალვა. მაგრამ ამ გადაწყვეტილებებმა დიდი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია („ლუცერნის სპორტინტერნის“ წევრთა რიგებში და მათ კიდევ უფრო ენერგიულად მოითხოვეს სსრ კავშირთან მტკიცე კავშირის დამყარება.

მიუხედავად აკრძალვისა, მოსკოვში მოწვეულ სპარტაკიადაში მონაწილეობდა 600-ზე მეტი საზღვარგარეთელი პროლეტარული სპორტსმენი, რომელთა შორის იმყოფებოდნენ „ლუცერნის“ მრავალი წარმომადგენელი გერმანიიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ესტონეთიდან, ლატვიიდან, ავსტრიიდან, შვეიცარიიდან, ინგლისიდან. მოსკოვის სპარტაკიადა ჩატარდა, როგორც მუშათა საერთაშორისო სპორტული ერთიანობის ნამდვილი დღესასწაული.

„ლუცერნის სპორტინტერნის“ ბელადები ცდილობდნენ განხეთქილების გაღრმავებას, მათ სურდათ პროლეტარული სპორტის კლასობრივი ხასიათის სრული ლიკვიდაცია. მაგრამ ამავე დროს იზრდებოდა დამოუკიდებელი რევოლუციური მუშათა სპორტული მოძრაობა, იზრდებოდა „ლუცერნის სპორტინტერნის“ რიგებში პროლეტარულ სპორტსმენტთა წინააღმდეგობა ბელადების გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ.

1928—1929 წლებში გერმანიის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიისა და შვეიცარიის „ლუცერნის“ ორგანიზაციებიდან ასობით და ათასობით წევრი გაირიცხა მოსკოვის სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის და საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის სურვილის გამოთქმისათვის. მაგრამ „ლუცერნის სპორტინტერნი“ არ დაკმა-

ყოფილდა თავის რიგებში განხეთქილების გამოწვევით, მან „წითელ სპორტინტერნის“ რიგებშიც მოინდომა განხეთქილების შეტანა.

1929 წლის ივნისში შედგა „წითელი სპორტული ინტერნაციონალის“ მეხუთე პლენუმი, რომელმაც განიხილა „ლუცერნის სპორტინტერნის“ ბელადების უღირსი მოქმედება, მიმართული „წითელი სპორტინტერნის“ მთლიანობის წინააღმდეგ. მიუხედავად „ლუცერნის სპორტინტერნის“ ხელმძღვანელთა განზრახვებისა, „წითელი სპორტინტერნი“ კიდევ უფრო გაძლიერდა და სხვადასხვა ქვეყნებში მისი ახალი სექციები ჩამოყალიბდა.

1929 წლის ოქტომბერში ქ. პრალაში „ლუცერნის სპორტინტერნის“ მეხუთე კონგრესი შედგა. „მთლიანობის ნაცვლად — განხეთქილება, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად — სასტიკი ბრძოლა რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის ბლოკადის შეწყვეტის ნაცვლად — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციის მომზადებაში მონაწილეობა, ბოროტი გამყვამლური პოლიტიკის გაგრძელება მუშათა სპორტული მოძრაობის წინააღმდეგ — ასეთი იყო პოლიტიკური ხაზი, ასეთი იყო „ლუცერნის სპორტინტერნის“ მეხუთე კონგრესის შედეგები“¹.

ეკონომიური კრიზისის განვითარებასთან დაკავშირებით ბურჟუაზიულ და პროლეტარულ სპორტულ მოძრაობათა შორის არსებული წინააღმდეგობა კიდევ უფრო გამწვავდა.

როგორც ბურჟუაზიული, ისე რეფორმისტული სპორტული მოძრაობა ცდილობდა მილიტარისტული და კონტრრევოლუციური ძალების მომზადებას მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად.

თავის ორგანიზაციათა პოპულარიზაციის მიზნით ორივე ეს სპორტული მოძრაობა მართავდა საერთაშორისო ოლიმპიადებს. ასე, მაგალითად, 1931 წელს რეფორმისტებმა მოაწყეს საერთაშორისო ოლიმპიადა ვენაში, რომელიც მეორე ინტერნაციონალის კონგრესს მიუძღვნეს. ხოლო 1932 წელს ლოს-ანჯელოსში შედგა ბურჟუაზიული ოლიმპიადა.

იმავე დროს, როდესაც რეფორმისტებმა გადაწყვიტეს თავისი ოლიმპიადის ჩატარება ვენაში, „წითელმა სპორტინტერნმა“ თავისი არსებობის 10 წლისთავთან დაკავშირებით დაადგინა საერთაშორისო სპარტაკიადის მოწყობა ბერლინში. სპარტაკიადის მიზანი იყო რევოლუციური სპორტის საერთაშორისო ძალების დემონსტრაცია და

¹ „წითელი სპორტული ინტერნაციონალის“ ათი წლისთავი. თეზისები.

ფაშისტური და რეფორმისტული სპორტის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლა.

ვენაში ჩატარებულ ოლიმპიადას გულმოდგინედ მფარველობდა ფაშისტური პოლიცია. ბურჟუაზიულმა მთავრობამ თავაზიანად დაუთმო რეფორმისტულ ოლიმპიადას თავისი სპორტული ბაზები და ყველა საშუალება, დაუბრკოლებლად მისცა ვიზები მონაწილეებს და ყოველმხრივი დახმარება გაუწია „ლუცერნის სპორტინტერნის“ ხელმძღვანელებს ოლიმპიადის მოწყობაში.

პირიქით, ხელის შეშლით და დევნით უპასუხა გერმანიის მთავრობამ „წითელი სპორტინტერნის“ მიერ განზრახულ სპარტაკიადას, რომელიც აიკრძალა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის, სოციალ-დემოკრატის ზევერინგის მიერ.

დიდი იყო მუშა-სპორტსმენთა ყურადღება ბერლინის სპარტაკიადისადმი. სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად 110 ათასი კაცი ჩაეწერა. ბერლინის მუშები აღფრთოვანებით ეგებებოდნენ მონაწილეთ და დაამზადეს ბინები 80 ათასი სტუმრისათვის, მაგრამ მთავრობის განკარგულებით მონაწილეებს აეკრძალათ გერმანიაში ჩასვლა. მიუხედავად ამისა, მრავალრიცხოვანი დელეგაციები სხვადასხვა გზით და საშუალებით მაინც ჩავიდნენ გერმანიაში. სპარტაკიადა ორჯერ აიკრძალა, მაგრამ იგი მაინც ჩატარდა ცალკე შეჯიბრებათა სახით. პასუხად იმპერიალისტები აპატიმრებდნენ იმ პირთ, რომელთაც მკერდზე სპარტაკიადის ნიშანს უნახავდნენ.

1931 წელს ბერლინში შედგა „წითელი სპორტინტერნის“ მეხუთე პლენუმი. მან შეაჯამა 10 წლის მანძილზე ჩატარებული ბრძოლის შედეგები, აღნიშნა „წითელი სპორტინტერნის“ ზრდა-გაძლიერება. მაგრამ ამავე დროს აღინიშნა, რომ მას მთლიანად არ გამოუყენებია ის საშუალებანი, რომლებიც ერთი მხრივ შექმნილი იყო კაპიტალიზმის კრიზისით და მეორე მხრივ მასების გამარცხნები. პლენუმმა განიხილა კულტურულ-აღმზრდელიობითი და ტექნიკურ-მეთოდური საკითხები, დასახა მუშათა მასობრივ სპორტკავშირებად წითელი სპორტორგანიზაციების გარდაქმნის გზები.

1934 წელს პარიზში შედგა მუშა-სპორტსმენების ინტერნაციონალური შეკრება. მუშათა სპორტულმა ორგანიზაციებმა შეიგნეს ინტერვენციის და რეაქციის წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობა. მოხდა საფრანგეთის „წითელი სპორტინტერნაციონალისა“ და „ლუცერნის სპორტინტერნაციონალის“ სექციების გაერთიანება. ასეთივე გაერთიანება მოხდა 1935 წელს ელზას-ლოტარინგიაში.

„წითელმა სპორტინტერნამ“ გამოუშვა მოწოდება მთელი მსოფლიოს სპორტსმენებისადმი რეაქციისა და ინტერვენციის წინააღ-

დეგ მთლიანი ფრონტის განხორციელების შესახებ. ჩამოყალიბდა მთლიანი სახალხო ფრონტი ნორვეგიაში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში. 1

1937 წელს ანტვერპენში ჩატარებულმა მუშათა მესამე ოლიმპიადაში კიდევ უფრო განამტკიცა მთლიანი ფრონტი. მეორე მსოფლიო ომის წინ მუშათა სპორტულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააძლიერეს თავისი მოღვაწეობა. რიცხობრივ ზრდასთან ერთად იზრდებოდა მუშა-სპორტსმენთა სპორტულ-ტექნიკური მიღწევები.

კომინტერნის მოღვაწეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით, თავისი მოქმედება შეწყვიტა „წითელმა სპორტინტერნამაც“. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ მუშათა სპორტულ ინტერნაციონალს, იგი დაიშალა მეორე მსოფლიო ომის წლებში. მუშა-სპორტსმენებმა საბოლოოდ დაკარგეს სოციალ-გამცემლებისადმი ნდობა. მუშათა სპორტულ მოძრაობას კაპიტალისტურ ქვეყნებში ახლა ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიები.

| | |
|--|--|
| <p>პროფესიონალიზმის შემდგომი განვითარება ბურჟუაზიულ სპორტულ მოძრაობაში</p> | <p>სენებულ პერიოდში მეტად განვითარდა პროფესიონალიზმი ბურჟუაზიულ სპორტულ მოძრაობაში. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა იგი ამერიკაში. პროფესიონალიზმმა სპორტსმენები ბურჟუაზიული სპორტული მონოპოლიების ექსპლუატაციის საგნად აქცია.</p> |
|--|--|

პროფესიონალურ სპორტს წმინდა კომერციული ხასიათი აქვს. მენაჯერი ხელშეკრულებას დებს ცოტად თუ ბევრად გამოჩენილ მოკრივესთან. მას შეახვედრებენ რომელიმე პროფესიონალ მოკრივეს. პირველი ოთხრაუნდიანი ბრძოლისათვის (თითო 3—3 წუთი) მოწვეულ მოკრივეს ეძლევა 25 დოლარი შედეგის მიუხედავად. მოგების შემთხვევაში, იმართება ექვსრაუნდიანი ბრძოლა (ისევ 3—3 წუთი) და ამჟერად მოწვეულ მოკრივეს 50 დოლარი ეძლევა და ა. შ. ასეთი გზით, თანდათან, ჩაითრევენ მოყვარულ სპორტსმენს და იგი მალე პროფესიონალი ხდება.

პროფესიონალის ხელფასი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად განთქმულია იგი. ეგრეთ წოდებული „ვარსკვლავებისა“ და ჩემპიონების ხელფასი დამოკიდებულია შემოსავალზე.

პროფესიონალ-მოკრივეთა რეზერვს მოყვარული მოკრივეები წარმოადგენენ. მოყვარულ-მოკრივეთა ბრძოლა 3 რაუნდი გრძელდება თითო 3—3 წუთი. ერთი დღის განმავლობაში დაშვებულია სამ მოწინააღმდეგესთან შეხვედრა. ამერიკის პირველობაზე შეჯიბრება მოყვარულთა შორის არ ტარდება. მხოლოდ დროგამოშვებით იმართება ეგრეთ წოდებული „ოქროს ხელთათმანების“ გათამაშება.

წერთნისათვის მოკრივენი ქირას იხდიან. მარტო „ვარსკვლავებს“ აქვთ საშუალება იქონიონ საკუთარი რინგი. როდესაც ატარებენ შეჯიბრებას, ჩვეულებრივ გამოყავთ ერთი წყვილი დახელოვნებული და რამდენიმე წყვილი საშუალო კვალიფიკაციის მოკრივეები.

პროფესიონალიზმი განვითარებულია სპორტის სხვა სახეობებშიც.

ბურჟუაზიული სპორტის სამარცხვინო მოვლენას წარმოადგენს არასრულწლოვანთა გამოყენება პროფესიონალურ სპორტში. ეს მოვლენა არაფრით არ განსხვავდება ბავშვთა ექსპლუატაციისაგან, რომელსაც ადგილი აქვს კაპიტალისტურ წარმოებაში.

ინგლისშიც საკმაოდ განვითარდა პროფესიონალიზმი. აქ ეწყობოდა ტოტალიზატორი ფეხბურთში. ჩაისახა სპეციალური კომპანიები, რომლებიც, სარგებლობენ რა მყუერებელთა აზარტით, აწყობენ სხადასხვაგვარ კომერციულ კომბინაციებს. ინგლისში არსებობდა სპეციალური კონტორები, რომლებიც აწყობდნენ თავისებურ ფულად სააზარტო თამაშს. ფეხბურთის მატჩის წინ, ერთი დღით ადრე, ფულად თამაშში მონაწილენი კონტორაში გზავნიდნენ დადგენილ თანხას (იგი შედარებით მცირეა) და ღია ბარათს, რომელშიც წინასწარ აღნიშნული უნდა ყოფილიყო მატჩის შედეგი — საერთო და აგრეთვე ტაიმების მიხედვით. იმ პირს, რომლის წინასწარ ნაჩვენები შედეგი დაემთხვეოდა მატჩის ფაქტიურ შედეგს, კონტორიდან მიეცემოდა განსაზღვრული პროცენტი სერთო თანხიდან.

საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობები პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში

უკანასკნელი საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობანი პირველი მსოფლიო ომის წინ (რიგით მეხუთე) ჩატარდა 1912 წელს სტოკჰოლმში. შემდეგი მორიგი VI ოლიმპიური ასპარეზობა უნდა ჩატარებულიყო 1916 წელს ბერლინში, მაგრამ ამას ხელი შეუშალა 1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა. სტოკჰოლმის ოლიმპიადის შემდეგ ევროპაში და საერთოდ მსოფლიოში დიდ ცვლილებები მოხდა. რუსეთში დამხობილ იქნა ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლება და პირველად კაცობრიობის ისტორიაში დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. ევროპაში აღმოცენდა ახალი სახელმწიფოები — ავსტრია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია და სხვ. კაპიტალისტები ვერ ურიგდებოდნენ პირველი სოციალისტური რესპუბლიკის დაარსებას და არ ცნობდნენ მას. ამიტომაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა არ მიიწვია საბჭოთა სპორტული ორგანიზაციები მორიგ VII ოლიმპიურ ასპარეზობაზე, რომე-

ლიც მოეწყო 1920 წელს ქ. ანტვერპენში (ბელგია). ამ თამაშობებზე არ იყვნენ მიწვეული აგრეთვე ომში დამარცხებული სახელმწიფოების სპორტსმენები (გერმანია და მისი მოკავშირენი).

ანტვერპენის ოლიმპიადაზე, პირველად ოლიმპიური ასპარეზობის ისტორიაში, აფრიალდა ალამი ხუთი გადახსართული რგოლით — სიმბოლო ხუთივე მატერიკის სპორტსმენთა მქიდრო კავშირისა და მეგობრობისა.

ანტვერპენის ოლიმპიადაში მსოფლიოს 29 ქვეყნის 2606 სპორტსმენი მონაწილეობდა. ასპარეზობის პროგრამა შეიცავდა მძლეოსნობას, ცურვას, წყალში ხტომას, ველოსპორტს, ტანვარჯიშს, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობას, კრიკს, სიმძიმეების აწევას, ფარიკაობას, წყალბურთს. აკადემიურ ნიჩბოსნობას, ჩოგბურთს, რეგბის, თანამედროვე ხუთჭიდს, საცხენოსნო სპორტს. მშვილდოსნობას, პოკეის (მინდორზე და ყინულზე), ფიგურულ სრიალს ციგურებით, ცხენბურთს (პოლო). თოკის მიმოჭიმვას.

ქალთა შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა მშვილდოსნობა, ცურვა, წყალში ხტომა, ჩოგბურთი, ფიგურული სრიალი ციგურებით. მძლეოსნობასა და ცურვაში ყველაზე უკეთეს შედეგებს ამერიკელმა სპორტსმენებმა მიაღწიეს. კარგი სპორტული მაჩვენებლები ჰქონდათ ფინელებსაც. განსაკუთრებით თავი ისახელა ფინელმა მორბენალმა პაავო ნურმიმ, რომელმაც 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში (იგი არაოფიციალურად წარმოებს) პირველ ადგილზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი, მეორეზე — შვეციის, მესამეზე — ინგლისის, მეოთხე ადგილზე ფინეთის გუნდი.

აქვე მოვიყვანთ ტექნიკურ მიღწევებს სპორტის ზოგიერთ სახეობაში:

მ ძ ლ ე ო ს ნ ო ბ ა

| | | | | |
|-----------------|-----------|-----------------------|-----------|-----------|
| 100 მ რბენა | | პედოკი (აშშ) | | 10.8 |
| 200 „ „ | | ვუდრინგი (აშშ) | | 22.0 |
| 400 „ „ | | რუდი (ს. აფრ. კავ.) | | 49,6 |
| 800 „ „ | | ხილი (ინგლისი) | | 1.53.4 |
| 1.500 „ „ | | ხილი (ინგლისი) | | 4.01.8 |
| 5.000 „ „ | | ვილემო (საფრანგეთი) | | 14.55,6 |
| 10.000 „ „ | | ნურმი (ფინეთი) | | 31.45.9 |
| მარათონული „ | | კოლენმაინენი (ფინეთი) | | 2:32.35,8 |
| თარჯრბენი 110 მ | | ტომპსონი (კანადა) | | 14,8 |
| თარჯრბენი 400 „ | | ლუმისი (აშშ) | | 54.0 |
| კროსი 10.000 „ | | ნურმი (ფინეთი) | | 27.15,0 |

| | | |
|-----------------|---------------------|---------|
| ესტაფეტი 4×100 | აშშ გუნდი | 42.2 |
| „ 4×400 | ინგლისის გუნდი | 3.22,2 |
| სიარული 10 კმ | ფრიგერიო (იტალია) | 48.06,2 |
| ხტომა სიმაღლეზე | ლენდონი (აშშ) | 1.935 |
| „ სიგრძეზე | პეტერსონი (შვეცია) | 7.15 |
| კოკით ხტომა | ფოსი (აშშ) | 3,80 |
| სამხტომი | ტუულოსი (ფინეთი) | 14,505 |
| ბადროს ტყორცნა | ნიკლანდერი (ფინეთი) | 44,685 |
| შუბის | მიურია (ფინეთი) | 65.78 |
| ბირთვის კვრა | პერხელი (ფინეთი) | 14,81 |
| უროს ტყორცნა | რაიენი (აშშ) | 52,875 |
| ათქილი | ლევლანდი (ნორვეგია) | 6804.35 |

ძ ა ლ ო ს ნ ო ბ ა

| | | |
|-----------------------|---------------------|---------|
| ნახევრად მსუბუქი წონა | დე ხაესი (ბელგია) | 220 კგ |
| მსუბუქი | ნეილანდი (ესტონეთი) | 257,5 „ |
| ნახევრად საშუალო | ჰანსი (საფრანგეთი) | 245 „ |
| საშუალო | კადინი (საფრანგეთი) | 290 „ |
| მძიმე | ბოტინო (იტალია) | 270 „ |

ვ ე ლ ო ს კ ო რ ტ ი

| | | |
|--------------------------|-------------------------|------------|
| მარულა ტანდემებით 2000 მ | რაიენი და ლანსი (ინგლ.) | 2.49.4 |
| „ დევნით 4.000 | იტალიის გუნდი | 5.20.0 |
| „ 50 კმ | ჟორჟი (ბელგია) | 1:16.43,2 |
| „ გზატკეცილზე 175 კმ | საფრანგეთის გუნდი | 19:16.43.4 |
| „ „ „ „ | სტენკვისტი (შვეცია) | 4:40.01.8 |

ც უ რ ვ ა

| | | |
|----------------------------------|-------------------|---------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | კახანამოკუე (აშშ) | 1.00,4 |
| 400 „ „ „ | როსი (აშშ) | 5.26,8 |
| 1.500 „ „ „ | როსი (აშშ) | 22.23,2 |
| 100 „ ზურგზე | კილონე (აშშ) | 1.15,2 |
| 200 „ ბრასი | მალმრუტი (შვეცია) | 3.04,4 |
| 400 „ „ „ | მალმრუტი (შვეცია) | 6.31,8 |
| ესტაფეტი 4×200 თავისუფალი სტილით | აშშ-ს გუნდი | 10.04.4 |

(ქ ა ლ თ ა)

| | | |
|----------------------------------|-----------------|--------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | ბლეიბტრეი (აშშ) | 1.13,6 |
| 300 „ „ „ | ბლეიბტრეი (აშშ) | 4.34,0 |
| ესტაფეტი 4×100 თავისუფალი სტილით | აშშ-ს გუნდი | 5.11,6 |

VIII საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობანი

VIII საერთაშორისო ოლიმპიური ასპარეზობა ჩატარდა პარიზში 1924 წელს სპეციალურად აგებულ სტადიონზე („კოლომბი“), რომელიც 62 ათას მაყურებელს იტევდა. ასპარეზობაში

44 სახელმწიფოს 3092 სპორტსმენი მონაწილეობდა. ამ თამაშობებზე პირველად გაიმართა ქალთა შეჯიბრება მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში.

კვლავ გაითქვა სახელი ფინელმა მორბენალმა ნურმიმ, რომელმაც პირად შეჯიბრებებში ოთხი ოქროს მედალი დაიმსახურა. მან მეხუთე ოქროს მედალიც მიიღო კროსში გუნდური გამარჯვებისათვის. აღსანიშნავია. რომ ორი ოქროს მედალი ნურმიმ ერთ დღეში მოიპოვა. ჯერ 1.500 მ, ხოლო ერთი საათის შემდეგ 5000 მ რბენაში. სახელი გაითქვა აგრეთვე ფინეთის მეორე მორბენალმა რიტოლამ, რომელმაც ასპარეზობაზე ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ამერიკელები მიჩვეული იყვნენ იოლ გამარჯვებას მძლეოსნობაში, მაგრამ ამჯერად მათ მხოლოდ ორი ოქროს მედალით გაუსწრეს ფინელებს. ადგილები მძლეოსნობაში შემდეგნაირად განაწილდა:

| ამერიკელებმა | დაისაკუთრეს | 12 ოქროს, | 10 ვერცხლის და | 10 ბრინჯაოს მედალი, |
|--------------|-------------|-----------|----------------|---------------------|
| ფინელებმა | " | 10 | " | 10 |
| ინგლისელებმა | " | 3 | " | 3 |
| შვედებმა | " | 3 | " | 3 |

ადგილები ცურვაში ასე განაწილდა

| ამერიკამ მოიპოვა | 13 ოქროს, | 9 ვერცხლის და | 10 ბრინჯ. მედალი |
|------------------|-----------|---------------|------------------|
| შვეციამ | " | 3 | " |
| აესტალიამ | " | 1 | " |
| ინგლისმა | " | 2 | " |
| საფრანგეთმა | " | — | " |
| ბელგიამ | " | 2 | " |

საფეხბურთო ტურნირში 22 გუნდი მონაწილეობდა. ამ ასპარეზობაში პირველად იღებდა მონაწილეობას ურუგვაის გუნდი, რომელმაც თამაშის მაღალი კლასი გამოამჟღავნა და ყველასათვის მოულოდნელად ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა.

ცეკნიკური შედეგები მძლეოსნობაში

| | | |
|-------------|---------------------|---------|
| 100 მ რბენა | ებრენემსი (ინგლისი) | 10.6 |
| 200 " " | შოლცი (აშშ) | 21.6 |
| 400 " " | ლოდელი (ინგლისი) | 47.6 |
| 800 " " | ლოუ. (ინგლისი) | 1.52.4 |
| 1.500 " " | ნურმი (ფინეთი) | 3.53.6 |
| 5.000 " " | ნურმი (ფინეთი) | 14.31.2 |
| 10.000 " " | რიტოლა (ფინეთი) | 30.23.2 |

| | | |
|-------------------------|---------------------|-----------|
| მართონი | სტენროსი (ფინეთი) | 2:41,22,6 |
| თარჯბენი 110 მ | კინსი (აშშ) | 15,0 |
| " 400 " | ტეილორი (აშშ) | 52,6 |
| 3,000 მ რბენა (გუნდური) | ფინეთის გუნდი | 8 ქულა |
| 3.000 " " წინაღობებით | რიტოლა (ფინეთი) | 9.33.6 |
| კროსი 10.000 მ | ნურმი (ფინეთი) | 32.54,8 |
| " 10.000 " (გუნდური) | ფინეთის გუნდი | 11 ქულა |
| ესტაფეტი 4×100 | აშშ-ს გუნდი | 41,0 |
| " 4×400 | აშშ-ს გუნდი | 3.16,0 |
| სიარული 10 კმ | ფრიჯერიო (იტალია) | 47.49,0 |
| ხტომა სიმაღლეზე | ოსბორი (აშშ) | 1,98 |
| " სიგრძეზე | დე ხაბერდი (აშშ) | 7,445 |
| კოკით ხტომა | ბარნესი (აშშ) | 3,95 |
| სამხტომი | უინტერი (ავსტრალია) | 15,525 |
| ბირთვის კვრა | ხაუზერი (აშშ) | 14,995 |
| ბადროს ტყორცნა | ხაუზერი (აშშ) | 46,55 |
| შუბის " | მიურა (ფინეთი) | 62,96 |
| უროს " | ტუტელი (აშშ) | 53,295 |
| ათჟილი | ოსბორი (აშშ) | 7710,775 |

ს ი მ ძ ი მ ე ე ბ ი ს ა წ ე ვ ა :

| | | |
|-----------------------|------------------------|----------|
| ნახევრად მსუბუქი წონა | გაბეტი (იტალია) | 402,5 კგ |
| მსუბუქი წონა | დეკოტინიე (საფრანგეთი) | 440,0 " |
| ნახევრად მსუბუქი წონა | გალიმბერტი (იტალია) | 492,5 " |
| საშუალო წონა | რიგულო (საფრანგეთი) | 502,5 " |
| ძძიმე წონა | ტონანი (იტალია) | 517,5 " |

ვ ე ლ ო ს პ ო რ ტ ი :

| | | |
|--------------------------|----------------------|------------|
| სპრინტული მარულა 1.000 მ | მიშარი (საფრანგეთი) | 12,8 |
| მარულა ტანდემებით 2000 " | კიუნო (საფრანგეთი) | 2.40,0 |
| " 50 კმ | ვილემსი (პოლანდია) | 1:18.24,0 |
| " დევნით 4.000 მ | იტალიის გუნდი | 5.12,0 |
| " გზატკეცილზე 188 კმ | საფრანგეთის გუნდი | 19:30.14,0 |
| " " 188 " | ბალანშონე (საფრანგ.) | 6:20,48,0 |

ც უ რ ვ ა (ვ ა ჟ ე ბ ი) :

| | | |
|----------------------------------|----------------------|---------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | ვეისმიულერი (აშშ) | 59,0 |
| 400 " " " | ვეისმიულერი (აშშ) | 5.04,2 |
| 1.500 " " " | ჩარტლონი (ავსტრალია) | 20.06,6 |
| 100 " ზურგზე | კილოზე (აშშ) | 1.13,2 |
| 200 " ბრასი | სკელტონი (აშშ) | 2.56,6 |
| ესტაფეტი 4×200 თავისუფალი სტილით | აშშ-ს გუნდი | 9.53,4 |

(ქ ა ლ ე ბ ი)

| | | | |
|---|-------------------|-----------|--------|
| 100 მ თავისუფალი სტილით . . . | ლეკი (აშშ) | | 1.12,4 |
| 400 " " " " | ნორელიუსი (აშშ) | | 6.02,2 |
| 100 " ზურგზე | ბაუერი (აშშ) | | 1.23,2 |
| 200 " ბრასი | მორტონი (ინგლისი) | | 3.33,2 |
| ესტაფეტი 4×100 თავისუფალ სტილით | აშშ-ს გუნდი | | 4.58,9 |

1924 წლის ზამთრიდან საფუძველი ჩაეყარა ზამთრის საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებს. ზამთრის პირველ ოლიმპიადაში, რომელიც შამონში მოეწყო, 16 ქვეყნის სპორტსმენი მონაწილეობდა. პროგრამა შეიცავდა რბოლას თხილამურებზე 18 კმ მანძილზე, რბოლას 50 კმ, ორკიდს — 18 კმ რბოლას და ტრამპლინიდან ხტომას, ფიგურულ სრიალს ციგურებზე, ჩქაროსნულ რბენას ციგურებზე, შაიბიან ჰოკეის.

IX საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობანი ჩატარდა 1928 წელს ქ. ამსტერდამში, სადაც შეიკრიბა 46 სახელმწიფოდან წარგზავნილი 3015 სპორტსმენი.

გართულებულმა საერთაშორისო მდგომარეობამ, რომელიც ამ დროს სუფევდა, თავისი დალი დააჩნია IX საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებს.

ამ პერიოდში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სალამქროდ ემზადებოდა იმპერიალისტური ბურჟუაზია; იგი მიისწრაფვოდა გერმანიისაგან შეექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული დამკვრელი ძალა. თუ VII და VIII საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებზე გერმანია არ იყო დაშვებული, ახლა, 1928 წელს, მან უკვე მიიღო ოფიციალური მოწვევა.

შეჯიბრების პროცესში ხშირი იყო უთანხმოებანი. სპორტული თვალსაზრისით. IX ოლიმპიადა მოკლებულია ინსტერესს. საინტერესოა, რომ ამ ასპარეზობაში მესამედ მონაწილეობდა ფინელი მორბენალი ნურმი, მაგრამ ამჯერად იგი დაკმაყოფილდა ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედლით.

X საერთაშორისო ოლიმპიადა ჩატარდა ქ. ლოს-ანჯელოსში (ამერიკა) 1932 წელს. ასპარეზობისათვის ამერიკელებმა სპეციალურად ააგეს მსოფლიოში უდიდესი სტადიონი „კოლიზეუმი“, რომელიც 105 ათას მყოფრებელს იტევდა. გარდა ამისა, აშენებული იყო ოლიმპიური სოფელი მონაწილეთა მოსათავსებლად.

ამერიკაში გამგზავრება ღიდ ხარჯებს მოითხოვდა, ალბათ, ნაწი-

ლობრივ ამით აიხსნება, რომ ევროპიდან ჩასულ სპორტსმენთა რაცხვი შედარებით მცირე იყო. სულ ასპარეზობაში 1408 კაცი მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, სპორტული მიღწევები მაღალი იყო.

ტექნიკური მიღწევები მძლეოსნობაში:

(ვაეე ბი)

| | | |
|-----------------------------|-----------------------|--------------|
| 100 მ რბენა | ტოულენი (აშშ) | 10,3 |
| 200 " " | ტოულენი (აშშ) | 21,2 |
| 400 " " | კერი (აშშ) | 46,2 |
| 800 " " | ნემპსონი (ინგლისი) | 1.49.3 |
| 1.500 " " | ბეკალი (იტალია) | 3.51,2 |
| 5.000 " " | ლესტინენი (ფინეთი) | 14.30,0 |
| 10.000 " " | კუსოჩინსკი (პოლონეთი) | 30.11.4 |
| მარათონი | ზაბალა (არგენტინა) | 2:31.36.0 |
| თარჯრბენი 110 მ | სეილინგი (აშშ) | 14,6 |
| " 400 " | ტისდალი (ირლანდია) | 51,3 |
| 3.000 მ რბენა (წინალობებით) | ისო-ხოლო (ფინეთი) | 10.33.4 |
| ესტაფეტი 4×100 | აშშ-ს გუნდი | 40,0 |
| " 4×400 | აშშ-ს გუნდი | 3.08,2 |
| სიარული 50 კმ | გრინი (ინგლისი) | 4:50.10,0 |
| ხტომა სიმალღეზე | მაკ-ნაუტონი (კანადა) | 1,97 |
| " სიგრძეზე | გორდონი (აშშ) | 7,64 |
| ჭოკით ხტომა | მილერი (აშშ) | 4,315 |
| სამხტომი | ნაშბუ (იაპონია) | 15,72 |
| ბირთვის კვრა | სექსტონი (აშშ) | 16,00 |
| ბადროს ტყორცნა | ანდერსონი (აშშ) | 49,49 |
| შუბის " | იარვინენი (ფინეთი) | 72,71 |
| უროს " | ოკალეგენი (ირლანდია) | 53,92 |
| ათჰიდი | ბაუში (აშშ) | 8462,23 ქულა |

(ქაღე ბი)

| | | |
|-----------------|-----------------------|-------|
| 100 მ რბენა | ვალასევიჩი (პოლონეთი) | 11,9 |
| თარჯრბენი 80 მ | დიდრიკსონი (აშშ) | 11,7 |
| ესტაფეტი 4×100 | აშშ-ს გუნდი | 47,0 |
| ხტომა სიმალღეზე | შილი (აშშ) | 1,65 |
| ბადროს ტყორცნა | კოპლენდი (აშშ) | 40,58 |
| შუბის " | დიდრიკსონი (აშშ) | 43,63 |

სიმძიმეების აწევა:

| | | |
|-----------------------|-----------------------|-------|
| ნახევრად მსუბუქი წონა | სიუენი (საფრანგეთი) | 287,5 |
| მსუბუქი წონა | დიუვერჟე (საფრანგეთი) | 325 |
| ნახევრად საშუალო წონა | იზმარი (გერმანია) | 345 |
| საშუალო წონა | ოსტენი (საფრანგეთი) | 365 |
| მძიმე წონა | სკობლა (ჩეხოსლოვაკია) | 380 |

ველოსპორტი

| | | |
|--------------------------|---------------------------|-----------|
| მარულა ადგილ. 1.000 მ. | გრეი (ავსტრალია) | 1.13,0 |
| სპრინტული მარულა 1.000 " | ვან ეგმონდი (პოლანდია) | 12,2 |
| მარულა ტანდემებით 2000 " | პერენი და შაიო (საფრანგ.) | 12,0 |
| " დევნით 4.000 " | იტალიის გუნდი | 4.53,0 |
| " გზატკეცილზე 100 კმ | იტალიის გუნდი | 7:27.15,2 |
| " " 100 " (პირადი) | პავეზი (იტალია) | 2:28.05,6 |

ცურვა (ვაჟები):

| | | |
|-------------------------|--------------------|---------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | მიანაკი (იაპონია) | 58,2 |
| 400 " " " " | კრები (აშშ) | 4.48,4 |
| 1.500 " " " " | კიტამურა (იაპონია) | 19.12,4 |
| 100 " ზურგზე | კიოკავა (იაპონია) | 1.08,6 |
| 200 " ბრასი | ტსურუტა (იაპონია) | 2.45,4 |
| ესტაფეტი 4×200 | იაპონიის გუნდი | 8.58,4 |

ქალები

| | | |
|----------------------------------|--------------------|--------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | მედისონი (აშშ) | 1,06,8 |
| 400 " " " " | მედისონი (აშშ) | 5.28,5 |
| 100 " ზურგზე | ზოლმი (აშშ) | 1.19,4 |
| 200 " ბრასი | დენისი (ავსტრალია) | 3.06,3 |
| ესტაფეტი 4×100 თავისუფალი სტილით | აშშ-ის გუნდი | 4.38,0 |

წყალბურთში პირველობა მოიპოვა უნგრეთის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა გერმანიის, ხოლო მესამეზე — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი.

XI საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობანი

XI საერთაშორისო ოლიმპიადა ჩატარდა გერმანიაში 1936 წელს. ცნობამ იმის შესახებ, რომ XI ოლიმპიადა ფაშისტურ გერმანიაში უნდა ჩატარებულიყო, სამართლიანი აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია მთელ მსოფლიოს პროგრესულ სპორტსმენთა შორის. ფაშისტურ ბერლინში ოლიმპიადის ჩატარება ნიშნავდა ოლიმპიური იდეების შეზღვევას და ამიტომაც მსოფლიოს მრავალმა სპორტსმენმა უარი განაცხადა ბერლინის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე. მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც განწყობილი იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული ქვეყნების რეაქციული ხელმძღვანელობის მხარდაჭერით დაჟინებით მოითხოვდა ოლიმპიადის ბერლინში ჩატარებას.

ცნობილია, რომ ფაშისტებს სპორტი მტაცებლური ომებისათვის მომზადების საშუალებად მიაჩნდათ და ამიტომ არ ზოგავდნენ საამისოდ თანხებს და ენერგიას. ოლიმპიადისათვის მომზადებული იყო სხვადასხვა სპორტული ნაგებობანი, რომლებიც იტევდნენ 250 ათა-

სამდე მაყურებელს. სპეციალურად აგებული იყო სტადიონი. იგი 100 ათას კაცს იტევდა.

ნაციისტებმა მიზნად დაისახეს, რაღაც არ უნდა დაჯდომოდან, თამაშობებში პირველობა დაესაყუთრებიათ და ამით დაემტკიცებიათ თავიანთი უპირატესობა სხვა ხალხებთან შედარებით. გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის დაყენებული მოთხოვნით ოლიმპიადის პროგრამაში შეტანილ იქნა დამატებით ის სახეობები, რომლებშიც გერმანელები ძლიერი იყვნენ (ხელბურთი, ქალთა ტანვარჯიში, ბი-დარებით მარულა). გარდა ამისა, გაფართოებულ იქნა პროგრამა ხელოვნების დარგში, რომელშიც გერმანელებმა ბევრი ოქროს მედალი მიიღეს. ყოველივე ამან საშუალება მისცა გერმანელებს მართლაც საერთო პირველ ადგილზე გამოსულიყვნენ მოპოვებული მედლების რაოდენობით.

გერმანელებმა პირველობა დაისაყუთრეს-სპორტის შემდეგ სახეობებში: კრიეში, სროლაში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, თანამედროვე ხუთკიდში, საცხენოსნო სპორტში, ველოსპორტში, ტანვარჯიშში (ქალთა და ვაჟთა), ხელბურთში და სხვ. გერმანელებმა გაიმარჯვეს აგრეთვე ხელოვნების ცალკე დარგებშიც.

XI ოლიმპიადაში მონაწილეობას ღებულობდა 49 სახელმწიფოს 4069 სპორტსმენი. ასპარეზობაში აშკარა გახდა ზანგებუს უპირატესობა სპორტის ბევრ სახეობაში. ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა გუნდში 10 ზანგმა ექვესი პირველი, სამი მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავა. გამოჩენილმა მორბენალმა ზანგმა ჟესი ოუენსმა ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა და XI ოლიმპიადის ნამდვილი გმირი გახდა. სიმაღლეზე ხტომაში თავი ისახელა მეორე ზანგმა ჯონსონმა. მან სძლია სიმაღლე 2 მ და 3 მ და მოიპოვა ოქროს მედალი.

მიუხედავად მაღალი სპორტული შედეგებისა, XI საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობანი ჩატარდა მძიმე, ქარიშხალისწინა ატმოსფეროში.

ტექნიკური შედეგები მძლეოსნობაში:

(ვ ა ყ ე ბ ი)

| | | |
|-------------|--------------------------|---------|
| 100 მ რბენა | ოუენსი (აშშ) | 10,3 |
| 200 „ „ | ოუენსი (აშშ) | 20,7 |
| 400 „ „ | უილიამსი (აშშ) | 46,5 |
| 800 „ „ | ვეუდრაფი (აშშ) | 1.52,9 |
| 1.500 „ „ | ლაგლოკი (ახალი ზელანდია) | 3.47,8 |
| 5.000 „ „ | ხეკერტი (ფინეთი) | 14.22,2 |

| | | |
|--------------------------|---------------------|------------|
| 10.000 მ რბენა | სალმინენი (ფინეთი) | 30.15,4 |
| მარათონი | სონ კიტეი (იაპონია) | 2:29.19,2 |
| თარჯრბენი 110 მ | ტაუნსი (აშშ) | 14,2 |
| " 400 " | ნარდინი (აშშ) | 52,4 |
| 3.000 მ რბენა (წინაღობ.) | ისო-ხოლო (ფინეთი) | 9.03,8 |
| ესტაფეტი 4×100 | აშშ-ს გუნდი | 39,8 |
| " 4×400 | ინგლისის გუნდი | 3.09,0 |
| სიარული 50 კმ | უიტლოკი (ინგლისი) | 4:30.41,4 |
| ხტომა სიმალღეზე | ჯონსონი (აშშ) | 2,03 |
| " სიგრძეზე | ოუენსი (აშშ) | 8,06 |
| კოკით ხტომა | მედოუსი (აშშ) | 4.35 |
| სამხტომი | ტაძიმა (იაპონია) | 16,00 |
| ბადროს ტყორცნა | კარპენტერი (აშშ) | 50,48 |
| შუბის ტყორცნა | შტეკ (გერმანია) | 71,84 |
| უროს " | ხეინი (გერმანია) | 56,49 |
| ათჳიდი | მორისი (აშშ) | 7 900 ქულა |

(ქ ა ლ ე ბ ი)

| | | |
|-----------------|------------------------|-------|
| 100 მ რბენა | სტეფენსი (აშშ) | 11.5 |
| თარჯრბენი 80 მ | ვალა (იტალია) | 11,7 |
| ხტომა სიმალღეზე | ჩაკი (უნგრეთი) | 1,67 |
| ბადროს ტყორცნა | მაუერმაიერი (გერმანია) | 47,63 |
| შუბის " | ფლეიშერი (გერმანია) | 45,18 |
| ესტაფეტი 4×100 | აშშ-ს გუნდი | 46.9 |

ს ი მ ძ ი მ ე ე ბ ი ს ა წ ე ვ ა :

| | | |
|-----------------------|----------------------|-------|
| ნახევრად მსუბუქი წონა | ტერლაცო (აშშ) | 312,5 |
| მსუბუქი წონა | მესბახ (გევიპტე) | 342,5 |
| ნახევრად საშუალო წონა | ელ ტუნი (ეგვიპტე) | 387,5 |
| საშუალო წონა | ხოსტენი (საფრანგეთი) | 372,5 |
| ძძიმე წონა | მანგერი (გერმანია) | 410 |

ვ ე ლ ო ს პ ო რ ტ ი :

| | | |
|---------------------------|---------------------------|-----------|
| მარულა ადგილიდან 1.000 მ | ვენ ფლიტი (პოლანდია) | 1.12,0 |
| სპრინტული მარულა 1.000 " | მერკენსი (გერმანია) | 11,8 |
| მარულა ტანდემებით 2.000 მ | იბე და ლორენცი (გერმანია) | 11,0 |
| " დევნით 4.000 " | საფრანგეთის გუნდი | 4.45,7 |
| " გზატაკეილზე 100 კმ | საფრანგეთის გუნდი | 7:39.16,2 |
| " " 100 " | მარპანტიე (საფრანგ.) | 2:33.05,0 |

სპორტის სხვა სახეობებში ადგილები ასე განაწილდა: ცხენბურთში (პოლო): I ადგილზე — არგენტინა, II—ინგლისი, III—მექსიკა; ტანვარჯიშში: I ადგილზე — გერმანიის, II—შვეიცარიის, III—ფინეთის გუნდი; წყალბურთში: I ადგილზე — უნგრეთი, II—გერმანია, III—ბელგია; ფეხბურთში: I ადგილი წილად ხვდა

იტალიის. II- ავსტრიის და III- --ნორვეგიის გუნდს. კალათბურთში პირველობა დაისაკუთრა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა, II ადგილზე გამოვიდა კანადის, ხოლო მესამე ადგილზე — მექსიკის გუნდი. ხელბურთში ოქრის მედლების მფლობელები გახდნენ გერმანელები. ვერცხლის მედლებს დაეუფლენ ავსტრიელები და ბრინჯაოს — შვეიცარიელები. ფარეკობაში (ვაჟთა შორის) რაპირით ბრძოლაში I ადგილზე გამოვიდა იტალიის. II—საფრანგეთის, III- გერმანიის გუნდი. დაშნით ბრძოლაში I ადგილი ერგო იტალიის. II--შვეციის, ხოლო III—საფრანგეთის გუნდს. ესპადრონით ბრძოლაში I ადგილი წილად ხვდა უნგრელებს, II--იტალიელებს და III—გერმანელებს.

§ 2. ფიზიკური კულტურა და სპორტი მთავარი მსოფლიო ომის შემდეგ

ფიზიკური კულტურა და სპორტი კაპიტალისტურ ქვეყნებში

მეორე მსოფლიო ომის წლებში ტანვარჯიში და სპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოყენებული იყო წვევამდელთა მომზადებისა და ჯარების ფიზიკური გაწვრთნის მიზნით. ომის წლებში შეწყდა ყოველგვარი საერთაშორისო სპორტული შეხვედრები. არ ჩატარებულა აგრეთვე ზედიზედ ორი მორიგი საერთაშორისო ოლიმპიურა თამაშობანი 1940 და 1944 წლებში.

გერმანელ ფაშისტ-ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა კაპიტალისტური ქვეყნების მრავალი მუშა და პროგრესული სპორტსმენი. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ფაშისტური მონობისაგან კაცობრიობის განთავისუფლების, მშვიდობისა და უშიშროების დამყარების საქმეში.

ომის შემდგომ პერიოდში გაძლიერდა რეაქციული ძალების გავლენა ბურჟუაზიულ სპორტულ მოძრაობაზე და იგი დაემორჩილა ანტიდემოკრატიული ბანაკის პოლიტიკას. ბურჟუაზიული კულტურის კრიზისის და გახრწნის გაღრმავებას თან მოჰყვა ბურჟუაზიული სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობის დაცემა. კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიული სპორტული ორგანიზაციები ხრწნიან ახალგაზრდობას როგორც ზნეობრივად, ისე ფიზიკურად, უნერგავენ მათ ეგოიზმს, მხეცურ ინსტინქტებს, ადამიანისადმი სიძულვილს.

ბურჟუაზიული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის იდეოლოგები ქადაგებენ ახალგაზრდობაში. მეტად მავნე „თეორიას“ იმის შესახებ, რომ, თითქოს, ომსა და სპორტს შორის არ არსებობს პრინციპული განსხვავება: რომ სპორტი, თითქოს, იგივე ომია. მაგრამ მცირე მასშტაბისა, ამიტომაც შეჭიბრების დროს დაშვებულია სისხლიანი სცე-

ნები, დასახიჩრება, რომლებსაც ზოგჯერ სიკვდილის შემთხვევები მოსდევს. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახანსიათებელია ამერიკული პროფესიონალური სპორტი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში იმართება მატჩი კიდაობაში, რომელსაც „ენჩი“ ეწოდება. ამ კიდაობაში დაშვებულია ხელები-სა და ფეხების გადაგრება, თითების პირში, ცხვირში, ყურებში ჩა-ყოფა, თმის ამოგლეჯა, კბენა და სხვ. კიდაობა წარმოებს არა ხალი-ჩაზე, არამედ ტალახის, ნავთობისა და ნავთის ნარევეში. კიდევ უფრო მეტ გაკვირებას იწვევს ის გარემოება, რომ ამგვარი შეჯიბრებები ქალთა შორისაც იმართება.

პროგრესულ სპორტსმენთა მოღვაწეობა კაპიტალისტურ ქვეყ-ნებში კიდევ უფრო გაძნელდა ომის შემდგომ პერიოდში. მათ ბრალ-სა სდებენ კომუნისტებთან კავშირში და დიდ დანაშაულად მიაჩნიათ საბჭოთა კავშირის სპორტულ ორგანიზაციებთან ურთიერთკავშირი; მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესული სპორტ-სმენები და მათი ხელმძღვანელები პრესაში თუ კრებებზე ხშირად ამხელენ თანამედროვე ბურჟუაზიულ სპორტის რეაქციულ არსს.

დღეს ფიზიკურ კულტურასა და სპორტს კაპიტალისტურ ქვეყ-ნებში ფართოდ იყენებენ იმპერიალისტური ომებისათვის მოსახლე-ობის მომზადების საშუალებად. გარდა ამისა, იმპერიალისტურ ბურ-ჟუაზიას ფიზიკური კულტურა და სპორტი გამოყენებული აქვს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობისაგან აცილების საშუალებად. ამავე ქვეყნებში სპორტი წარმოადგენს გაქნილ საქმოსანთა გამდილ-რების წყაროს.

ამერიკის საშუალო სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავ-ლეთა ფიზიკურ აღზრდას, რომელიც სამხედრო მომზადების ერთ-ერთ საფეხურს წარმოადგენს. ამავე დარგში დიდ მუშაობას აწარმო-ებს ამერიკის სკაუტთა ორგანიზაცია.

სპორტული მუშაობის ნამდვილ ცენტრებს წარმოადგენენ ამერა-კის უმაღლესი სასწავლებლები. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერ-თებული შტატების უნივერსიტეტებში სპორტი წარმოადგენს დიდი შემოსავლის წყაროს. აქ მოწყობილია დიდი სტადიონები, სპორტუ-ლი დარბაზები, საცურაო აუზები და სხვა სპორტული ბაზები შე-ჯიბრებათა გასამართავად.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა ფიზიკურ აღზრდას ინგლისის, სა-ფრანგეთისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების საშუალო სკო-ლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. რაც შეეხება გერმანიის ფე-დერაციული რესპუბლიკის დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სას-

წავლებლებს — ფიზიკური აღზრდა და სპორტი სავსებით მილიტარიზებულია.

მუშა ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობისაგან ჩამოშორების მიზნით ამერიკასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ვითარდება სამეწარმო სპორტი.

ომის შემდგომ პერიოდში კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში საგრძნობლად განვითარდა პროფესიონალური სპორტი. ამ ქვეყნებში დაუზოგავად ეწევიან პროფესიონალ-სპორტსმენების ექსპლუატაციას. მათი შემოსავალი ერთობ მცირეა, სამაგიეროდ დიდი მოგება რჩებათ და მდიდრდებიან მეწარმეები.

ბურჟუაზიული პრესის რეკლამა პროფესიონალ სპორტსმენტა სიმდიდრის შესახებ სიმართლეს მოკლებულია, რადგან, თუ ერთეული პროფესიონალთაგანი უზრუნველყოფილია ცხოვრებაში, მათი დიდი უმრავლესობა მოკლებულია ყოველივეს და საბოლოოდ ხშირად მათხოვრობასა და სიღატაკეში ამთავრებს თავის სიცოცხლეს.

კონტრაქტზე ხელის მოწერისთანავე სპორტსმენი თავის თავს აღარ ეკუთვნის და კლუბის საკუთრებად ხდება. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ბეისბოლისტმა ჯორჯ ტიბეტსმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, როდესაც მხოლოდ 15 წლისა იყო. კლუბის პატრონმა გადაიხადა ნიჭიერი მოთამაშე ჯაბუკის ოჯახის ვალი და თვითონ ჯაბუკი კოლეჯში გაგზავნა სასწავლებლად. ამნაირად, ტიბეტსი კლუბის საკუთრებად გახდა. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი ჩარიცხეს კლუბის გუნდში. კლუბს 10 ათასი დოლარი დაუჯდა ტიბეტსი, სამაგიეროდ კლუბმა დიდი მოგება მიიღო. ამის შემდეგ იგი მიყიდეს სხვა გუნდს და კიდევ უფრო მეტი სარგებელი ნახეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოიპოვება სპეციალური კონტორებისა და კამპანიების ფართო ქსელი, რომლებიც აწარმოებენ სპორტსმენტა ყიდვა-გაყიდვას.

„ცოცხალი საქონლით“ ვაჭრობა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და სხვ.) — ჩვეულებრივი მოვლენაა.

ყოველგვარი უპატიოსნობა, ამორალური საქციელი, მოტყუება, თაღლითობა — ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს პროფესიულ სპორტში. ამერიკაში მოკრევეს — გრაციანს 100 ათასი დოლარის მიცემას დაპირდნენ თუ იგი თავის მოწინააღმდეგესთან წააგებდა შეხვედრას. საინტერესოა, ვინ აძლევს პროფესიონალებს ამ ქრთამს და რა მიზნით? არსებობს სპეციალური სინდიკატები, რომელთა საშუალებით წარმოებს სანაძლეოს დადება. სანაძლეოში ყოველთვის

დიდძალი ხალხი მონაწილეობს და დიდი თანხაც გროვდება. სანაძლეოში მონაწილე ყოველი მოქალაქე რატომღაც დარწმუნებულია, რომ შეჯიბრებაში გაიმარჯვებს მისი საყვარელი ჩემპიონი, მაგრამ იგი უკვე მოსყიდულია და აგებს შეხვედრას. პროფესიონალის მოსყიდვა და სანაძლეოს გასტუმრება სინდიკატს შედარებით მცირე თანხად უჯდება. სამაგიეროდ მილიონიანი შემოსავალი რჩება მეწარმეებს. ამრიგად, სპორტი კაპიტალისტურ ქვეყნებში გადაიქცა ინდუსტრიის ერთ-ერთ დარგად, რომელიც დიდი შემოსავალს აძლევს საქმოსნებს.

ბურჟუაზიული სპორტის სამარცხვინო მოვლენას წარმოადგენს რასობრივი დისკრიმინაცია. ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ამერიკაში, ადგილი აქვს ზანგების დევნას: მათ დასცინიან, ადამიანებად არ მიაჩნიათ. ახლოს არ იკარებენ, უკვეცავენ უფლებებს. ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი სპორტშიც, სადაც ზანგებს დღემდე აკრძალული აქვთ სპორტის ზოგიერთ სახეობაში „თეთრებთან“ ერთად შეჯიბრებებში მონაწილეობა. მაგალითად, ამერიკაში ზანგებს აკრძალული აქვთ ჩოგბურთში და გოლფში გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობა. ზანგებს ეკრძალებათ ცურვაში პირველობისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობა და სხვ.

ამერიკის ბურჟუაზიულ სპორტს ამ მხრივ მთავრობაც უწყობს ხელს. ასე, მაგალითად, ომის შემდგომ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ შტატში (გეორჯია) ბურჟუაზიული სპორტული ორგანიზაციების წინადადებით შტატის პალატამ მიიღო კანონი, რომლითაც „შავკანიანებს“ აკრძალათ შეჯიბრებებში მონაწილეობა „თეთრებთან“ ერთად სპორტის ყველა სახეობაში. მაგრამ ზანგთა შორის ბევრი ნიჭიერი სპორტსმენია და როდესაც საერთაშორისო შეჯიბრებები იმართება, ამერიკელები იძულებული არიან თავისი ნაციონალური გუნდების გაძლიერების მიზნით დაუშვან ზანგები, მაგრამ მათთან ურთიერთობა „თეთრებისათვის“ სამარცხვინოდ მიაჩნიათ, ამიტომაც ეს ურთიერთობა სპორტის დარგში ამოიწურება მხოლოდ და მხოლოდ იმ დროით, რომელიც ერთად წვრთნას და შეჯიბრებას ესაჭიროება.

რასობრივ დისკრიმინაციას განიცდიან განთქმული ზანგი სპორტსმენებიც. ჯონ ნიუკომბი — ამერიკის განთქმული ბეისბოლისტი თავის გუნდთან ერთად ჩავიდა ქ. სენ-ლუიში ადგილობრივ გუნდთან შესახვედრად. სასტუმროების პატრონებმა კატეგორიული უარი განაცხადეს ზანგის „თეთრებთან“ ერთად მოთავსებაზე და ნიუკომბი იძულებული გახდა სასტუმრო ეძებნა ზანგების უბანში. მოკრივე ჯონ-ლუისი მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონია, მაგრამ იგი ზანგა

და ამიტომ მოკლებული ადამიანის ელემენტარულ უფლებებს. მას არა აქვს „თეთრების“ საზოგადოებაში გარევის უფლება, მას არ შეუძლია იმოგზაუროს ერთ ტრანსპორტში „თეთრებთან“ ერთად, ანდა ისადილოს რესტორანში, რომელიც განკუთვნილია „თეთრებისათვის“.

ბრძოლა დემოკრატიული სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობის განვითარებისათვის

კაპიტალისტურ ქვეყნებში ვითარდება კომუნისტური პარტიების, პროგრესული და მუშათა სპორტული ორგანიზაციების მოღვაწეობა. ისინი გამოდიან სპორტის მილიტარიზაციის წინააღმდეგ და იბრძვიან დემოკრატიული სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობისათვის. მაგრამ კაპიტა-

ლისტური ქვეყნების ბურჟუაზია სდევნის მუშათა და პროგრესულ ორგანიზაციებს, ხოლო მემარჯვენე სოციალისტების და რეფორმისტების გამცემლური პოლიტიკა კიდევ უფრო აღრმავებს შექმნილ რთულ მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური ქვეყნების მუშა და პროგრესული სპორტსმენები სულ უფრო და უფრო აძლიერებენ ბრძოლას ახალი ომის გამწაღებელთა წინააღმდეგ.

მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცია და სხვ.) ბურჟუაზიული სპორტული კლუბების საპირისპიროდ შექმნილია მუშათა სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ მუშათა ახალგაზრდობის შეკავშირებას და მათ აღზრდას დემოკრატიულ სულისკვეთებით.

ფიზიკური კულტურა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებით. ამ გამარჯვების შედეგად ევროპის მრავალი ხალხი განთავისუფლდა გერმანელი ფაშისტების ჩაგვრისაგან, ხოლო ჩინელ ხალხს საშუალება მიეცა თავის ქვეყნიდან გადევნა ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა ხროვა და ჩან-კაიშას ბანდები.

ფაშისმიმსაღმი სიძულვილი მოედო არა მარტო იმ ქვეყნებს, რომლებიც ოკუპირებული იყო ჰიტლერის ურდოების მიერ, არამედ იმათაც, ვინც ფაშისტური გერმანიის მოკავშირეებად ითვლებოდნენ. სსენებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან ერთად იწყება მშრომელთა რევოლუციური ბრძოლა დემოკრატიული თავისუფლების დამყარებისა და პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებისათვის. დემოკრატიულ ქვეყნებში არსებითად

მოხდა სოციალისტური რევოლუცია და დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურის ახალი ფორმა. ეს ქვეყნები დაადგინნ სოციალისტური განვითარების გზას.

სოციალისტური საზოგადოებისა და სოციალისტური კულტურის მშენებლობის ინტერესებმა საკითხი დასვეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შესახებ. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში დიდი მუშაობაა ჩატარებული მშრომელთა მასებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. ძირფესვიანად შეიცვალა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მიზნები და ამოცანები ხსენებულ ქვეყნებში. ყველგან შეიქმნა ფიზკულტურული მოძრაობის ახალი ორგანიზაციული ფორმები; შეიცვალა ფიზკულტურულ მუშაობის შინაარსი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნები ფართოდ იყენებენ საბჭოთა კავშირის ფიზკულტურული მოძრაობის მდიდარ გამოცდილებას. ყველა ამ ქვეყანაში შემოღებულია მშობის კომპლექსი და ერთიანი სპორტული კლასიფიკაცია, ჩამოყალიბებულია ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები, რომლებიც ხშირად ისეთივე სახელწოდებებს ატარებენ, როგორსაც საბჭოთა კავშირში („დინამო“, „ტორპედო“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „ტრაქტორი“ და სხვ.). ჩამოყალიბებულია აგრეთვე ფიზკულტურული მოძრაობის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ორგანოები, შემოღებულია სპორტის ოსტატისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, შექმნილია ფიზკულტურის საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები (ფიზიკური კულტურის ტექნიკუმები, მწვრთნელთა სკოლები, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტები), სისტემატურად გამოდის სპორტული ჟურნალ-გაზეთები, მოწესრიგებულია სპორტული ლიტერატურის გამოცემა. ამ ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ფიზკულტურის დარგში, დაარსებულია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები. ფიზიკურ კულტურას სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კომუნისტური მიმართულება აქვს — იგი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს; მას ხალხური ხასიათი აქვს — იგი ყველა მშრომელისათვის მისაწვდომი გახდა.

მაგრამ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება ხსენებულ ქვეყნებში ბრძოლის გარეშე როდრი მიმდინარეობდა. ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ ინგლის-ამერიკის აგენტებმა გააძლიერეს თავისი მავნებლური მოღვაწეობა დემოკრატიული ქვეყნების სპორტულ ორგანიზაციებში. მათ სურდათ ამ ქვეყნებში დაეწერათ კაპიტალისტური ქვეყნების სპორტული ორგანიზაციების ზნე-

ჩვეულებანი; ცდილობდნენ დემოკრატიული ქვეყნების ფიზკულტურული ორგანიზაციები გამოეყენებიათ ანტიხალხური მოქმედების დასაყრდნობ პუნქტებად (როგორც, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში. სადაც ხალხის მტრები ცდილობდნენ საზოგადოება „სოკოლის“ რეაქციული ხელმძღვანელობის საშუალებით გამოეყენებიათ იგი ანტი-ხალხური მიზნებით). დემოკრატიული ქვეყნების ფიზკულტურულ მოძრაობას დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა ხალხის მტრებს მივ-ნებლური მოქმედების წინააღმდეგ.

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიული გამოცდო-ლება ფართოდ იყო გამოყენებული სახალხო დემოკრატიის ქვეყნების-სპორტული ორგანიზაციების მიერ. დიდი სარგებლობა მოუტა-ნა ამ ქვეყნებს სსრ კავშირის სპორტულმა ორგანიზაციებმა თავისი პრაქტიკული დახმარებითაც. ფართო გასაქანი მიეცა საბჭოთა კავში-რისა და დემოკრატიული ქვეყნების ურთიერთ გამოცდილების კა-ზიარებას.

სულ უფრო და უფრო იზრდება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სპორტსმენთა ოსტატობა, უმჯობესდება ნაციონალური რეკორდები. უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, პოლონეთის, ბულგარეთისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების სპორტსმენები დიდი წარმა-ტებით მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

დიდ მზარუნველობას იჩენენ დემოკრატიული ქვეყნების კომუ-ნისტური და მუშათა პარტიები მშრომელთა ფიზიკური აღზრდისად-მი. კომუნისტური და მუშათა პარტიებისა და მთავრობების მიერ მთელი რიგი დადგენილებებია მიღებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე. დიდი თანხები იხარჯება სპორტულ ნაგე-ბობათა მშენებლობაზე, რომელთა რიცხვი დემოკრატიულ ქვეყნებ-ში საოცრად გაიზარდა.

საბჭოთა კავშირის სპორტსმენებთან ერთად სახალხო დემოკრა-ტიის ქვეყნების სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ მშვიდო-ბისათვის ბრძოლაში. მათი ლოზუნგია — ვიბრძოლოთ მხოლოდ და მხოლოდ სტადიონებზე, რინგებზე, სარბენ ბილიკებზე და არა ომის ველებზე. მრავალ სპორტულ დღესასწაულს და შეჯიბრებას უძღვნიან სპორტსმენები მშვიდობისათვის ბრძოლას. მთელ მსოფლიოში მშვი-დობის განმტკიცებას მიეძღვნა „მშვიდობის ველორბოლა“, რომელიც ყოველწლიურად იმართება მაისის თვეში.

ფიზკულტურული მოძრაობა ბულგარეთში
ბულგარეთის სახალ- ჩაისახა XIX საუკუნის 70-იან წლებში, როდე-
ხო რესპუბლიკა საც იგი განთავისუფლდა ოსმალთა ბატონობი-
საგან. 1898 წელს ბულგარეთის ტანვარჯიშული საზოგადოებები

გაერთიანდნენ ერთ კავშირში, რომელსაც „იუნაი“ ეწოდებოდა. XX საუკუნის დამდეგიდან ბულგარეთში გაიხსნა ველოსპორტის, ჩოგბურთის, ფეხბურთის კლუბები. ერთდროულად სპორტის სხვა სახეობებიც ვითარდებოდა. მაგრამ ეს შედარებით მცირერიცხოვანი კლუბები აერთიანებდა მხოლოდ შეძლებულ კლასთა წარმომადგენლებს.

რეაქციულ ბურჟუაზიას ფიზიკური კულტურა მიაჩნდა შოვინიზმისა და ნაციონალიზმის განმტკიცების საშუალებად. მთავრობა ცდილობდა ფიზკულტურისა და სპორტის საშუალებით ახალგაზრდობა ჩამოეცლებია რევოლუციური მოძრაობისაგან.

XX საუკუნის დასაწყისში ჩაისახა მუშათა სპორტული მოძრაობა. ხოლო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ბულგარეთში ჩამოყალიბდა მუშათა სპორტული ორგანიზაცია „სპარტაკი“, მაგრამ 1923 წელს. სექტემბრის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, იგი დაიხურა. სპორტსმენთა რიცხვი ბულგარეთში 30-იან წლებისათვის არ აღემატებოდა 170 ათასს. ხოლო ტექნიკური მიღწევები საკმაოდ დაბალი იყო და ბულგარეთი საერთაშორისო შეჯიბრებებში ბოლო ადგილებს იკავებდა.

ბულგარეთის განთავისუფლების და იქ სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა მასობრივი ხასიათი მიიღო. 1948 წელს ბულგარეთში შემოდებულ იქნა კომპლექსი მშმთ. 1949 წელს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე. ამან ხელი შეუწყო ფიზკულტურის სწრაფ განვითარებას რესპუბლიკაში. ფიზკულტურული მოძრაობის სათავეში დგას ბულგარეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კავშირი. კოლექტივები გაერთიანებულია ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში.

ბულგარეთში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სპორტულ ნაგებობათა აშენებას. 1944 წლის შემდეგ რესპუბლიკაში აშენებულია 350 სტადიონი, 750 სპორტული დარბაზი, 200 საცურაო აუზი, 100 ჩოგბურთის კორტი, 2000 ფეხბურთის-მოედანი და სხვ.

ფიზკულტურული კადრების მოსამზადებლად ბულგარეთში არსებობს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი ქ. სოფიაში, ჰიგიენისა და ფიზიკური აღზრდის ინსტიტუტი და ფიზკულტურის ტექნიკუმი ქ. პლოვდივში. მეცნიერთა და პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად არსებობს აგრეთვე ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინს-

ტიტუტი. რესპუბლიკაში გამოდის სპორტული გაზეთი და ჟურნალები.

ბულგარეთში დღეს ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულია მილიონზე მეტი კაცი; იზრდება სპორტსმენთა ტექნიკური შედეგებიც. ბულგარეთის სპორტსმენები თანდათანობით აუმჯობესებენ თავის სპორტულ მიღწევებს საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებზე, ასე, მაგალითად:

XV ოლიმპ. თამაშ. მოიპოვეს 0 ოქროს 0 ვერცხ. 1 ბრინჯაოს მედალი

| | | | | | | | | | | |
|------|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| XVI | " | " | " | 1 | " | 3 | " | 1 | " | " |
| XVII | " | " | " | 1 | " | 3 | " | 3 | " | " |

გაიზარდა ბულგარეთის სპორტსმენთა ნაციონალური რეკორდებიც, მაგალითად, ვაჟთა რეკორდი გამორბენით სიმალღეზე ხტომაში უდრის 2,06; ჭოკით ხტომაში — 4,61; ბირთვის კერაში ქალებისათვის — 15,50. 1956 წელს მოჭიდავე სტანჩევემა მოიპოვა ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონის საპატიო წოდება, ხოლო მოჭიდავე დობროვა 1960 წელს რომში დაისაკუთრა ოქროს მედალი. ბულგარეთის ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობდა მსოფლიოს XVII ჩემპიონატის ფინალში. მსოფლიოსა და ევროპის უკანასკნელ ჩემპიონატებში ბულგარეთის ქალთა კალათბურთელების გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ვაჟთა გუნდი ევროპის პირველობაში მესამე ადგილზე გამოვიდა.

სპორტი რუმინეთში XIX საუკუნის 80-იან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა წლებში ჩაისახა (ველოსპორტი, ცეგურაობა). XX საუკუნის დამდეგიდან განვითარდა ფეხბურთი, მძლეოსნობა, ჭიდაობა, კრივი. სათხილამურო სპორტი. მაგრამ ბურჟუაზიულ-მემამულურ რუმინეთში ფიზიკური კულტურა სუსტად ვითარდებოდა და XX საუკუნის 30-იან წლებში აქ მხოლოდ 15 ათასამდე სპორტსმენი მოიპოვებოდა. მშრომელთა მასებისათვის სპორტი მიუწევდომელი იყო.

ფაშისტური ჩაგვრისაგან რუმინეთის განთავისუფლების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ დიდი ყურადღება მიაქცია ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებას. ფიზკულტურულ მოძრაობას რესპუბლიკაში ხელმძღვანელობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კავშირი რუმინეთის მუშათა პარტიის მეთაურობით. ჩამოყალიბებულია ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები და ფიზკულტურის კოლექტივები, რომლებშიც გაერთიანებულია 2,5 მილიონი კაცი. აღსანიშნავია, რომ რუმინეთი მეტად მდიდარია სპორტული ნაგებობებით — მათი რიცხვი 15 ათას აღემატება. მარტო ბუქარესტში

5.000-მდე სპორტული ბაზაა. კადრების მოსამზადებლად რუმინეთში არსებობს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და ტექნიკუმი. ვარდა ამისა, განუწყვეტლავ მუშაობს ფიზკულტურის მწვრთნელთა და ინსტრუქტორთა კურსები.

ფართო გავრცელება ქაოვა საწარმოო ტანვარჯიშმა რესპუბლიკის ქარსნებსა და ფაბრიკებში. სპორტი სოფლადაც ფართოდ გავრცელდა. ამდღდა რუმინელ სპორტსმენთა ოსტატობა. უკანასკნელსაი ოლ-მპიურ თამაშობებზე პელსინკიში. მელბურსსა და რომში რუმინელებმა 27 მედალი მოიპოვეს, მათ შორის 9 — ოქროსი.

საგარეოებად გაიზარდა ეროვნული რეკორდები. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში რუმინელმა სპორტსმენებმა დაამყარეს 34 მსოფლიო რეკორდი, 11 სპორტსმენი გახდა მსოფლიო ჩემპიონი. 27 ევროპის ჩემპიონი. ი. ბალაშ-ს შედეგი სიმაღლეზე ხტომაში (1,91) მსოფლიო რეკორდია ქალთა შორის.

1862 წელს ჩეხეთში დაარსდა სატანვარჯიშო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა საზოგადოება „სოკოლი“. სოკოლის მოღვაწეობა შეიძლება პროგრესულად ჩაითვალოს XIX საუკუნის დამლევამდე. ვიდრე იგი მიმართული იყო ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. „სოკოლის“ იდეები, რომლებიც საფუძვლად ჩაუყარა ამ საზოგადოებას ბურჟუაზიულმა დემოკრატმა იდეალისტმა მ. ტირშმა, — პროგრესისადმი მისწრაფება, განმრთელობის განვითარება და მთელი ხალხის მორალური ზნეობრივობა — ვერ განხორციელდა კლასობრივი საზოგადოების პირობებში. რაც შეეხება „სოკოლის“ ლოზუნგებს ძმობა და ერთობის შესახებ, ისინი მხოლოდ ხელს უწყობდნენ მშრომელთა ჩამოშორებას კლასობრივი ბრძოლისაგან. ბურჟუაზია ცდილობდა ჩეხი ხალხის პატრიოტული გრძნობის გამოყენებას საკუთარი ინტერესებისათვის. 1903 წელს ჩეხეთში შეიქმნა მუშათა ფიზკულტურული ორგანიზაციების კავშირი. ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1921 წელს შეიქმნა მუშათა ფიზკულტურული ორგანიზაციების ფედერაცია.

ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების შემდეგ 1945 წელს კომუნისტურმა პარტიამ დასვა საკითხი ფიზკულტურული მუშაობის განმტკიცების შესახებ. 1949 წელს ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ფიზკულტურის შესახებ, მაგრამ ფიზკულტურული მოძრაობა გაერთიანებული იყო საზოგადოება „სოკოლში“. რომლის ორგანიზაციული ფორმები ვერ ბასუხოზდნენ მზარდი ფიზკულტურული მოძრაობის ახალ მოთხოვნისებებს. ამიტომ 1952 წელს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ და სახალხო მთავრობამ მი-

იღეს დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის, სოლო ნაცვლად „სოკოლისა“ ნებყოფლობითი სპორტული საზოგადოებათა დაარსების შესახებ. ასე იყო დაარსებული საზოგადოებები—„დინამო“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „სლავია“, „სოკოლი“ (სოფლად) და ა. შ.

იღეს ფიზკულტურულ მოძრაობას ჩეხოსლოვაკიაში ხელმძღვანელობს ჩესეთის ფიზკულტურელთა კავშირი.

კადრების მოსამზადებლად რესპუბლიკაში 1953 წელს დაარსდა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (ფიზიკური აღზრდის უმაღლესი სკოლა), მწვრთნელთა სკოლა, არსებობს აგრეთვე ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო ლიცეუმში და ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

სპორტსმენთა საერთო რიცხვი რესპუბლიკაში აღემატება 1.5 მილიონს.

ჩეხოსლოვაკიაში დიდი ყურადღება ექცევა სპორტულ ნაგებობათა აშენებას. აქ მოიპოვება 5.250 სასპორტო დარბაზი. 5.020 ფეხბურთის მოედანი, 467 სტადიონი, 563 საცურაო აუზი, 37 საზამთრო სტადიონი და სხვ. პრაღის ვეებერთელა სტრაგოვის სტადიონი 200 ათას კაცს იტევს. პრაღის სპორტის სასახლე ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. რესპუბლიკაში გამოდის 16 ფიზკულტურული პერიოდული გამოცემა.

ბოლო ხანებში კარგ შედეგებს მიაღწიეს ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა საერთაშორისო შეხვედრებში. ასე, მაგალითად, ოლიმპიურ თამაშობებზე:

1952 წელს მათ მოიპოვეს 7 ოქროს, 3 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს მედალი

| | | | | | | | | | | |
|------|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1956 | " | " | " | 1 | " | 4 | " | 1 | " | " |
| 1960 | " | " | " | 3 | " | 2 | " | 3 | " | " |

მთელ მსოფლიოში განთქმულია მორბენალი ემილ ზატოპეკი. მან ოთხჯერ გაიმარჯვა ოლიმპიურ თამაშობებზე და ამავე დროს ევროპის სამგზის ჩემპიონი იყო. მძლეოსნის მანდრილის შედეგი 10ჯ მ რბემაში უდრის 10,2; ლანსკიმ სძლია სიმაღლე 2,10; ზატოპკოვას შედეგი შუბის ტყორცნაში შეადგენს 56,67. განთქმული არიან ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელები. 1960 წელს ევროპაში თასის გათამაშებაში ჩეხმა ფეხბურთელებმა მესამე ადგილი დაიკავეს. ჩეხოსლოვაკიის პოკეისტები ორჯერ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები და ათჯერ დაიკავეს ევროპის პირველობა. განთქმული არიან აგრეთვე ჩეხი ფიგურისტები (ევროპის ორგზის ჩემპიონები და ოლიმპიურ თამაშობათა პრიზიორები კარელ დივინი, მსოფლიო ჩემპიონები ეინულ-

ზე ცეკვაში ევა და პავლე რომანოვები), სახელი მოიხვეჭეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელებმა, ფრენბურთელებმა და მოკრივეებმა.

სწრაფად ვითარდება ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩეხოსლოვაკიაში. ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და სოფლად შექმნილია ფიზკულტურის ახალი კოლექტივები.

1867 წელს პოლონეთში დაარსდა საზოგადო-პოლონეთის სახალ-
ხო რესპუბლიკა ება „სოკოლი“, ხოლო უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბდა პირველი სპორტული კლუბები (ნიჩბოსნობის, ველოსპორტის და სხვ.). პირველი მსოფლიო ომის და პოლონეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ 1919 წელს ჩაისახა სპორტული კავშირები ცალკეული სახეობების მიხედვით, მაგრამ სპორტი ნელა ვითარდებოდა. 1939 წელს ფიზკულტურელთა რიცხვი პოლონეთში არ აღემატებოდა 60 ათასს.

ფაშისტური გერმანიისაგან პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ დაიწყო სპორტის სწრაფი განვითარება. გაერთიანებული მუშათა პარტია და სახალხო მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ ფიზკულტურელი მოძრაობის განმტკიცებისათვის. 1949 წელს რესპუბლიკაში შექმნილი იყო ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანო — ფიზიკური კულტურისა და სპორტის მთავარი კომიტეტი. დღეს ნებაყოფლობით ფიზკულტურულ მოძრაობას რესპუბლიკაში ხელმძღვანელობს სპორტული კავშირების კავშირი. იგი აერთიანებს სპორტის ცალკე სახეობებში არსებულ კავშირებს. არსებობს ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციები („კოლეჯი“, „სტალი“, „გვარდია“ და სხვ.). სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას ახორციელებს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის მთავარი კომიტეტი.

დღეს სპორტსმენთა რიცხვი პოლონეთში 1,5 მილიონს აღემატება.

დიდი ყურადღება ექცევა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას. რესპუბლიკაშია 2000-ზე მეტი სტადიონი. 2000 ფეხბურთის მოედანი, 300 საცურაო აუზი, 600 საჩოგბურთო კორტი და ა. შ.

კადრების მოსამზადებლად პოლონეთში ოთხი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტია (ვარშავაში, კრაკოვში, პოზნანსა და ვრაცლავში), რომლებიც ყოველწლიურად 700 სპეციალისტს უშვებენ. საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად სამი სპეციალური საშუალო სასწავლებელი აწარმოებს მუშაობას. გარდა ამისა, რეს-

პუბლიკაში მუშაობს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. პოლონეთში დიდძალი ფიზკულტურული ლიტერატურა იბეჭდება. გამოდის ფიზკულტურული გაზეთები და ჟურნალები.

პოლონელ სპორტსმენთა ოსტატობის ზრდაზე ნათლად მოწმობს ქვემოთ მოყვანილი ცნობები:

| | | | |
|---------|-----------------------------------|------|------|
| 1952 წ. | ოლიმპიადაზე პოლონელებმა მოაგროვეს | 24 | ქულა |
| 1956 | „ „ „ „ „ | 70,0 | „ |
| 1960 | „ „ „ „ „ | 148 | „ |

უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშობებზე (რომში) პოლონელმა სპორტსმენებმა მეექვსე გუნდური ადგილი დაიკავეს და გაუსწრეს ისეთი ქვეყნების სპორტულ დელეგაციებს, როგორცაა ინგლისი, საფრანგეთი, შვეცია, ავსტრია, ფინეთი. განთქმული არიან პოლონეთის მოკრივეები, მათ მრავალი ოქროს მედალი აქვთ მოპოვებული (ხიხლო, დროგოში, პეტშიოვსკი). წარმატებით გამოდიან პოლონელი მოფარეკავეები.

ზოგიერთი შედეგი მძლეოსნობაში:

| | | |
|--------------------|-------------|--------|
| 100 მ რბენა | ზელინსკი | 10,2 |
| 3000 „ „ წინალობით | კშიკოვიაცი | 8.30.1 |
| სამხტომი | შმიდტი | 17.03 |
| სიმაღლეზე ხტომა | ჩერნიაკი | 2.10 |
| ბადროს ტყორცნა | პიონტკოვსკი | 60.47 |
| შუბის „ (ქალთა) | ფიგნერი | 57,77 |

სოციალისტური მთლიანი პარტია და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა განუწყვეტლივ მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა ფიზიკურ აღზრდაზე და სპორტის განვითარებაზე. რესპუბლიკაში 1,5 მილიონზე მეტი სპორტსმენია. დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკურ აღზრდას. გახსნილია ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები. ფიზკულტურულ თვითმოქმედ მოძრაობას ხელმძღვანელობს გერმანიის სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირი. ამავე დროს აქ არსებობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა სპორტული ბაზების გაფართოებას.

კადრების მოსამზადებლად დემოკრატიულ გერმანიაში არსებობს ფიზიკური კულტურის უმაღლესი სკოლა. გერმანიაში მეტად პოპულარულია ველოსპორტი. რესპუბლიკის სამი სპორტსმენი ატარებს

მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდებას (შური. ეკშტაინი და შტოკენი). დიდი პოპულარობით სარგებლობს აგრეთვე წყალჭომარღობა. გერმანელი ბრანსტები ერთ-ერთი უძლიერესი არიან მსოფლიოში. უძლიერესთა ათეულში 1960 წელს უმრავლესობას გერმანელი ქალები წარმოადგენენ. ძლიერ არიან აგრეთვე ვაქებიც (ენკე, ხენინგერი). კარგი შედეგები აქვთ გერმანელებს აგრეთვე სამთო-სათხილამურო სპორტსა და ტრამპლინიდან ხტომაში.

ზოგიერთი შედეგი მძლეოსნობაში:

| | | | | |
|-----------------|-------------|-----------|-----------|-------|
| სიმაღლეზე ხტომა | | დურკოპი | | 2,13 |
| სივრცეზე | " | აუგა | | 7,79 |
| ჰოკით | " | ტრენსგერი | | 4,72 |
| ბადრო (ქალთა) | | მიულერი | | 56,39 |

სპორტის კლასიკური სახეობები უნგრეთში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა. ჩაისახა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. 1839 წელს უნგრეთში დაარსდა სატანუარჯიშო საზოგადოება, ორმოციან წლებში კი ორი საფარიკაო სკოლა. სპორტი იმ დროს მდიდართა მონოპოლიას წარმოადგენდა. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში (1908 წ.) უნგრეთში დაარსებულ იქნა მუშათა სპორტული საზოგადოება. ფიზიკულტურულ მოძრაობას რესპუბლიკაში ხელმძღვანელობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საბჭო.

ფიზიკური კულტურა და სპორტი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. დღეს სპორტსმენთა რაოდენობა უნგრეთში 750 ათასამდე აღწევს. უნგრეთი საკმაოდ უზრუნველყოფილია სპორტული ნაგებობებით. კადრების მოსამზადებლად ბუდაპეშტში არსებობს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. გარდა ამისა, აქ მუშაობს სპორტული მედიცინის ინსტიტუტი და ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. უნგრეთში დიდძალი სპორტული ლიტერატურა იბეჭდება. გამოდის სპორტული გაზეთი და ჟურნალები.

სპორტის დარგში უნგრეთი ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. დიდ წარმატებას მიაღწიეს უნგრელებმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე. უკანასკნელ ოლიმპიურ თამაშობებზე უნგრელებმა სპორტსმენებმა შემდეგ წარმატებებს მიაღწიეს: 1948 წ. XIV ოლიმპიურ თამაშობებზე ლონდონში დაიკავეს საერთო III ადგილი და მოიპოვეს: 10 ოქროს, 5 ვერცხლის და 11 ბრინჯაოს მედალი; 1952 წ. XV ოლიმპიურ თამაშობებზე ჰელსინკიში კვლავ საერთო III ადგილზე გამოვიდნენ, სულ მოაგროვეს 258 ქულა და მოიპოვეს 16 ოქროს,

10 ვერცხლის და 16 ბრინჯაოს მედალი; 1956 წ. XVI ოლიმპიურ თამაშობებზე მელბურნში უნგრელებმა დაიკავეს საერთო მეხუთე ადგილი; მოაგროვეს 198 ქულა და მოიპოვეს 9 ოქროს, 10 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი; 1960 წ. XVII ოლიმპიურ თამაშობებზე რომში კვლავ მეხუთე ადგილზე გამოვიდნენ, მოაგროვეს 150,5 ქულა და მიიღეს 6 ოქროს, 8 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი.

1945—1960 წწ. უნგრეთის 150 სპორტსმენმა მოიპოვა ოლიმპიურ თამაშობათა, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდება. განსაკუთრებული გავრცელება უნგრეთში ჰპოვა ფეხბურთმა, მძლეოსნობამ, ცურვამ, ფარიკაობამ, წყალბურთმა, მაგიდის ჩოგბურთმა და ამ სახეობებში მათ მაღალი მაჩვენებლებიც აქვთ. უნგრეთის ფეხბურთელები 1952 წლის ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონები და არაერთხელ გამოსულან მსოფლიო პირველობის ფინალში, უნგრელ მოცურავეთა მიერ დამყარებულია 42 მსოფლიო და 33 ევროპის რეკორდი. შედეგები მძლეოსნობაში ასეთია:

| | |
|-----------------|---------|
| რბენა 100 მ | 10,1 |
| „ „ 5.000 მ | 13,40,6 |
| ხტომა სიმაღლეზე | 2.07 |
| ბირთვის კვრა | 19,16 |
| უროს ტყორცნა | 69,53 |

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

ჩინეთში უძველესი დროიდანვე გავრცელებული იყო სპორტის ხალხური სახეობები.

ჩინეთის კომუნისტური პარტია და სახალხო მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ მოსახლეობის ფიზიკური აღზრდისადმი.

ფიზკულტურულ მოძრაობას ჩინეთში ხელმძღვანელობს სახელმწიფო ორგანო — ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი. შექმნილია მასობრივი სპორტული საზოგადოებები. სახალხო ჩინეთში ისევე, როგორც სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში შემოღებულა კომპლექსი მშმთ, მთლიანი სპორტული კლასიფიკაცია, იბეჭდება დიდი სპორტული ლიტერატურა, გამოდის ფიზკულტურული ჟურნალ-გაზეთები. ჩინეთში ფართოდ გაშლილია სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა. კადრების მოსამზადებლად ჩინეთში 18 ფიზკულტურის ინსტიტუტია, 6 ფიზკულტურის ტექნიკუმი და 17 ფიზკულტურის ფაკულტეტი პედაგოგიურ ინსტიტუტებთან. სპორტული ოსტატობის ამბღლებისათვის ჩინეთში მოქმედებს 10 ათასი სპორტული სკოლა. დიდი ყურადღება ექცევა ფაბრიკა-ქარხნებში საწარმოო ტან-

ვარჯიშის დანერგვას. დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლებში ყველგან შემოღებულია ფიზიკური აღზრდა.

იზრდება ჩინელ სპორტსმენთა ოსტატობა. ამჟამად ჩინეთს ბევრი დაწინაურებული სპორტსმენი გააჩნია სპორტის სხვადასხვა სახეობაში. უკანასკნელ ხანებში სახელი გაითქვეს ჩინელმა ალპინისტებმაც.

სამწუხაროდ, ჩინელი სპორტსმენები ჯერ კიდევ არ არიან დაშვებული ოლიმპიურ თამაშობებში მონაწილეობის მისაღებად.

ოლიმპიური თამაშობანი ამის შემდგომ პერიოდში

XIV და XV საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობანი

ამის შემდგომ პერიოდში ხუთჯერ ჩატარდა ოლიმპიური თამაშობანი — 1948 წელს ლონდონში, 1952 წელს ჰელსინკიში, 1956 წელს მელბურნში, 1960 წელს რომში და 1964 წელს ტოკიოში.

კიოში.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ძირითადად რეაქციულად განწყობილი წრეებისაგან შედგებოდა. ამიტომაც მას არ შეეძლო ლონდონის ოლიმპიურ თამაშობებზე უზრუნველყო ხალხთა შორის მეგობრული და მშვიდობიანი განწყობილება. ლონდონის ოლიმპიადაზე ხშირი იყო უთანხმოებანი და სკანდალი, ცუდად იყო ორგანიზებული მსაჯობა და სხვ. განსაკუთრებით მძიმე პირობებში აღმოჩნდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სპორტსმენები. ამის შესახებ უნგრეთის ვახეთი¹ „ნეი სპორტი“ წერდა: „ჩვენს სპორტსმენებს მეტად გაუჭირდათ. მათ უხდებოდათ ბრძოლა არა მარტო თავის მეტოქეებთან, არამედ, უწინარეს ყოვლისა. მსაჯებთან“. არც სპორტულ მიღწევათა მსრივ აღმოჩნდა ლონდონის ოლიმპიადა მაღალ დონეზე (განსაკუთრებით მძლეონობაში). ლონდონის ოლიმპიადაზე კარგ შედეგებს მიაღწიეს უნგრელთა და ჩეხოსლოვაკელთა კოლექტივებმა.

თუმცა მშვიდობა და ხალხთა შორის მეგობრობა საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობათა ძირითადი იდეაა, მაგრამ 1952 წლამდე, ამ კეთილშობილ იდეას ფიტავდნენ თამაშობების ორგანიზატორები. მალე შეიცვალა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობა. ოლიმპიური თამაშობები მათი არსებობის 56 წლის მანძილზე პირველად იქცა ხალხთა მეგობრობის დიდ დღესასწაულად, ხოლო საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა მონაწილეობამ განაპირობა ის ამხანაგური და მეგობრული ურთიერთობა, რომელიც სუფევდა ოლიმპიურ თამაშობებზე ყველა ქვეყნის სპორტსმენთა შორის.

მიუხედავად ამისა, ამერიკული ბურჟუაზიული სპორტული მოძრაობის პოლიტიკოსები ცდილობდნენ XV ოლიმპიური თამაშობები გამოეყენებიათ თავისი რეაქციული მიზნებისათვის. ამერიკის გაზეთები ბევრს წერდნენ იმის შესახებ, რომ მომავალი ოლიმპიური თამაშობები იქნება „დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძალთა გამოცდა“. ამერიკული ბურჟუაზიული სპორტის მესვეურები ცდილობდნენ სხვადასხვა მაქინაციებით დაერღვიათ ხალხთა შორის მეგობრული განწყობილება თამაშობებზე. ამ მიზნით ამერიკელმა სპორტის მესვეურებმა გამოიყენეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, საერთაშორისო სპორტული ფედერაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი და მსაჯთა აპარატი და ცდილობდნენ გაეძნელებიათ საბჭოთა კავშირის სპორტსმენების მონაწილეობა შეჯიბრებებში. ამერიკელთა ეს მიდრეკილება განსაკუთრებით გამოძვლავნდა მაშინ, როდესაც საბჭოთა სპორტული დელეგაცია დიდად დაწინაურდა და ქულათა რაოდენობით გაასწრო ამერიკელ დელეგაციას.

1952 წლის ოლიმპიური თამაშობები ყველაზე უდიდესი იყო მანამდე ჩატარებულ ოლიმპიადათა შორის როგორც მონაწილეთა სიმრავლით (6000-მდე მონაწილე 70 ქვეყნიდან), ისე თავისი მაღალი სპორტული მიღწევებით. შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში მწვავედ მიმდინარეობდა, რამაც ხელი შეუწყო მრავალ მსოფლიო, ოლიმპიური, ევროპული და ნაციონალური რეკორდების დაწყარებას და გაუმჯობესებას.

თუ ცალკე სახელმწიფოთა სპორტული დელეგაციების მიერ მალევე ქულათა რაოდენობას გავითვალისწინებთ, 1952 წლის ოლიმპიური თამაშობების შეჯიბრებებში დაკავებული ადგილები შეიქმნება ასე განაწილდეს:

| | | |
|------------------------|-----------|-------|
| 1—2 სსრ კავშირი და აშშ | | 494 |
| 3 უნგრეთი | | 258 |
| 4 შვეცია | | 233,5 |
| 5 დასავლ. გერმანია | | 173,5 |
| 6 ფინეთი | | 144 |

XV ოლიმპიური თამაშობათა შედეგები სპორტის ზოგიერთ სახეობაში:

მ ძ ლ ე ო ს ნ ო ბ ა
(ვ ა ე ე ბ ი)

| | | | | |
|-------------|-----------|-----------------|-----------|------|
| 100 მ რბენა | | რემინჯინო (აშშ) | | 10,4 |
| 200 „ „ | | სტენფილდი (აშშ) | | 20,7 |

| | | |
|-----------------|------------------------|-----------|
| 400 მ რბენა | როდენი (იამაიცა) | 45,9 |
| 800 " " | ურტულდი (აშშ) | 1.49,2 |
| 1500 " " | ბარტელი (ლეუქსემბურგი) | 3.45,2 |
| 5000 " " | ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკ.) | 14.06,6 |
| 10000 " " | ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკ.) | 29.17,0 |
| მართონი | ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკ.) | 2:23.03,2 |
| თარჯრბენა 110 მ | დილარდი (აშშ) | 13,7 |
| " 400 " | მური (აშშ) | 50,3 |
| ესტაფეტი 4×100 | აშშ-ის გუნდი | 40,1 |
| " 4×400 | იამაიკის გუნდი | 3.03,9 |
| ხტომა სიმალღეზე | დევისი (აშშ) | 2,04 |
| " სიგრძეზე | ბიფლი (აშშ) | 7,57 |
| კოკით ხტომა | რიჩარდსი (აშშ) | 4,55 |
| სამხტომი | ფერეირა (ბრაზილია) | 16,22 |
| ბირთვის კვრა | ობრაენი (აშშ) | 17,41 |
| ბადროს ტყორცნა | აინესი (აშშ) | 55,03 |
| შუბის " | იანგი (აშშ) | 73,78 |
| უროს ტყორცნა | ჩერმაკი (უნგრეთი) | 60,34 |

(ქ ა ლ ე ბ ი)

| | | |
|-----------------|-----------------------------|-------|
| 100 მ რბენა | ჯექსონი (ავსტრალია) | 11,5 |
| 200, " " | ჯექსონი (ავსტრალია) | 23,7 |
| თარჯრბენა 80 მ | სტრიკლენდი (ავსტრალია) | 10,9 |
| ესტაფეტი 4×100 | აშშ-ის გუნდი | 45,9 |
| ხტომა სიმალღეზე | ბრენდი (სამხ. აფრიკ. კავშ.) | 1,57 |
| " სიგრძეზე | უილიამსი (ახალი ზელანდია) | 6,24 |
| ბირთვის კვრა | ზიბინა (საბჭოთა კავშირი) | 15,28 |
| ბადროს ტყორცნა | რომაშკოვა (საბჭოთა კავშირი) | 51,42 |
| შუბის " | ზატოპკოვა (ჩეხოსლოვაკია) | 50,47 |

ვ ე ლ ო ს კ ო რ ტ ი

| | | |
|---------------------------|---------------------|------------|
| მარულა ადგილიდან 1000 მ | მოკრიჯი (ავსტრალია) | 1.11,1 |
| სპრინტული მარულა 1000 " | საკი (იტალია) | 12,0 |
| მარულა ტანდემებით 2000 " | მოკრიჯი (ავსტრალია) | 11,0 |
| " დევნით 4000 მ (გუნდური) | იტალიის გუნდი | 4.46,1 |
| " გზატკეცილზე 190,4 კმ | ბელგიის გუნდი | 15:20.46,6 |
| " გუნდური 190,4 კმ | ნუალი (ბელგია) | 5:06.03,4 |

ც უ რ ვ ა (ვ ა ე ე ბ ი)

| | | |
|----------------------------------|---------------------|---------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | სკოულზი (აშშ) | 57,4 |
| 400 " " | ბუატიე (საფრანგეთი) | 4.30,7 |
| 1500 " " | კონო (აშშ) | 18.30,3 |
| 100 " ზურგზე | ოიაკავა (აშშ) | 1.05,4 |
| 200 " ბრასი | დევისი (ავსტრალია) | 2.34,4 |
| ესტაფეტი 4×200 თავისუფალი სტილით | აშშ-ის გუნდი | 8.31,1 |

(ქ ა ლ ე ბ ი)

| | | |
|-----------------------------------|---|--------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | აეეე (უნგრეთი) | 1.06,8 |
| 400 " " " " " " | დიენგე (უნგრეთი) | 5.12,1 |
| 100 " ზურგზე | ნარისონი (სამხ. აფრიკ. კავშირი) | 1.14,3 |
| 200 " ბრასი | სეკეე (უნგრეთი) | 2.51,7 |
| ესტაფეტი 4×100 თავის სტ. | უნგრეთის გუნდი | 4.24,4 |

XVI საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობანი

1956 წლის დამლევს ქ. მელბურნში (ავსტრალია) ჩატარდა XVI საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობები, რომლებშიც 68 ქვეყნის 3539 სპორტსმენი მონაწილეობდა.

ავსტრალიელებს არ გააჩნდათ მსხვილ საერთაშორისო შეჯიბრებათა ჩატარების გამოცდილება, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამაკმაყოფილებლად ჩაატარეს მოსამზადებელი მუშაობა. მელბურნის ჩრდილოეთ ნაწილში გაშენდა ოლიმპიური სოფელი, აგებული იქნა ახალი საცურაო აუზი, ვეებერთელა სპორტული დარბაზი. ოლიმპიური სტადიონი 100.000 მაყურებელს იტევდა.

ოლიმპიადა მეტად მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა და სპორტულ-ტექნიკური მიღწევები მაღალი იყო. მოგვეყავს ხსენებული ოლიმპიადის შედეგები სპორტის ზოგიერთ სახეობაში:

მ ძ ლ ე ო ს ნ ო ბ ა

(ვაეები)

| | | |
|------------------------------|----------------------------------|-----------|
| 100 მ რბენა | მოროუ (აშშ) | 10,5 |
| 200 " " " " " " | მოროუ (აშშ) | 20,6 |
| 400 " " " " " " | ჯეკინსი (აშშ) | 46,7 |
| 800 " " " " " " | კურტნი (აშშ) | 1.47,7 |
| 1500 " " " " " " | დელანეი (ირლანდია) | 3.41,2 |
| 5000 " " " " " " | კუცი (საბჰოთა კავშირი) | 13.39,6 |
| 10 000 " " " " " " | კუცი (საბჰოთა კავშირი) | 28.45,6 |
| მარათონი | მიმუნნი (საფრანგეთი) | 2:25.00,0 |
| თარჯრბენა 110 მ | კელხაუნი (აშშ) | 13,5 |
| " 400 " " " " " " | დევისი (აშშ) | 50,1 |
| ესტაფეტი 4×100 | აშშ-ის გუნდი | 39,5 |
| " 4×400 | აშშ-ის გუნდი | 3.04,8 |
| ხტომა სიმაღლეზე | დიუმასი (აშშ) | 2,12 |
| ხტომა სიგრძეზე | ბელი (აშშ) | 7,83 |
| ჭოკით ხტომა | რიჩარდსი (აშშ) | 4,56 |
| სამხტომი | ფერეირა (ბრაზილია) | 16,35 |
| ბირთვის კერა | ომბრაიენი (აშშ) | 18,57 |
| ბადროს ტყორცნა | ორტერი (აშშ) | 56,36 |
| შუბის " " " " " " | დანიელსენი (ნორვეგია) | 85,71 |
| უროს " " " " " " | კონოლი (აშშ) | 63,19 |

(ქ ა ლ ე ბ ი)

| | | |
|---------------------------|--------------------------------------|-------|
| 100 მ რბენა | კატბერტი (ავსტრალია) | 11.5 |
| 200 " " " " " " | კატბერტი (ავსტრალია) | 23.4 |
| თარჯობენი 80 მ | სტრიკლენდი (ავსტრალია) | 10,7 |
| ესტაფეტი 4×100 | ავსტრალიის გუნდი | 44,5 |
| ხტომა სიმალლეზე | მაკ-დენიელი (აშშ) | 1.76 |
| " სივრძეზე | კშესინსკა (პოლონეთი) | 6,35 |
| ბორთვის კვრა | ტიშევეჩი (საბჭოთა კავშირი) | 16,59 |
| ბადროს ტყორცნა | ფიკოტოვა (ჩეხოსლოვაკია) | 53,69 |
| შუბის " | იაუნზემე (საბჭოთა კავშირი) | 53,86 |

ვე ლ ო ს პ ო რ ტ ი

| | | |
|-----------------------------------|------------------------------|---------|
| მარულა ადგილიდან 1000 მ | ფარჯინი (იტალია) | 1.09.8 |
| " სპრინტული 1000 " | არუსო (საფრანგეთი) | 11.4 |
| " ტანდემებით 2000 " | ბრაუნი (ავსტრალია) | 10.8 |
| " დევნით (გუნდური) | | |
| " 4000 " | იტალიის გუნდი | 4.37,4 |
| " გზატკეცილზე (გუნდური) | | |
| " 187,831 კმ | საფრანგეთის გუნდი | 22 ქულა |
| " 187,73 კმ | ბალდინი (იტალია) | 5.21,17 |

ც უ რ ვ ა (ვაეები)

| | | |
|-----------------------------------|--------------------------------|---------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | ჰენრიკსი (ავსტრალია) | 55,4 |
| 400 " " " " " " | როუზი (ავსტრალია) | 4.27,3 |
| 1500 " " " " " " | როუზი (ავსტრალია) | 17.58.9 |
| 100 " ზურგზე | ტილი (ავსტრალია) | 1.02.2 |
| 200 " ბრასი | ფურუჟაევა (იაპონია) | 2.34.7 |
| 200 " ბატერფლაი | იორზიკი (აშშ) | 2.19,3 |
| ესტაფეტი 4×200 მ | ავსტრალიის გუნდი | 8.23,6 |

(ქ ა ლ ე ბ ი)

| | | |
|-----------------------------------|--------------------------------|--------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | ფრაიზერი (ავსტრალია) | 1.02.0 |
| 400 " " " " " " | კრეპი (ავსტრალია) | 4.54,6 |
| 100 " ზურგზე | გრინხემი (ინგლისი) | 1.12,9 |
| 200 " ბრასი | ხაპე (გერმანია) | 2.53.1 |
| 100 " ბატერფლაი | მენი (აშშ) | 1.11.0 |
| ესტაფეტი 4×100 | ავსტრალიის გუნდი | 4.17,1 |

XVII საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობები ჩატარდა ქ. რომში 1960 წლის აგვისტო-სექტემბერში. ამ თამაშობებში მონაწილეობდა 84 ქვეყნის 5892 სპორტსმენი. თამაშობები გაიხსნა 25 აგვისტოს ოლიმპიურ სტადიონზე, რომელიც 100.000-ზე მეტ

მაყურებელს იტევდა. ოლიმპიადაზე დამყარებულ იქნა 54 ახალი ოლიმპიური რეკორდი, რომელთაგან 20 მსოფლიო რეკორდს წარმოადგენდა.

XVII ოლიმპიური თამაშობათა შედეგები სპორტის ზოგიერთ სახეობაში:

მ ძ ლ ე ო ს ნ ო ბ ა (ვაყები)

| | | |
|--------------------|-------------------------------|-----------|
| 100 მ. რბენა | ხარი (გერმანია) | 10,2 |
| 200 " " | ბერუტი (იტალია) | 20,5 |
| 400 " " | დევისი (აშშ) | 44,9 |
| 800 " " | სნელი (ახალი ზელანდია) | 1.46,3 |
| 1500 " " | ელიოტი (ავსტრალია) | 3.35,6 |
| 5000 " " | ხალბერგი (ახალი ზელანდია) | 13.43,4 |
| 10 000 " " | ბოლოტნიკოვი (საბჭოთა კავშირი) | 28.32,2 |
| მარათონი | ბიკილა (ეთიოპია) | 2.15.16,2 |
| თარჯბენი 110 მ | კელხაუნი (აშშ) | 13,8 |
| " 400 " | დევისი გლენი (აშშ) | 49,3 |
| ესტაფეტი 4 × 100 მ | გერმანიის გუნდი | 39,5 |
| " 4 × 400 " | აშშ-ის გუნდი | 3.02,2 |
| სიარული 20 კმ | გოლუბნიჩი (საბჭოთა კავშირი) | 1:34.07,2 |
| " 50 " | ტომპსონი (ინგლისი) | 4:25.30,0 |
| ნტომა სიმაღლეზე | შავლაყაძე (საბჭოთა კავშირი) | 2,16 |
| " სიგრძეზე | ბოსტონი (აშშ) | 8,12 |
| სამხტომი | სმიდტი (პოლონეთი) | 16,81 |
| ბირთვის კვრა | ნიდერი (აშშ) | 19,68 |
| ბადროს ტყორცნა | ორტერი (აშშ) | 59,18 |
| შუბის | ციბულენკო (საბჭოთა კავშირი) | 84,64 |
| უროს | რუდენკოვი (საბჭოთა კავშირი) | 67,10 |
| ათქიდი | ჯონსონი (აშშ) | 83,92 |

(ქ ა ლ ე ბ ი)

| | | |
|------------------|-------------------------------|--------|
| 100 მ რბენა | რუდოლფი (აშშ) | 11,0 |
| 200 " " | რუდოლფი (აშშ) | 24,0 |
| 800 " " | შევცოვა (საბჭოთა კავშირი) | 2.04,3 |
| თარჯბენი 80 მ | პრესი ირინა (სსრ კავშირი) | 10,8 |
| ესტაფეტი 4 × 100 | აშშ-ის გუნდი | 44,5 |
| ნტომა სიმაღლეზე | ბალაში (რუმინეთი) | 1,85 |
| " სიგრძეზე | კრეპკინა (საბჭოთა კავშირი) | 6,37 |
| ბირთვის კვრა | პრესი თამარ (საბჭოთა კავშირი) | 17,32 |

| | | |
|----------------|---------------------------|-------|
| ბადროს ტყორცნა | პონომარიოვა (საბჭოთა კავ- | |
| შუბის | შირი) | 55,10 |
| " | ოზოლინა (საბჭოთა კავშირი) | 55,98 |

ველოსპორტი

| | | |
|--------------------------|------------------------------|------------|
| მარულა ადგილიდან 1000 მ | გაიარდონი (იტალია) | 1.07,2 |
| მარულა ტანდემებით 2000 „ | იტალია | 11,7 |
| „ დევნით (გუნდური) | | |
| 4000 „ | იტალიის გუნდი | 4.30,90 |
| „ გზატკეცილზე (გუნ- | | |
| დური) | 100 კმ იტალიის გუნდი | 2:14.33,53 |
| „ 175,38 კმ | კაპიტონოვი (საბჭოთა კავშირი) | 4:20,37 |

ცურვა (ვაეები)

| | | |
|-------------------------|---------------------|---------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | დევიტი (ავსტრალია) | 55,2 |
| 400 „ | როუზი (ავსტრალია) | 4.18,3 |
| 1500 „ | კონრადე (ავსტრალია) | 17.19,6 |
| 100 „ ზურგზე | ტილი (ავსტრალია) | 1.01,9 |
| 200 „ ბრასი | მალიკენი (აშშ) | 2.37,4 |
| 200 „ ბატერფლაი | ტროი (აშშ) | 2.12,8 |
| ესტაფეტი 4 × 200 მ | აშშ-ის გუნდი | 8.10,2 |
| „ 4 × 100 „ | აშშ-ის გუნდი | 4.05,4 |

(ქალები)

| | | |
|---------------------------|----------------------|--------|
| 100 მ თავისუფალი სტილით | ფრეიზერი (ავსტრალია) | 1.01,2 |
| 400 „ | ფონ ზალცა (აშშ) | 4.50,6 |
| 100 „ ზურგზე | ბერკი (აშშ) | 1.09,3 |
| 200 „ ბრასი | ლონსბრო (ინგლისი) | 2.49,5 |
| 100 „ ბატერფლაი | შულერი (აშშ) | 1.09,5 |
| ესტაფეტი 4 × 100 მ | აშშ გუნდი | 4.08,9 |
| „ 4 × 100 (კომბინირებული) | აშშ გუნდი | 4.41,1 |

იმავე წლის ზამთარში კალიფორნიის ულამაზეს კუთხეში — სკვოველში ჩატარდა VIII ზამთრის საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობანი. ამ თამაშობებზე თავი ისახელა საბჭოთა სპორტსმენმა გრიშინმა, რომელმაც საციგურაო სპორტში 500 მეტრი გაირბინა 39,6 წამში. იგი მსოფლიოში პირველი სპორტსმენი იყო, რომელმაც ეს დისტანცია 40 წამით ნაკლებ დროში გაირბინა.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა
ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს ფ ი ზ ი ა უ რ ი კ უ ლ ჯ უ რ ი ს ი ს გ ო რ ი ა

თ ა ვ ი 1

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს ტ ა რ ი ტ ო რ ი ა ზ მ ც ხ ო ვ რ ე ზ ხ ა ლ ს თ ა ფ ი ზ ი ა უ რ ი
კ უ ლ ტ უ რ ა უ მ კ ვ ე ლ ე ს ი დ რ ო ი დ ა ნ რ უ ს ე თ ი ს ც ა ნ ტ რ ა ლ ი ზ ა გ უ ლ ი
ს ა ხ ა ლ მ ფ ი ზ ო ს ჩ ა მ ო რ ა ლ ი ზ ა გ ა მ დ

§ 1. ფიზიკური კულტურა პირველყოფილი თევზი წყობილების დროს.
ჩვენი ძველის ტერიტორიაზე ძველად არსებულ მონათხრობებზე
სახალმწიფოთა ფიზიკური კულტურა

შრომის როლი ფი-
ზიკური კულტურის
განვითარებაში პირ-
ველყოფილი თევ-
ზი წყობილების
დროს

პირველყოფილი საზოგადოების კულტურის
განვითარებაში დიდი როლი შეასრულა შრომამ,
რომელმაც ადამიანი მაღალ და მოაზროვნე არ-
სებად გახადა. მაგრამ შრომის როლი მარტო იმით
კი არ ამოიწურება, რომ მან მაიმუნი ადამიანად
აქცია, არამედ იგი შემდგომში პროგრესის მა-
მობრავებელ ძალად იქცა. მარქსიზმის ფუძემდებელთა განმარტებით
შრომა მთელი კულტურის წარმოშობის ბუნებრივ-ისტორიული სა-
ფუძველია. შრომამ შეუწყო ხელი ადამიანის შეგნების განვითარებას.

პირველყოფილ ადამიანთა შრომა კოლექტიური იყო, ერთად
მუშაობის დროს კოლექტივს წევრებს ებადებოდათ ახალ-ახალი
აზრები, რომლებიც ერთმანეთისათვის უნდა გაეზიარებიათ. ამგვარ-
მა მოთხოვნილებამ დაბადა მეტყველების წარმოშობისა და განვითარების აუცილებლობა.

პირველყოფილი ადამიანის სამეურნეო და საზოგადოებრივი მოქ-
მედება მოითხოვდა ყოველდღიურ მძიმე შრომას. ქვის უხეში იარაღე-
ბი და შემდგომ გამოგონილი მშვილდ-ისარი ვერ უზრუნველყოფდ-
ნენ ადამიანის ცალკე ცხოვრებას. მის ბრძოლას არსებობისათვის.
საჭმლის მოპოვება, საცხოვრებლის აგება, ნადირისაგან თავდაცვა—
მოითხოვდა ადამიანთა გაერთიანებას. საყვების მოსაპოვებლად ისი-
ნი ერთად დაეხეტებოდნენ მთებში, ტყეებსა და ტრამალეებზე. ბუ-
ნებასთან ბრძოლა პრიმიტიულად შეიარაღებული ადამიანისაგან

მოითხოვდა გამძლეობას, სიმტკიცეს, ფიზიკურ ძალას. ეს მეტად საჭირო თვისებები ადამიანში მუშავდებოდა შრომისა და თავდაცვის პროცესში. კოლექტიურ შრომით საქმიანობაში მუშავდებოდა ადამიანის ისეთი ჩვევები, როგორცაა სიარული, რბენა, ხტომა, ცოცვა, ცურვა, ტყორცნა და სხვ. ხსენებული მოძრაობები მჭიდროდ იყო დაკავშირებული არსებობისათვის ბრძოლასთან და ადამიანის ყოველდღიურ შრომასთან. შრომითი საქმიანობა პირველყოფილი საზოგადოების ადრეულ საფეხურზე ადამიანის ფიზიკურ თვისებათა ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

პირველყოფილი ფიზიკური კულტურის ჩასახვას მიაკუთვნებენ მატრიარქატის ადრეულ საფეხურს.

ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ შეჯიბრებითს თამაშობებს მტკიცე ხასიათი ჰქონდა იმ პირველყოფილ ტომთა შორის, რომელთათვის უკვე ცნობილი იყო საზოგადოებრივი შრომის განაწილების ჩანასახი. ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ალტაის მრავალ ტომს, რომელთაც, XVIII—XIX საუკუნის მოგზაურებისა და ეთნოგრაფების აღწერით, შემონახული ჰქონდათ მატრიარქატის ეპოქის ტიპური ნიშნები. ჩვეულებად ჰქონდათ კოლექტიური შეჯიბრებების გამართვა მშვილდოსნობაში, რბენაში, ბურთაობაში, ცურვასა და ნიჩბოსნობაში, შუბისა და ლახვრის ტყორცნაში.

მატრიარქატის მომდევნო—პატრიარქატის პერიოდში ფიზიკური კულტურა კარგავს ორგანულ კავშირს საწარმოო შრომასთან და ამრიგად ის ვარჯიშობები, რომლებიც წინათ შრომითი პროცესის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდნენ, ახლა დამოუკიდებელ ვარჯიშებად იქცნენ; მათ მიზანს სამხედრო და შრომითი მოქმედებისადმი მომზადება წარმოადგენდა.

პირველყოფილი ფიზიკური კულტურა მთელი საზოგადოების კუთვნილებას წარმოადგენდა. იგი სავსებით შეეფერებოდა იმ ეპოქის საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობათა განვითარების დონეს.

**ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძველად არსებულ
მონათმფლობელურ სახელმწიფოთა ფიზიკური
კულტურა.**

ფიზიკური კულტურა ძველ საქართველოში ძვ. წ. პირველი საუკუნის დამდეგს საქართველოში მთიელებს შენარჩუნებული ჰქონდათ პირველყოფილი თემური წყობილება მაშინ, როდესაც ბარში საზოგადოებრივი თანასწორობა აღარ არსებობდა. ქართველ მთიელთა სამხედრო-ფიზიკური აღზრდის საკითხის

შესწავლა ხსენებულ პერიოდში მეტად რთულია, რადგან არ მოიპოვება მონაცემები, რომლებიც უშუალოდ მთიელთა იმ უძველესი ხანის ფიზიკურ კულტურას ეხება. ამიტომ ამ საკითხის გასაშუქებლად საჭიროა ვისარგებლოთ იმ მონაცემებით, რომელთაც ქართველ მთიელთა (სვანების, ფშავეების, ხევსურების, თუშების) ეთნოგრაფიული ყოფა იძლევა.

ზემო სვანეთში ჯერ კიდევ XIX საუკუნის დამლევს თემის სათავეში იდგა მახვი. ამ თანამდებობაზე ირჩევდნენ ყველაზე უფრო გამოცდილ, გონიერ, გულადსა და პატიოსან კაცს. ყოველი სვანის წმიდათა წმიდა მოვალეობას წარმოადგენდა მტრებისაგან თემის ღირსების დაცვა, ამიტომაც თითოეული სვანი უნდა ყოფილიყო ფიზიკურად ძლიერი, მამაცი და სათანადოდ მომზადებული თავისი თემის დასაცავად. თუშეთში ოსევე, როგორც სვანეთში, თემის თითოეული წევრი მოვალე იყო დაეცვა თავისი თემი და მტრისათვის პასუხი გაეცა. აღზრდა ხევსურეთში მიზნად ისახავდა ფიზიკურად ძლიერი, ჯანსაღი, გამძლე, შრომისუნარიანი და ბრძოლისუნარიანი ახალგაზრდობის მომზადებას. ფარეკაობის შესწავლა ხევსურეთში 6—8 წლიდან იწყება. ბავშვები ხმარობენ ხის დაშნას და ხის ან წნელისაგან მოწნულ ფარს. ამ იარაღს ბავშვები სწორად თვითონვე აკეთებდნენ. 15 წლის ქაბუკი უკვე დაუფლებულია ფარ-ხმალს, ღებულობს საბრძოლო იარაღს და იწყებს ლითონის იარაღზე წვრთნას. აღრიდანვე ბიჭები ფარეკაობასთან ერთად იწვრთნებოდნენ ისრის ტყორცნაში, თამაშობდნენ სხვადასხვა მოძრავ თამაშობებს.

ხევსურთა ფიზიკური მომზადების საშუალებანი მრავალფეროვანია და შეიცავს: მათში სიარულს, რბენას, ხტომას სიგრძეზე, ქვის ტყორცნას მანძილზე და მიზანში (ბელით, შურდულით), მოძრავ თამაშობებს და ცეკვას მუსიკის თანხლებით, თხილამურებზე სიარულს, ფარეკაობას, ისრის ტყორცნას, ცხენოსნობას, ჭიდაობას, ნადირობას.

ასევე მრავალფეროვანია სვანების ფიზიკური ვარჯიშობანი, რომელთა შორის აღსანიშნავია: ხტომა სიგრძეზე, ხტომა სიმაღლეზე, ქოკით ხტომა სიგრძეზე, ხტომა დაბრკოლებებით, ქვის აწევა და გადატანა, ქვის კვრა; ბრტყელი ქვის ტყორცნა (ბადროს მსგავსად), ბურთაობა, ხელშუბის ტყორცნა, ხელისრის და ისრის ტყორცნა, ცხენოსნობა, ჭიდაობა, ნადირობა და სხვ.

ასეთივე დიდი ადგილი ეჭირა ფიზიკურ აღზრდას სხვა ქართველ მთიელთა ცხოვრებაშიც.

ქართველ მთიელთა შორის შემონახული იყო მრავალი რწმენა და რიტუალური წესი. რიტუალურ წესებთან დაკავშირებული იყო

მთელი რიგი ფიზიკური ვარჯიშობებისა და თამაშობების ჩატარება. ქართველი მთიელები ზოგიერთ ფიზიკურ ვარჯიშობას დაკრძალვის, ტირილისა და რიგის წესებს უკავშირებდნენ. მაგალითად, თუშეთში რიგის დროს მართავდნენ ცხენების კენებას — ს ა დ გ ი ნ ს. მიცვალებულის „სულის“ მოსახსენებლად და პატივსაცემად იმართებოდა ღ ა ბ ა ხ ი (ნიშანში თოფის სროლა), ხეცსურეთში მიცვალებულია მოსაგონებლად აწყობდნენ დოღს. რომელსაც ც ხ ე ნ ნ ი ეწოდებოდა.

ამ პერიოდის ფიზიკურ ვარჯიშობათა სახეობებს ეკუთვნის: რბენა, ხტომა, ქვის, შუბისა და ხელშუბის ტყორცნა, მშვილდოსნობა. ფარიკაობა, მოძრავი თამაშობანი და სხვ.

ამ პერიოდის ქართველ მთიელთა შორის არ შეიმჩნეოდა ფიზიკურ ვარჯიშობათა ის დიფერენციაცია, რომელსაც უკვე ადვილი ჰქონდა ბარში მცხოვრებ ქართველ ტომთა შორის.

ბარში ამ დროს არ არსებობდა არც საზოგადოებრივი საკუთრება და არც საზოგადოებრივი თანასწორობა. ხალხი აქ ოთხ წოდებად იყოფოდა.

ბარში ფიზიკურ კულტურას იმ დროს უკვე კლასობრივი ხასიათი ჰქონდა და სამი მიმართულებით ვითარდებოდა: 1) არისტოკრატია ფიზიკური კულტურა; 2) თავისუფალი ხალხის ფიზიკური კულტურა; 3) მდაბიო ხალხის ფიზიკური კულტურა.

რადგან საქართველოს მუდამ ომის წარმოება უხდებოდა მტერთა მოსაგერიებლად, ამიტომ ფიზიკური აღზრდის სისტემასაც სამხედრო ხასიათი ჰქონდა და სამხედრო საქმის ამოცანას ემსახურებოდა. არისტოკრატია, რომელიც ჯარს მეთაურობდა, ცდილობდა აღჭურვილი ყოფილიყო მაღალი ფიზიკური თვისებებით, რათა გაძლოლოდა ჯარს და ბრძოლაში მაგალითი მიეცა. მეორე მხრივ, მათ ეს თვისებები ესაჭიროებოდათ ჩაგრულთა დასამორჩილებლად.

მესამე წოდებას საქართველოში შეადგენდა თავისუფალი ხალხი. რომელიც, მართალია, პირადად თავისუფალი იყო, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გავლენით არ სარგებლობდა. მესამე წოდების წარმომადგენლებს მეფის განკარგულებით ომში გამოსვლაც ევალებოდათ, ამიტომ, უდავოა, რომ, მეფეებისა და არისტოკრატების გარდა, სამხედრო ხასიათის ისეთი ფიზიკური ვარჯიშობები, როგორცაა ცხენოსნობა, ფარიკაობა, მშვილდოსნობა, შუბის ტყორცნა და სხვ. მისაწვდომი იყო მესამე წოდების წარმომადგენელთათვის, თუმცა მათ შორის არსებობდა განსხვავება შეიარაღებაში. არისტოკრატებს თავიანთი ქონებრივი მდგომარეობა საშუა-

ლებას აძლევდა საუკეთესო იარაღი ჰქონოდათ და საუკეთესო ცხენებიც ჰყოლოდათ.

მეოთხე წოდებას წარმოადგენდნენ მესეფე გლეხები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა სეფე-სახლისათვის საკვების, ტანსაცმლისა და ყოველივე იმის მიწოდება, რაც კი ადამიანს ესაჭიროებოდა. თავისუფლება შეზღუდულ და ფიზიკური შრომით დატვირთულ მდაბიო ხალხს, რა თქმა უნდა, არ ექნებოდა ფიზიკურ ვარჯიშობათა სისტემატურად წარმოების საშუალება. იგი მხოლოდ დროგამოშვებით, დღესასწაულების დროს შეძლებდა გართობა-თამაშობას. მდაბიო ხალხისათვის მისაწვდომ ფიზიკურ ვარჯიშობებს ეკუთვნოდა — რბენა, ხტომა, ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა, მშვილდოსნობა, მოძრავი თამაშობანი და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იბერიაში ძვ. წ. I საუკუნის დამდეგს ბლომად იყვნენ მონები, რომელთაც მეფის გვარი, ქურუმები და სხვა მდიდარი ხალხი ფლობდა. ყოველგვარ უფლებებს მოკლებული და არაადამიანური, იუძლებითი შრომით დატვირთული მონები სავსებით მოკლებული იყვნენ ფიზიკურ ვარჯიშობათა წარმოების საშუალებას.

ფიზიკური კულტურა ძველ სომხეთში

მონათმფლობელური პერიოდის სომხეთში პრივილეგიურ კლასს წარმოადგენდა სამხედრო-მონათმფლობელური არისტოკრატია, ეგრეთ წოდებული ნახარაგები, ხოლო მდაბიო ხალხს შეადგენდნენ — ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ნახევრად დამოკიდებული გლეხობა და მონები. მათ რამიყებს უწოდებდნენ. წარჩინებულნი სამ წოდებრივ ფენად იყოფოდნენ — ნახარაგები, ქურუმები და აზატები (თავისუფლები). ნახარაგები ოლქების მმართველები იყვნენ, ამავე დროს მეთაურობდნენ ცხენოსან და ქვეით ჯარს. აზატები წარმოადგენდნენ წვრილ მიწათმფლობელთა და წარჩინებულთა ფართო ფენას. ესენი იყვნენ ცხენოსნები, რომლებსაც სამხედრო სამსახურისათვის მიწის ნაკვეთები ეძლეოდათ.

ამგვარ კლასობრივ დიფერენციაციას არ შეეძლო კვალი არ დაეჩნია ფიზიკური კულტურის განვითარებაზე. ნახარაგების ფიზიკური აღზრდა ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა. ხშირი ომების წარმოება და მდაბიოთა დამორჩილება ნახარაგებისაგან მოითხოვდა სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას და ამ მიზნით სისტემატურ წვრთნას. ეს წვრთნა ბავშვობიდანვე იწყებოდა. ყმაწვილთა აღსაზრდელად ნახარაგები სპეციალურ მასწავლებლებს იწვევდნენ. ხშირად ნახარაგების ვაჟები იკრიბებოდნენ სასწავლად ერთ-ერთი, უფრო

წარჩინებული და მდიდარი ნახარაჩის სასახლეში. ბიჭებს ასწავლიდნენ მშვილდოსნობას, შუბის ტყორცნას, ფარიკაობას. ცხენოსნობასა და სხვ.

ძალ-ღონისა და ამტანობის განვითარების საშუალებად ძველ სომხეთში გამოყენებული იყო აგრეთვე რბენა, ჭიდაობა და კრივინახარარების ფიზიკურ ვარჯიშობათა არსენალს წარმოადგენდა შუბისა და ლახვრის ტყორცნა, ქვის შურდულით ტყორცნა, მშვილდოსნობა, ფარიკაობა, ცხენოსნობა, რბენა, ჭიდაობა, კრივი.

ძველ სომხეთში ფართოდ იყო გავრცელებული ბურთაობის ერთ-ერთი სახე, რომელსაც „ხოლს“ უწოდებდნენ. ამ თამაშობებში ჰოკიჯოხებით შეიარაღებული ორი გუნდი მონაწილეობდა; ჯოხების საშუალებით თითოეული გუნდი ცდილობდა ძვლის ან ხის მცირე ბურთი ჩაეგდო მოწინააღმდეგის ორმოში. ნახარარები „ხოლს“ ცხენებით თამაშობდნენ, ხალხთა მასებს კი ამის საშუალება არ ჰქონდათ და ამავე თამაშობას ქვეითად ატარებდნენ. ძველი სომხეთის ხელოსნები და გლეხები მოკლებული იყვნენ სისტემატურად ვარჯიშობის საშუალებას. მონები სომხეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, თავის მოძმეთა ბედს იზიარებდნენ.

სომხეთში ძველად იმართებოდა ეგრეთ წოდებული ნაკასარდის თამაშობები. მისი ჩატარების ადგილი იყო ბაგავანი, სადაც დიდძალი ხალხი იკრიბებოდა. რელიგიურ წესჩვეულებათა ჩატარების შემდეგ იმართებოდა სპორტული შეჯიბრებები და თამაშობები. ამ თამაშობებს მაშინდელი სომხეთისათვის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

სომხეთის ისტორიული წყაროები საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომ ძველად აქაც არსებობდა სპეციალური ფიზკულტურული ნაგებობანი.

ზოგიერთი ცნობა სკვითებისა და სარმატების სამხედრო-ფიზიკური მომზადების შესახებ

ვოლგიდან დნებრამდე გადაჭიმული ვეებერთელა ტრამალეებზე ძვ. წ. VIII—III საუკუნეებში სკვითები ბინადრობდნენ. სკვითებზე ადრე ამ ტერიტორიაზე კიმერიელები მოსახლეობდნენ (ძვ. წ. VIII საუკუნემდე), ხოლო უფრო გვიან — სარმატები (ძვ. წ. III საუკუნე). სკვიტები სხვადასხვა ტომებისაგან შედგებოდნენ; ამ ტომების ნაწილი მიწათმოქმედებას ეწეოდა, ნაწილი კი მეჯოგეობას. ძვ. წ. V საუკუნისათვის სკვიტები ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების უკანასკნელ, კლასობრივი საზოგადოებისაკენ გარდამავალ საფეხურზე იყვნენ.

ცნობილია, რომ ბერძნებს შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირებზე

მრავალი კოლონია გააჩნდათ. სკვითებს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ბერძენთა კოლონიებთან. სკვითები ბერძნებს აწვდიდნენ პირუტყვს, პურს, თევზს, ხოლო ეს უკანასკნელნი თავიანთ ქვეყანაში აგზავნიდნენ. სამაგიეროდ ბერძნები სკვითებს აძლევდნენ თავიანთ ნაწარმს (ქსოვილებს, ზეთს და სხვ.). ეს კავშირი და ურთიერთობა იმდენად მჭიდრო იყო, რომ მალე ჩამოყალიბდა ბერძენებისა და სკვითების შერეული ახალშენები, რომლებიც მდებარეობდნენ ახლანდელი ყირიმისა და ჩრდილო კავკასიის ზღვისპირა ტერიტორიაზე, ხერსონესსა და ოლივიაში.

ბერძნებთან მჭიდრო ეკონომიური კავშირის მიუხედავად, სკვითებს შენარჩუნებული ჰქონდათ დამოუკიდებლობა და კულტურული ტრადიციების ურყეობა.

სკვითების ცხოვრების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ბერძენი მწერლები. ამასთან მრავლად მოიპოვება იმ დროის მატერიალური კულტურის ძეგლებიც. გათხრების საშუალებით აქ აღმოჩენილია ძველი ქალაქების ნაშთები, ქუჩები, სახლები, ტაძრები და სხვ.

სამარხებში ნაპოვნია მრავალი სხვადასხვა ნივთი. მაგალითად, ბერძნული ვაზები და სხვ. ამ ნივთებთან ერთად აღმოჩენილია არაბერძნული სტილის საგნებიც, მაგრამ უდავოა, რომ ისინი დამზადებულია ბერძენი ოსტატების მიერ, ალბათ, ადგილობრივი სკვითების შეკვეთით. აღმოჩენილია, მაგალითად, ოქროს ქარქაში, დამზადებული სკვითური მახვილისათვის, რომელიც სრულებით არ წააგავს ბერძნულ მახვილს. გათხრის დროს აღმოჩენილ ნივთებს შორის მოიპოვება არაბერძნული წარმოშობის სურათებითა და გამოსახულებით შემკული ლითონისა და თიხის ვაზები; ამ ვაზებზე გადმოცემული სცენები აღებულია სკვითების ცხოვრებიდან. ერთი ამგვარი ოქროს ნივთი აღმოჩენილია ქერჩის მახლობლად, მეორე (ვერცხლის) — ნიკოპოლის მახლობლად. ორივე ნივთზე გამოხატულნი არიან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი სკვითი მეომრები და ცხენოსნები.

სკვითები ფიზიკურად ძლიერი, ამტანი ხალხი იყო. ბრძოლის დროს ისინი დიდ მამაცობას იჩენდნენ, კარგად ფლობდნენ სამხედრო იარაღს (მახვილს, შუბს, მშვილდ-ისარს) და კარგი ცხენოსნებიც იყვნენ. სკვითებს მამაც და მეომარ ხალხად გვიხატავენ ბერძენი მწერლებიც. ისტორიკოსი ჰეროდოტე (ძვ. წ. V საუკუნე) აკვიწერს სკვითების ცხოვრებას და მოგვითხრობს სკვით მამაკაცთა განსაკუთრებულ მამაცობაზე.

პიპოკრატე (ძვ. წ. 460—377 წწ.) მოგვითხრობს სკვითების ქალთა ფიზიკური აღზრდის შესახებ: ისინი კარგი ცხენოსნებია, კარგად ტყორცნიან მშვილდიდან ისარს, ხელშუბს და ვიდრე ქალწულები არიან. მონაწილეობენ მტრებთან ბრძოლებში. არ თხოვდებიან მანამდე, ვიდრე სამ მეტრს არ იმსხვერპლებენ. ამორძალთა მსგავსად სკვითის ქალებს უდაღავენ მარჯვენა ძუძუს (სკვითების რწმენით ამით, თითქოს, მთელი ძალ-ღონე მარჯვენა მკლავში გროვდება).

სლავების ფიზიკური კულტურა კიევის ხაზელმწიფოს წარმომომადგ

სლავების ეთნოგენეზი თავისი ფესვებით მიედინება ტრიპოლის მდიდარი კულტურისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ ძვ. წ. 3000 წლის წინათ არსებობდა უკრაინის ტერიტორიაზე. აღმოსავლეთის სლავები შეადგენდნენ ტომების ძლი-

ერ კავშირს, რომელიც გაერთიანებული ძალებით თავს იცავდა მომთაბარე ხალხთა თავდასხმებისაგან. ძველი სლავების ძირითადი მოსაქმეობა მიწათმოქმედება იყო. ისინი მისდევდნენ მესაქონლეობასა და მეთევზეობას. მათთვის ცნობილი იყო აგრეთვე ლითონის დამუშავებაც. ამ დროს სლავი ტომები გვაროვნული წყობილების საფეხურზე იყვნენ, მაგრამ იგი უკვე რღვევის პროცესს განიცდიდა.

ისტორიულ წყაროებში ხაზგასმულია სლავ მებრძოლთა მაღალი ფიზიკური თვისებები. ამის შესახებ გვიამბობენ ბიზანტიელი მწერლებიც. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი სლავ ხალხს ახასიათებს როგორც ტანმადალ და ფიზიკურად ღონიერ ხალხს. მ ა ვ რ ი კ ი ს მოწმობით ძველ სლავურ ტომებს ახასიათებდა ამტანობა, გამბედაობა, ძალ-ღონე; მათ კარგი ცურვა ცოდნიათ. წყალქვეშ ხანგრძლივი ყოფნა შეძლებიათ და ამასთან ერთად საუცხოო მშვილდოსნები და შუბოსნები ყოფილან.

კარგად შეიარაღებულ ბიზანტიელებთან ბრძოლისას მამაცი და გულადი სლავები ხშირად ამარცხებდნენ ბერძენთა ჯარებს. VII საუკუნეში სლავებმა თავისი პატარა ნავეებით შავი ზღვა გადაცურეს და ძლიერ კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყეს.

სლავ ტომთა შორის ბევრი ფიზიკური ვარჯიშობა და თამაშობები იყო გავრცელებული. მათ შორის აღსანიშნავია სლავების ძველთაძველი და საყვარელი ვარჯიშობა — კრივი, ჯოხებით ფარკობა, მშვილდოსნობა, ქვის ტყორცნა, ცურვა, მოძრავი თამაშობანი — „ქალაქის აღება“ და მრავალი სხვ.

§ 2. ფიზიკური კულტურა კიევის რუსეთში ფეოდალური
დაპუტაცების პერიოდში

აღმოსავლეთ სლავების პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც IX—X საუკუნეთა მიჯნაზე აღმოცენდა, ცნობილია კიევის რუსეთის სახელწოდებით.

საზოგადოებრივ-ეკონომიური მხრივ კიევის სახელმწიფოს წარმოშობის ხანა რუსი ხალხისათვის იყო სამხედრო დემოკრატიიდან ფეოდალურ წყობილებისაკენ გარდამავალი პერიოდი. მტკიცე ფეოდალური ურთიერთობანი კიევის რუსეთში XI საუკუნის მეორე ნახევარში დამყარდა.

კიევის რუსეთში განვითარდა ვაჭრობა და ხელოსნობა. საგრძნობლად გაიზარდა ბოიარების გავლენა. XI საუკუნიდან კიდევ უფრო გაძლიერდა ხალხის ჩაგვრა. მთელი მიწები მთავრებმა და ბოიარებმა იგდეს ხელთ და მიწათმოქმედები ყმებად აქციეს. ეს უკანასკნელნი მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სწორი იყო აჯანყებები, რომელთაც სტიქიური ხასიათი ჰქონდა.

ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერებული ცალკეული ოლქები დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროებად გადაიქცნენ. წვრილ სამთავროთა მთავრები განუწყვეტლივ მტრობდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ ერთმანეთისათვის წაერთმიათ მიწები. ეს განუწყვეტელი ბრძოლები აწიოკებდა ხალხს და ასუსტებდა ქვეყანას. რუსეთის ასეთი დაქუცმაცება გრძელდებოდა XV საუკუნის დამლევამდე, ვიდრე მოსკოვის სამთავროს მეთაურობით ჩამოყალიბდებოდა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფო.

კიევის რუსეთში ფიზიკური კულტურა ვითარდება ძველ ტრადიციებზე. რომლებიც ადრევე ჩამოყალიბდა სლავური მოსახლეობის შრომისა და სამხედრო მოქმედების პრაქტიკაში. ფიზიკურმა კულტურამ თანდათან მკაფიოდ გამოსახული კლასობრივი ხასიათი მიიღო და ჩამოყალიბდა მისი ორი მიმართულება:

- 1) ხალხთა მასების ფიზიკური კულტურა და
- 2) ფეოდალთა ფიზიკური კულტურა.

რუსეთის მიწა-წყლის დაცვაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ხალხი, რომელიც სამშობლოსადმი დიდ სიყვარულს ამჟღავნებდა. ხალხის მაღალმა ფიზიკურმა და მორალურმა დონემ ნათელი გამოსახულება ჰქონდა იმ პერიოდის ზეპირსიტყვიერებაში (თქმულება გმირთა შესახებ — „ილია მურომეცი“, „დობრინია ნიკიტიჩი“, „ვასილ ბუსლავეი“ და სხვ.), სადაც გმირები გვევლინებიან ფიზი-

კურად და მორალურად ძლიერ ადამიანებად და ამავე დროს პატიოსან მშრომელებად. მაგალითად, ილია მურომეცი, ლაშქრობათა გარდა, გლეხურ შრომასაც ეწევა. ზეპირსიტყვიერებაში მოხსენებული ყოველი გმირი დაჯილდოებულია დიდი ძალ-ღონით, ისინი საუკეთესო მოჭიდავენი, ცხენოსნები და მოცურავეები არიან. ხალხთა ფართო მასებში გავრცელებული ფიზიკური ვარჯიშობებიც სწორედ ასეთივე იყო. მშრომელთა მასებისათვის მისაწვდომ ფიზიკურ ვარჯიშობებს წარმოადგენდა — ჭიდაობა, კრივი, ჯახებით ფარეკაობა, სიმძიმეების აწევა და გადატანა, ცურვა, თხილამურებით სიარული, მოძრავი თამაშობანი და სხვ. ძველ რუსულ ჭიდაობაში დაშვებული იყო სარმის გამოყენება. მოწინააღმდეგის ბეჭებზე დადება სავალდებულო არ იყო და მიწაზე წაქცეული დამარცხებულად ითვლებოდა. სლავთა შორის ცნობილი იყო ორა სახის კრივი: მ ა ს ო ბ რ ი ვ ი, როდესაც ორ მწკრივად დაწყობილი მოკრივენი ერთმანეთს ებრძოდნენ (ამ კრივს უწოდებდნენ *стенка на стенку*), და ო რ თ ა ბ რ ძ ო ლ ა, როდესაც მხოლოდ ორი მოწინააღმდეგე იბრძოდა. მასობრივი კრივი უმთავრესად ტერიტორიულ პრინციპით (სოფელი, ქუჩა, უბანი) ტარდებოდა. კრივს ჰქონდა განსაზღვრული წესები, რომლებსაც ხალხი მტკიცედ იცავდა.

ზამთრის გართობას და ფიზიკურ ვარჯიშობას შეადგენდა თხილამურებით და მარხილით ცურაობა და ციგურაობა. ძველ რუსეთში ფართოდ იყო გავრცელებული ხარებთან ბრძოლა. მათიანეში აღწერილია სლავი ხელოსნის ორთაბრძოლა პაჰანიკელ გოლიათთან. მთავარმა ვლადიმერმა მოისურვა რუსი ხელოსნის ძალ-ღონის გამოცდა და ამ მიზნით იგი წინასწარ დააჭიდა გახელებულ ხარს და დარწმუნდა რუსი ბუმბერაზის სიძლიერეში.

რუსი ხალხი დიდ ყურადღებას აქცევდა სბეულის გაკაჟებას, რასაც აღწევდა ბანაობის დროს თოვლით ტანის დახვლით, ზამთარში ცივ წყალში ბანაობით და სხვა მსგავსი საშუალებებით.

სახალხო მოძრაობის შიშით ეკლესიამ და ბელისუფლებამ ხალხთა მასების ფიზიკურ კულტურას დევნა დაუწყეს. როსტოვის მიტროპოლიტი კ ი რ ი ლ ე უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის შესახებ, რომ ხალხი თამაშობდა „ელინთა (ბერძენთა) წყეულ თამაშობებს სტვენითა და ყიჟინით“, ეკლესიის მაშინდელი ავტორიტეტის მიუხედავად, ხალხი მაინც არ ივიწყებდა თავის საყვარელ ვარჯიშობას და თამაშობას.

ფეოდალთა ფიზიკურ-
კულტურა

ფეოდალთა აღზრდის მთავარი მიზანი იყო სამხედრო საქმისათვის მომზადება, ამიტომაც თავადები და ბოიარები უპირატესობას ანიჭებდნენ გამოყენებითი ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშობებს (ფარიკაობა, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, ნადირობა და სხვ.).

ფეოდალთა ფიზიკური კულტურის ასეთ მიმართულებას მონთხოვდა როგორც გარეშე მტრებისაგან ქვეყნის დაცვის აუცილებლობა, ისე კლასობრივი ბატონობის გაძლიერების სურვილი.

XI საუკუნის პირველი მეოთხედიდან დიდი პოლიტიკური წონა მოიპოვა „ბოიართა უფროსმა რაზმმა“, რომლის წევრები მსხვილ მესაკუთრეებად იქცნენ. ამ პერიოდში უკვე საბოლოოდ განმტკიცდა ფიზიკური კულტურის კლასობრივი დიფერენციაცია. ხალხის ფიზიკური ვარჯიშობები წარმოადგენდა იმ წყაროს, რომლითაც ფეოდალები სარგებლობდნენ და ღროთა ვითარებაში შექმნეს ფიზიკური კულტურის საკუთარი სისტემა. ფეოდალები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ცხენოსნობას, ნადირობას და ლაშქრობას. თავის ნაწარმოებში „დარიგება ბავშვებს“ ვლადიმერ მონომახი ლაპარაკობს ნადირობის მნიშვნელობაზე, მთელ რიგ დარიგებებს და რჩევებს იძლევა დღის რეჟიმისა და ჰიგიენური წესების შესახებ. ვლადიმერ მონომახი ურჩევს თავის შვილებს განავითარონ ძალღონე ნადირობის, ცხენოსნობისა და სამხედრო ლაშქრობათა საშუალებით. იგი მოგვითხრობს თუ როგორ მიმდინარეობდა მისი სამხედრო და ფიზიკური აღზრდა. მისი აზრით ნადირობა უბრალო გართობა კი არაა, არამედ სამხედრო და ფიზიკური მომზადების საშუალება. ვლადიმერ მონომახი ნადირობას ყველა ფიზიკურ ვარჯიშობასა და თამაშობებზე უფრო მაღლა აყენებს. მონომახის ეს რჩევადარიგება, რა თქმა უნდა, მთელი ფეოდალური ახალგაზრდობისათვის იყო განკუთვნილი.

მთავართა რაზმების
სამხედრო-ფიზიკური
მომზადება

მთავრის რაზმი, როგორც პროფესიონალური სამხედრო ორგანიზაცია, IX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. იგი მთავრის პირად სამხედრო ძალას წარმოადგენდა, რომელიც მას

ესაჭიროებოდა როგორც სოციალური ჩაგვრის გაძლიერებისათვის, ისე ქვეყნის დასაცავად. მთავრის რაზმი სამი ჯგუფისაგან შედგებოდა: პირველ ჯგუფს შეადგენდა „უფროსი“ რაზმი — შემდგარი წარჩინებულ მოთათბირე ბოიარებისაგან, მათ მინდობილი ჰქონდათ სამთავროს მმართველობის მნიშვნელოვანი ფუნქციები. რაზმელეების მეორე ჯგუფს შეადგენდა „უმცროსი“ რაზმი. ეს რაზმი მუდმი-

ვად მთავრის სახლ-კართან იმყოფებოდა და პირადად მას იცავდა. სამსახურისათვის უმცროსი რაზმელები ღებულობდნენ იარაღს. ტანსაცმელს, საკმელ-სასმელს და ნადავლის ნაწილს.

რაზმის მესამე ჯგუფს შეადგენდნენ „ვოები“, რომლებიც წარმოადგენდნენ მთავრის რაზმის ძირითად ძალას. ხალხის წიაღიდან გამოსულ ვოებს ჯერ არ ჰქონდათ მასთან გაწყვეტილი კავშირი.

რაზმელების სამხედრო მომზადების საშუალებას წარმოადგენდა ცხენოსნობა, კრივი, ფარიკაობა, მშვილდოსნობა, კოლექტიური თამაშობანი და სხვა ხალხური ვარჯიშობანი.

კრივისა და ჯოხებით ფარიკაობის ტაქტიკური ილეთები ძლიერ უახლოვდებოდა რაზმელების საბრძოლო მოქმედებათა ტაქტიკურ ილეთებს.

§ 8. შუა საუკუნეების საქართველოს ფიზიკური კულტურა

ფეოდალური წყობილების დროს საქართველოში კიდევ უფრო განმტკიცდა ფიზიკური კულტურის კლასობრივი დიფერენციაცია.

სამხედრო საქმისათვის ფიზიკურ მომზადებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისეთი ფიზიკური ვარჯიშობანი, როგორცაა ფარიკაობა, ბურთაობა, ცხენოსნობა, შუბისა და ლახვრის ტყორცნა და სხვ. ავითარებდნენ სამხედრო გამოყენებითს ჩვევებს.

საქართველოს მიწა-წყლის დაცვის საქმეში გადაწყვეტ ძალას სახალხო ლაშქარი წარმოადგენდა. ლაშქრის მებრძოლთა მომზადებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშობებს. საქართველოს ჯარს მეტწილად მტრის ცხენოსან ჯართან უხდებოდა ბრძოლა, ამიტომ ფიზიკურ ვარჯიშობათა ცხენოსნური სახეობები საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული.

იმ შორეულ ხანაში, როდესაც სამხედრო ტექნიკა განვითარების დაბალ დონეზე იდგა, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა მებრძოლთა ფიზიკურ თვისებებს. ამ პირობებში აზნაურობამ თანდათან გამოიმუშავა და შექმნა სამხედრო-ფიზიკური მომზადების საკუთარი სისტემა.

ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ გლეხთა ექსპლუატაციით და არ აძლევდნენ მათ თავიანთი ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარების საშუალებას. საპატრონუმო გადასახადისა და სამუშაოების შედეგად გლეხობა დიდ შევიწროებას განიცდიდა. ფიზიკური

კულტურის კლასობრივი ხასიათის გამო გლეხობისათვის მისაწვდომში იყო ფიზიკურ ვარჯიშობათა ისეთი სახეობები, რომლებიც სპეციალურ მოკაზმულობას და ხარჯებს არ მოითხოვდა. ამიტომ გლეხობაში გავრცელებული იყო ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა, მშვილდოსნობა, რბენა, სტომა, მოძრავი თამაშობები და სხვ.

ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემა ხელს უწყობდა ახალგაზრდობის ძალ-ღონის გამაგრებას, ნებისყოფისა და ხასიათის განმტკიცებას, გამბედაობის, გამძლეობისა და სხვა ფიზიკურ და მორალურ თვისებათა გამომუშავებას. ფიზიკური აღზრდა იძლეოდა იმ ჩვევებს, რომლებიც საჭირო იყო მშრომელი ხალხისათვის შრომისა და მტრებისაგან სამშობლოს დაცვის საქმეში.

დიდი ყურადღება ექცეოდა საქართველოში ჯარის სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას. ამ მიზნით მეომრებს წერთინდენ ცხენოსნობაში, ფარიკაობასა და ბურთაობაში, ჭიდაობასა და მშვილდოსნობაში, შუბისა და ლახვრის ტყორცნაში და სხვ.

ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული ფიზიკური ვარჯიშობანი კარგადაა ასახული ძველ ხალხურ სიტყვიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში. მაგალითად, „ამირან დარეჯანიანში“ მოხსენებულია იმდროინდელ საქართველოში გავრცელებული ფიზიკური ვარჯიშობანი. ამავე ნაწარმოებში მოცემულია რაინდთა ბრძოლის სურათი.

მეორე ლიტერატურულ ნაწარმოებში — „რუსუდანიანში“ აღწერილია ძველი ქართული თამაშობა — ყ ა ბ ა ხ ი.

XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველო წარმოადგენდა დიდ და ძლიერ სახელმწიფოს. მისი საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობა და ავტორიტეტი ამ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა. დადგა საქართველოს საერო პოეზიისა და ხელოვნების აყვავების ხანა. ამავე ეპოქას ეკუთვნის დიდი ქართველი პოეტის, გენიალური შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

დიდ განვითარებას მიაღწია ფიზიკურმა კულტურამ ამ პერიოდის საქართველოში. სხვა წყაროებთან ერთად ამაზე მიგვიითიებენ იმდროინდელი ნაწარმოებები და პირველ რიგში რუსთაველის პოემა.

ბურთაობა, მშვილდოსნობა, ცხენოსნობა, მუშაითობა, ნადირობა — აი ფიზიკურ ვარჯიშობათა ის სახეობები, რომლებიც ფარ-

თოდ იყო გავრცელებული სსენებულ პერიოდში და ყოველივე ეს არუსთაველს შესანიშნავად აქვს გამოსახული თავის უკვდავ პოემაში.

XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს გააჩნდა ფიზიკური აღზრდის ისეთი სისტემა. რომელსაც აშკარა უპირატესობა აქონდა ევროპული ქვეყნების — საფრანგეთის, გერმანიის, ინგლისის რაინდულ სისტემებთან შედარებით.

ფიზიკური ვარჯიშობანი საერთოდ და განსაკუთრებით ბურთობა და ნადირობა ფართოდ იყო გამოყენებული ჯარისკაცთა ფიზიკური და სამხედრო მომზადების საშუალებად. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, მშვიდობიანობის დროს საქართველოს ჯარი ფიზიკურ ვარჯიშობაში იწვრთნებოდა. თამარ მეფის დროს — „სპანი მისნი განისვენებდნენ ნადირობითა და ბურთობითა“.

როგორი იყო ხალხთა მასების ფიზიკური აღზრდა ხსენებულ პერიოდში?

ფიზიკურ აღზრდას ამ პერიოდში მკაფიოდ გამოსახული კლასობრივი ხასიათი აქონდა. ფეოდალები ფიზიკურ აღზრდას თავისი კლასის ინტერესებისათვის იყენებდნენ. ამასთან ფიზიკურ ვარჯიშობათა ზოგიერთი სახეობა ფეოდალთა კლასის მონოპოლიას წარმოადგენდა. თუ ფეოდალები ბავშვობიდანვე იწყებდნენ წვრთნას, რომელსაც სისტემატური ხასიათი აქონდა, და ამგვარად ფიზიკური აღზრდის ერთგვარ სკოლას გადიოდნენ, გლეხობა ამას მოკლებული იყო. მძიმე ფიზიკური შრომის გამო მათ არ აქონდათ სისტემატური ვარჯიშობის საშუალება. ისინი თამაშობებისა და შეჯიბრებების გასამართავად მხოლოდ უქმე დღეებს იყენებდნენ. ამ მცირე დროს გლეხობა მთელი თავისი არსებით და გატაცებით ანდომებდა საყვარელ ფიზიკურ ვარჯიშობებს, თამაშობებსა და ვართობებს, რომელთა საშუალებით ისინი იმტკიცებდნენ თავიანთ ფიზიკურ ჯანმრთელობას, ძალ-ღონეს, ამტანობას და სხვა ჩვევებს, რომლებიც საჭირო იყო როგორც შრომისათვის, ისე მტრებისაგან სამშობლოს დაცვისათვის.

საქართველოს სამეფოს გაძლიერების ხანაში ფეოდალთა ბავშვების აღზრდა ორი მიმართულებით მიმდინარეობდა:

- 1) საერო აღზრდა (არსებითად სამხედრო) და
- 2) სასულიერო.

აღზრდის ორივე სისტემა მისაწვდომი იყო მხოლოდ ფეოდალთა კლასის წარმომადგენელთათვის.

**ფიზიკური კულტურა რუსეთში ნაციონალური
სახელმწიფოს წარმოშობიდან XIX საუკუნის
მეორე ნახევრამდე**

**§ 1. ფიზიკური კულტურა რუსეთის ცენტრალიზებულ
სახელმწიფოში (XV—XVII სს.)**

XIV საუკუნის პირველ მეოთხედში ტვერისა და მოსკოვის სამთავროთა შორის გაჩაღდა ბრძოლა ვლადიმირის სამთავროსათვის. ამ ბრძოლაში მოსკოვის სამთავრომ გაიმარჯვა, მან თავის გარშემო შექოიკრიბა რუსეთის დაქსაქსული ფეოდალური სამთავროები და შექმნა ერთიანი ფეოდალური სახელმწიფო.

რუსეთის გაერთიანებულ ნაციონალურ სახელმწიფოს შემდგომი პოლიტიკური და სამეურნეო ზრდის საშუალება მიეცა. ერთდროულად ვითარდებოდა მთლიანი რუსული ნაციონალური კულტურა, რომელიც თავის გამოხატულებას კულტურული ცხოვრების ყოველ დარგში (მათ შორის ფიზიკურ კულტურაშიც) პოულობდა.

ფიზიკური კულტურის განვითარება რუსეთის ცენტრალიზებულ სახელმწიფოში მიმდინარეობდა რეაქციულ ფეოდალურ საზოგადოებასთან ხალხთა მასების მწვავე ბრძოლის პირობებში.

აღნიშნულ პერიოდში რუსი ხალხის ფიზიკური აღზრდის სისტემა შეიცავდა სამხედრო და ნახევრად სამხედრო ხასიათის ფიზიკურ ვარჯიშობებსა და ხალხურ მოძრავ თამაშობებს. ფიზიკური აღზრდის სამხედრო მიმართულება აიხსნება სახელმწიფოს ცხოვრების მაშინდელი პირობებით. მაშინ რუს ხალხს გარეშე მტრებთან ხშირი ომების წარმოება უხდებოდა.

ამ პერიოდის ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მშვილდოსნობას, ცხენოსნობას, რბენას, წინალობათა დაძლევას, ცურვას, ჭიდაობას, კრივს, ჯოხებით ფარეკობას.

ფეოდალური დაქუცმაცების პერიოდში კრივს ყოველ ცალკეულ კუთხეში განსაკუთრებული წესები ჰქონდა. ხოლო მთლიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ ეს წესები საერთო გახდა. ახლა უპირატესობა ეძლევა არა წყვილების, არამედ კოლექტიურ ბრძოლას. წესებიც სათანადოდ რეგლამენტირებული იყო. ამ წესების მიხედვით აკრძალული იყო წაქეუული მებრძოლის ცემა, უკნიდან თავდასხმა, ფეხის გარტყმა და სხვ. ასეთივე საერთო

წესები იყო შემოღებული კიდაობასა და ფიზიკურ ვარჯიშობათს სხვა სახეობებში.

ფიზიკური აღზრდის ხალხურ სისტემაში საპატიო ადგილი ეჭირა სათხილამურო მომზადებას. თხილამურებს ფართო გამოყენება ჰქონდა როგორც ნადირობის, ისე ომიანობის დროს. ხალხში შემონახული იყო მრავალი ძველებური მოძრავი თამაშობანი, ფართოდ იყო გავრცელებული საქანელა, ნიხბოსნობა, ხის ციგურებით ცურაობა, მარხილით სეირნობა და სხვ. ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წრთობას. რუსები ბავშვობიდანვე ეჩვეოდნენ ტემპერატურის მკვეთრ ცვლილებას და შეჩვეული იყვნენ სიცივის ატანას. ცხელი აბანოს შემდეგ ბავშვებს გადაავლებდნენ ცივ წყალს, თოვლით უზელავდნენ ტანს, აჩვევდნენ ცივ ჰაერზე ყოფნას და სხვ.

მრავალეროვანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ რუსი ხალხის ფიზიკური კულტურის ელემენტები თანდათან გავრცელდა შემოერთებულ ტერიტორიათა მოსახლეობაში, ხოლო სხვა ხალხთა ფიზიკური ვარჯიშობები და თამაშობები გადმოიღეს რუსებმა (მაგალითად, თათრული კიდაობა და ზოგიერთი მოძრავი თამაშობანი).

მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფიზიკურ აღზრდას უკრაინელი კაზაკების სამხედრო მომზადებაში. ეს უკანასკნელნი განთქმული იყვნენ როგორც კარგად გაწვრთნილი და მამაცი მებრძობნი, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ პოლონელი რაზმების წინააღმდეგ. უკრაინელი კაზაკები ბავშვობიდანვე სწავლობდნენ ცხენოსნობასა და იარაღის ხმარებას. მათი აღზრდის სისტემა შეიცავდა ცხენოსნობას, მშვილდოსნობას, შუბის ტყორცნას, კრივს, რბენას, ცურვას, ნიხბოსნობასა და მოძრავ თამაშობებს.

თათრებსა და ვოლგისპირეთის ხალხთა შორის გავრცელებული იყო ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, კიდაობა და მრავალი სხვა ვარჯიშობა და თამაშობა. დღესასწაულების დროს იმართებოდა შეჯიბრება დოღსა და კიდაობაში, მშვილდოსნობასა და სხვა ვარჯიშობებში. მშვილდოსნობა გავრცელებული იყო ჩრდილოეთის ხალხთა შორისაც. გარდა ამისა, აქ დიდი ადგილი ეჭირა თხილამურებითა და მარხილებით სეირნობას.

აღსანიშნავია, რომ რუსეთში XVI საუკუნის დასაწყისიდან ეკლესიამ გააძლიერა ხალხთა მასების ფიზიკური კულტურის დევნა. ეკლესია უკმაყოფილო იყო იმით, რომ ხალხი თამაშობებს მართავდა, მან ბრძოლა გამოუცხადა „ქაჯურ თამაშობებს, რომლებიც წარმოშობილია არა ღმერთის, არამედ ეშმაკისაგან“. როგორც ეკლესიამ, ისე მეფის ხელისუფლებამ გამოსცეს კანონები, რომლებიც კრძა-

ლავდნენ ფიზიკური ვარჯიშობებისა და თამაშობების გამართვას. მეფე ალექსი მიხეილის ძის ბრძანებულებით (1648 წ.) თამაშობისათვის დაწესდა სასაჩელი. თამაშობაში ერთხელ ან ორჯერ შენიშნულ პირებს მოელოდათ ჯოხით ცემა, ხოლო თუ დამნაშავე ამის შემდეგ კიდევ განაგრძობდა თამაშს, მას მოელოდა შორეულ მხარეებში გადასახლება. ასეთი ზომების მიუხედავად, ხალხი კვლავ განაგრძობდა საყვარელი თამაშობებითა და ვარჯიშობებით გართობას.

ქარის სამხედრო-ფიზიკური მომზადება XV—XVII საუკუნეებში

ცენტრალიზებული რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ გამოიწვია შეიარაღებული ძალების სისტემის შეცვლა. რუსეთის სამთავროების გაერთიანებას თან მოჰყვა შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია. ძალაუფლებისა და სა-

შუალებათა ერთ ხელში თავმოყრამ გამოიწვია სამხედრო ტექნიკის გაუმჯობესება. XVII საუკუნემდე ჯარში მთავარი როლი ცხენოსან ლაშქარს ეჭირა. ცხენოსანთა შეიარაღებას შეადგენდა შუბი, მშვილდ-ისარი, ხანჯალი და საბრძოლო ცული. ცხენოსანთა ნაწილი შეიარაღებული იყო ხმლებით. XVI საუკუნეში რუსეთში ჩამოყალიბდა მეთოფეთა (სტრელცების) ჯარი. სტრელცების პოლკების გარდა, არსებობდა „საქალაქო პოლკები“, რომლებიც ქალაქის მცხოვრებლებისაგან შედგებოდა. გარდა ამისა, არსებობდა არტილერია, ხოლო სათხილამურო რაზმები რუსეთში სხვა ქვეყნებზე ადრე ჩამოყალიბდა. ისტორიულ ქრონიკაში მოსკოვის სახელმწიფოს ჯარებში თხილამურების გამოყენების შესახებ არაერთხელაა მოხსენებული. 1444 წელს მოთხილამურეთა რაზმი მონაწილეობდა ბრძოლაში თათრებთან, რომლებიც რიაზანს დაესხნენ. 1535 წელს ასეთივე რაზმი მოქმედებდა ლიტველთა წინააღმდეგ. 1610 წელს მხედართმთავარმა სკოპინ შუისკიმ პოლონელ ცხენოსანთა წინააღმდეგ გაგზავნა 1000 მოთხილამურე. რუსეთ-შვეციის ომის დროს 4000 კაცისაგან შემდგარი რუს მოთხილამურეთა რაზმი იბრძოდა.

სათანადო წყაროების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ XVII საუკუნემდე ჯარში რეგულარული სწავლება და წვრთნა არ წარმოებდა. მეთოფეებისა და „საქალაქო“ პოლკებში არ ხდებოდა სისტემატური ვარჯიშობა იარაღის გამოყენებისა და მწყობრის შესწავლის მიზნით. XVII საუკუნის წყაროებში უკვე ვპოულობთ მითითებებს იმის შესახებ, რომ ჯარისკაცები გადიოდნენ სისტემატურ სამხედრო სწავლას და ემზადებოდნენ სამხედრო მოქმედებისათვის. უფროსების მოპყრობა ჯარისკაცებისადმი უხეში და მკაცრი ყოფილა.

მებრძოლთა ფიზიკური აღზრდის საშუალებას ფიზიკური ვარჯი-

შობების ხალხური სახეები წარმოდგენდა. მაგრამ მებრძოლთა ფიზიკური გაწვრთნა ძირითადად ჯარში მოსვლამდე წარმოებდა.

XVII საუკუნის დასაწყისში სკოპინ-შუისკომ პირველად შემოიღო გლესთა ლაშქარში სპეციალური სწავლება. ამავე პერიოდში დაიწერა და ითარგმნა პირველი სახელმძღვანელოები სამხედრო საქმეში. თოფის შემოღების შემდეგ გაიზარდა ქვეითი ჯარის როლი. საკირო შეიქმნა მწყობრის უფრო სერიოზულად და გულდასმით შესწავლა, თოფის ილეთების ათვისება და ჯარისკაცთა ფიზიკური გაწვრთნის გაუმჯობესება. XVII საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა რუსულ ენაზე ნათარგმნი სახელმძღვანელო — „სამხედრო წიგნი“. ხოლო დიაკმა ა. მიხაილოვმა შეადგინა დებულება ქვეითი, საარტილერიო და ჯარის სხვა ნაწილებისათვის, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რუსეთში სამხედრო საქმის განვითარების საქმეში.

1647 წელს მოსკოვში გამოიცა ჯარისკაცთა სამხედრო მომზადების სახელმძღვანელო, რომელიც რვა ნაწილს შეიცავდა. წიგნში მოცემული იყო რჩევა-დარიგებანი და ზოგადი ცნობები ჯარის ორგანიზაციის შესახებ. აღწერილი იყო თოფის ნაწილები და მისი ხმარების ხერხები. წიგნი იძლეოდა მითითებებს ჯარისკაცთა სამწყობრო და ფიზიკური მომზადების შესახებ. მაკალითად, წიგნის პირველ ნაწილში მითითებული იყო ვარჯიშობების სარგებლობაზე, სალაშქრო გადასვლების, წინაღობათა დაძლევის, რბენის, ცურვის, შუბის ტყორცნის, ცხენოსნობის შესწავლის აუცილებლობაზე. ხსენებული სახელმძღვანელოში პირველად დაისვა საკითხი ჯარისკაცთა ფიზიკური წვრთნის შესახებ.

სწავლების პროცესში თითოეული ჯარისკაცი კარგად ეცნობოდა ყოველი ვარჯიშის დანიშნულებას და მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას. ამით თავიდან იყო აცილებული ილეთების მექანიკურად შესწავლა. ეს ხელს უწყობდა ჯარისკაცთა ინიციატივისა და მოსაზრებულობის განვითარებას. ამიტომ რუსეთის ჯარში სწავლების სისტემა თავისი ხასიათით უფრო პროგრესული იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ჯარებში.

რუსეთის მმართველი წრეების მიერ ჯარში უცხოელი სპეციალისტების მოწვევამ აშკარად დააქვეითა რუსეთის არმიის ბრძოლისუნარიანობა. დაქირავებულ უცხოელებზე დანდობა ძნელი იყო — ისინი ხშირად ღალატობდნენ სახელმწიფოს გადამწყვეტ მომენტში. უცხოელი სპეციალისტების მიერ შემოღებული ჯარისკაცთა სამხედრო მომზადების პრუსიული სისტემა აგებული იყო არა შეგნებული სწავლების ხერხებზე, არამედ უნაყოფო ჯოხის სისტემაზე და სპობდა ჯარისკაცთა ყოველგვარ ინიციატივას.

ფეოდალები ბავშვობიდანვე ემზადებოდნენ ფეოდალთა ფიზიკურ-სამხედრო სამსახურისათვის, რომელიც 1550-იან კულტურა წლიდან მათთვის მემკვიდრეობითი და საეკლესიო აღსანიშნავი გახდა. 11—12 წლიდან ბავშვებს ასწავლიდნენ მშვილდოსნობას, ცხენოსნობას. მათი აღზრდის სისტემა შეიცავდა აგრეთვე მოძრავ თამაშობებს, ბურთობას, ციგურაობას, ციგაობას და მთელ რიგ გართობებს.

მოზრდილ ფეოდალთა ფიზიკურ ვარჯიშობებსაც სამხედრო მიმართულება ახასიათებდა. ცხენოსნობა, მშვილდოსნობა, ფარიკაობა, ნადირობა წარმოადგენდა მათ საყვარელ ვარჯიშობებს. წარჩინებული აზნაურობა განსაკუთრებით გატაცებული იყო ნადირობით. სანადიროდ მიწის ნაკვეთებიც კი ჰქონდათ გამოყოფილი.

ფიზიკურ ვარჯიშობებს, რომლებიც ხალხთა მასებში იყო გავრცელებული (რბენა, ხტომა, ცურვა, ჭიდაობა, კრივი). ფეოდალები გაურბოდნენ. ამ პერიოდში გავრცელებული იყო მეფისა და აზნაურების გართობები სხვადასხვა სანახაობათა სახით—დათვთან ადამიანის ბრძოლა, კრივი (წყვილების), ფარიკაობა, აკრობატთა ვარჯიშობა, თოკზე სიარული, ცეკვა და სხვ. მოკრივეები, დათვთან მოქიდავეები, მოფარიკავეები და სხვა გამართობები ხშირად უმაგლებეო იყვნენ, რომელთაც ან ძალით აიძულებდნენ გამოსვლას. ან თავისი სურვილით გამოდიოდნენ. კარგი საჩუქრის მოლოდინში.

ფიზიკური აღზრდის საკითხები ლიტერატურაში XVII საუკუნის მეორე ნახევარში განათლებულმა ბერმა ეპიფანე სლავინეცკიმ დაწერა წიგნი — „ბავშვების ჩვეულებათა მოქალაქეობრიობა“, რომელიც მნიშვნელოვან პედაგოგიურ ნაშრომს წარმოადგენდა იმ დროისათვის. სლავინეცკიმ თავის ტრაქტატში სპეციალური თავი მიუძღვნა ბავშვთა თამაშობებს. ბავშვთა მოძრავი თამაშობები მას მიაჩნია არა მარტო გართობად, არამედ ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუალებად. სლავინეცკი თამაშობათა თავისებურ კლასიფიკაციასაც იძლევა. თამაშობები მან დაყო სასარგებლო და უვარგისად. სასარგებლო თამაშობებს იგი მიაკუთვნებს ბურთობას, რბენას, ხტომასა და სხვა მოძრავ თამაშობებს, ხოლო უვარგისს — კამათლის, ბანქოს და ყველა იმ თამაშს, რომლებიც ადამიანში ავითარებს სასიათის ცუდ მხარეებს. წიგნში სლავინეცკი მრავალ რჩევადარჩევებს იძლევა ჰიგიენის დარგში.

XVII საუკუნის დამლევს რუსეთს ვეებერთელა ტერიტორია ეჭირა და რუს ხალხს ჰქონდა თავისი დიდი სახელმწიფოს დაცვის უნარიც. მაგრამ ეკონომიურად და კულტურულად ქვეყანა ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის მთავარ ქვეყნებს.

XVII საუკუნის დამლევსა და XVIII საუკუნის დამდეგს რუსეთის სახელმწიფოს წინაშე დაისვა ამოცანა: უმოკლეს დროში შექმნილიყო საწარმოო ძალთა უფრო სწრაფი განვითარების პირობები, მომხდარიყო სახელმწიფო აპარატის გარდაქმნა, არმიის რეორგანიზაცია, ფლოტის ჩამოყალიბება. სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა აგრეთვე ზღვაზე გასვლას და მსოფლიო ვაჭრობაში ჩაბმას. ეს ამოცანები წარმატებით გადაწყდა XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში პეტრე I-ის მეფობის დროს.

რეფორმა პირველ რიგში შეეხო არმიას — შეიქმნა რეგულარული არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ნაცვლად ძველი პრიკაზებისა, დაარსებულ იქნა კოლეგიები, რამაც გააუმჯობესა ქვეყნის მართვა-გამგეობა. მიღებულ იქნა ზომები მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. დიდი ყურადღება მიექცა სპეციალისტთა კადრების მომზადებას და სხვ.

პეტრე I-ის დროს ჩატარებულმა რეფორმებმა დიდი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს ცხოვრებაზე და ხელსაყრელი პირობები შექმნა გაბატონებული კლასების ფიზიკური კულტურის განვითარებისათვის. ფიზიკურმა კულტურამ დიდი ადგილი დაიკავა რუსეთის თავად-აზნაურობის ცხოვრებაში. ფიზიკური აღზრდა შემოღებულ იქნა სამხედრო და სამოქალაქო სასწავლებლებში. თავისი შემდგომი განვითარება სამხედრო-ფიზიკურმა მომზადებამ ჰპოვა არმიაში. მაგრამ პეტრე I-ის რეფორმებმა გავლენა მოახდინეს და შეცვალეს მხოლოდ გაბატონებული კლასების ფიზიკური აღზრდა. რაც შეეხება მშრომელთა მასების ფიზიკურ აღზრდას, იგი უცვლელად დარჩა.

არმიის სამხედრო-
ფიზიკური მომზადება

ჯარის ფიზიკური მომზადების რუსულ ნაციონალურ სისტემას საფუძველი ჩაეყარა XVII საუკუნის დასაწყისში, ხოლო მისი გაფორმება მოხდა XVII საუკუნის დამლევსა და XVIII საუკუნის დამდეგს. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა პეტრე I-ის მიერ თავისი ყმაწვილობის დროს შექმნილმა „გასართობმა“ პოლებმა. მან შეკრიბა სოფელ სემიონოვსკისა და პრეობრაჟენსკის ბი-

კები და შექმნა ორი „გასართობი“ პოლკი. საქმე მართლაც უბრალო გართობებით დაიწყო — ბიჭები თამაშობდნენ ცხენობანას, სწავლობდნენ დოლის დაკვრასა და სამხედრო მწყობრის ელემენტებს. შემდეგში ეს მარტივი გართობები სერიოზულ საქმედ იქცა. ყმაწვილები სამხედრო საქმეს დაეწაფნენ და გაჩაღდა ნამდვილი სამხედრო სამზადისი, რომლის პროგრამა შეიცავდა თოფის ილეთების და სროლის შესწავლას, ტაქტიკურ მეცადინეობას, სავლელ წინაღობათა დაძლევას და სამხედრო თამაშობებს. ეს პოლკები მართავდნენ სისტემატურ სამხედრო წვრთნას და აწყობდნენ ლაშქრობებს. პირველად ასეთი ვარჯიშობა და ლაშქრობა ტარდებოდა ხმელეთზე, ხოლო შემდეგში წყალზედაც. მალე საჭირო შეიქმნა სამხედრო ქალაქისა და პატარა სიმაგრეების აგება. წყალზე ვარჯიშობასთან დაკავშირებით გამოყენებული იყო საიალქნო საქმე და ნაოსნობა. ამრიგად, ფიზიკური აღზრდის ელემენტებს ფართო ადგილი ეჭირა პეტრეს „გასართობი“ პოლკების მოღვაწეობაში.

პეტრე I დიდ ყურადღებას აქცევდა რუსეთის არმიის ოფიცერთა და ჯარისკაცთა აღზრდას. იგი მოითხოვდა ინიციატივას, გამბედაობას, სიმტკიცეს, როგორც ოფიცრების, ისე ჯარისკაცებისაგან. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა როგორც საბრძოლო, ისე მორალურ ნებელობითი თვისებების განმტკიცებას. ჯარისკაცის ფიზიკურ წვრთნას მჭიდროდ უკავშირებდა საერთო საბრძოლო მომზადებას. სწორედ ლაშქრობის, ტაქტიკური სწავლებისა და იარაღის ხმარების პროცესში იძენდა ჯარისკაცი საჭირო ფიზიკურ მომზადებას.

ითვალისწინებდა რა იმ გარემოებას, რომ ხსენებულ პერიოდში თოფისა და ზარბაზნის მოქმედების მანძილი უმნიშვნელო იყო, პეტრე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხელჩართულ ბრძოლასა და მტერზე იერიშის მიტანას. პეტრე დიდ ყურადღებას აქცევდა ჯარში სამკურნალო-სანიტარული საქმის მოწესრიგებას.

პეტრი I-ის მთავრობის მიერ ჩატარებულმა ფიზიკური აღზრდა სასწავლებლებში რეფორმებმა მოითხოვა სათანადო კადრების მომზადება და ამ მიზნით ახალი სასწავლებლების დაარსება. ამ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდის შემოღება დიდ კულტურულ საქმეს მოასწავებდა.

1701 წელს მოსკოვში დაარსებულ იქნა „მათემატიკური და სანავიგაციო მეცნიერებათა სკოლა“, რომელშიც სხვა საგნებთან ერთად შემოღებული იყო ფარეკაობა („სარაპირო მეცნიერება“). ფარეკაობის შესასწავლად ამავე სასწავლებლებში გამოყოფილი იყო სპეციალური „საფარეკაო დარბაზი“. გარდა ამისა, ამ სასწავლებელში ასწავლიდნენ ცურვას და ნიჩბოსნობას.

1703 წელს მოსკოვში პასტორმა გლიუკმა გახსნა კერძო გიმნაზია, სადაც სხვა დისციპლინებთან ერთად მოწაფეები სწავლობდნენ ცხენოსნობას, ფარიკაობას და ცეკვას.

გარდა ზემოხსენებული ორი სასწავლებლისა, პეტრეს დროს ფიზიკური აღზრდა შემოღებული იყო პეტერბურგის საზღვაო აკადემიაში. აქ გადიოდნენ ფარიკაობასა და თოფის ილეეთებს. ფარიკაობის მასწავლებლად ამ სასწავლებელში საზღვარგარეთიდან მოწვეულ იყო სპეციალისტი ჰეიმანი, რომელსაც 550 მანეთი ეძლეოდა წლიურად.

ფიზიკური კულტურა
რუსეთის თავად-აზნაურობის უფრო-
ცხოვრებაში

პეტრე I-ის დროს რუსეთში გამოიცა სპეციალური სახელმძღვანელო, რომელიც ერთგვარ წესებს და რჩევა-დარიგებებს შეიცავდა ახალგაზრდა აზნაურთა აღზრდისათვის. სხვა სავალდებულო ცოდნასთან ერთად ახალგაზრდა აზნაურს ევალეობდა ცხენოსნობის, ცეკვისა და ფარიკაობის შესწავლა. რათა აზნაურებს შეეძინათ მათთვის საჭირო ცოდნა და ჩვევები, პეტრემ შემოიღო სათანადო გართობები და ვარჯიშობები. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იგი საზღვაო საქმის განვითარებას, რადგან სახელმწიფოს ესაჭიროებოდა კადრები ძლიერი საზღვაო ფლოტის შესაქმნელად.

საიალქო და სანიჩბოსნო საქმის შესწავლის მიზნით პეტრე I-მა შემოიღო სისტემატური მეცადინეობა აზნაურობისათვის.

1718 წლის აპრილში პეტრემ გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა საიალქო და სანიჩბოსნო საქმის სახელმწიფოებრივ რეგლამენტაციას. ბრძანებულებაში მოცემული იყო მითითებანი იახტების მოვლისა და შეკეთების შესახებ, აგრეთვე ნების სამოქალაქო ფლოტის „ეკზერციციების“ (ვარჯიშობის) შინაარსი. პეტრეს ბრძანებით პრივილეგიური კლასის წარმომადგენელთ უფასოდ გადაეცათ 141 იახტა შემდეგი პირობით: 1) იახტის შეკეთება უნდა ეწარმოებია თავის ხარჯზე მის პატრონს, 2) იახტის პატრონი ხელწერილს დებდა, რომ უვარგისობის შემთხვევაში თავისი ხარჯით შეიძენდა ახალს.

„ეკზერციციები“, ბრძანებულების თანახმად, ტარდებოდა ყოველ კვირა დღეს განსაზღვრულ საათებში (მაისიდან ოქტომბრამდე). ზარბაზნის გასროლის ან ალმის მალლა აფრიალებისთანავე გემების მეპატრონენი უნდა გამოცხადებულიყვნენ დანიშნულ ადგილზე და იქ იწყებოდა მეცადინეობა. გარდა ჩვეულებრივი, ყოველკვირეული „ეკზერციციებისა“, დროგამოშვებით იმართებოდა „გენერალური ეკზერციციები“.

თავადაზნაურობაში პოპულარობით სარგებლობდა ცხენოსნობა. ფარიკაობა და ნაწილობრივ ნადირობა. რუსეთში აზნაურთათვის სხვა გართობები და ვარჯიშობებიც იყო შემოდებული. როგორც, მაგალითად, ზამთარში მარხილებით სეირნობა. ციგურაობა და საბუე-რო სპორტი.

მშრომელთა მასების ფიზიკური კულტურა თუ თავადაზნაურობა ცდილობდა წაებაჲა დასავლეთ ევროპის წარჩინებული კლასებისათვის, რუსეთის მშრომელი ხალხი, პირიქით, გვევლინება ფიზიკური აღზრდის ხალხური ტრადიციების დამცველად და გამგრძელებლად.

მართალია, პეტრე I ხელს არ უწყობდა ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეობების განვითარებას, მაგრამ იმის თქმაც არ შეიძლება, რომ მთავრობა სდევნიდა ხალხურ ფიზიკურ კულტურას. სწორედ ამით აიხსნება, რომ ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხურმა სახეებმა, რომლებსაც სდევნიდა პეტრეს მამა ალექსი, კვლავ კპოვა თავისი განვითარება. ამ პერიოდში ხალხში გავრცელებული იყო რბენა, ხტომა, მოძრავი თამაშობანი, ცურვა, კრივი, ჭიდაობა. ძველებურადვე რუსი ხალხი დიდ ყურადღებას აქცევდა სხეულის წრთობას. ბერპოლცი და სხვა უცხოელები განცვიფრებას გამოთქვამდნენ რუსების ჯანმრთელობისა და მათი სპეციალური წრთობის გამო.

გლეხობა ხსენებულ პერიოდში დიდ ექსპლუატაციას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ახერხებდა დროგამოშვებით ვარჯიშობას, თამაშობას და ამით შეეძლო განემტკიცებინა თავისი ფიზიკური და მორალური თვისებები.

ფიზიკური აღზრდის საკითხები ლიტერატურაში რუსეთში ფიზიკური აღზრდის საკითხებმა უკვე XVIII საუკუნის დასაწყისში მიიპყრეს მონაზროვნეთა და პედაგოგთა ყურადღება.

ვ. ტ ა ტ ი შ ჩ ე ვ მ ა (1686—1750 წწ.) დაწერა პედაგოგიური თხზულება „საუბარი მეცნიერებათა და სასწავლებლების სარგებლობაზე“. იგი სავესებით უთანაგრძნობდა პეტრე I-ის რეფორმებს და იზიარებდა ახალი ტიპის სკოლებში შემოღებულ განათლებისა და აღზრდის ახალ სისტემას. ტატიშჩევი ადამიანის ყოველმხრივი აღზრდის მომხრეა (გონებრივის, ზნეობრივისა და ფიზიკურის). მისი გაგებით ადამიანი შედგება სულიერი და ფიზიკური მხარეებისაგან; ეს ორი მხარე ერთმანეთთან მკვიდროდა დაკავშირებული. ამის გამო ტატიშჩევი ყველა მეცნიერებას ორდარგად კყოფს, რომელთაგან ერთი ემსახურება ადამიანის სულიერ ხოლო მეორე—ფიზიკურ განვითარებას. საინტერესოა ვ. ტატიშჩევის მიერ მოცემული მეცნიერებათა კლასიფიკაცია. არსებობს მეც-

ნიერებები: 1) საჭირო, 2) სასარგებლო, 3) საკოპწიანო, 4) ცნობის-
მოყვარული და 5) მავნებელი.

ტატიშჩევი უცხო ენებს, მათემატიკას, მექანიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ანატომიას, ქიმიას და სხვ. მეცნიერებებს სასარგებლო მეცნიერებებს მიაკუთვნებდა, ფარიაკობას და სასროლო საქმეს კი საჭირო მეცნიერებებად თვლის. ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის ტატიშჩევი უპირატესობას ანიჭებს ფარიაკობას, ჯირითს, სროლასა და ცეკვას.

მეორე მოღვაწე—არქიეპისკოპოსი ფ ე ო ფ ა ნ ე პ რ ო კ ო პ ო ვ ი-
ჩ ი (1681—1736 წწ.) პეტრეს ახლობელი თანაშემწე და მრჩეველი იყო. მან დაწერა „სასულიერო რეგლამენტი“, რომელშიც საჭიროდ არის მიჩნეული სასულიერო სასწავლებელთა სისტემაში (კერძოდ სემინარიებში) ფიზიკური აღზრდის შემოღება. იგი იძლევა რჩევას, რომ სემინარისტების ცხოვრების რეჟიმში შემოიღონ ფიზკულტურულ-პიგიენური ღონისძიებები (სუფთა ჰაერზე გასეირნება, მოძრაი თამაშობები, ნიჩბოსნობა და სხვ.).

საინტერესოა თ. სალტიკოვის მიერ დამუშავებული განათლების სისტემის პროექტი. მისი წინადადებით თითოეულ გუბერნიასში უნდა დაარსებულყო ერთი ან ორი აკადემია მონასტრების შენობაში, ხოლო იქიდან გაესახლებიათ ბერები. აკადემიის ხარჯები უნდა დაფარულიყო მონასტრების შემოსვლიდან. მასწავლებლებად უნდა მოეწვიათ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი პედაგოგები. მოსწავლეთა კონტიგენტი უნდა შეეკრიბათ თავადაზნაურებისა და ვაჭრების შვილებისაგან, რომელთაც აკადემიაში უნდა ესწავლათ 6-დან 23 წლამდე. მათ უნდა ესწავლათ შემდეგი საგნები: უცხო ენები, გრამატიკა, პოეტიკა, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ფიზიკა, მექანიკა, ნავიგაცია, ფორტიფიკაცია, არტილერია, არქიტექტურა, ხატვა, ხაზვა, ფარიაკობა, ცხენოსნობა და ცეკვა.

ამრიგად, XVIII საუკუნის დასაწყისში რუსეთში გავრცელდა ახალი პედაგოგიური იდეები, რომლებიც მოითხოვდნენ ყოველმხრივი აღზრდის აუცილებლობას და მჭიდრო კავშირის გაბმას გონებრივ და ფიზიკურ აღზრდას შორის.

§ 2. ფიზიკური კულტურა რუსეთის თავადაზნაურულ

იშვარიაში (1726—1800 წწ.)

პეტრე I-ის დროს ჩატარებულმა გარდაქმნებმა დიდი გავლენა მოახდინა მთელი სახელმწიფოს ცხოვრებაზე და ხელსაყრელი პირობები შექმნეს გაბატონებული კლასის ფიზიკური კულტურის გან-

ვითარებისათვის. დამკვიდრდა ფიზიკური აღზრდა სამხედრო და სამოქალაქო სასწავლებლებში, უფრო ფართოდ მოიკიდა ფეხი ფიზიკურმა კულტურამ თავადაზნაურობის ყოფა-ცხოვრებაში, შემდგომი განვითარება ჰპოვა არმიაში ჯარისკაცთა სამხედრო-ფიზიკურმა მომზადებამ.

პეტრე I-ის მიერ შემოღებული ჯარისკაცთა სწავლების სისტემის საფუძვლები უარყვეს მისმა უახლოესმა მემკვიდრეებმა და შეცვალეს იგი პრუსიული სისტემით. პეტრეს შემდეგ, სასახლის ხშირი გადატრიალების გამო, სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც ქედს იხრიდნენ დასავლეთ ევროპის კულტურისა საერთოდ, და, კერძოდ, სამხედრო კულტურის წინაშე. ანა ივანეს ასულის მეფობის დროს რუსეთის არმია გარდაქმნეს პრუსიულ ყაიდაზე; თუმცა ფორმალურად ძალაში რჩებოდა პეტრეს მიერ შემოღებული 1716 წლის სამხედრო წესდება. ჯარისკაცები უსიტყვო მანქანებად აქციეს, რომელთაც არ გააჩნდათ საკუთარი აზროვნება, მათ ჩაუკლეს ყოველგვარი ინიციატივა — თითოეული განკარგულება მექანიკურად უნდა შეესრულებიათ. მთავარი ყურადღება ექცეოდა გარეგნულ შესახედაობას და ნაბიჯის სისუფთავეს. ჯარისკაცებს ჩააცვეს პრუსიული ტანსაცმელი. ეს ტანსაცმელი ერთობ მოუხერხებელი იყო, იგი ზღუდავდა მოძრაობას და გამოუსადეგარ იყო ბრძოლის პირობებში. პრუსიიდან ჩამოყვანილმა ოფიცრებმა თან მოიტანეს უხეში და მკაცრი მოპყრობა ჯარისკაცებისადმი. დისციპლინა არმიაში აგებული იყო ცემასა და სასჯელზე.

ასეთ მდგომარეობას წინ აღუდგა რუსი ოფიცრების მოწინავე ნაწილი, რომელიც შეძლებისდაგვარად ცდილობდა პეტრე I-ის მიერ შემოღებული ტრადიციების აღდგენასა და განმტკიცებას.

რუსეთის არმიის პრუსიფიკაციის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის აღსანიშნავია ცნობილი რუსი სარდალი ა. რუმიანცევი, რომელმაც კვლავ განამტკიცა არმიაში პეტრე I-ის ტრადიციები. მან გაითვალისწინა შვიდწლიანი ომის გამოცდილება და დაამუშავა ჯარის სწავლების სისტემა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას ეჭირა. ამ მხრივ რუმიანცევი დიდი რუსი მხედართმთავრის ა. სუვოროვის უშუალო წინამორბედი და მასწავლებელი იყო.

სუვოროვის სამხედრო-პედაგოგიური სისტემა

სამხედრო ხელოვნების განვითარებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ა. ვ. სუვოროვმა, რომელმაც გაიარა სამხედრო სამსახურის რთული გზა — ჯარისკაცობიდან რუსეთის არმიის გენერალისიმუსამდე.

სუვოროვმა კარგად იცოდა რუსი ჯარისკაცის ფსიქოლოგია. ამ გარემოებამ, აგრეთვე მდიდარმა სამხედრო ცოდნამ და გამოცდილებამ საშუალება მისცა მას ჩამოეყალიბებია სამხედრო მომზადების რუსული ნაციონალური სისტემა.

საბრძოლო ტექნიკის დაუფლებასთან ერთად ა. სუვოროვი დიდ ყურადღებას აქცევდა ჯარისკაცების მორალური და ფიზიკური თვისებების განვითარებას. იგი მოითხოვდა ჯარისკაცთა ინიციატივის, გამბედაობის, მოვალეობის გრძნობის განვითარებას და სამშობლოსადმი სიყვარულის გაღვივებას.

თავის სამხედრო-პედაგოგიურ სისტემაში სუვოროვმა დიდი ადგილი დაუთმო ფიზიკურ მომზადებას, მის მიერ დამუშავებული ახალი ტაქტიკა უპირატესობას ანიჭებდა ხელჩართულ ბრძოლას. მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებდა ცეცხლის მნიშვნელობასაც. ამიტომ ხიშტის კარგად დაუფლებასთან ერთად სუვოროვი მოითხოვდა სროლის კარგად შესწავლას. ყოველივე ეს აუცილებელს ხდიდა გამბედავ, მარდ, ამტან და ენერგიით სავსე ჯარისკაცთა აღზრდას. სამხედრო მეცადინეობის პროცესში ჯარისკაცი ლეზულობდა ფიზიკურ წრთობას. სუვოროვი ასწავლიდა მათ ცურვას, ხტომას, რბენას. სხვადასხვაგვარი წინალობების გადალახვას. ცოცვასა და სხვ. ოფიცრებისაგან მოითხოვდა ცხენოსნობისა და ფარიკაობის კარგ დაუფლებას.

სამხედრო სწავლება მიმდინარეობდა ნამდვილი ბრძოლის პირობებთან მიახლოებულ გარემოში. დიდი ყურადღება ექცეოდა ხანგრძლივ გადასვლებს ყოველნაირ ამინდში, დღისით და ღამით. ლაშქრობის დროს ეწყობოდა მდინარეზე გადასვლა და გადაცურვა, სხვა წინალობათა დაძლევა. ხანდახან ეწყობოდა შეჯიბრება სამხედრო ნაწილებს შორის.

სუვოროვი ოფიცრებს უნერგავდა ჯარისკაცებისადმი ადამიანურ მოპყრობას და მათზე მზრუნველობას, დიდ ყურადღებას აქცევდა ჰიგიენური პირობების დაცვას.

სუვოროვის სამხედრო-პედაგოგიურმა სისტემამ მკაცრი პრაქტიკული შემოწმება გაიარა მრავალი ბრძოლის პროცესში. სუვოროვის მეთაურობით ჯარები მუდამ გამარჯვებული გამოდიოდნენ ბრძოლებიდან. ამან მსოფლიო სახელი მოუხვეჭა როგორც სახელგანთქმულ დიდ სარდალს, ისე რუსეთის ძლევაშემოსილ არმიას.

სუვოროვის სისტემის მრავალი პრინციპი შემდეგში გამოყენებულ იქნა საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ჯარების სამხედრო სწავლების სისტემაში.

ფიზიკური აღზრდა
ხამოქალაქო სასწავ-
ლებლებში და თა-
ვადაზნაურობის უო-
ფა-ცხოვრებაში

XIX საუკუნის 50-იან წლებში რუსეთში აღ-
მოცენდა ორი სახის გიმნაზია: აზნაურთა ბავშ-
ვებისათვის და უაზნოთა ბავშვებისათვის. ფიზი-
კური აღზრდა გათვალისწინებული იყო მხოლოდ
აზნაურთა გიმნაზიებში, სადაც ტარდებოდა ფა-
რიკაობა და ცეკვა. გარდა ამისა, აზნაურთა გიმნა-

ზიებში მსურველთათვის მოწყობილი იყო სამხედრო ვარჯიშობა.
ამრიგად, ხსენებულ პერიოდში ფიზიკურ აღზრდას ფაქტიურად ლე-
ბულობდნენ მხოლოდ თავდაზნაურთა შვილები.

მაგრამ ფარეკაობა ვრცელდებოდა არა მარტო გიმნაზიებში, არა-
მედ თავდაზნაურობის წრეებში საერთოდ. ამ დროს მოსკოვსა და
პეტერბურგში გაიხსნა ფარეკაობის სპეციალური კერძო სკოლები,
რომლებმაც ხელი შეუწყეს რუსეთში ფარეკაობის გავრცელებას.

ფარეკაობასთან ერთად გავრცელდა თოფის სროლა. 60-იან
წლებში მოწყობილ იქნა სასროლო ტირები ქალაქგარეთ. XVIII
საუკუნის დამლევიდან შემოიღეს დამბაჩის სროლა, რომელმაც ფარ-
თო გავრცელება კპოვა თავდაზნაურობაში. ამ სახის სროლას იყე-
ნებდხენ დუელის დროს. თავდაზნაურობის წრეში პოპულარობით
სარგებლობდა ცხენოსნობაც. პეტრე I-ის მემკვიდრეთა დროს რუ-
სეთში ცხენოსნობის მრავალი საზღვარგარეთელი სპეციალისტი ჩა-
შოვიდა. მათ მოსკოვსა და პეტერბურგში მოაწყეს სპეციალური მა-
ნეჟები, სადაც თავდაზნაურობის წარმომადგენელთ შეეძლოთ ეს-
წავლათ ცხენოსნობა. მეცხენეობის განვითარებამ ხელი შეუწყო
დოლის გავრცელებას.

ფიზიკური კულტურა
მშრომელი ხალხის
უოფა-ცხოვრებაში

მშრომელი ხალხის ფიზიკური განვითარების
საშუალებას კვლავ წინა პერიოდში არსებული
ფიზიკური ვარჯიშობები წარმოადგენდა. ეს იყო
რბენა, ხტომა, მოძრავი თამაშობები, ჭიდაობა,
კრივი, ცურვა და სხვ. მთავრობა ცდილობდა ფიზიკურ ვარჯიშობა-
თა ხალხური სახეების რეგლამენტაციას და ამით ერთგვარი კონტ-
როლის დაწესებას მშრომელთა მასებზე. ეკატერინე I-მა 1726 წელს
გამოსცა ბრძანებულება კრივის შესახებ. იგი ითვალისწინებდა პო-
ლიციური კონტროლის დაწესებას მუშტი-კრივის გამართვის დროს.

ეკატერინე II-ის დროს საბატონო ბეგარა ძალზე გაიზარდა და
გლეხები მთელ დროს მემამულეებისათვის მუშაობას ანდომებდ-
ნენ. გლეხობის მძიმე მდგომარეობამ გამოიწვია აჯანყებები და ნამ-
დვილი ომიც. პირველად აჯანყდნენ ურალის კაზაკები, რომელთაც
სათავეში ჩაუდგა ე მ ე ლ ი ა ნ ე პ უ ვ ა ჩ ო ვ ი. მას ვლუხობაც

მიემხრო და მალე მუშებმაც დაუჭირეს მხარი: ეს უკანასკნელნი პუ-
გაჩოვის ჯარს ამარაგებდნენ იარაღით, ზარბაზნებით და ყუმბარებით.
მოდრაობას მიემხრო არა მარტო რუსი, არამედ სხვა ეროვნებათა
გლეხობაც, მაგალითად, ბაშკირები, ყალმუხები, თათრები, ჩუვა-
შები, შორდველები, მარიელები და სხვ.

როგორც კახაკობამ, ისე გლეხობამ დიდი მამაცობა და ფიზიკუ-
რი სიმტკიცე გამოიჩინეს მეფის ჯარებთან ბრძოლებში.

არარუსი ხალხების ფიზიკურ აღზრდაზე მოგვიტხოვრობს ფ ი ტ ი,
ეხება რა თათრების ფიზიკურ აღზრდას, იგი ამბობს. რომ თათრე-
ბის ქორწილი იწყება დოლით — ბიჭები ეჯიბრებიან ერთმანეთს
დიდ მანძილზე ქენებაში. გამარჯვებულთ ავილდოებენ ნივთებით.
რომლებიც „ნეფე-დედოფლის“ მიერ სახლის წინ ლატანზეა გამო-
ფენილი. ფ ი ტ ი მოგვიტხოვრობს, რომ ყალმუხები ბავშვობიდანვე
ეჩვევიან ვარჯიშობებს, სწავლობენ მშვილდოსნობას, შუბის ტყორც-
ნას, ცხენოსნობას, კიდაობას. თავისუფალ დროს ისინი აწყობენ თა-
მაშობა-გართობებსა და შეჯიბრებებს. განსაკუთრებით უყვარდათ
დოლი. თურქმენებიც გატაცებული იყვნენ ცხენოსნობით. ისინი
მართავდნენ მარულას 150 კილომეტრამდე. გამარჯვებულთ ავილ-
დობდნენ აქლემით. გავრცელებული იყო ნადირობაც. ცხენოსნო-
ბის სხვადასხვა სახეობები და ნადირობა გავრცელებული იყო ბაშ-
კირთა შორისაც.

ურალის კახაკები ფიტის გადმოცემით ბავშვობიდანვე ეჩვევიან
ძლიერ და რთულ ვარჯიშობებს — სწავლობენ მშვილდოსნობას.
შუბის ტყორცნას, თოფის სროლას, ცხენოსნობას და სხვ.

ფიზიკური აღზრდის
საკითხები ი. ბეცკო-
ის პედაგოგიურ
თხზულებებში

ი. ბეცკოი (1704—1795 წწ.) დაიბადა და გა-
ნათლება მიიღო შვეიცარიაში. დიდხანს მოგზა-
ურობდა ევროპის ქვეყნებში, კარგად იცნობდა
დასავლეთ ევროპის მოწინავე პედაგოგიურ მიმ-
დინარეობებს. იგი ეკატერინე II-მ მიიწვია რუ-
სეთში სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტად და კადეტთა კორპუსის
დირექტორად.

ეკატერინე II-ის დავალებით ბეცკოიმ დაამუშავა წესდება და
პროგრამა საღმრთლო სახლებისათვის. ეყრდნობა რა რუსოსა და
ლოკის შრომებს, ბეცკოი ხსენებულ პროგრამაში აწესებს ბავშვების
ხუთ ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფას და თითოეული ჯგუფისათვის
იძლევა ფიზიკური აღზრდის პროგრამას, რომელსაც მიზნად აქვს და-
სახული ბავშვთა ორგანიზმის განვითარება და ჯანმრთელობის განმ-
ტკიცება. ამისათვის მას საჭიროდ მიაჩნია ხშირი ბანაობა. ჰიგიენის
წესების დაცვა და ფიზიკური ვარჯიშობები. ბეცკოი ხაზს უსვამს.

ფიზიკური ვარჯიშობებისა და თამაშობების დიდ მნიშვნელობას მოზარდი თაობის აღზრდის სისტემაში. იგი წინააღმდეგია ბავშვთა მოპყრობაში სიმკაცრისა და ცემისა. კადეტთა კორპუსის დირექტორად ყოფნის დროს ბეცკოი დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. ფიზიკური აღზრდის საშუალებად მას შემოღებული ჰქონდა უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის — სეირნობა, მოძრავი თამაშობანი და სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშობები სუფთა ჰაერზე, უფროსი ასაკის მოსწავლეებისათვის (15 წლის ზევით) კი ფარეკაობა, ბურთაობა და ცხენოსნობა.

ფიზიკური აღზრდის საკითხები ა. რადიშჩევის პედაგოგიურ თხზულებებში გამოჩენილმა რუსმა განმანათლებელმა, რევოლუციონერმა და ფილოსოფოსმა ა. რადიშჩემა (1749—1802 წწ.) დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების შემდგომ განვითარებაზე.

გამომდინარეობდა რა თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებებიდან, რადიშჩევის აღზრდის ძირითად ამოცანად მიაჩნდა მამულისათვის ჰუმანიტარული შეილების, ხალხის ბედნიერებისათვის აქტიური მებრძოლების აღზრდა. ყოველმხრივი აღზრდის (გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური) სისტემაში რადიშჩევი დიდ როლს ანიჭებდა ფიზიკურ აღზრდას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის ნებისყოფის, ხასიათის განმტკიცებას, ძალ-ღონის განვითარებასა და საზოგადოებრივ-სასარგებლო ჩვევების შექმნას. რადიშჩევი აღნიშნავდა მჭიდრო კავშირს ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებათა შორის.

ფიზიკური აღზრდა რადიშჩევის აზრით, უნდა იწყებოდეს პატარაობიდანვე. მის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მას მიაჩნდა ადამიანის ორგანიზმის გაკაყება. ფიზიკურ ვარჯიშობებთან ერთად რადიშჩევი საჭიროდ თვლიდა ფიზიკურ შრომას.

ფიზიკური აღზრდის საშუალებათა შორის რადიშჩევი უპირატესობას ანიჭებდა ბუნებრივ — ხალხურ ვარჯიშობებს. როგორცია სიარული, რბენა, სიმძიმეების აწევა, ცურვა, ცხენოსნობა და სხვ.

§ 4. ფიზიკური კულტურა რუსეთში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობა რღვევას განიცდიდა. იზრდებოდა სამრეწველო საწარმოთა რიცხვი, ფართოვდებოდა კაპიტალისტური წარმოება. გლეხობის ექსპლუატაციის გაძლიერებამ და მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებამ რევოლუციურ განწყობილების ზრდა გამოიწვია.

30-40-იან წლებში რუსეთის პროგრესული ძალების სათავეში ჩადგა რევოლუციურ-დემოკრატიული უაზნო ინტელიგენცია. გაჩაღდა ბრძოლა მოწინავე პროგრესული და დრომოქმული ბატონყმურა წყობილების ძალებს შორის. ამ ბრძოლის მსვლელობაში ორივე მიმართულებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აღზრდის საკითხებს. ამავე ბრძოლამ განაპირობა ფიზიკური კულტურის მიმართულება და შემდგომი განვითარება.

ფიზიკური მომზადება არმიაში რუსი ხალხის ტრადიციებთან და ხალხურ ფიზიკურ ვარჯიშობებთან. ხოლო მეორე -- პრუსიის უხეშ და ანტიხალხურ სისტემასთან. როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელმა მიმართულებამ უკვე პეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგ ფეხი მოიკიდა რუსეთის არმიაში. XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც მას გაბატონებული მდგომარეობა ეკირა. რაც შეეხება სუვოროვის პროგრესულ მიმართულებას. იგი ოფიციალურად დევნილი იყო. მაგრამ რუსეთის არმიის ოფიცრების პროგრესული ნაწილი სუვოროვის სისტემას ემხრობოდა და შეძლებისდაგვარად იყენებდა მას ჯარების სამხედრო-ფიზიკური მომზადების დროს. სუვოროვის სისტემის მომხრენი და მისი ტრადიციების გამგრძელებელი იყვნენ გამოჩენილი რუსი მხედართმთავრები მ. კუტუზოვი. პ. ბაგრატიონი და სხვ. მაგრამ პრუსიის სისტემას მფარველობდნენ რუსეთის იმპერატორები ალექსანდრე I და ნიკოლოზ I. ამ გაბატონებულმა სისტემამ მეტად ცუდი გავლენა მოახდინა რუსეთის ჯარების სამხედრო-ფიზიკურ მომზადებაზე. ამ გარეშობამ ჩააფიქრა მმართველი წრეები. საჭირო იყო არმიის სამხედრო-ფიზიკური მზადების სისტემის რეორგანიზაცია ან რაიმე საშუალებების გამოხაზვა, რომლებიც შეცვლიდა ჯარში არსებულ მდგომარეობას. ასეთ საშუალებათა შორის საჭიროდ ცნეს არმიაში ტანვარჯიშის შემოღება. მართლაც, XIX საუკუნის 30-იან წლებში გვარდიის ზოგიერთ პოლკში შემოღებულ იქნა ტანვარჯიში. ამ საქმის ხელმძღვანელობა მიენდო საზღვარგარეთიდან მოწვეულ სპეციალისტს დე პაულის, რომელიც 1838 წელს შეუდგა ამ საქმეს. არმიაში შემოღებული ტანვარჯიში ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი ნაწილი მიზნად ისახავდა ჯანმრთელობის განმტკიცებას. ძალ-ლოხის, სიმარდისა და გამძლეობის განვითარებას. მეორე ნაწილი შეიცავდა ჯარის სხვადასხვა ნაწილებისათვის (ქვეითი ჯარი, არტილერია, კავალერია, მესანგრეთა ნაწილები) განკუთვნილ სპეციალურ ვარჯიშებს. ამ ტანვარჯიშის

ბერველი ნაწილი უიარაოდ სრულდებოდა. ხოლო მეორე ნაწილში გამოყენებული იყო სხვადასხვაგვარი იარაღები — ანძები ლურსმნებით, თოკის კიბეები, წვრილი ძელები, მალალი და მსხვილი ანძები, შვეული ბაგირები, ხის კიბეები, დახრილი და თარაზული ანძები, ორძელი და სხვ. მეორე ნაწილი შეიცავდა აგრეთვე სამხედროსაველე ტანვარჯიშს. მაგრამ დე პაულის სისტემამ არმიაში ფეხი ვერ მოიკიდა, ხოლო 1839 წელს იგი შეცვალა შვედურმა ტანვარჯიშულმა სისტემამ. ამ უკანასკნელმაც ვერ კპოვა არმიაში გავრცელება: ამრიგად, რუსეთის არმიაში უცხოეთის ტანვარჯიშული სისტემების დანერგვის ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო.

ჯარში ფიზიკური მომზადების განმტკიცებისათვის საკმარისი არ იყო მარტო ტანვარჯიშზე ზრუნვა, არმიაში უნდა მომხდარიყო საქედრო მომზადების მთელი სისტემის ძირფესვიანი გარდაქმნა. არც სამხედრო სასწავლებლებში იყო წესიერად დაყენებული ფიზიკური აღზრდის საქმე. მართალია, 1830 წლის დებულება ითვალისწინებდა სამხედრო სასწავლებლებში მწყობრის, ფარკაობის, ცხენოსნობის, ცურვის, ტანვარჯიშისა და თამაშობათა სწავლებას. მაგრამ პრაქტიკულად ეს ვერ ხორციელდებოდა — არმიას არ გააჩნდა მცოდნე სპეციალისტები.

**ფიზიკური აღზრდა
სასწავლებლებში** ხსენებულ პერიოდში ოთხი ტიპის სასწავლებელი არსებობდა — უნივერსიტეტი, გიმნაზია, სამაზრო და სამრევლო სასწავლებლები. უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებში სწავლა მისაწვდომი იყო მხოლოდ თავადაზნაურებისა და მდიდარი ვაჭრების შვილებისათვის, ხოლო სამაზრო და სამრევლო სასწავლებლებში — ხელმოკლე მოსახლეობისათვის. გარდა ამისა, წარჩინებული თავადაზნაურობისათვის არსებობდა პრივილეგიური სასწავლებელი — ლიცეუმი.

სამაზრო და სამრევლო სასწავლებლების დებულებაში ფიზიკური აღზრდა ნახსენებიც არაა, ხოლო უნივერსიტეტისა და გიმნაზიების დებულება ითვალისწინებდა ტანვარჯიშის შემოღებას არასავალდებულო სახით (მსურველთათვის, საამისოდ გადასახადის შეტანით). საკირო ხარჯების გაწევას მთავრობა არ კისრულობდა. ერთადერთი ტიპის სასწავლებელი, სადაც ფიზიკური აღზრდა (ტანვარჯიში და ფარკაობა) სავალდებულო საგნად ითვლებოდა, ლიცეუმები იყო. მათ შორის გამოირჩეოდა ცარსკოე სელოში არსებული ლიცეუმი, რომელშიც დიდი რუსი პოეტი ა. პუშკინი სწავლობდა. ამ სასწავ-

ლებელს გამოცდილი მასწავლებელი და კარგად მოწყობილი სავარჯიშო დარბაზი გააჩნდა.

მშრომელი ხალხის ფიზიკური აღზრდა თუ რუსეთის გაბატონებული კლასები დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ფიზიკური კულტურის გავლენას განიცდიდნენ, მშრომელი ხალხი, პირიქით, მტკიცედ იცავდა ხალხურ ტრადიციებს. გლეხთა და ხელოსანთა შორის დამკვიდრებული იყო ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეობები — ჭიდაობის სხვადასხვა სახეობანი, კრივი, სიმძიმეების აწევა, ცურვა, ციგურაობა, თხილამურებით სიარული, მოძრავი თამაშობები, ნადირობა. XIX საუკუნის დაძვეგ ტულის მესაჭურვლეები თვითონვე ამზადებდნენ ლითონის ციგურებს და დიდი ხალისით ციგურაობდნენ.

1800 წელს ურალელმა ოსტატმა ე. არტამონოვმა გამოიგონა მსოფლიოში პირველი ველოსიპედი, რომლითაც 1801 წელს გაემგზავრა ვერხოტურიდან (ურალი) მოსკოვს მარშრუტით: ნიჟნი ტაგილი-პეტერბურგი-მოსკოვი და იმავე გზით დაბრუნდა უკან. ეს მანძილი 5-000 კმ-ს აღემატებოდა.

რუსი ხალხის ფიზიკურ აღზრდაში საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა ხალხურ მოძრავ თამაშობებს. თამაშობათა შორის ბევრი ისეთია, რომელიც თავისი ხასიათით სპორტულ თამაშობას წარმოადგენდა და არაფრით ჩამოუყვარდება თანამედროვე სპორტულ (კლასიკურ) სახეობებს. ასეთია, მაგალითად, რუსული „ლაპტა“, „ქალაქობანა“ („городки“), „შალიგა“ (ბურთაობა ფეხის გაკვრით) და სხვ.

მრავალი თამაშობა და ფიზიკური ვარჯიშობა იყო გავრცელებული რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ სხვა ხალხთა შორის (შუა აზია, ამიერკავკასია, ვოლგისპირეთი, ბალტიისპირეთი). კერძოდ, საქართველოში გავრცელებული იყო ჭიდაობა, კრივი, ლელობურთი, სიმძიმეების აწევა და გადატანა, ცხენოსნური სპორტის მრავალი სახეობა (ყაბახი, ჭირითი, მარულა, ისინდი, დოლი, თარჩია, ჩოგანბურთი).

ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხური სახეობების საშუალებით რუსეთის მშრომელი მოსახლეობა იძენდა ძალ-ღონეს, გამძლეობას, მოქნილობას, გამბედაობასა და სხვა ფიზიკურ და მორალურ თვისებებს, რომლებსაც შემდეგ იყენებდა გარეშე მტრებთან ომების დროს და აგრეთვე თავისი მზავვრელებისაგან თავის დასაცავად.

თავადაზნაურთა ფიზიკური აღზრდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში თავადაზნაურთა შორის გავრცელებული იყო ცხენოსნობა და ფარიკაობა.

პეტერბურგსა და მოსკოვში გაიხსნა კერძო საფარიკაო სკო-

ლები. ფართო გავრცელება ჰპოვა აგრეთვე ცურვის სკოლებ-
მაც. პირველი ასეთი სკოლა, გაიხსნა 1827 წელს პეტერ-
ბურგში. XIX საუკუნის დამდეგს ჩაისახა „სროლის მოყვარულთა
საზოგადოება“. აქ, გარდა სროლისა, ფარეკობაშიც ვარჯიშობდნენ.
დროგამოშვებით საზოგადოება სროლასა და ფარეკობაში შეკიბრე-
ბებსაც აწყობდა. 1846 წელს პეტერბურგში დაარსდა თავადაზნაურ-
თა პირველი იახტ-კლუბი, რომელსაც „სანკტ-პეტერბურგის საიმ-
პერატორო იახტ-კლუბი“ ეწოდა. კლუბის წევრთა რაოდენობა დე-
ბულების ძალით არ აღემატებოდა 125 კაცს, ხოლო საწევრო გადა-
სახადი ერთობ დიდი იყო. კლუბმა 1847 წელს პირველად მოაწყო
რუსეთში შეკიბრება, რომელშიც 7 იახტა მონაწილეობდა.

XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთში გაიხსნა სამკურნალო
ტანვარჯიშის დაწესებულებები. პირველი ასეთი დაწესებულება,
ეგრეთ წოდებული ტანვარჯიშული ინსტიტუტი, გახსნილი იყო პე-
ტერბურგში დე პაულოს მიერ 1830 წელს. აქ უმთავრესი ყურად-
ღება ექცეოდა სამკურნალო ტანვარჯიშს, რომელიც განკუთვნილი
იყო არისტოკრატიული წრეებისათვის.

აღსანიშნავია, რომ როგორც ცურვის სკოლები, ისე ტანვარჯიშე-
ლი დაწესებულებები მიზნად არ ისახავდნენ უშუალოდ ფიზიკურ
აღზრდასა და განვითარებას, მათ უფრო კომერციული დანიშნულე-
ბა ჰქონდათ. მათი დამაარსებლები, მომეტებულად უცხოელები, უმ-
თავრესად მოგებაზე ფიქრობდნენ.

ფიზიკური აღზრდის
საკითხები ბ. ბელინ-
სკის შრომებში

დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრა-
ტი ბ. გ. ბელინსკი თავის ლიტერატურულ-კრი-
ტიკულ და სამეცნიერო-ფილოსოფიურ წერი-
ლებში ეხება აღზრდის, კერძოდ ფიზიკური აღზ-

რდის საკითხებს. ბელინსკი ადამიანის ყოველმხრივ, ჰარმონიულ
განვითარებას მოითხოვს. მის იდეალს წარმოადგენდა ხალხის ბედ-
ნიერებისათვის მებრძოლი მოქალაქე, თანაბრად განვითარებული
როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად და ზნეობრივად. ბელინსკის
აზრით, შვიდ წლამდე ბავშვის აღზრდა მეტწილად ფიზიკური
უნდა იყოს. იგი აღნიშნავს, რომ ძალზე გადაჭარბებული და ნაად-
რევი ზნეობრივი აღზრდა ბავშვისათვის ისევე მავნებელია, როგორც
გონების საზარალოდ სხეულის განვითარება: იგი ვნებს წესიერ ფი-
ზიკურ განვითარებას და, მაშასადამე, მავნებელია ჯანმრთელობი-
სათვის.

ბელინსკის მიაჩნია, რომ ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაში კარგი
შედეგის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც აღზრ-

დის პროცესში გათვალისწინებული იქნება აღსაზრდელთა ანატომიურ-ბიოლოგიური თავისებურებანი.

ფიზიკურ ვარჯიშობათა შორის ბელისკი უპირატესობას აძლევს რბენას, ხტომას, ტანვარჯიშს, ხალხურ თამაშობებს და გართობებს.

თ ა ვ ი III

ფიზიკური კულტურა რუსეთში კაპიტალიზმის განმტკიცების პერიოდში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი)

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ჩამოყალიბებულმა ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ, მწვავე კლასობრივმა ბრძოლამ შრომასა და კაპიტალს შორის და დემოკრატიულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი გავლენა მოახდინეს ფიზიკური კულტურის განვითარებაზე რუსეთში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში ჩაისახა ბურჟუაზიული სპორტული და ტანვარჯიშული ორგანიზაციები და ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობა. ამავე დროს ყალიბდება პირველი მუშური სპორტული წრეები, მაგრამ მათი რაოდენობა ერთობ შეზღუდული იყო პროლეტარიატის ექსპლუატაციის გამო. ცარიზმი და ბურჟუაზია საშუალებას არ აძლევდნენ მუშათა კლასს ჩამოეყალიბებია თავისი ფიზიკულტურული ორგანიზაციები. შეზღუდული იყო აგრეთვე გლეხთა ხალხურა ფიზიკური კულტურა.

ხალხთა მასების ინტერესებისათვის ერთადერთი მებრძოლი მუშათა კლასი იყო, რომელსაც ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობდა. იგი მოითხოვდა ფიზიკური აღზრდის დაქვემდებარებას რევოლუციური ბრძოლის ამოცანებისადმი.

§ 1. ტანვარჯიშის უამოღება არმიასა და ფლოტში. ფიზიკური აღზრდა სახმედრო და სამოქალაქო სასწავლებლებში

ტანვარჯიშის შემოღება არმიასა და ფლოტში უკრემის მიხედვით

უკრემის ომმა გამოამჟღავნა რუსეთის არმიის საბრძოლო და ფიზიკური მომზადების უარყოფითი მხარეები. სპეციალურად გამოყოფილმა კომისიამ, რომელსაც უნდა დაემუშაებია არმიის სამხედრო და ფიზიკური მომზადების პროგრამა, სასურველ შედეგებს ვერ მიაღწია, მას არმიასში არ ჩაუტარებია არავითარი არსებითი ცვლილება. მართალია, ლიბერალურად განწყობილმა სამხედრო მინისტრმა მილუტინმა სცადა ჯარისკაცთა

სამხედრო და ფიზიკური მომზადების სისტემის გაუმჯობესება. მაგრამ მეფე ალექსანდრე II-ის წინააღმდეგობას წააწყდა.

1874 წელს რუსეთში სამხედრო რეფორმა ჩატარდა. შემოღებულ იქნა სამხედრო ბეგარა ყველა წოდებისათვის. შემცირდა სამხედრო სამსახურის ვადა. ამ გარემოებამ მოითხოვა ჯარისკაცთა საბრძოლო და ფიზიკური მომზადების გაუმჯობესება და ახალგაზრდობის წვევამდელი სამხედრო მომზადების ორგანიზაცია. 1879 წელს ჯარში შემოღებულ იქნა ტანვარჯიშის სწავლების ახალი დებულება. ხოლო უფრო გვიან განხორციელდა საველე ტანვარჯიში. მაგრამ ან. ლონისძიებებმაც ვერ გააუმჯობესეს არმიაში ფიზიკური მომზადების საქმე, რადგან არ იყო შექმნილი საჭირო პირობები — არმიას არ გააჩნდა კვალიფიცირებულ ინსტრუქტორთა კადრები, საჭირო მოედნები, სავარჯიშო ბაზები და ინვენტარი.

არმიაში ჩატარებული რეფორმები სამხედრო სასწავლებლებსაც შეეხო. 1863 წელს კადეტთა კორპუსები გადაკეთდა სამხედრო გიმნაზიებად. თავისთავად ეს ფაქტი მოასწავებდა რუსეთის არმიის პროგრესულ მოღვაწეთა დროებით გამარჯვებას რეაქციულად განწყობილ სამხედრო წრეებზე. რეფორმამ კარგი ნაყოფი გამოიღო. კადეტთა კორპუსებთან შედარებით სამხედრო გიმნაზიებში უფრო უკეთესად იყო მოწყობილი სწავლება საერთოდ, და კერძოდ. ფიზიკური აღზრდა. აქ უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა გონებრივ აღზრდას, ხოლო ფიზიკური აღზრდის პროგრამაში დიდი ადგილი დაეთმო მოძრაობის თამაშობებს, რბენას, ხტომას, ტყორცნას. ექსკურსიებს და სხვ. სამხედრო გიმნაზიების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ რუს მეცნიერს პროფესორ პ. ფ. ლესგაფტს, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სამხედრო გიმნაზიებში ფიზიკურ აღზრდას.

ამ დროს რუსეთში ჩამოყალიბდა რამდენიმე მოკლევადიანი კურსები, სადაც წარმოებდა ტანვარჯიშისა და ფარეკაობის ხელმძღვანელთა მომზადება ჯარის ნაწილებისათვის.

უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ მომზადებას ფლოტში. უკეთ იყო დაყენებული ფიზიკური მომზადება საზღვაო სამხედრო სასწავლებლებშიც.

1864 წელს რუსეთში გამოიყენა საშუალო სასწავლებლების ახალი დებულება, რომლის საფუძველზე დაარსდა ორი ტიპის სასწავლებელი — კლასიკური და რეალური. ამავე წესდებით ამ ტიპის სასწავლებლებში შემოღებულ იქნა ტანვარჯიშის გაკვეთილები კლასგარეშე მუშაობის სახით.

ფიზიკური აღზრდა
სამოქალაქო სასწავ-
ლებლებში

1871 წელს განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა საშუალო სკოლების დებულების დამატებანი და ცვლილებები, რომელთა მიხედვით ტანვარჯიშის მასწავლებლები შტატგარეშე მომუშავეებად ითვლებოდნენ. ამრიგად, მაშინდელ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდა მოკლებული იყო მოქალაქეობრივ უფლებებს.

სახალხო განათლების სამინისტრომ 1889 წლის ცირკულიარით გაითვალისწინა ტანვარჯიშის შემოღება სამოქალაქო უწყების სკოლებში. მაგრამ ამ ღონისძიების ფაქტიურად გატარებას ხელს უშლიდა ტანვარჯიშის ჩატარებისათვის საჭირო ელემენტარული პირობების უქონლობა (მეცადინეობის ადგილი, ინვენტარი). მასწავლებელთა კადრების სიმცირე, სახსრების უქონლობა და სხვ. განათლების სამინისტრომ მიმართა სამხედრო უწყებას, რომელმაც გამოყო სკოლებში სამხედრო ტანვარჯიშის სწავლებისათვის ობერ- და უნტერ-ოფიცრები. მოუშზადებელი სამხედრო პირები მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს საფრთხეს უქმნიდნენ.

XIX საუკუნის მიწურულში რუსეთის ზოგიერთმა საშუალო სკოლამ მოიწვია ტანვარჯიშის მასწავლებლები ჩეხეთიდან. ამ უკანასკნელებმა განახორციელეს საშუალო სკოლებში „სოკოლის“ სისტემით მეცადინეობა. მართალია, მთავრობა დროგამოშვებით აქვეყნებდა ცირკულიარებს და ინსტრუქციებს სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების შესახებ და იქმნებოდა შთაბეჭდილება თითქოს იგი იჩენდა მზრუნველობას მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელობაზე, მაგრამ სინამდვილეში ეს საქმე სკოლებში საკმაოდ დაბალ დონეზე იდგა (რა თქმა უნდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა).

შედარებით უკეთესად იყო დაყენებული ფიზიკური აღზრდის საქმე კერძო გიმნაზიებსა და სასწავლებლებში. მათი დამაარსებელნი ლიბერალური ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიულ ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ. ამ სასწავლებლებში, ტანვარჯიშის გარდა, ისწავლებოდა სპორტული ვარჯიშობანი და მოძრავი თამაშობანი. მასწავლებელთა შემადგენლობა კერძო გიმნაზიებსა და სასწავლებლებში დაკომპლექტებული იყო მცოდნე პირთაგან.

§ 2. ბურჟუაზიული სპორტული მოძრაობის წარმოშობა.

სპორტის განვითარება XIX საუკუნის დამლევეს

XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე რუსეთში არსებობდა მხოლოდ დახურული ტიპის ცალკეული სპორტული კლუბები, რომლებშიც გაერთიანებული იყო არისტოკრატიულ წრეთა წარმომადგენლები. რაც შეეხება ბურჟუაზიულ სპორტულ-ტანვარჯიშულ მოძრაობას, იგი რუსეთში ჩაისახა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

პირველ ბურჟუაზიულ სპორტულ ორგანიზაციათა შორის აღსანიშნავია სპორტულ თამაშობათა წრე „ნევა“ და მდინარე ნევაზე მოწყობილი იახტ-კლუბი, რომელიც 1860 წელს დაარსდა. 1864 წელს პეტერბურგში გაიხსნა საიალქნო და სანიჩბოსნო კლუბი „სტრელა“, ხოლო 1867 წელს მოსკოვში ჩამოყალიბდა იახტ-კლუბი მდინარე მოსკოვზე. 1864 წელს პეტერბურგში გაიხსნა საციგურაო სპორტის პირველი კლუბი, ხოლო 1865 წელს პეტერბურგშივე ადგილობრივ იახტ-კლუბთან ჩამოყალიბდა საციგურაო სპორტის მოყვარულთა წრე.

1883 წელს მოსკოვში დაარსებულ იქნა პირველი რუსული ტანვარჯიშული საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი გამოჩენილი რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი იყო.

ბურჟუაზიული სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობა რუსეთში უფრო ინტენსიურად XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ვითარდებოდა; ამას ხელი შეუწყო მრეწველობის განვითარებამ.

მაგრამ XIX საუკუნის მიწურულში. დაარსებული სპორტული საზოგადოებები და კლუბები მეტწილად წარმოადგენდნენ დახურულ ბურჟუაზიულ ორგანიზაციებს, სადაც დემოკრატიული ელემენტებისათვის შესვლა შეზღუდული იყო. ამგვარ ორგანიზაციებს პირველ რიგში ჩოგბურთის კლუბები წარმოადგენდნენ. უფრო დემოკრატიულ ხასიათს ატარებდნენ ფეხბურთის, მძლეოსნობის, საციგურაო სპორტის კლუბები და წრეები. აქ შესვლის საშუალება ეძლეოდა საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელთ, ბურჟუაზიულ ინტელიგენციასა და სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებს.

მუშებისათვის ამ დაწესებულებებში შესვლა, როგორც წესი, მიუწვდომელი იყო. მუშათა კლასი ამ პერიოდში გარკვეულ ინტერესს იჩენდა სპორტისადმი, მაგრამ ცარიზმი და ბურჟუაზია ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ხელი შეეშალათ მუშათა სპორტული ორგანიზაციების დაარსებისათვის.

სპორტისა და ტანვარჯიშის განვითარება რუსეთში XIX საუკუნის დასასრულს, ტანვარჯიშში ჩაისახა ყირიმის ომის დასასრულს, მაგრამ იგი იმ დროს სამხედრო ხასიათს ატარებდა, რუსეთში მხოლოდ შემდგომში მოიკიდა ფეხი კერძო ტანვარჯიშმა. პირველი სატანვარჯიშო საზოგადოება პეტერბურგში ჩამოყალიბდა 1863 წელს, ხოლო მოსკოვში — 1868 წელს. ეს უკანასკნელი თავის რიგებში აერთიანებდა გერმანული და რუსი ბურჟუაზიის წარმომადგენლებს.

ტანვარჯიშის ერთ-ერთი გამავრცელებელი იყო ფრანგი პუარე,

რომელსაც 70-იან წლებში რუსეთში გამართული ჰქონდა სპეციალური სატანვარჯიშო დარბაზი. პუარესთან მოვარჯიშეთა ჯგუფმა ინიციატივით 1883 წელს მოსკოვში დაარსდა „პირველი რუსული სატანვარჯიშო საზოგადოება“. საინტერესოა, რომ პირველი შეჯიბრება ტანვარჯიშში მოეწყო 1885 წელს. იგი მოსკოვის სატანვარჯიშო საზოგადოებამ მოაწყო თავისი წევრებისათვის. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა მხოლოდ 11 კაცი.

1883 წელს მოსკოვში დაარსდა ველოსიპედისტთა საზოგადოება. ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ასეთივე საზოგადოება ჩამოყალიბდა ვარშავაში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში და სხვა სამრეწველო ქალაქებში.

80-იან წლებში მოსკოვში პირველად გამოჩნდა „ბაისიკლის“ სისტემის ველოსიპედი. ქუჩაში მისი ტარების უფლება ჰქონია მხოლოდ ერთ გერმანელ ინჟინერს და ისიც დილის ექვსიდან რვა საათამდე. მის საყურებლად თურმე დიდძალი ხალხი იკრიბებოდა.

მოსკოვის ველოსიპედისტთა საზოგადოებას თავისი არსებობის პირველი წლის განმავლობაში 49 წევრი ჰყავდა. 1887 წელს საზოგადოება ძლივს გადაურჩა დახურვას, რადგან რამდენიმე უბედურა შემთხვევის შემდეგ მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა აკრძალა ველოსიპედის ტარება მოსკოვსა და მის მიდამოებში. დიდი წვალეების შემდეგ ველოსიპედისტებისათვის დაურთავეთ ქალაქგარეთ სერიზობის ნება. თვით ქალაქში კი ველოსიპედის ტარების ნება მიუციათ დაღამებიდან დილის 8 საათამდე. რუსეთის მთელ რიგ ქალაქებში (პეტერბურგი, მოსკოვი, ტულა, სიმფეროპოლი) მოწყობილი იყო ველოტრეკები. 80-იან წლებში უკვე იმართებოდა შეჯიბრებები ველორბოლაში. ამ პერიოდში სახელი გაითქვა მოსკოველმა ველორბოლელმა პ. ვაშევეჩმა. 90-იან წლებში სახელი მოიხვეჭეს რუსმა ველოსიპედისტებმა ლიუბიმოვმა, დიაკოვმა, ა. ბუტილიკინმა, უტოჩკინმა, კოშჩენსკაიამ და სხვ.

მ. დიაკოვი რუსეთის ჩემპიონი იყო 1894—1898 წლებში. მან ბრავალჯერ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებებში და ყოველთვის ღირსეულად იცავდა რუსეთის სპორტულ ღირსებას.

1889 წელს პეტერბურგში ჩამოყალიბდა „სპორტის მოყვარულთა წრე“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რუსეთში მძლეოსნობის განვითარების საქმეში. ჯერ კიდევ ამ წრის ჩამოყალიბებამდე პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობა (სტუდენტები და გიმნაზიელები) აწყობდა შეჯიბრებებს მძლეოსნობაში, მაგალითად, 1889 წელს პეტერბურგის მახლობლად, ტიარლეგოში, მოეწყო შეჯიბრება

რბენაში. „სპორტის მოყვარულთა წრის“ ჩამოყალიბების შემდეგ მძლეოსნობა სწრაფად ვითარდებოდა, ეწყობოდა შეჯიბრებები.

1897 წელს რუსეთში ჩატარდა დიდი ოფიციალური შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომლის პროგრამა შეიცავდა მოკლე მანძილზე რბენას, წინალობებით რბენას ნახევარ ვერსზე, ჭოკით ხტომას, ბირთვის კვრას და სხვ.

ქიდაობისა და ძალოსნობის განვითარება რუსეთში დაიწყო XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან. პეტერბურგში 1885 წელს ექიმმა ვ. კრავესკიმ საკუთარ ბინაზე გახსნა ძალოსნური წრე, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. ამ ძალოსნობის წრეში აღიზარდნენ ცნობილი რუსი ძალოსნები და მოჭიდავეები ს. ელისევი, ი. პოდლუბნი, ი. შემიაკინი და სხვები, რომლებმაც სახელი გაითქვეს არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც.

კრავესკის ძალოსნური წრის დაარსების შემდეგ განვლო რამდენიმე წელმა და ასეთივე წრეები (კლუბები) ჩამოყალიბდა ესტონეთში („კალევის“ სახელწოდებით), ხოლო მოჭიდავე პროფესიონალმა ლებედევმა დააარსა საზოგადოება „პერკულესი“.

1897 წელს პეტერბურგში ჩატარდა რუსეთის პირველი ჩემპიონატი ქიდაობაში, ხოლო 1898 წელს მეორე ჩემპიონატი ქიდაობასა და სიმძიმეების აწევაში. მალე რუსეთის ძალოსნები მსოფლიო სარბიელზედაც გამოვიდნენ. 1899 წელს იტალიაში ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში სახელი გაითქვა რუსმა ძალოსანმა ს. ელისეევმა. მან აქ პირველობა მოიპოვა.

1894 წელს „პეტერბურგის სპორტის მოყვარულთა წრემ“ ჩაატარა რუსეთში პირველი შეჯიბრება სათხილამურო სპორტში. მაგრამ პირველი სპეციალური სათხილამურო კლუბი ჩამოყალიბდა 1895 წელს მოსკოვში. წრეში მისი არსებობის პირველ წელს 36 წევრი ირიცხებოდა, უკვე 1896 წელს ხსენებულმა კლუბმა მოაწყო თავისი პირველი სათხილამურო შეჯიბრება. 1897 წელს ასეთივე კლუბი ჩამოყალიბდა პეტერბურგში. აქ, პირველად რუსეთში, შემოიღეს სამთო-სათხილამურო სპორტის ელემენტები.

საციგურაო სპორტი რუსეთში სპორტის სხვა სახეობებზე უფრო ადრე ჩაისახა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო საციგურაო მოედნების აგება, ხოლო პირველი სპეციალური საციგურაო მოედანი XIX საუკუნის 60-იან წლებში იყო მოწყობილი. 1864 წელს პეტერბურგში დაარსდა პირველი საციგურაო სპორტული კლუბი. შემდეგში ასეთივე კლუბი გაიხსნა მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში. 1881 წლიდან პეტერბურგის კლუბი შეუდგა შეჯიბრებების ჩატარებას ჩქაროსნულ რბენასა და ფიგურულ სრი-

აღში, ხოლო 1889 წელს მოსკოვში ჩატარებულ იქნა რუსეთის პირველი ოფიციალური შეჯიბრება საციგურაო სპორტში.

რუს მოციგურავეთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ლებედევი. რომელმაც 1883 წელს საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა ციგურებით ფიგურულ სრიალში.

1889 წელს რუსმა მოციგურავემ ა. პანშინმა მსოფლიოს პირველობაზე ამსტერდამში მსოფლიოს უძლიერესი მოციგურავის წოდება მოიპოვა. 1897 წელს მან მოიპოვა რუსეთის საუკეთესო მოციგურავის წოდება და შეინარჩუნა ის 1899 და 1900 წლებშიც.

ფეხბურთელთა პირველი რუსული გუნდი ჩამოყალიბდა 1897 წელს პეტერბურგში. ერთი წლის შემდეგ პეტერბურგში უკვე ფეხბურთის მოყვარულთა რამდენიმე წრე არსებობდა. ამავე წლიდან დაიწყო ფეხბურთში შეჯიბრებათა გამართვა. მალე ფეხბურთმა ფეხი მოიკიდა მოსკოვსა და კიევში, ოდესსა და რუსეთის სხვა ქალაქებში.

თითქმის ერთდროულად რუსეთში იწყება პოკეის განვითარება. პოკეიში პირველი შეჯიბრება ჩატარდა 1898 წელს.

ჩოგბურთი მეფის რუსეთის პირობებში იყო და ბოლომდე დარჩა შეძლებული კლასების მონოპოლიად. არისტოკრატია და მსხვილი მრეწველები აარსებდნენ ჩოგბურთის კლუბებს. რომლებშიც წევრთა რაოდენობა დებულებით წინასწარ იყო განსაზღვრული. პირველი ჩოგბურთის წრე დაარსდა 1860 წელს პეტერბურგში. ხოლო 1868 წელს იქვე ჩამოყალიბდა „პეტერბურგის ჩოგბურთისა და კრიკეტის კლუბი“. შემდეგში ჩოგბურთის წრეები რუსეთში უფრო მოშრავლდა, მაგრამ ისინი კვლავ მიუწვდომელი რჩებოდა მშრომელი ხალხის წარმომადგენელთათვის.

1860 წელს პეტერბურგში დაარსდა პირველი საიალქნო და ნიჩბოსნობის კლუბი (მდინარის იახტ-კლუბი). პირველ ხანებში ეს კლუბი საზღვარგარეთელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ პეტერბურგელ მრეწველთა საკუთრებად გახდა. იალქნების შექმნა და მათი მოვლა-პატრონობა ძვირი ჯდება.

პირველი შეჯიბრება ნიჩბოსნობაში ჩატარდა 1860 წელს მდინარე ნევაზე. მდინარის იახტ-კლუბი მოსკოვში 1867 წელს დაარსდა. შემდეგში იახტ-კლუბები გაიხსნა რიგში. კიევში, სარატოვსა და სხვა ქალაქებში. 1897 წელს ოდესაში გაიხსნა ერთ-ერთი უდიდესი იახტ-კლუბი, რომელიც საზღვაო სამინისტროს ეკუთვნოდა. ცურვის განვითარება რუსეთში მიეკუთვნება XIX საუკუნის 90-იან წლებს. თანამედროვე ფარეკაობის პირველი წრე დაარსდა 1851 წელს პეტერბურგში. იგი განკუთვნილი იყო გვარდიის ოფიცერთათვის.

აღსანიშნავია, რომ განთქმულმა რუსმა მოფარიკავემ პ. ზაკო-
კოროტმა 1899 და 1900 წლებში საერთაშორისო შეჯიბრებაზე
ორი ოქროს მედალი მოიპოვა.

§ 3. ფიზიკური კულტურა რუსეთის ხალხთა უფა-ცხოვრებაში

ფიზიკურ ვარჯიშობათა ხალხურ სახეობებს შეადგენდა ჭიდაო-
ბის ნაირსახეობანი, ბურთობა; ცხენოსნობის, ნაირსახეობანი, რუ-
სული ლაპტა, „გოროდკი“, მრავალი მოძრავი თამაშობანი, რბენა,
ბტომა და სხვა ვარჯიშობები: მაგრამ გლეხობის ექსპლუატაციის
პირობებში ხსენებულ საშუალებათა ფართო გამოყენება შეუძლებ-
ლი ხდებოდა. როგორც XIX საუკუნის პირველ. ისე მეორე ნახევარ-
ში ქვეყნდებოდა მთავრობის ბრძანებულებები და მითითებები კრი-
ვის, ბურთობისა და სახალხო გართობათა სხვა სახეობების აკრძალ-
ვის შესახებ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში შუა აზიის ხალხთა შორის
გავრცელებული იყო ცხენოსნური სპორტის სახეობები, ჭიდაობა,
მშვილდოსნობა და სხვ. ცხენოსნობას ბავშვობიდანვე სწავლობდ-
ნენ.

ყაზახეთში იმართებოდა დოლი (ბაიგა) გრძელ მანძილზე. იქ
გავრცელებული იყო აგრეთვე ჭიდაობა (კურეს) და მშვილდოსნობა
(ჯამბი ატუ).

ყირგიზეთის მთიანეთში დოლი იმართებოდა აქლემებზე. აქ გავრ-
ცელებული იყო აგრეთვე ჭიდაობა (კურეშ). ყირგიზეთში ცხენოს-
ნური სპორტის სახეობებმა, კერძოდ კი თამაშობამ, რომელსაც
„ულაკ-ტარტიშს“ უწოდებდნენ, საკმაოდ ფართო გავრცელება მი-
იღო. ეს ჩვენებურ თარხიას მოგვაგონებს, მხოლოდ იმ განსხვავე-
ბით. რომ ბრძოლის საგანს ცოცხალი თიჯანი წარმოადგენდა.

ტაჯიკები და უზბეკები თამაშობდნენ ჩოგბურთს (ცხენებით).
ამ ხალხებში გავრცელებული იყო აგრეთვე მოძრავი თამაშობანი
რბენით, ბტომით, ტყორცნით, ჭიდაობით.

აზერბაიჯანში განსაკუთრებით გავრცელებული იყო ეროვნული
ჭიდაობა (გულეშ). გარდა ამისა, გამოყენებული იყო მშვილდოსნო-
ბა და ცხენოსნობის ზოგიერთი სახეობა.

უკრაინელებისა და ბელორუსების სპორტის ხალხური სახეო-
ბები ბევრით არაფრით განსხვავდებოდა რუსი ხალხის ფიზიკური
ვარჯიშობებისაგან. რუს და უკრაინელ კაზაკთა შორის ფართოდ იყო
გავრცელებული ცხენოსნობა და სროლა.

§ 4. ბაზოიანილ მაცნიართა ზრომების მნიშვნელობა ფიზიკური
ალზრდის ღარბუი მაცნიარების შემდგომი
განვითარებისათვის

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში აღმოცენდა მძლავრი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელმაც განაპირობა მეცნიერების და კერძოდ ბუნებისმეტყველების აღმავლობა. ამ პერიოდში ფართოდ გაიშალა რუს. რევოლუციონერ-დემოკრატთა, გამოჩენილ პედაგოგთა, ექიმთა და სხვა დარგებში მომუშავე მოწინავე ადამიანთა შემოქმედებითი მოღვაწეობა.

რეაქციის ძალები ერთობ მოწადინებული იყვნენ ხელი შეეშალათ მათი მოღვაწეობისათვის და განედევნათ მატერიალისტური სწავლება, შეევიწროებიათ პროგრესული მეცნიერები და მოაზროვნენი, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა კულტურის წინსვლა.

ბუნებისმეტყველების დარგში მიღწეულმა წარმატებებმა ხელი შეუწყო ფიზიკურ აღზრდაზე მეცნიერების განვითარებას. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ ნ. ი. პიროგოვის შრომებს ადამიანის ანატომიის დარგში და ი. მ. სეჩენოვის შრომებს ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის დარგში.

ცნობილმა ქირურგმა და ანატომმა ნ. ი. პიროგოვმა (1810—1881 წწ.) ბევრი იშრომა ანატომიაში ახალი მიმართულების განვითარებისათვის. პიროგოვამდე ანატომიის სწავლებას უმთავრესად აღწერილობითი ხასიათი ჰქონდა.

პიროგოვის მითითებით ადამიანის სხეულის ცალკე ორგანოთა შესწავლა უნდა დაიწყოს არა მათი გარეგნული სხისა და აგებულების აღწერით, არამედ ამ ორგანოს დანიშნულებისა და ფუნქციის შესწავლით. ეს დებულებანი შემდეგში საფუძვლად დაედო პ. ფ. ლესგაფტის თეორიულ ანატომიას და მამოძრავებელი აპარატის დინამიკურ ანატომიას.

ცნობილი რუსი ფიზიოლოგი ი. მ. სეჩენოვის (1829—1905 წწ.) შრომებმა დიდი როლი შეასრულეს ფიზიკურ ვარჯიშობათა ფიზიოლოგიის განვითარების საქმეში. სეჩენოვის მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ცდების საშუალებით ყველაზე ადრე დაამტკიცა განუყრელი კავშირის არსებობა თავის ტვინსა და კუნთურ მოძრაობას შორის, და, მაშასადამე, ადამიანის ფსიქიკურ და ფიზიკურ მოქმედებათა შორის.

ადამიანის ქცევა განისაზღვრება მისი ფსიქიკური და ფიზიკური მოქმედებებით, რომლებიც წარმოადგენენ თავის ტვინის მეტად რთული რეფლექსების გამოვლენას. არ შეიძლება წარმოიშვას არც ერთი ნებისმიერი მოძრაობა გრძნობათა ორგანოების სათანადო

აგზნების გარეშე. მეორე მხრივ, არ შეიძლება წარმოიშვას არც ერთი ნებისმიერი კუნთური მოძრაობა, რომ მან არ ჰპოვოს ასახვა თავის ტვინში.

ამრიგად, სეჩენოვის ეს აღმოჩენა მთლიანად ამსხვრევდა ძველ წარმოდგენას ფიზიკურ ვარჯიშობებზე, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის სხეულის მამოძრავებელი აპარატის მოქმედებაზე. ამიერიდან ნათელი გახდა, რომ ფიზიკური აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა თანაბრად უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ მოქმედებას.

სეჩენოვმა დაამტკიცა აგრეთვე, რომ დაღლილი კუნთების შრომისუნარიანობის აღდგენა უფრო მალე ხდება მათი ანტაგონისტების მუშაობის დროს. სეჩენოვის ამ აღმოჩენამ შექმნა მატერიალური ბაზა აქტიური დასვენების თეორიისათვის.

რუსი რევოლუციონერი დემოკრატები
ნ. გ. ჩერნიშევსკი და
ნ. ა. დობროლიუბოვი
ფიზიკური აღზრდის შესახებ

XIX საუკუნის 50—60-იან წლებში ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი სათავეში ჩაუდგნენ რაზნოჩინცების რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას რუსეთში. მათ დიდი როლი შეასრულეს რუსეთის რევოლუციაში და რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისათვის ნიადაგის მომზადებაში.

ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი მოგვევლინენ როგორც ხალხის ინტერესების მტკიცე დამცველნი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, საერთოდ აღზრდის, და კერძოდ, ფიზიკური აღზრდის დარგში.

აღზრდის საკითხებს ჩერნიშევსკი განიხილავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციოლოგიურ საკითხებთან მჭიდრო კავშირში.

პიროვნების ჩამოყალიბებაში ჩერნიშევსკი გადამწყვეტ როლს ანიჭებდა აღზრდასა და სოციალურ გარემოს.

ჩერნიშევსკის, გაგებით აღზრდის მიზანია ახალი ადამიანის ჩამოყალიბება. ასეთი ადამიანი გატაცებულია საზოგადოებრივი მოღვაწეობით და მტკიცედ იცავს ხალხის ინტერესებს. ახალი ადამიანი ჩერნიშევსკის წარმოდგენილი ჰყავდა მაღალიდებურ და ყოველმხრივად — სულიერად და ფიზიკურად განვითარებულ პიროვნებად.

გამომდინარეობდა რა აღზრდის საერთო მიზნებიდან, ჩერნიშევსკი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე სახავდა შემდეგ ამოცანას: მთელი თავისი შინაარსით, ორგანიზაციით, სწავლების მეთოდებითა და ხერხებით ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ფიზიკური ძალისა და ჯანმრთელობის განმტკიცებას.

ცნობილია, რომ ჩერნიშევსკისთან მჭიდრო თანამეგობრობაში

იმყოფებოდა და მის შესედულებებს იზიარებდა ნ. ა. დობროლიუბოვი.

დობროლიუბოვი აღზრდის უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავდა რევოლუციონერ მოღვაწეთა, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთა და ჩაგრულთა ხალხის ინტერესების დამცველთა მომზადებას.

დობროლიუბოვი, ჩერნიშევსკის მსგავსად, დიდ როლს ანიჭებდა მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას. მისი აზრით, აღზრდა ყოველმხრივ უნდა იყოს. ხოლო ფიზიკური აღზრდა ყოველმხრივი აღზრდის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს.

ჩერნიშევსკიმ ხმა აიმაღლა იმ დროს გამეფებული იდეალისტური თეორიის წინააღმდეგ — თითქოს ადამიანის მოღვაწეობაში წამყვანი როლი „სულს“ ენიჭებოდა. ჩერნიშევსკი წერდა, რომ მეცნიერების მონაცემებმა სავსებით გააბათილეს აზრი ადამიანის დუალიზმის შესახებ, და რომ რომელიმე ორგანოს ფუნქციები განხილულ უნდა იქნეს მთელ ორგანიზმთან კავშირში. დობროლიუბოვი თვლიდა, რომ გონებრივი მოქმედება სავსებით დამოკიდებულია გრძნობათა ორგანოების ფუნქციისაგან, რომელთა საშუალებით ადამიანი შეიცნობს გარესამყაროს.

ადამიანის ჰარმონიულად განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მიაჩნდათ ჭანმრთელობა. ეს უკანასკნელი კი მათ წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც მთელი ორგანიზმის ბუნებრივი ჰარმონიული განვითარება და მისი ყველა ფუნქციის სწორი სრულყოფა.

ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი არ ატარებდნენ მკვეთრ ზღვარს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. ფიზიკური შრომა მათ მიაჩნდათ არა მარტო ფიზიკური აღზრდის, არამედ ინტელექტუალური ძალების აღზრდის საშუალებადაც.

ყოველი შრომა, მათი აზრით, ერთსა და იმავე დროს არის გონებრივიც და ფიზიკურიც, და თუ ერთ შემთხვევაში უმთავრესი როლი მიეკუთვნება ტვინს, ხოლო მეორე შემთხვევაში კუნთებს — ეს (ერთი ელემენტის სიჭარბე) არ ნიშნავს მეორის გამორიცხვას. ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი ფიზიკურ ვარჯიშობათა შესრულების დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ცნობიერების აქტივობას.

მათი აზრით, ფიზიკურ აღზრდაში, ისევე, როგორც შრომაში, უნდა მონაწილეობდეს ინტელექტუალური სფერო.

ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის პედაგოგიურ შეხედულებებს ახასიათებს ღრმა იდეურობა და ხალხურობა. ხალხურობის იდეას ისინი ფიზიკურ აღზრდაშიც ატარებდნენ.

მ. ა. პოკროვსკი და
მ. შ. დემენტიევი
ბავშვთა ფიზიკური
აღზრდის შესახებ

ე. ა. პოკროვსკი (1838—1895 წწ.) ცნობილი პედაგოგი, რედაქტორობდა ჟურნალს „Вестник воспитания“, ითვლებოდა გამოჩენილ პროგრესულ მოღვაწედ ფიზიკური აღზრდის დარგში. სხვა შრომათა შორის, რომლებიც მან ფიზიკურ აღზრდას მიუძღვნა, აღსანიშნავია მოძრავ თამაშობათა სახელმძღვანელო.

პოკროვსკი აღნიშნავს, რომ ფიზიკური ვარჯიშობები ხელს უწყობენ ადამიანის არა მარტო სხეულის ძალ-ღონის განმტკიცებას, არამედ გონების განვითარებასაც. ფიზიკურ აღზრდაში პოკროვსკი მტკიცედ იცავს ხალხურობის პრინციპს.

ფიზიკური აღზრდის მთავარ საშუალებად პოკროვსკის მიაჩნდა თამაშობები. დადებით შეფასებას აძლევდა იგი აგრეთვე ცურვას, ნიჩბოსნობას, ციგურაობას, სათხილამურო სპორტს. პოკროვსკის მიერ ტანვარჯიშის უარყოფითი შეფასება იმით აიხსნება, რომ იმ დროს ამ საგანს დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები ასწავლიდნენ, რის გამოც ტანვარჯიში არ იძლეოდა საჭირო ეფექტს ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საქმეში.

პოკროვსკი ზრუნავდა არა მარტო ბავშვთა ფიზიკურ აღზრდაზე, არამედ ხალხის მასებში ფიზიკური ჯანმრთელობის განმტკიცებაზეც.

ე. შ. დემენტიევი (1850—1918 წწ.) პოკროვსკის უახლოესი თანამებრძოლი, ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე იყო. პოკროვსკის მსგავსად, დემენტიევი ტანვარჯიშის წინააღმდეგ ილაშქრებდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თამაშობებს. თავისი შრომებით მან ხელი შეუწყო რუსეთში სპორტულ თამაშობათა (ფეხბურთის, პოკეის, ჩოგბურთის) გავრცელებას.

გამოჩენილი რუსი მეცნიერი, ანატომი, ბიოლოგი და პედაგოგი პ. ფ. ლესგაფტი (1887—1909 წწ.) თვალსაჩინო პიროვნებაა რუსეთის ფიზიკულტურის ისტორიაში. მან პირველად რუსეთში დაამუშავა მეცნიერულად დასაბუთებული ფიზიკური განათლების ორიგინალური თეორია.

პროფესორ ლესგაფტის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მის მიერ დამუშავებული სწავლება ფიზიკური აღზრდის როლის შესახებ პიროვნების პარმონიული აღზრდის საქმეში. ამ სწავლებაში გამოძახილი ჰპოვა XIX საუკუნის რუსი ფილოსოფოს-დემოკრატიზის იდეებმა. 1856 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ლესგაფ-

ტი შევიდა სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში. დაამთავრა ივ 1861 წელს და იქვე დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. 1865 და 1868 წლებში მან ზედიზედ დაიცვა ორი დისერტაცია და მიიღო სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორისა და ქირურგიის დოქტორის ხარისხები. 1868 წელს ლესგაფტი აირჩიეს ყაზანის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიური ანატომიის კათედრის გამგედ. აქ იგი ილაშქრებს უნივერსიტეტში არსებული დიდმპყრობელური წესების წინააღმდეგ. რისთვისაც 1871 წელს მოხსნეს უნივერსიტეტიდან.

1874 წლიდან ლესგაფტი ხელმძღვანელობდა პეტერბურგის სახედრო გიმნაზიების მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას.

1880 წლიდან ლესგაფტი კითხულობდა ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტში. ამავე დროს მან კერძო შეწირულებიდან მოგროვილი თანხებით გახსნა ბიოლოგიური ლაბორატორია.

1896 წელს ლესგაფტმა პეტერბურგში გახსნა ქალთა ფიზიკური აღზრდის კურსები. მთავრობა არა თუ დახმარებას უწყევდა ლესგაფტს ამ საქმეში. არამედ. პირიქით, არაკეთილსაიმედო პიროვნებად მიაჩნდა ის და სისტემატურად სდევნიდა მას. მაშინდელმა განათლების მინისტრმა, ცნობილმა რეაქციონერმა კასსომ ლესგაფტის კურსებს „პეტერბურგის რევოლუციური წყლული“ უწოდა და მოიწადინა მისი დახურვა. 1897 წელს მხცოვანი მეცნიერი გარიცხეს პეტერბურგის უნივერსიტეტის მასწავლებელთა რიგებიდან. ხოლო 1901 წელს გადაასახლეს პეტერბურგიდან ერთი წლის ვადით.

მართალია. პ. ფ. ლესგაფტი რევოლუციონერი არ ყოფილა. მაგრამ იგი მოწინავე საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი იყო, სძაგდა მეფის მთავრობა, მისი ბოროტი პოლიტიკა და ყოველთვის უთანაგრძნობდა რევოლუციას და რევოლუციონერებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლესგაფტის დიდ დამსახურებად ითვლება მის მიერ დამუშავებული სწავლება პარმონიულად განვითარებული პიროვნების შესახებ. ლესგაფტმა დაამტკიცა, რომ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას შორის არსებობს განუყრელი კავშირი. ფიზიკური ვარჯიშობები არა მარტო ავითარებენ ადამიანის სხეულს, არამედ აუმჯობესებენ მის ინტელექტუალურ მოქმედებასაც. ლესგაფტის გაგებით, ადამიანის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას შორის მკიდრო კავშირია და გონებრივი ზრდა მოითხოვს შესაბამის ფიზიკურ განვითარებას. ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის სახეობანი აღზრდის ცალკეულ მხარეებს კი არ წარმოადგენენ, არამედ განუყრელად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან.

ადამიანის ორგანიზმში, მისი აზრით, ყველაფერი ისეა შეკავშირებული, რომ მისი საქმიანობის ყოველგვარი ხელოვნური განკალკვეება დაარღვევს საერთო მოქმედების პარამონიას და არც მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე.

თავის სისტემაში ლესგაფტმა ფიზიკური ვარჯიშობანი ოთხ ჯგუფად დაჰყო.

პირველ ჯგუფში მან ჩართო მარტივი ვარჯიშობანი — ტანის, კიდურებისა და თავის ელემენტალური მოძრაობები. გარდა ამისა, პირველ ჯგუფში შედიოდა სიარული, რბენა, ხტომა, ბურთის ტყორცნა და სხვ. ამ ვარჯიშობებს უმცროსი კლასის მოსწავლეები ასრულებდნენ. მათ მიზანს შეადგენდა ბავშვის მიჩვევა საკუთარი სხეულის მოძრაობათა დაუფლებისადმი.

ვარჯიშობათა მეორე ჯგუფი განკუთვნილი იყო სკოლის საშუალო ასაკისათვის. აქ პირველი ჯგუფის ვარჯიშობები გართულებული იყო გაზრდილი მოთხოვნისაგან. იზრდებოდა ასაწევად და სატყორცნად გათვალისწინებული ნივთების წონა, რთულდებოდა წინალობა ხტომებისათვის, მცირდებოდა დრო გასარბენი მანძილის დასაძლევად. ბავშვები თანდათანობით ეჩვეოდნენ წინალობათა ძლევას.

შესამე ჯგუფის ვარჯიშობები გათვალისწინებული იყო უფროსი კლასების მოსწავლეთათვის. ამ ჯგუფის ვარჯიშობები დაკავშირებული იყო დროსა და სივრცეში ორიენტირებასთან (ბურთის მოხვედრება ზუსტად დასახულ მიზანში, რბენა მოცემული ტემპით, ხტომა განსაზღვრულ სიგრძეზე). ამგვარი მოძრაობების შესრულებისას მოსწავლენი ხელმძღვანელობდნენ უკვე გამომუშავებული კუნთური გრძნობით და მხოლოდ შემდეგ ამოწმებდნენ სიზუსტეს მეტრონომით, საზომი თამასით და სხვა საზომი იარაღებით.

ვარჯიშობათა მეოთხე ჯგუფი გათვალისწინებული იყო ყველა ჯგუფისათვის და იხმარებოდა მათ პარალელურად. ამ ჯგუფში შედიოდა თამაშობები, შრომითი მოძრაობანი, ცურვა, ექსკურსია-გასეირნება და სხვ. მისი მიზანი იყო უკვე შექმნილი ცოდნისა და ჩვევების შემოწმება და მათი განმტკიცება.

მაგრამ ლესგაფტის ფიზიკური განათლების სისტემას სუსტი მხარეებიც გააჩნდა. ლესგაფტი უარყოფითად აფასებდა სპორტულ შეჯიბრებებს და ტანვარჯიშულ იარაღებზე ვარჯიშობას. იგი ფიქრობდა, რომ ყველა ეს საშუალება ხელოვნურია, რომ მათ არ მოაქვთ საჭირო სარგებლობა. შემცდარია აგრეთვე ლესგაფტის შეხედულება ჩვენების მნიშვნელობაზე ფიზიკურ ვარჯიშობათა სწავლების პროცესში; როგორც ცნობილია, ლესგაფტი მას უარყოფდა.

მაგრამ ზემოაღნიშნული შეცდომები და ნაკლოვანებანი სრულე-
ბითაც არ უკარგავენ ღირებულებას ამ გამოჩენილი მეცნიერის
მდიდარ მემკვიდრეობას. ლესგაფტის თეორიისა და სისტემის ძირი-
თადი დებულებები დღესაც ძალაშია.



XIX საუკუნის მიწურულში რუსეთში ჩაისახა მუშათა სპორტუ-
ლი ორგანიზაციები. ამავე დროს რუსეთის კაპიტალისტებმა დააარ-
სეს „მუშათა“ სპორტული კლუბები (სამეწარმო სპორტრ).

მუშათა პროგრესულმა ნაწილმა ბრძოლა გამოუცხადა ამ კლუ-
ბებს და დააარსა ნამდვილი მუშური სპორტული ორგანიზაციები.

ცარიზმი და ბურჟუაზია ყოველ დონეს ხმარობდნენ, რათა შე-
ესუსტებინათ მუშათა სპორტული მოძრაობა. მუშათა სპორტულ
წრეებს პოლიცია რეგისტრაციაში არ ატარებდა და მათ „ველურ“
გუნდებს უწოდებდა.

თ ა ვ ი IV

ფიზიკური კულტურა და სპორტი რუსეთში იმაპერიალიზმისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციათა პერიოდში

§ 1. ბურჟუაზიული სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის წლებში

ბურჟუაზიული სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობა
XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში მომხ-
დარმა სამრეწველო კრიზისმა დიდი გავლენა
მოახდინა მუშათა რევოლუციური მოძრაობის
შემდგომ განვითარებაზე. მუშები აწყობდნენ
გაფიცვებს, გამოდიოდნენ დემონსტრაციებზე და იწყებდნენ ბრძო-
ლას კაპიტალისტებისა და მეფის მთავრობის წინააღმდეგ. 1902—
1903 წლებში იფეთქა გლეხთა ძლიერმა აჯანყებებმა.

მარტო პოლიციისა და კაზაკების საშუალებით შეუძლებელი
იყო მუშათა მოძრაობის დაძლევა, ამიტომ მეფის მთავრობამ სხვა
ხერხებსაც მიმართა. ეანდარმებისა და ოხრანკის აგენტების კონ-
ტროლქვეშ მან შექმნა ცრუმუშური, პოლიციური ორგანიზაციები,
მაგრამ მათ ვერ შეძლეს მუშათა მოძრაობის დამორჩილება.

ბურჟუაზია შიშს განიცდიდა მოახლოებული პროლეტარული რევოლუციის წინაშე. იგი ცდილობდა როგორმე შეეჩერებია სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების დემოკრატიული მოძრაობა. რევოლუციური მოძრაობისაგან მუშების ჩამოცილების მიზნით ბურჟუაზია მათთვის ჰქმნიდა სხვადასხვაგვარ საზოგადოებებს. ბურჟუაზია ამავე დროს დიდ ყურადღებას აქცევდა სპორტულ-ტანვარჯიშულ მოძრაობას. რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში ბურჟუაზიის ასეთი დაინტერესება აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, რევოლუციურ მოძრაობასთან ბრძოლის ამოცანებით.

ხსენებულ პერიოდში რუსეთში ჩამოყალიბდა ახალი ბურჟუაზიული სპორტული და ტანვარჯიშული საზოგადოებები „სოკოლი“, „ბოგატირი“, „მაიაკი“, „სპორტი“ და ლიგებსა და კავშირებში გაერთიანებული სხვა სპორტული ორგანიზაციები. ყველა ეს საზოგადოება და ორგანიზაცია თავიანთი მოღვაწეობით მზარს უპერდენენ მეფის მთავრობას. ისინი რუსეთში ავრცელებდნენ ფიზიკური აღზრდის დასავლეთ ევროპულ მეთოდებს და გვერდს უვლიდნენ მოწინავე რუსი მეცნიერების, პედაგოგების შრომებს ფიზიკური აღზრდის დარგში, უგულვებელყოფდნენ ფიზიკურ ვარჯიშობათა რუსულ ეროვნულ სახეობებს და ხალხურ თამაშობებს.

ყველა ბურჟუაზიული სპორტული და ტანვარჯიშული საზოგადოებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ბურჟუაზიის ხელში იყო. ესენი იყვნენ ფაბრიკა-ქარხნების მენეჯერები, მსხვილი ვაჭრები და მაღალი წრის მოხელეები.

ყოველივე ამის მიუხედავად, ამ საზოგადოებებმა და ორგანიზაციებმა გარკვეული დადებითი როლი შეასრულეს რუსეთში სპორტისა და ტანვარჯიშის განვითარებაში.

1900 წელს პეტერბურგში დაარსდა საზოგადოება „მაიაკი“, რომელმაც საკმაოდ ფართოდ გაშალა თავისი მუშაობა. იგი ჩამოყალიბებული იყო ამერიკელი მრეწველობის მიერ და წარმოადგენდა ამერიკელი „ქრისტიანული ახალგაზრდობის“ თავისებურ ფილიალს, რომელიც „ახალგაზრდობის ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე“ ზრუნავდა. საზოგადოებაში ირიცხებოდა სავაჭრო დაწესებულებების, სახელოსნოებისა და კონტორების მოსამსახურე ახალგაზრდობა. „მაიაკს“ ინსტრუქტორთა მომზადებელი კადრები ჰყავდა. მეცადინეობა წარმოებდა ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ძალოსნობასა და სპორტულ თამაშობებში. გარდა ფიზიკური ვარჯიშობებისა, საზოგადოება იყენებდა ექსკურსი-

ბურჟუაზიული სპორტულ-ტანვარჯიშული საზოგადოებების მოღვაწეობა

ებს. ტურიზმსა და მართავდა ბანაკებს. საზოგადოება „მაიაკი“ ინსტრუქტორთა საჯირო კადრებს თვითონვე ამზადებდა.

XIX საუკუნის მიწურულში ჯერ თბილისში და შემდეგ რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში ტანვარჯიშის მასწავლებლებად მოიწვიეს „სოკოლის“ წევრები ჩეხეთიდან. ისინი ძირითადად სასწავლებლებში მუშაობდნენ. მაგრამ მათ ჩამოსვლისთანავე დაიწყეს მოსახლეობაში ტანვარჯიშის მოყვარულთა წარების დაარსება. მაგალითად, თბილისში ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მოწვეულმა ჩეხმა მასწავლებელმა ანტონ ლუკეშმა 1898 წელს დააარსა „სოკოლის“ პირველი ორგანიზაცია. 1900 წელს „სოკოლის“ ორგანიზაციები დაარსდა პეტერბურგსა და კიევში. ამის შემდეგ „სოკოლი“ თანდათან მოეფინა რუსეთის იმპერიის ტერიტორიას.

რუსეთის პირობებში ტანვარჯიშის საზოგადოება „სოკოლი“ რეაქციულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. რუსეთის „სოკოლის“ პოლიტიკურ სახესა და შინაარსზე ნათლად მოწმობს ის დამოკიდებულება, როგორც „სოკოლის“ ორგანიზაციას ჰქონდა იმდროინდელ პრესასთან. შვარცმელთა ორგანოების გაზეთ „რუსკოე ზნამიას“ და „ზემშჩინას“ შეხედულებით სოკოლები „წითლები“ (ე. ი. რევოლუციონერები) იყვნენ. ხოლო კადეტთა პარტიის ორგანოები „რჩი“ და „რუსკიე ვედომოსტი“ მათ „შავებად“ თვლიდნენ. რუსეთის სოკოლების ანლო კავშირი ისეთ პოლიტიკურ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ მაკლაკოვი, თავადი ლვოვი, გრაფი ბობრინსკი და სხვ., სავსებით ააშკარავებს მათ პოლიტიკურ ფიზიონომიას.

1911 წელს დაარსდა სრულიად რუსეთის „სოკოლის“ ორგანიზაციათა კავშირი. ჩეხეთის „სოკოლის“ არსებობის 50 წლის თავზე, 1912 წელს, რუსეთის „სოკოლები“ მონაწილეობდნენ ქ. პრალაში გამართულ სრულიად სლავთა „სოკოლის მოფრენაზე“.

1904 წელს პეტერბურგში დაარსდა ფიზიკური აღზრდის ახალა საზოგადოება „ბოგატირი“, რომლის პოლიტიკური შინაარსი და ხელმძღვანელთა სულისკვეთება ნათლად ჩანს ხსენებული საზოგადოების ერთ-ერთი საარქივო მასალიდან (საზოგადოების წლიური ანგარიში). დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხების მიზეზებად მათ მიაჩნიათ არა რუსეთის მეფის მთავრობა, არამედ რუსი ხალხის ზოგიერთი „უარყოფითი ეროვნული თვისება“.

საზოგადოება „ბოგატირი“ მეფის მთავრობის ნდობით იყო აღკურვნილი, რადგან მას უნდა აღეზარდა მეფის ტახტისათვის ერთგული მოქალაქენი, რომლებიც შეძლებდნენ მეფის რუსეთის იმპერიის მისწრაფებათა განხორციელებას.

საზოგადოება „ბოგატირი“ აწყობდა ექსკურსიებს, მართავდა საბავშვო დღესასწაულებს, გამოფენებს, საჯარო ლექციებს, საღამოებს და ა. შ.

„ბოგატირში“ ერთდროულად მუშაობდა ორი ერთმანეთისადმი კრიტიკულად განწყობილი განყოფილება — „სოკოლისა“ და „შედური“. ამ მდგომარეობამ გაააქტიურა ეს ორი განყოფილება, ხელი შეუწყო წევრთა რაოდენობის ზრდასა და აამაღლა მუშაობის ხარისხი.

§ 2. მუშათა სპორტული მოძრაობა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში და მის შედეგ

ფიზიკური კულტურის როლი 1905 წლის რევოლუციის მუშათა საბრძოლო რაზმების მომზადებაში

ხსენებულ პერიოდში ფიზიკურ კულტურას და სპორტულ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდა მსხვილი ბურჟუაზია. მუშათა კლასის საშუალებანი ფიზიკური კულტურის გამოყენების დარგში, განსაკუთრებით რუსეთის პირველი რევოლუციის წინა წლებში ძალზე შეზღუდული იყო.

1901—1904 წლებში საგრძნობლად გაიზარდა მუშათა რევოლუციური მოძრაობა. გაიზარდა და განმტკიცდა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. „ეკონომისტების“ წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში იმარჯვებს ლენინური „ისკრის“ რევოლუციური ხაზი.

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით მშრომელთა ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა. ბოლშევიკური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით თანამიმდევრობით იცავდა მარქსისტულ პოზიციებს ფიზიკური აღზრდის დარგში.

მშრომელთა ფიზიკური აღზრდის საკითხის სრული გადაწყვეტა ვ. ი. ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა სოციალისტური წყობილების დროს, მაგრამ კაპიტალიზმის პირობებშიც კომუნისტური პარტია შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა მუშათა კლასის ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარების წინააღმდეგ.

მასების ფიზიკური აღზრდის საკითხებს ლენინი მჭიდროდ უკავშირებდა მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას, მუშათა კლასის რევოლუციურ აღზრდას.

1905 წლის შემოდგომისათვის რევოლუციური მოძრაობა მთელ რუსეთს მოედო და უდიდესი ძალით იზრდებოდა. ბოლშევიკები მუ-

შეგბსა და გლეხებს მოუწოდებდნენ საყოველთაო-სახალხო შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

1905 წელს რუსეთის იმპერიის მრავალ კუთხეში ჩამოყალიბდა რევოლუციონერთა წითელი რაზმები, რომელთა გაწვრთნას და სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას ბოლშევიკური ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ. სამხედრო საქმის შესწავლასთან ერთად რაზმელები ფიზიკურ გაწვრთნასაც გადიოდნენ. ისინი იწრთობოდნენ რბენასა და ხტომაში, თხრილებსა და მესერზე გადასვლაში, ხონვასა და ცოცვაში, სხვადასხვა წინაღობათა დაძლევაში და ა. შ. რაზმელების ფიზიკური მომზადება მათი სამხედრო საბრძოლო მომზადების ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

მუშებს საშუალება არა ჰქონდათ დაეარსებოდათ მუშური სპორტული წრეებისა და კლუბების დაარსება ბიათ თავიანთი ფიზკულტურული ორგანიზაციები და ამიტომ ისინი მიდიოდნენ იმ სპორტულ წრეებში. სადაც შესვლა შედარებით გაადვილებული იყო. ასეთ ორგანიზაციებს ეკუთვნოდა სანიჩბოსნო წრე პეტერბურგში, ვორონეის იახტ-კლუბი, შუვალოვის საცურაო სკოლა პეტერბურგის მახლობლად და სხვ.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ბურჟუაზია ცდილობდა თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოეყენებია მუშა-ახალგაზრდობის სპორტისადმი მისწრაფება. რუსეთის მსხვილი ფაბრიკანტები მუშებისათვის აარსებდნენ სპორტულ წრეებს მათი რევოლუციური მოძრაობისაგან ჩამოცილების მიზნით. ასე აღმოცენდა რუსეთში „სამეწარმო სპორტი“.

სპორტული წრეები და კლუბები მუშებისათვის შექმნილი იყო პეტერბურგში, ორენხოვო-ზუევოში, ხარკოვში, როსტოვში, ტვერში და სხვ. ადგილებში.

ცნობილმა ფაბრიკანტმა მოროზოვმა 1908 წელს მუშებისათვის ჩამოაყალიბა სპორტული კლუბი ორენხოვოში. მან სპეციალური მოედანიც კი მოაწყო ფეხბურთისათვის. ფეხბურთელთა გუნდები ორენხოვოში ისე მომრავლდა, რომ მალე ლიგაც კი ჩამოყალიბდა. 1912 წელს პეტერბურგში პუტილოვის ქარხანასთან დაარსდა სპორტის მოყვარულთა წრე.

მიზნები, რომლებიც დასახული ჰქონდათ მოროზოვს, პუტილოვს და რუსეთის სხვა ფაბრიკანტებს, ვერ განხორციელდა. რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური ტრადიციები იმდენად მტკიცე იყო, რომ ვერავითარი „სამეწარმო სპორტი“ ვერ ააცდენდა მას სწორი გზიდან.

მიუხედავად მძიმე პირობებისა, მუშები მაინც ახერხებდნენ

დაშოუციდებელი ნებაყოფლობითი სპორტული წრეებისა და გუნდების დაარსებას. ხალხურ ნიჰილიზმში ასეთი წრე ჩამოყალიბდა 1907 წელს პეტერბურგში. ზოგიერთ ადგილას ჩამოყალიბდა მუშა-ფეხბურთელთა გუნდები, მაგრამ ისინი არსებობდნენ არალეგალურად, მათ პოლიცია არ ატარებდა რეგისტრაციას. ასეთ გუნდებსა და წრეებს ბურჟუაზია და მთავრობა „ველურ გუნდებს“ უწოდებდა.

§ 8. ცარიზმისა და ბურჟუაზიის რეპრესიული პოლიტიკა ფიზიკური ალზრდის დარღში 1906 წლის რევოლუციის შემდეგ

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მთელი რეაქციული ძალები დაირაზმნენ ყოველგვარი რევოლუციური გამოსვლების ჩასახშობად. ცარიზმმა გააძლიერა პოლიციური რეჟიმი.

ფიზიკური ალზრდა მეფის მთავრობას ამიერიდან მიიჩნდა არა მარტო მილიტარიზაციის, არამედ მოსახლეობის რევოლუციური მოძრაობისაგან ჩამოცილების ერთ-ერთ საშუალებადაც.

ამ მიმართულებით წარმართა ცარიზმმა მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა. არსდება რეაქციული ორგანიზაციები ახალგაზრდობისათვის.

შესაქცევარი რაზმები. სკაუტინგი

1908 წლიდან რუსეთში ჩამოყალიბდა შესაქცევარი რაზმები, რომლებიც მოსწავლეებისაგან შედგებოდა. რაზმებში ბიჭებს ასწავლიდნენ სამხედრო მწყობრს, ტანვარჯიშს, თამაშობებს (უმთავრესად სამხედრო ხასიათის თამაშობებს). ამ რაზმების მიზანი იყო მოსწავლე ახალგაზრდობის წინასწარი მომზადება ჯარში სამსახურისათვის და მათი ჩამოშორება მოსალოდნელი რევოლუციისაგან.

რაზმებს სათავეში ედგნენ სამხედრო პირები, ჟანდარმერიის წარმომადგენლები, ზოგიერთ შემთხვევაში სასულიერო წოდების პირნი. პეტერბურგში ყოველწლიურად იმართებოდა საერთო პარადი, რომელზედაც მეფე ესწრებოდა.

მაგრამ მალე ბავშვთა თვითმოქმედებითმა მოძრაობამ დააშინა მეფის მთავრობა. ყოველი ორგანიზებული რაზმი მათთვის საშიში იყო, ისინი შიშობდნენ, რომ მეფის ტახტის ერთგული ახალგაზრდობის ნაცვლად, რევოლუციის კადრები არ აღზრდილიყო.

ბავშვთა მშობლები დარწმუნდნენ, რომ ამ ორგანიზაციებს ბავშვებისათვის არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდათ. მათი რეაქციული ხასიათი მშობლებს შეუქმნიველი არ დარჩათ. რაზმები თანდათან

იშლება და მათ პირველი მსოფლიო ომის წინ შეწყვიტეს თავიანთი არსებობა.

თითქმის ერთდროულად (1908 წელს) რუსეთში დაარსდა სკაუტთა რაზმები, რომლებიც გათვალისწინებული იყო საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის. დაწესებული იყო საწევრო გადასახადი, სავალდებულო სპეციალური ნებართვა სასწავლებლის დირექციიდან. ეს, რა თქმა უნდა, აძნელებდა სკაუტთა რაზმებში მოსწავლეთა შესვლას, იგი მისაწვდომი იყო უფრო შეძლებული მშობლების შვილებისათვის. მთავრობის აზრით, სკაუტთა რაზმებს ხელი უნდა შეეწყობოთ მოსწავლეთა გასამხედროებისათვის, ახალგაზრდათა მონარქიული სულისკვეთებით აღზრდისათვის. სკაუტთა ორგანიზაცია ზრდიდა მეფის ტახტის ერთგულ მსახურებს, მომავალ მზვერავებსა და ჯაშუშებს. ორგანიზაციაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ფიზიკურ აღზრდას (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, მოძრავი თამაშობანი, ლაშქრობა და სხვ.).

ახალგაზრდობის ტანვარჯიშული და სპორტული ორგანიზაციები

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში სასწავლებლებთან დაიწყო ტანვარჯიშული და სპორტული წრეების ჩამოყალიბება კლასგარეშე მუშაობის ხაზით. პირველად ჩამოყალიბდა „სოკოლის“ წრეები. აქ ტანვარჯიშში დაწინაურებული მოსწავლეები სკოლის მასწავლებლის ხელმძღვანელობით მეცადინეობდნენ.

ასეთი წრეები რუსეთის საშუალო სკოლებთან განსაკუთრებით 1905 წლის რევოლუციის შემდეგ მომრავლდა და ეს მეფის მთავრობას მეტად სასარგებლო ღონისძიებად მიაჩნდა.

რამდენადაც ეს მოვლენა დამახასიათებელი იყო მთელი რუსეთის იმპერიისათვის, ინტერესს მოკლებული არ იქნება გავეცნოთ, თუ რა როლს ანიჭებდა ფიზიკურ აღზრდას და განსაკუთრებით „სოკოლის“ წრეების ჩამოყალიბებას ქ. იალტის გიმნაზიის დირექტორი გოტლიბი, რომელიც განათლების დარგში მოღვაწეთა რეაქციული ნაწილის წარმომადგენელი იყო. იგი ამბობდა: „სოკოლის წრე იალტის გიმნაზიასთან 1905 წელს დაარსდა. ამ თავისებური ორგანიზაციის სათავეში სამი წლის მანძილზე ყოფნისას მე ვლოცავდი ჩემს ბედს იმ ბედნიერი აზრისათვის, რომელმაც ვეიკარანახა უფროს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ასეთი საშუალება. აღსანიშნავია, რომ 1905—1906 მძიმე წლებში გიმნაზიამ თავი შეინარჩუნა გახარწვისაგან და სამხრეთ რუსეთის საშუალო სასწავლებელთა შორის იგო

ამ მხრივ ბედნიერ გამოჩაყლისს წარმოადგენდა“¹. მაგრამ ცარიზში ფიზიკური აღზრდის მილიტარისტულ მიზნებსაც არ ივიწყებდა და ცდილობდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახით არმიას მიეღო არა სავსებით ნედლი მასალა, არამედ ნახევრად მომზადებული ჯარისკაცები.

ფიზიკური აღზრდა დაბალ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში

სამხედრო ტანვარჯიში სკოლებში შეცვალა „სოკოლის“ სისტემამ. ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულში ცალკეული გიმნაზიების ღირებულებებმა ტანვარჯიშის მასწავლებლებად ჩეხეთიდან მოიწვიეს საზოგადოება „სოკოლის“ წევრები — გამოცდილი მასწავლებლები. შემდეგში ჩეხეთიდან ტანვარჯიშის მასწავლებელთა მოწვევა გახშირდა. სკოლებში „სოკოლის“ სისტემაზე გადასვლამ რამდენადმე გააუმჯობესა ფიზიკური აღზრდის საქმის დაყენება, მაგრამ ამან საფუძვლიანად ვერ შეცვალა არსებული მდგომარეობა.

ცუდად იყო დაყენებული ფიზიკური აღზრდა დაწყებით სკოლებში, სადაც არც მეცადინეობისათვის საჭირო ნაგებობები და ინვენტარი მოიპოვებოდა და არც აუცილებელი თანხები. ვინაიდან რუსეთის იმპერიაში არ არსებობდა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა მოსამზადებელი ქსელი, სამხედრო და განათლების სამინისტროები მიუთითებდნენ სკოლების ადმინისტრაციას, რომ ტანვარჯიშის მასწავლებლებად უნტერ-ოფიცრები და სათადარიგო ჯარისკაცები აეყვანათ.

მაგრამ ფიზიკური აღზრდა არც საშუალო სასწავლებლებში იყო დაყენებული სასურველ დონეზე. საშუალო სასწავლებელთა უმრავლესობა განხილულ პერიოდში ფიზიკური აღზრდის გარეშე რჩებოდა. არ არსებობდა ფიზიკულტურის მასწავლებელთა კადრების მომზადების ერთიანი სისტემა, არც ფიზიკური აღზრდისათვის საჭირო სამედიცინო ბაზები და ინვენტარი (გარდა იშვიათი გამოჩაყლისისა). სკოლებს არ გააჩნდათ ფიზიკური აღზრდის მთლიანი პროგრამები. სასწავლებლებში ცუდად იყო დაყენებული საექიმო კონტროლი. სასკოლო ექიმები, გარდა იშვიათი გამოჩაყლისისა, სუსტად ერკვეოდნენ ფიზიკური აღზრდის საკითხებში.

მეფის რუსეთში თითქმის უყურადღებოდ იყო მიტოვებული უმაღლესი სასწავლებლები. შუდარებით უკეთესად იყო დაყენებული ფიზიკური აღზრდა ლიცეუმებსა და პაეთა კორპუსში, სადაც თავად-

¹ Готлиб, Физическое воспитание в средней школе по сокольской системе, 1905.

აზნაურობა და „წარჩინებულთა“ შვილები სწავლობდნენ. არც უნივერსიტეტებისა და არც სხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში ფიზიკური კულტურა არ ყოფილა გათვალისწინებული.

პირველი ფიზკულტურული წრეები ჩაისახა 1908 წელს პეტერბურგში. სტუდენტთა სპორტული წრეები შედარებით მცირერიცხოვანი იყო და ყოველ უმაღლეს სასწავლებელს როდღე ჰქონდა მათი გახსნის უფლება. მეფის მთავრობა სტუდენტთა მღელვარების შემდეგ უნდობლად უყურებდა მათს ყოველგვარ წრეებსა და გაერთიანებებს.

პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთა ინიციატივით 1911 წელს ჩამოყალიბდა სპორტული ლიგა, რომლის ამოცანას ქ. პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთა სპორტული მუშაობის ხელმძღვანელობა შეადგენდა.

§ 4. რუსეთის საოჯახო-საზოგადოებრივი საერთაშორისო ურთიერთობები.

რუსეთის ოლიგარქია

მეფის რუსეთში თვითმოქმედი ფიზკულტურული მოძრაობა შედარებით ნელი ტემპით ვითარდებოდა. სპორტული და ტანვარჯიშული საზოგადოებები და კლუბები მცირერიცხოვანი იყო. გამოცდილ ინსტრუქტორთა და მწვრთნელთა კადრები მცირე იყო. მიუხედავად ამისა, ხალხის წიაღიდან გამოდიოდნენ ნიჭიერი სპორტსმენები. რომლებმაც ასახელეს რუსეთი. აღსანიშნავია მოჭიდავეები ი. პოდლუბნი, ლებედევი, ი. შემიაკინი, ი. ზაიკინი. პოდლუბნიმ ექვსჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო სახელი. მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს აგრეთვე ლებედევმა და ზაიკინმა.

სიმძიმეების აწევაში რუსეთის სპორტსმენებმა 1913 წელს სახელი გაითქვეს მსოფლიოს პირველობაზე ქ. კოპენჰაგენში. რუსეთის სპორტსმენთა შორის სიმძიმეების აწევაში მსოფლიოს პირველი რეკორდსმენები გახდნენ ხერულზინსკი, ჩაპლინსკი, ბუხაროვი, გ. ჩიკვაიძე, გრინენკო, პავლენკო, კრაუზე, ალეკსი.

ნ. სტრუნიკოვმა 1910 წელს ევროპის პირველობა მოიპოვა. 1911 წელს მანვე ნორვეგიაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა რბენაში 5.000 მეტრზე (8:37,2). უნდა გავიხსენოთ აგრეთვე განთქმული მოციგურავენი ვ. იპოლიტოვი და ნ. პანინი. ვ. იპოლიტოვმა ევროპის პირველობა მოიპოვა, ხოლო ნ. პანინმა მეოთხე საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებზე პირველი ადგილი დაიკავა ციგურებზე ფიგურულ სრიალში. ამავე ოლიმპიადაზე ორმა რუსმა მოჭიდავემ ორლოვმა და პეტროვმა ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

1912 წელს რუსი სპორტსმენები ოფიციალურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებში.

სტოკჰოლმის ოლიმპიადაში დამარცხებამ უზერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მეფის მთავრობა. მეფის მთავრობამ მიიღო ზომები, რომ დაუყოვნებლივ დაეწყოთ სამზადისი მომავალი. მორიგი საერთაშორისო ოლიმპიადისათვის. მთავრობამ მიზანშეწონილად ცნო ოლიმპიადების ყოველწლიურად მოწყობა რუსეთში.

რუსეთის პირველი ოლიმპიადა გაიმართა 1913 წელს ქ. კიევში. ამ ოლიმპიადაში 579 სპორტსმენი მონაწილეობდა. თამაშობების პროგრამა მრავალფეროვანი იყო და შეიცავდა: მძლეოსნობას, ტანვარჯიშს, ფეხბურთს, ჩოგბურთს, ძალოსნობას. ფარიკაობას; ცურვას, ნიჩბოსნობას, საიალქნო სპორტს. თანამედროვე ხუთჭიდს. სროლას, ველოსპორტს, ცხენოსნობას.

პირველი მსოფლიო ომის წინ, 1914 წელს. ქ. რიგაში ჩატარდა სრულიად რუსეთის მეორე ოლიმპიადა. ამ ასპარეზობაში ათასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, იგი უფრო ორგანიზებულად ჩატარდა და მონაწილეთა მიღწევებიც უფრო მაღალი იყო. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება თუ შევადარებთ ერთმანეთს პირველი და მეორე ოლიმპიადების ტექნიკურ შედეგებს მძლეოსნობაში:

| | პირველი ოლიმპიადა | მეორე ოლიმპიადა |
|-----------------|-------------------|-----------------|
| რბენა 100 მ | 11,4 | 10,8 |
| " 200 " | 23,6 | 23,6 |
| " 400 " | 53,1 | 51,4 |
| " 800 " | 2.5,8 | 2.2,4 |
| " 1.500 " | 4.27.2 | 4.16 |
| " 5000 " | 17.26,2 | 16.53 |
| თარჯრბენი 110 მ | 16,8 | 16,8 |
| მარათონი | 3:03.00 | 2:59.40 |
| ბტომა სიმალღეზე | — | .1,80 |
| " სივრძეზე | 6,24 | 6,32 |
| ბადროს ტყორცნა | 38.52 | 41,15 |
| ბირთვის კვრა | 11,87 | 11,09 |
| შუბის ტყორცნა | — | 52,98 |
| ბტომა ქოკით | 3.04 | 3.35 |

§ 6. ფიზიკური კულტურის განვითარების თავისებურებანი

რუსეთში პირველი მსოფლიო ომის წლებში

პირველი მსოფლიო ომის წინ მთავრობამ სცადა სპორტული მოძრაობის გაერთიანება, მაგრამ ამ ცდას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

1911 წელს მთავრობის დავალებით შედგენილ და მეფის მიერ დამტკიცებულ იქნა „ღებულება რუსეთის ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სამხედრო მომზადე-

ბის შესახებ“. მინისტრთა საბჭოს გაუქვირდა ამ საქმისათვის თანხების გაღება.

1912 წელს მეფის მიერ დამტკიცებული იყო „რუსეთის იმპერიის მოსახლეობის ფიზიკური განვითარების მთავარი ზედამხედველის“ თანამდებობა, რომელზეც დაინიშნა გენერალი ვოეიკოვი. მთავრობამ მას მიანდო მოსახლეობის ფიზიკური განვითარების პროექტის შედგენა, საჭირო ხარჯთაღრიცხვის დამუშავება, ფიზიკური აღზრდის საქმით დაინტერესებულ უწყება-დაწესებულებებთან კავშირის გაბ-მა და ხსენებული საკითხის შესახებ საჭირო მასალათა წარდგენა მინისტრთა საბჭოში.

1913 წლის ივლისში მეფემ მოისმინა ვოეიკოვის მოხსენება და-ვალებულ ამოცანათა შესრულების შესახებ. ვოეიკოვმა მეფეს წა-რუდგინა მომავალი მოქმედების გეგმა, რომლის მიხედვით უნდა შეექმნათ შემდეგი ორგანოები: 1) საათბირო, 2) საადმინისტრაციო, 3) საექიმო და 4) სპეციალურ-სამეცნიერო.

ვოეიკოვი შეუდგა საქმეს. ნაცვლად ფიზიკური აღზრდის საქმის მოწესრიგებისა და სპორტული მოძრაობის გაძლიერებისა მოსახლე-ობაში, იგი კრებდა ცნობებს ცალკე სპორტულ-ტანვარჯიშული ორგანიზაციების შესახებ. ამ წყაროების გაცნობის შემდეგ ვოეიკო-ვი უნდობლად უყურებდა ზოგიერთ სპორტულ ორგანიზაციას და კიდევაც ემუქრებოდა მათ გარეკვით.

ომის წინ მეფის მთავრობამ კიდევ ერთხელ ფიზიკური კულტურის განვითარება რუსეთში პირველი მსოფლიო ომის დროს . . . სცადა ფიზიკური აღზრდის რეფორმის ჩატარება. ამ მიზნით დაარსებულ იქნა სპეციალური კომი-სიები სასროლო საქმისა და ფიზიკური აღზრდას დარგში ღონისძიებათა დასამუშავებლად. ამ ღო-ნისძიებებს უნდა უზრუნველყო მოსწავლე ახალ-გაზრდობის სასროლო და ფიზიკური მომზადება. ახალი პროექტის განხორციელება მეფის მთავრობას განზრახული ჰქონდა 1915—1916 სასწავლო წლიდან, მაგრამ ომთან დაკავშირებით მთავრობა იძულებული გახდა უფრო „ეფექტური“ ღონისძიებისათვის მიემართა.

როგორც ცნობილია, უკვე ომის ქარცეცხლში მეფის მთავრობა შეეცადა „სპორტის მობილიზაციის გატარებას“. „სპორტის მობილი-ზაციის“ ამოცანათა შესახებ დებულებაში ნათქვამია: „სპორტის მო-ბილიზაცია წარმოადგენს წვევამდელი ახალგაზრდობის მომზადებას ჩვენი არმიის რიგებში ნაყოფიერი სამხედრო სამსახურისათვის. ამ დიდად პატრიოტული ამოცანის შესრულება უნდა იკისრონ ჩვენი მამულის ყველა სპორტულმა და ტანვარჯიშულმა საზოგადოებამ და სკოლამ“.

მაგრამ მეფის მთავრობის ყველა ცდამ, რომლებიც მიმართული იყო ახალგაზრდობის მილიტარიზაციისა და მათი უშუალოდ საომარი მოქმედებისათვის მომზადებისაკენ, ამოდ ჩაიარა.

ფიზიკური კულტურა და სპორტი თებერვლის რევოლუციიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე

თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ რუსეთში შეიქმნა ეგრეთ წოდებული დროებითი მთავრობა, რომლის ლოზუნგი იყო „ომის გაგრძელება გამარჯვებამდე“. ამასთან დაკავშირებით ფიზიკური აღზრდის წინაშე იგი სახავდა გარკვეულ ამოცანას — ომისათვის საჭირო რეზერვების მომზადებას.

წინათ არსებული „ფიზიკური აღზრდის მთავარი ზედამხედველის კახეცლარია“ შეიცვალა „დროებითი საბჭოთი“. მაგრამ ვერც დროებითი საბჭო და ვერც ოლიმპიური კომიტეტი ვერ აღუდგნენ წინ სპორტულ ორგანიზაციებში დემოკრატიული ძალების ზრდას. დემოკრატიულ სპორტულ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ ახლად შექმნილი მუშათა და ჯარისკაცთა სპორტული წრეები, რომლებიც ცდილობდნენ მუშათა სპორტული მოძრაობის გაერთიანებას და გაძლიერებას.

მოწინააღმდეგე ძალას წარმოადგენდნენ ძველი ბურჟუაზიული სპორტული საზოგადოებები და კლუბები, რომლებიც დროებით მთავრობას ემხრობოდნენ და თავიანთი ორგანიზაციების წევრებს უკრძალავდნენ მუშა სპორტსმენებთან სპორტულ შეჯიბრებებს. ამავე დროს ბურჟუაზიული სპორტული მოძრაობის მიზანს წარმოადგენდა მუშათა სპორტული მოძრაობის დამორჩილება და დასუსტება.

რათა გაეძლიერებია თავისი სპორტული ორგანიზაციები, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ბურჟუაზია ქმნიდა ახალ ტანვარჯიშულ და სპორტულ საზოგადოებებს და კლუბებს, სკაუტთა ორგანიზაციებს. სამოქალაქო ომის პერიოდში ასეთ ორგანიზაციათა უმრავლესობა კონტრრევოლუციის მხარეზე აღმოჩნდა.

ბოლშევიკების პარტია ამხილებდა დროებითი მთავრობის ბურჟუაზიულ იდეოლოგიას ფიზიკური აღზრდის დარგში.

1917 წლის ივლისში პეტროგრადში დემონსტრანტების დახვერტის შემდეგ ბოლშევიკური პარტია არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა. ამ პერიოდში რევოლუციურად განწყობილი სპორტული ორგანიზაციებიც დევნას განიცდიდნენ. პარტიის მოწოდებით მუშებმა გააძლიერეს მოქმედება შეიარაღებული რაზმების შესაქმნელად. წითელი გვარდიის რაზმების ჩამოყალიბებაში აქტიურად მონაწილეობდნენ რევოლუციონერი-სპორტსმენები.

ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში

თ ა ვ ი 1

ფიზიკური კულტურის განვითარება უცხოეთის საზღვარო

ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში

(1918—1920 წწ.)

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მოახდინეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც მოსპო ექსპლუატაციასა და ჩაგვრაზე დამყარებული საზოგადოების ძველი ეკონომიური ბაზისი და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა.

ოქტომბრის რევოლუციამ დაამყარა ახალი სოციალისტური წყობილება, შექმნა საბჭოთა ხელისუფლება და გამოაცხადა ხალხთა სრული თანასწორობა და მეგობრობა.

სოციალისტური გარდაქმნების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ დიდი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ და საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარებამ შექმნეს მშრომელთა ყოველმხრივი გონებრივი და ფიზიკური განვითარების პირობები. მათ შექმნეს საფუძველი ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარებისათვის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე. ფიზიკურ კულტურასა და სპორტს საბჭოთა კავშირში პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა და კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად იქცა.

საბჭოთა ფიზიკური აღზრდის სისტემის შექმნის პროცესი, რა თქმა უნდა, ერთობ ძნელი და რთული იყო, მაგრამ ყოველგვარი დაბრკოლებანი გადალახულ იქნა და დღეს ჩვენს ქვეყანას გააჩნია ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სისტემა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში ფიზიკური კულტურა პროლეტარიატის სამხედრო მომზადების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გაუქმდა კერენსკის მთავრობის შიერ დაარსებული „დროებითი საბჭო“.

1918 წლის მარტში პარტიის VII ყრილობაზე ვ. ი. ლენინის მოხსენების ირგვლივ მიღებულ რეზოლუციაში მითითებული იყო მშრომელთა საყოველთაო სამხედრო მომზადების სისტემის შემოღების აუცილებლობაზე. ყრილობის რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ შემდეგშიც გარდაუვალია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა სამხედრო გამოსვლები საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომ ამიტომ ყრილობას პარტიის ძირითად ამოცანად მიაჩნია მიიღოს უაღრესად ენერგიული და გადამწყვეტი ზომები მუშათა და გლეხთა თვითდისციპლინისა და დისციპლინის ასამაღლებლად. სოციალისტური სამშობლოს თავგანწირული დაცვისათვის, მასების მოსამზადებლად, წითელი არმიის შესაქმნელად. მოსახლეობის საყოველთაო სამხედრო სწავლებისათვის.

სრულიად რუსეთის სახკომსაბჭოს 1918 წლის 22 აპრილის დეკრეტით ჩამოყალიბდა „საყოველთაო სამხედრო სწავლების სამმართველო“ („ვსევობუჩი“).

„ვსევობუჩი“ წარმოადგენდა სამილიციო სისტემას და ყაზარმის გარეშე ამზადებდა რეზერვებს წითელი არმიისათვის. საყოველთაო სამხედრო მზადების სისტემაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფიზიკური კულტურა.

1918 წლის ივნისში შედგა „ვსევობუჩის“ პირველი ყრილობა. ამ ყრილობის ერთ-ერთი მოხსენების თეზისები იმდროინდელი ფიზიკური აღზრდის მდგომარეობის ნათელ სურათს იძლევა, იქ ნათქვამია: „მშრომელთა მასების სამხედრო საქმეში წარჩინებით მომზადებისათვის საჭიროა შემოღებულ იქნას მწყობრის, ტანვარჯიშის, თამაშობათა სწავლება. სასანგრე-სააღმშენებლო, პიგიენის დარგში ცნობათა, სახელმწიფოს წყობილების და არმიის ორგანიზაციის შესწავლა“.

ფიზიკური აღზრდა თავისი ორგანიზაციული წყობილებით საყოველთაო სამხედრო სწავლების სისტემის ნაწილს წარმოადგენდა და მისი ჩატარების ობიექტი იყო სკოლა, სპორტული და ტანვარჯიშული ორგანიზაციები, საყოველთაო სამხედრო სწავლების პუნქტები და წითელი არმია.

სამოქალაქო ომის წლებში ფიზკულტურული ორგანიზაციების ძირითად ფორმას წარმოადგენდა სამხედრო-სპორტული კლუბები და ფიზკულტურის წრეები, სპორტული უჯრედები და საზოგადოებები წარმოება-დაწესებულებებთან, სასწავლებლებსა და წითელი არმიის ნაწილებში.

1919 წლის აპრილში მოწვეული ფიზიკური კულტურის. სპორტისა და წვევამდელთა მომზადების პირველი ყრილობა ჩატარდა პარტიის VIII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა ლოზუნგით.

ხმის უმრავლესობით ამ ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ესევეობუჩთან“ ფიზიკური კულტურის საბჭოს დაარსების შესახებ.

ყრილობაზე გამოიკვია, რომ 1918 წლის აპრილის დეკრეტის საფუძველზე აგებულმა ფიზიკური აღზრდის სისტემამ, მიუსუდავად არსებული დეფექტებისა. სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება. პირველ ყრილობაზე ძირითადად ფიზიკური აღზრდის საორგანიზაციო საკითხები წყდებოდა, რაც შეეხება მეთოდის საკითხებს. ისინი მაშინ კიდევ არ იპყრობდნენ საკმაო ყურადღებას. ჯერ კიდევ საჭირო იყო პირობები სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის განვითარებისათვის.

ფიზკულტურული კადრების მომზადება ხსენებულ პერიოდში მწვევედ იგრძნობოდა ფიზკულტურის ინსტრუქტორთა და მწვრთნელთა კადრების სიმცირე. ფიზკულტურული კადრების დიდი უმრავლესობა ძველი ბურჟუაზიული სპორტული და ტანვარჯიშული საზოგადოებებიდან იყო გამოსული. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია კადრების საკითხის მოწესრიგებას. კადრების მომზადების სისტემას სწორედ სამოქალაქო ომის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. ჯერ კიდევ 1918 წელს „ესევეობუჩი“ შეუდგა სპეციალური კურსების დაარსებას. ფიზკულტურისა და სპორტის პირველი კურსები შეიქმნა 1918 წლის ივნისში ქ. პეტროგრადში. იმავე წელს, ცოტა გვიან, დაარსებულ იქნა სხვადასხვა ტიპის კურსები მოსკოვსა და საბჭოთა რუსეთის სხვა ქალაქებში. ამ კურსებს ესაჭიროებოდა მაღალი კვალიფიციის მქონე მასწავლებელთა კადრები, ამიტომ 1918 წელს მოსკოვში გაიხსნა ინსტრუქტორთა ექვსთვიანი მოსამზადებელი კურსები. იმავე წლის შემოდგომაზე ხსენებული კურსები გადაკეთდა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლად — ფიზიკური კულტურის ინსტიტუტად. მოსკოვის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი თავდაპირველად ერთწლიანი სასწავლებელი იყო, შემდეგ ორწლიანად გადაკეთდა, ხოლო 1920 წლის დეკემბერს სახკომსაბჭოს დეკრეტით, რომელსაც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტი რეორგანიზებულ იქნა ოთხწლიან უმაღლეს სამეცნიერო-პედაგოგიურ სასწავლებლად.

1919 წელს ლენინგრადში პ. ფ. ლესგაფტის კურსების ბაზაზე ჩამოყალიბდა ფიზიკური კულტურის მეორე ინსტიტუტი, რომელ-

ნაც ლესგაფტის სახელი მიენიჭა. ორივე ეს ინსტიტუტი იმ პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სისტემაში შედიოდა.

კომკავშირის როლი
საბჭოთა ფიზკულ-
ტურული მოძრაობის
განვითარებაში

საბჭოთა ხელისუფლებას მეტად მძიმე ბრძოლა უხდებოდა კონტრევოლუციასთან. ამ პირობებში ძნელი იყო სათანადო ყურადღების მიქცევა ფიზკულტურულ ორგანიზაციებისადმი. ამის გამო ფიზკულტურულ ორგანიზაციებში

ჯერ კიდევ ბევრი იყო ძველი, კლასობრივად უცხო და მტრულად განწყობილი ინსტრუქტორთა კადრები, რომელნიც სპორტის „აპოლიტიკურობას“ ჰქადაგებდნენ და ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ მუშაობის გარდაქმნას. ფიზკულტურის საქმეს მტკიცედ მოჰკიდა ხელი ლენინურმა კომკავშირმა. იგი კარგად გაეცნო სპორტულ ორგანიზაციათა ყოველდღიურ მუშაობას, ჩააბა კომკავშირის წევრები სპორტულ მოძრაობაში და საგრძნობი გახადა კომკავშირის ხელმძღვანელი როლი.

კომკავშირისა და „ვსევობუჩის“ მიზანი იყო ფიზკულტურული მუშაობის კომუნისტური აღზრდის პრინციპებზე აგება. ამ ნიადაგზე მათ ბრძოლა მოუხდათ ფიზკულტურის დარგში მომუშავე ძველი სპეციალისტების რეაქციულად განწყობილ ნაწილთან.

საყოველთაო სამხედრო სწავლების საქმეში უდიდესი მუშაობა ჩაატარა ლენინურმა კომკავშირმა პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით.

კომკავშირი „ვსევობუჩთან“ კონტაქტში მოქმედებდა და სამოქალაქო ომის მძიმე წლებში ბევრი რამ გააკეთა პარტიის მითითებათა საფუძველზე ნორჩი პროლეტარული ფიზკულტურული მოძრაობისათვის.

კომკავშირი სისტემატურად იხილავდა ფიზკულტურის საკითხებს თავის ყრილობებზე.

1919 წლის ოქტომბერში შემდგარ კომკავშირის II ყრილობაზე გამოტანილ დადგენილებაში ფიზიკური აღზრდისა და სკაუტიზმის საკითხებზე, მოცემულია სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობისა და ბავშვთა ორგანიზაციის — „იუკების“ დახასიათება. სკაუტის სისტემა კვალიფიცირებულია როგორც წმიდა წყლის ბურჟუაზიული სისტემა, რომელიც ზრუნავს ახალგაზრდობის არა მარტო ფიზიკურ, არამედ სულიერ აღზრდაზედაც იმპერიალისტური სულისკვეთებით, ამის გამო ყრილობამ საჭიროდ ცნო სკაუტთა ორგანიზაციის დაშლა. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „იუკიზმს“, რომელიც წარმოადგენს სკაუტის ბურჟუაზიული სისტემის და კომუნისტური ფრაზების

მექანიკურ დაკავშირებას, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია შესრულოს პროლეტარული ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანები, ამიტომაც რეზოლუცია მოითხოვს „იუვენის“ ორგანიზაციის ლიკვიდაციას. იგივე რეზოლუცია მიუთითებს სპორტულ ორგანიზაციათა გამორკვევის აუცილებლობაზე.

ფიზკულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომკავშირის III ყრილობას, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. მეტად მნიშვნელოვანია დადგენილება, რომელიც გამოტანილ იქნა საკითხზე: „სამილიციო არმიისა და ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ“. აქ პირველად არის გამოთქმული აზრი ფიზიკური აღზრდის კომუნისტური აღზრდისადმი დაქვემდებარების შესახებ: 1) ახალგაზრდობის მომზადება შრომით მოქმედებისათვის და 2) სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული დაცვისათვის.

ხსენებული დადგენილების ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იდეურად დაკავშირებულია მარქსისა და ლენინის სწავლებასთან კულტურისა და კულტურული რევოლუციის შესახებ.

კომკავშირის III ყრილობაზე ლენინმა თავის სიტყვაში „კომკავშირის ამოცანების შესახებ“ ნათლად დასახა ახალგაზრდობის კომუნისტური განათლებისა და აღზრდის პრინციპები და ჩამოაყალიბა უმთავრესი დებულებანი პროლეტარული კულტურის შესახებ. ამ ლენინურმა პრინციპებმა გამოსახულება ჰპოვეს ყრილობის დადგენილებაში — „ფიზიკური აღზრდა ცნობილ იქნა კომუნისტური აღზრდის შემადგენელ ნაწილად“.

კომკავშირის III ყრილობამ ცენტრალური კომიტეტის სპორტული განყოფილების მოხსენებასთან დაკავშირებით მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათლადაა გაშუქებული კომკავშირის პოლიტიკური მიზანდასახულობანი ფიზკულტურის დარგში, მოცემულია ფიზკულტურული მოძრაობის ანალიზი და მისი მომავალი განვითარების გზები. ხსენებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა წარმოადგენს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს, რომელიც მიმართულია ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი მოქალაქის ჩამოყალიბებისაკენ. ამ მომენტში ფიზიკური აღზრდა ისახავს აგრეთვე უშუალოდ პრაქტიკულ მიზნებსაც:

1) ახალგაზრდობის მომზადებას საწარმოო მოღვაწეობისათვის და

2) სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული თავდაცვი-სათვის.

საერთაშორისო ახალგაზრდობის მოძრაობა, რომლის მიზანია პროლეტარული ახალგაზრდობისაგან სულოთა და საეულოთ ჯანსაღ მებრძოლთა მომზადება, ზრუნავს აგრეთვე ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაზე. მაგრამ მძაფრი კლასობრივი ბრძოლის პერიოდში დასავლეთის ახალგაზრდულ ორგანიზაციებს არა აქვთ საშუალება, დრო და ძალა აწარმოონ ეს მუშაობა.

თავისი ორგანიზაციული ზრდისა და მშენებლობის პერიოდში ახალგაზრდულმა მოძრაობამ რუსეთში მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო რევოლუციური მოქმედების საბრძოლო ამოცანებს. ამჟამად უფრო გაღრმავებულ შინამუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებით ფიზიკური აღზრდა თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთ პირველ ადგილს იკავებს.

ყრილობამ აღნიშნა განუყრელი კავშირი, რომელიც უნდა არსებობდეს წვევამდელთა მზადებასა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას შორის. ყრილობამ დააეღა კომკავშირის ყველა ორგანიზაციას დარაზმონ საკუთარი ძალები და ყველა საშუალება გამოიყენონ ფიზიკური აღზრდის საქმის განმტკიცებისა და გაუმჯობესებისათვის. ამის შემდეგ კომკავშირი შეუდგა ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლას „ვსევობუჩის“ საშუალებით, გამოჰყო თავისი წარმომადგენლები და პოლიტმძღვანელები „ვსევობუჩის“ ორგანოებში და კომკავშირის კომიტეტებთან დააარსა სპეციალური სამხედრო-ფიზკულტურული განყოფილებები, რომელთა ამოცანას „ვსევობუჩის“ ხელმძღვანელობა და დასმარება წარმოადგენდა. „ვსევობუჩში“ მომუშავე კომკავშირელები კლასობრივ ხაზს ატარებდნენ, მათვე მოუხდათ კლასობრივად უცხო „სოკოლისა“ და „სკაუტის“ დაშლა.

1918 წლიდანვე ტანვარჯიშმა და სპორტმა საკმაო გავრცელება ჰპოვა საბჭოთა რესპუბლიკაში და საფუძველი ჩაეყარა მასობრივ შეჯიბრებებს სპორტის ცალკეულ სახეობებში. 1918 და 1919 წლებში ზაფხულზე მოსკოვსა და პეტროგრადში ჩატარდა შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ხოლო 1920 წელს მოეწყო პირადგუნდური შეჯიბრება რესპუბლიკის პირველობაზე მძლეოსნობაში. საკმაოდ დიდი გავრცელება ჰპოვა სათხილამურო სპორტმა წითელ არმიის, მოთხილამურეთა რაზმები აქტიურად მონაწილეობდნენ სამოქალაქო

ომში. 1920 წელს მოსკოვში პირველად მოეწყო პირველობა სათხილამურო სპორტში. 1919 წელს ჩატარდა რუსეთის რესპუბლიკის პირველობა საციგურაო სპორტში.

პოპულარობით სარგებლობდა ფეხბურთი. 1918 წლიდან მოსკოვში იმართებოდა გათამაშება ქალაქის პირველობაზე ფეხბურთში. სიმძიმეების აწვევაში პირველი რესპუბლიკური შეჯიბრება გაიმართა 1918 წელს. ამ პერიოდის ვითარდება აგრეთვე ფარიაობა. ცურვა. ნიჩბოსნობა. ჰოკეი, კალათბურთი.

სამოქალაქო ომის წლებში კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი მუშაობა ჩაატარეს სახალხო განათლების დარგში.

უკვე 1918—1919 სასწავლო წლიდან შრომის სკოლებში შემოღებულ იქნა ფიზიკური აღზრდა. 1920 წლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული იყო ფიზიკურ აღზრდაზე კვირაში 2 საათი სკოლის ყველა ჯგუფში. ერთდროულად სკოლებთან ჩამოყალიბდა ფიზკულტურის წრეები.

თ ა ვ ი ი I

ფიზიკური კულტურა და სპორტი სახალხო მუშაკთა აღდგენისა და რეკონსტრუქციის წლებში (1921—1929 წწ.)

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ სამოქალაქო ომში სძლია მოსისხლე მტრებს და მოიპოვა ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება. ქვეყანა შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას.

კომუნისტურმა პარტიამ ვ. ი. ლენინის მეთაურობით შეიმუშავა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენის პროგრამა. ამ პერიოდში მოხდა გადასვლა სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე. ახალ ეკონომიურ საფუძველზე პარტიამ განამტკიცა მუშათა და გლეხთა კავშირი. ამავე პერიოდში შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. 1926—1929 წლებში მოხდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია. საფუძველი ჩაეყარა მძიმე ინდუსტრიას.

საბჭოთა ქვეყნის წინსვლამ გამოიწვია კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. ამ ბრძოლის შედეგი იყო კულაკობის წინააღმდეგობის დათრგუნვა. კომუნისტურ პარტიას მოუხდა მწვავე ბრძოლის წარმოება ანტიპარტიული ელემენტების წინააღმდეგ, მტრული კლასების აგენტების—ტროცკისტებისა და ბუხარინელთა წინააღმდეგ. პარტიამ გაანადგურა კაპიტულანტები და გამცემლები.

ამ პერიოდში ფიზიკური კულტურა წარმოადგენდა მშრომელთა მასობრივი გაჯანსაღების, მათი შრომისა და ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის მომზადების საშუალებას.

ვ. ი. ლენინის მითითებანი ფიზიკური კულტურისა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

1921 წელს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა სახკომსაბჭოს დეკრეტებს „ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „დასასვენებელი სახლების შესახებ“, „მთავსოცალზრდის“ განყოფილებასთან ფიზიკური აღზრდის ქვეგანყოფილების დაარსების, ფიზკულტურაზე საექიმო

კონტროლის დაწესებისა და ფიზკულტურის მეცნიერული საფუძვლების დამუშავების შესახებ. ამ დეკრეტებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური აღზრდის სისტემის დამუშავებისათვის.

კომკავშირის როლი ფიზკულტურის შემდგომ განვითარებაში. „ვსევობუჩის“ რეორგანიზაცია

1921 წლის მაისში კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია სამხედრო-ფიზკულტურულ განყოფილებათა გამგეების სრულიად რუსეთის პირველი თათბირი, რომელზეც გაკრიტიკებული იქნა „ვსევობუჩის“ მოღვაწეობა;

თათბირმა „ვსევობუჩისაგან“ მოითხოვა უფრო ეფექტიანი მუშაობის ჩატარება ფიზკულტურის დარგში.

1921 წლის აგვისტოში „ვსევობუჩმა“ თავის მხრივ მოიწვია სრულიად რუსეთის თათბირი. ამ თათბირზე კომკავშირმა ფიზკულტურის დარგში გადამწყვეტ ღონისძიებათა გატარება მოითხოვა. თათბირის შემდეგ მოხდა კერძო სპორტული ორგანიზაციების ნაწილის ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად სპორტული ცენტრების დაარსება.

კომკავშირის IV ყრილობამ (1921 წ.) „ვსევობუჩისაგან“ მოითხოვა გარკვეული ხაზის შემუშავება და მეტი სიმტკიცის გამოჩენა მორიგ ამოცანათა დასახვაში საყოველთაო სამხედრო მომზადებისა და ფიზკულტურის საკითხებში მორიგი ამოცანების დასახვა-ვად. ყრილობამ დასვა საკითხი ფიზკულტურული ხელმძღვანელობის ახალი ფორმის შესახებ და საჭიროდ ცნო ფიზიკური კულტურის საბჭოების დაარსება.

ქვეყნის მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით „ვსევობუჩის“ მოღვაწეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ფიზკულტურული მუშაობის მოძველებული ფორმები გამოუსადეგარი ხდებოდა მშვიდობიანობის პირობებში.

1922 წელს, როდესაც „ვსევობუჩის“ ლიკვიდაცია დღის წეს-

რიგში იდგა, იქ მომუშავე ფიზკულტურის სელმძღვანელებმა წამოაყენეს საკითხი „რუსეთის ფიზკულტურული წითელი ორგანიზაციების“ კავშირის დაარსების შესახებ.

კომკავშირმა ამ წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრა, რადგან მისთვის ნათელი იყო, რომ ასეთი ორგანიზაციის შექმნა ნიშნავდა კომკავშირის პარალელურად „სრულიად ახალგაზრდათა ორგანიზაციის“ დაარსებას. გარდა ამისა, ასეთი ორგანიზაციის დაარსებას შეეძლო გამოეწვია ძველი ბურჟუაზიული სპორტული კლუბების აღდგენა და მათი მოქმედების გამოცოცხლება.

იმისათვის, რომ კომკავშირს ხელიდან არ გაეშვა ფიზკულტურული მოძრაობა და ამავე დროს გაეძლიერებია თავისი გავლენა ახალგაზრდაზე, მან კომკავშირის საგუბერნიო, სამაზრო და საქალაქო კომიტეტებთან შექმნა სპორტული ორგანიზაციები — მოსკოვში, კალუგაში, ვლადიმირში — საზოგადოება „მურაფეი“, ხოლო პეტროგრადში, ნოვოროდსა და უკრაინის ზოგიერთ ქალაქში — საზოგადოება „სპარტაკი“.

კომკავშირის V ყრილობამ კატეგორიულად უარყო „რუსეთის ფიზკულტურული წითელი ორგანიზაციათა კავშირის“ დაარსების საკითხი. ყრილობამ განმარტა, რომ ასეთი ორგანიზაციის შექმნა მოასწავებდა მეორე მასობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნას, რაც ეწინააღმდეგება კომკავშირის პროგრამას.

ამავე დროს ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია სპორტული წრეების არსებობა სკოლებში, წითელ არმიასა და წარმოება-დაწესებულებებში.

კომკავშირის V ყრილობამ კატეგორიულად მოსთხოვა პროფკავშირებს ხელი მოეკიდათ ფიზკულტურის საქმისათვის. მან საჭიროდ სცხო აგრეთვე ფიზკულტურის დარგში უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს შექმნა.

ფიზიკური კულტურის საბჭოების დაარსება

1923 წელს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა ფიზკულტურის დარგში არსებული მდგომარეობა და პარტიის მითითებათა საფუძველზე რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1923 წლის 27 ივნისს გამოიტანა დადგენილება ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დაარსების შესახებ რსფს რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან.

ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს უშუალო ამოცანებს შეად-

ვენდა: 1) არსებული სამეცნიერო-კვლევითი და ფიზიკური აღზრდის სასწავლო დაწესებულებათა გაერთიანება, მათი საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა და მათზე კონტროლი; 2) ფიზიკური აღზრდის დაწესებულებათა მოქმედების საერთო საფუძვლების დამუშავება, ფიზკულტურის დარგში პროგრამების, დებულებების, წესდებებისა და ინსტრუქციების დამტკიცება; 3) ფიზკულტურულ ნაგებობათა გეგმების შემუშავება და დამტკიცება; 4) საერთო რესპუბლიკური ფიზკულტურული დღესასწაულების, შეჯიბრებების, გამოსვლების, გამოფენების, ყრილობებისა და თათბირების ორგანიზება; 5) სხვადასხვა უწყებათა და დაწესებულებათა მოქმედების გაერთიანება ფიზკულტურის დარგში; 6) ფიზკულტურის იდეათა აგიტაციისა და პროპაგანდის ხელმძღვანელობა და სხვ.

ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა სამხედრო, განათლების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა, შრომის კომისარიატების, რუსეთის კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თითო წარმომადგენელი.

ფიზკულტურული მუშაობის გაშლა პროფკავშირებში ჩერ კიდევ 1921 წლიდან დაიწყო. მაგრამ პროფკავშირებს კიდევ არ ჰქონდათ შეგნებული ფიზკულტურული მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა; ისინი ერიდებოდნენ ფულად ხარჯებს ფიზკულტურული მუშაობისათვის და ზედმეტად მიანდნენ კავშირებში ფიზკულტურული მუშაობისათვის სპეციალური ორგანოების ჩამოყალიბებას. პროფკავშირებმა ფიზკულტურულ მუშაობას მცირე ადგილი დაუთმეს თავიანთი კულტურული მუშაობის დარგში.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სპეციალური დადგენილებით ფიზიკური კულტურა პროფკავშირთა მუშაობის მნიშვნელოვან ნაწილად იყო აღიარებული. მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო მოწესრიგებული ფიზკულტურული მუშაობა. ამიტომაც ამ საკითხმა ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი დაიკავა ფიზკულტურის საბჭოების თათბირზე, რომელიც ჩატარდა 1924 წლის გაზაფხულზე ქ. მოსკოვში. თათბირზე პროფკავშირის მუშაკებმა სურვილი გამოთქვეს თავის სისტემაში დამოუკიდებელი ფიზკულტურული მუშაობის გაშლის შესახებ. პროფკავშირთა VI ყრილობამ საკიროდ ცნო ამ დარგში დამოუკიდებელი მუშაობის განაღდება. მუშაობის გაშლაში პროფკავშირებს დიდ დახმარებას უწევდა ლენინური კომკავშირი.

1925 წლის 28 აპრილს გამოქვეყნდა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება („პროფკავშირთა მორიგი ამოცანები ფიზკულტურის დარგში“). ეს დადგენილება წარმოადგენდა პროფკავშირთა ფართო მოქმედების გეგმას ფიზკულტურის დარგში.

რუსეთის კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წ. 18 ივლისის დადგენილება ფიზიკური კულტურის შესახებ

1924—25 წლებში სახალხო მეურნეობის აღდგენის დარგში მოპოვებულმა მიღწევებმა გამოიწვიეს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რითაც ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საბჭოთა კავშირში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისათვის. მაგრამ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ნორმალურ განვითარებას ამ პერიოდში ანელებდა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობისათვის უცხო და მტრული გადახრები. ამგვარ გადახრებს მიეკუთვნებოდა:

1. ფიზკულტურაში მეცადინეობის თეატრალურ სანახაობად გადაქცევა. ფიზკულტურის წრის მეცადინეობა წარმოადგენდა თავისებურ სამზადისს მორიგი ფიზკულტურული გამოსვლისათვის კლუბის სცენაზე. ცხადია, რომ ასეთი მეცადინეობა ვერ უზრუნველყოფდა ახალგაზრდობის ყოველმხრივ ფიზიკურ აღზრდას, მით უმეტეს. რომ ასეთ წრეებში ტანვარჯიშსა და სპორტს კი არ მისდევდნენ, არამედ იმიტაციური ხასიათის მოძრაობებს (მანქანის მუშაობის, უროსმცემლის, მკედლის, მომკელის და სხვათა მოძრაობებს).

2. ფიზიკური კულტურის გადაქცევა წმინდა პრაქტიკული ჩვევების შექმნის საშუალებად. ამ მიმდინარეობის მომხრეთა აზრით, ფიზიკურ ვარჯიშობებს მომეცადინეთათვის ხელი უნდა შეეწყოს პრაქტიკული ჩვევების დაუფლებაში (უროთი, ქლიბით, ხერხით მუშაობა და სხვ.). საქმისადმი ასეთი მცდარი მიდგომა ძალზე აქვეითებდა ფიზიკური აღზრდის. როგორც ყოველმხრივი განვითარების მძლავრი საშუალების, მნიშვნელობას.

3. ფიზიკური კულტურის გადაქცევა წმინდა ჰიგიენურ საშუალებად. ამ გადახრის მომხრენი ილაშქრებდნენ ტანვარჯიშის, ფეხბურთის, სიმძიმეების აწევის, კრივის წინააღმდეგ. თავის ასეთ მცდარ შეხედულებას ისინი ასაბუთებდნენ იმით, რომ მუშა-ახალგაზრდობა, თითქოს, შეპყრობილი იყო მძიმე მემკვიდრეობით. რომ წარსულში მძიმე შრომამ მოქანცა მათი მამა-პაპების ორგანიზმი და ამიტომაც ეს მცდარი მიმართულება უკრძალავდა მუშა-ახალგაზრდობას სპორტსა და ტანვარჯიშს. მათი აზრით, საკმარისი იყო იოლ ვარჯიშობები, თხილამურებით გასეირნება, თავისუფალი ვარჯიში და სხვ.

4. არანაკლები მავნებლობა მოჰქონდა საბჭოთა ფიზიკულტურული მოძრაობისათვის ეგრეთ წოდებულ „პროლეტკულტოვების“ გაშოსვლას. მათ მოიწადინეს „პროლეტარული“ ფიზიკულტურის შექმნა და ამ მიზნით უარყვეს ყოველივე ის, რაც, მათი აზრით, წარმოშობილი იყო ბურჟუაზიული წყობილების წიაღში. ამ მოსაზრებით მათ უარყვეს ტანვარჯიშული იარაღები, ტანვარჯიში, სპორტის სხვადასხვა სახეობები, სპორტული შეჯიბრებები. ტანვარჯიშული იარაღების ნაცვლად მათ სურდათ სპეციალური ხელსაწყოების გამოყენება, რომელთა საშუალებით ახალგაზრდობა შეძლებდა ეგრეთ წოდებულ „შრომითი მოძრაობების“ შესრულებას.

ამ მიმდინარეობის „თეორეტიკოსებმა“ ფიზიკულტურის „პროლეტარული“ სისტემის დამუშავებაც სცადეს. ისინი ფიზიკულტურის რამდენიმე ბურჟუაზიული სისტემიდან იღებდნენ ცალკეულ ნაწილებს, ხელოვნურად აკავშირებდნენ ერთმანეთთან, შემდეგ მასალაში ჩართავდნენ რევოლუციურ ფრაზეოლოგიას და ახალი „პროლეტარული სისტემა“ მზად იყო.

ასეთ პირობებში საჭირო გახდა ხსენებულ გადახრებთან გადამწყვეტი ბრძოლა. საჭირო იყო ფიზიკულტურული მოძრაობის შეიარაღება შემდგომი განვითარების ზუსტი დასაბუთებული პროგრამით.

კომუნისტურმა პარტიამ გადამწყვეტი დარტყმა აგემა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიასა და პრაქტიკაში არსებულ გადახრებს.

რუსეთის კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1925 წლის 13 ივლისს გამოიტანა ისტორიული დადგენილება ფიზიკური კულტურის შესახებ, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა ფიზიკულტურულ მოძრაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებასა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას.

ხსენებულ დადგენილებაში ნათლად იყო გაშუქებული საბჭოთა ფიზიკულტურის შინაარსი და ამოცანები. დადგენილება მკაფიოდ განსაზღვრავდა ფიზიკური კულტურის იდეურ-პოლიტიკურ მხარეს. მასში ფიზიკური კულტურა განხილული იყო არა მარტო როგორც ფიზიკური აღზრდისა და გაჯანსაღების საშუალება და ახალგაზრდობის კულტურულ-სამეურნეო და სამხედრო მომზადების ერთ-ერთი მხარე, არამედ როგორც მასების აღზრდის ერთ-ერთი მეთოდი და მუშათა და გლეხთა ფართო მასების გაერთიანების საშუალება ამათუ იმ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიულ ორგანიზაციათა ირგვლივ, ორგანიზაციებისა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი

განდებამ მუშათა და გლეხთა მასების ჩაბმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირში ფიზკულტურის განვითარებას დადგენილება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის. საბჭოთა კავშირის მშრომელთა სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირი საზღვარგარეთის მუშურ ორგანიზაციებთან კიდევ უფრო ამკვიდროვებდა საერთაშორისო მუშურ ფრონტს.

ფიზიკური კულტურა არ უნდა ამოიწურებოდეს მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშობით — სპორტის, ტანვარჯიშის, მოძრავ თამაშობათა სახით. არამედ იგი უნდა შეიცავდეს აგრეთვე შრომისა და ყოფის როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ჰიგიენას, ბუნებრივი ფაქტორების გამოყენებას. შრომისა და დასვენების წესიერ რეჟიმს და სხვ.

დადგენილება იძლევა მითითებას მეცნიერულ მოთხოვნილებათა საფუძველზე შეჯიბრებების მოწყობის აუცილებლობის შესახებ. დადგენილებაში შეჯიბრება განხილული იყო მასების ფიზიკურ კულტურაში ჩაბმის ერთ-ერთ ფორმად და ინდივიდუალურ და. განსაკუთრებით, კოლექტიურ მიღწევათა გამოვლენის საშუალებად.

სხელებული დადგენილება ნათლად მიუთითებს იმ დიდ მზრუნველობაზე. რასაც იჩენდა და იჩენს ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტია ფიზიკური კულტურის განვითარების საქმეში.

მუშაობის სექციური
მეთოდის შემოღება
ფიზკულტურულ ორ-
განიზაციებში

პარტიის XIV ყრილობამ (1925 წლის დეკემბერი) შეაჯამა სახალხო მეურნეობის აღდგენის შედეგები და დასახა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის გზები.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლა საბჭოთა ხალხისაგან მოითხოვდა მთელი თავისი ძალების მობილიზაციას. ინდუსტრიის მთელი რიგი ახალი დარგების მშენებლობასთან ერთად საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლება და განმტკიცება, რადგან კაპიტალისტური ქვეყნები ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის განვითარება.

ყოველივე ეს ფიზკულტურული ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებას ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის დარგში. ამ მიმართულებით მუშაობა საერთოდ სუსტადა იყო დაყენებული, განსაკუთრებით კი პროფკავშირებში. პროფკავშირები არადაამკმაყოფილებლად ახორციელებდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის 13 ივლისის დადგენილებას. პროფკავშირების ზოგიერთ ხელმძღვანელს ფიზიკური კულტურა უკეთეს

შემთხვევაში მიაჩნდა მოსახლეობის მხოლოდ გაჯანსაღების საშუალებად. ფიზიკური კულტურის წრეები ძველებურად ემორჩილებოდნენ კლუბების გამგეობებს. წრეების მეცადინეობაზე გაურბოდნენ სპორტს, სპორტულ თამაშობებს, იარაღულ ტანვარჯიშს. შეჯიბრებითი მეთოდით განდევნილი იყო. ყოველივე ეს იწვევდა მუშა-ახალგაზრდობის უკმაყოფილებას და აფერხებდა ფიზიკური კულტურის შემდგომ განვითარებას.

1926 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოწვეულმა პარტიის XV კონფერენციამ განიხილა პროფკავშირთა ფიზკულტურული მუშაობის პრაქტიკის საკითხები. ამ კონფერენციის გადაწყვეტილება წარმოადგენდა ფიზიკური კულტურის შესახებ პარტიის 1925 წლის დადგენილების შემდგომ გაღრმავებას და კონკრეტობას. კონფერენციამ საფუძვლიანად გააკრიტიკა პროფკავშირები ფიზკულტურული მუშაობის დარგში, დაემო სპორტისადმი და შეჯიბრებითი მეთოდებისადმი უყურადღებობა. კონფერენციამ დასახა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მორიგი ამოცანები სოციალისტური მშენებლობის პირობებში და მოითხოვა მუშათა მასების თვითმოქმედების განვითარება, სპორტსა და ტანვარჯიშში შეჯიბრებითი მეთოდის ფართო გამოყენება.

პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებამ დიდი როლი შეასრულა ფიზიკულტურის სასწავლო-მეთოდური და სპორტულ-ტექნიკური მუშაობის გარდაქმნაში.

მუშაობის საუკეთესო ფორმად ცნობილი იყო სექციური მუშაობა ტანვარჯიშში და სპორტის ცალკე სახეობებში. ფიზკულტურული მუშაობის სექციური ფორმა ფიზიკური კულტურის თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის ძირითად ფორმად იქცა.

სპორტის ცალკეული სახეობების განვითარება. 1928 წ. საკავშირო სპარტაკიადა

XV პარტიული კონფერენციის შემდეგ ფიზკულტურული მუშაობა სსრ კავშირში გაუმჯობესდა. კიდევ უფრო განვითარდა სპორტის სხვადასხვა სახეობები. ამ პერიოდში ყველაზე პოპულარული იყო ტანვარჯიში, ფეხბურთი;

მძლეოსნობა, სათხილამურო და საცივურაო სპორტი. აღსანიშნავია, რომ სპორტულმა ტანვარჯიშმა მხოლოდ 1925 წელს შემდგომ პირველი სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შემდეგ მიიღო დამოუკიდებელი არსებობის უფლება. ამის შემდეგ ტანვარჯიში სწრაფად ვითარდებოდა. სპორტული ტანვარჯიში შეტანილი იყო 1928 წლის სრულიად საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში. მაშინ საუკეთესო შედეგებს ტანვარჯიშში მიაღწიეს გ. რცხილაძემ, ი. მურაშკომ. ბ. პალცევმა.

სწრაფად ვითარდებოდა ფეხბურთი. იგი სოფლადაც საკმაოდ გავრცელდა. საბჭოთა კავშირის უძლიერეს გუნდებს წარმოადგენდნენ უკრაინისა და მოსკოვის გუნდები. ძლიერი გუნდები მოიპოვებოდა საქართველოშიც (ბათუმი, ფოთი, თბილისი).

ვითარდებოდა მძლეოსნობაც, თუმცა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მძლეოსანთა შედეგები მაშინ არც თუ ისე მაღალი იყო. იმ პერიოდში საბჭოთა კავშირს არ ყოფნიდა კვალიფიციურ მწვერთნელთა კადრები მძლეოსნობაში.

ხსენებული პერიოდის მძლეოსანთა შორის თავისი მიღწევებით აღსანიშნავი არიან ა. დომინი, ვ. დიაჩკოვი, გ. შხვაცაბაია, ა. რეშეტნიკოვი, მ. შამანოვა და სხვ.

თავისი გამოსვლებით სახელი გაითქვეს საბჭოთა მოციგურავეებმა ი. მელნიკოვმა, ვ. იპოლიტოვმა, პ. იპოლიტოვმა, ნ. ნაიდენოვმა, გ. კუშინმა, კ. მიხეევმა; ქალთაგან — ნ. რაენკომ, ა. კოროლიოვამ, ლ. ალექსეევამ და სხვ.

ხსენებულ პერიოდში არაერთი საერთაშორისო სპორტული შეხვედრა გაიმართა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის მუშურ სპორტულ ორგანიზაციებს შორის.

სპორტული მუშაობა ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით გამოცოცხლდა 1928 წლის სრულიად საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში. ხსენებული სპარტაკიადა ჩატარდა 1928 წლის აგვისტოში ქ. მოსკოვში. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა 7225 კაცი, მათ შორის 600-ზე მეტი მუშა-სპორტსმენი, ჩამოსული 14 კაპიტალისტური ქვეყნიდან.

სპარტაკიადა მიედღვნა პირველ ხუთწლიან გეგმას და წარმოადგენდა იმ წარმატებათა დათვალიერებას, რომელსაც მიაღწია საბჭოთა ფიზკულტურულმა მოძრაობამ პარტიის მითითებათა საფუძველზე. სპარტაკიადა ამავე დროს წარმოადგენდა საერთაშორისო მუშა-სპორტსმენთა ერთიანობის დემონსტრირებას.

სპარტაკიადის პროგრამა ითვალისწინებდა შეჯიბრებას ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, კიდაობაში, კრივში, ცურვაში, წყალში ხტომასა და ნიჩბოსნობაში, სიმძიმეების აწევაში. ფარიკაობასა და ველოსპორტში, ფეხბურთსა და კალათბურთში, სასროლო სპორტში.

სპარტაკიადა ორგანიზებულად ჩატარდა და საზოგადოების დიდი ინტერესიც გამოიწვია.

სპარტაკიადაზე საერთო პირველობა რუსეთის სფს რესპუბლიკის კოლექტივმა მოიპოვა, მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის სს რესპუბლიკის კოლექტივი, მესამეზე — ბელორუსიის სსრ, მეოთხეზე — უზბეკეთის სს რესპუბლიკის, მეხუთეზე — ამიერკავ-

კასიის სფს რესპუბლიკისა და მეექვსეზე — თურქმენეთის სს რესპუბლიკის კოლექტივი.

მოსწავლე ახალ-
გაზრდობის ფიზიკუ-
რი აღზრდა

აღნიშნულ პერიოდში სერიოზულ ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი ბავშვთა ფიზიკური აღზრდის დარგში. ფიზიკური აღზრდის განვითარებას სკოლებში ზიანი მიაყენა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს (VYC) მიერ შემოღებულმა სწავლების კომპლექსურმა მეთოდმა, ხოლო უფრო გვიან პროექტების მეთოდმა. ასეთი მეთოდების გამოყენებისას ფიზიკური აღზრდა „კომპლექსური თემის“ ნამატი ხდებოდა და ბავშვთა „ჯანმრთელობისათვის ფაქტიურად არავითარი საჩვენებლობა არ მოჰქონდა.

დიდი ზიანი მიაყენა ფიზიკურ აღზრდას სკოლაში პედოლოგიამ, რომელმაც უარყო სპორტული ტანვარჯიში და შეჯიბრებითი მეთოდი ფიზიკურ აღზრდაში. სპორტისა და სპორტული შეჯიბრებების აკრძალვას პედოლოგები ასაბუთებდნენ „მოსწავლეთა ცუდი ფიზიკური მდგომარეობით“ მაშინ, როდესაც ფაქტები, პირიქით, სწორედ იმაზე მეტყველებდნენ, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ბავშვთა ფიზიკური მდგომარეობა განუხრელად უმჯობესდებოდა.

პედოლოგიის მანერე გავლენამ ბავშვთა თვითმოქმედ ფიზკულტურულ მოძრაობაშიც შეაღწია. ფიზკულტურის სასკოლო წრეების მუშაობა არსებითად არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი გაკვეთილებისაგან. ბავშვთა ინდივიდუალურ მიდრეკილებასა და მოთხოვნილებებს ანგარიში არ ეწეოდა, ამიტომ ფიზკულტურის წრეები ბავშვებს ნაკლებად აინტერესებდათ და თითქმის არ იზიდავდა.

არც პიონერთა ორგანიზაციებში იყო უკეთ დაყენებული ფიზიკური აღზრდა, მაგრამ საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1928 წლის ივნისის გადაწყვეტილებამ, რომელშიც მითითებული იყო პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის სისტემასა და მეთოდებში არსებულ ნაკლოვანებებზე, საგრძნობლად შეუწყო ხელი ბავშვთა თვითმოქმედი ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას.

პიონერთა და მოსწავლეთა ფიზკულტურული მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასა და განმტკიცებას ხელი შეუწყო აგრეთვე 1929 წლის აგვისტოში ქ. მოსკოვში მოწვეულმა პიონერთა საკავშირო შეკრებამ. ეს შეკრება, რომელშიც 7400 პიონერი მონაწილეობდა, დიდი მასშტაბის ღონისძიებას წარმოადგენდა. შეკრების პროგრამაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი პიონერთა სპარტაკიადას. გათვალისწინებული იყო შეჯიბრების მოწყობა ფრენბურთში, კა-

ლატბურთში, მცლეოსნობაში, ცურვასა და სპორტის სხვა სახეობებში.

1929 წელს რუსეთის სფს რესპუბლიკის განათლების კომისარიატმა შეიმუშავა ახალი სასწავლო გეგმები მეორე საფეხურის სკოლებისათვის. ამ გეგმებში ფიზიკურ აღზრდაზე ვათვალისწინებული იყო ორი საათი კვირაში. გაუმჯობესება დაეტყო ფიზიკურ აღზრდას სკოლებში; განსაკუთრებით კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობის ხაზით.

ნაკლოვანებანი ფიზკულტურულ მუშაობაში. საკ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1929 წლის 23 სექტემბრის დადგენილება

მიუხედავად ფიზკულტურული მოძრაობის ზოგიერთი მიღწევისა (ფიზკულტურული ორგანიზაციების ზრდა. სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, ზოგიერთი სპორტულტექნიკური მიღწევა). ხსენებულ პერიოდში ფიზიკური კულტურა მოწყვეტილი იყო ქვეყნის წინაშე დასმულ პოლიტიკურ და სამეურნეო ამოცანებს.

ფიზიკური კულტურა ვერ უზრუნველყოფდა შრომისუნარიანობის ამაღლებას; იგი შედარებით სუსტ როლს ასრულებდა მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში. ფიზკულტურული მოძრაობა ვერ უზრუნველყოფდა აგრეთვე ფიზკულტურელთა საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას, რაც ესოდენ საჭირო იყო სოციალისტური მშენებლობის ამოცანათა განხორციელებისათვის; იგი მომსახურებობას უწევდა მხოლოდ ფიზკულტურელთა მცირე ჯგუფს, რომელიც ყოველგვარ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარეშე მისდევდა სპორტულ-ტექნიკურ მიღწევათა ამაღლებას. ასეთი მდგომარეობა, უწინარეს ყოვლისა, აიხსნებოდა პროფკავშირების სუსტი ხელმძღვანელობით. სუსტად ხელმძღვანელობდნენ მოძრაობას ფიზიკური კულტურის საბჭოებიც. ამავე პერიოდში სუსტად იყო დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა სოფლად. ასევე სერიოზულა ნაკლოვანებანი ახასიათებდა ბავშვთა და მოზარდთა შორის მუშაობას.

1929 წლის 23 სექტემბერს საკ. კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება ფიზკულტურული მუშაობის ძირეული გარდაქმნის შესახებ. დადგენილებაში ფიზკულტურული მუშაობა შეფასებულ იქნა არადაამაკმაყოფილებლად (მუშათა ფართო მასების ფიზკულტურაში სუსტი ჩაბმა, რეკორდსმენული გადახრა, პარალელურად მუშაობაში და სხვ.). ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ საჭიროდ ცნო ფიზკულტურულ მუშაობაში შეუთანხმებლობის აღმოფხვრა, მასში უფრო მეტი გეგმიანობის შეტანა, ფიზ-

კულტურული მუშაობის საერთო მასშტაბის გაფართოება, ფიზკულტურულ მოძრაობაში მუშათა მასების ჩაბმის უზრუნველყოფა.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ გადაუდებელ ამოცანად ცნო ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობა. პირველ რიგში ფიზკულტურელთა ფართო მასების კლასობრივ-რევოლუციური აღზრდა, მათი ჩაბმა პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ფიზიკური კულტურის მკიდროდ დაკავშირება საწარმოო ამოცანებთან.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დაავალა ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭოს დაარსება სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციებით.

თ ა ვ ი III

ფიზიკური კულტურა და სპორტი სოციალიზმის გაუზიარებელი მუშაობისა და გამარჯვების წლებში (1930—1941 წწ.)

აღნიშნული პერიოდი მეტად მნიშვნელოვანია იმით, რომ ამ წლებში ბოლშევიკურმა პარტიამ შეძლო წერილ მესაკუთრულ-გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა საკოლმეურნეო გზაზე. ამ პერიოდში აშენებულ იქნა სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი და შეიქმნა პირობები მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ამავე პერიოდში მიღებულ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია.

ამ წლებში ფიზიკური კულტურის წინაშე დაისვა ახალი ამოცანა: მას ხელი უნდა შეეწყოს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა და კომუნისმში თანდათანობითი გადასვლის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისათვის.

1930 წლის აპრილში გამოქვეყნდა საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭოს შექმნის შესახებ. ხსენებულ საბჭოს მიენიჭა სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის უფლება ფიზკულტურის დარგში ყველა იმ დაწესებულებასა და ორგანიზაციაზე, რომლებიც თავიანთ სისტემაში ატარებდნენ ფიზკულტურულ მუშაობას.

ზემოხსენებული დადგენილება ფიზიკურ კულტურას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალი ადამიანის — სოციალიზმის მშენებლის — აღზრდის საქმეში. დადგენილებამ ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი მუშაობა, რაც საბჭოთა ხელისუფლების დაარსებიდან ამ დარგში ჩატარდა. მაგრამ ეს საქმარისი არ იყო. მასში ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე დასმული იყო მუშათა ფართო მასების ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმისა და სოფლად მუშაობის გაძლიერების აუცილებლობის საკითხი. ფიზიკური კულტურა გამოყენებული უნდა ყოფილიყო, როგორც შრომისნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორი.

ყოველივე ამის გამო საკავშირო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ფიზიკური კულტურა ცნო „პირველხარისხოვან, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ“ და კონკრეტული დავალებები დააკისრა განათლების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა, შრომისა და სამხედრო კომისარიატებს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და სხვ.

ფიზკულტურის საკავშირო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა რვა კაცი — პერსონალურად დანიშნული საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის მიერ და 56 წარმომადგენელი ცალკე რესპუბლიკების ფიზკულტურის საბჭოებიდან, პროფსაბჭოდან, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტიდან, შრომის კომისარიატის, თავდაცვა-ავიაქიმის, საზოგადოება „დინამოს“ და სხვა ორგანიზაციებიდან.

ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭოს ფუნქციებს შეადგენდა — საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასკომებთან არსებული ფიზკულტურის საბჭოებისა და აგრეთვე იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა და კონტროლი, რომლებიც ატარებენ ფიზკულტურულ მუშაობას. გარდა ამისა, საკავშირო საბჭოს ევალებოდა ფიზიკულტურის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხელმძღვანელობა, მსხვილ სასპორტო მშენებლობათა ხელმძღვანელობა, კადრების მომზადებისა და სპორტულ-ტექნიკური მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, აგიტაცია და პროპაგანდა ფიზკულტურის დარგში, ფიზკულტურული გამომკვებლობის მეთაურობა, თათბირების, კონფერენციებისა და ყრილობების ჩატარება, საკავშირო შეჯიბრებების მოწყობა და სხვ.

1930 წლის 10—15 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდა პროფკავშირთა კონფერენცია, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი პროფკავშირებში ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

კონფერენციამ მოისმინა საერთო პოლიტიკური მოხსენება და შემდეგ სპეციალური მოხსენება ფიზიკური კულტურის მორიგ ამოცანებზე, და მიიღო დადგენილება საწარმოო პრინციპის მიხედვით პროფკავშირთა ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციული გარდაქმნის შესახებ. კონფერენციის დადგენილებით, ნაცვლად ცალკე კლუბებთან არსებული ფიზკულტურის წრეებისა, დაარსდა ფიზიკური კულტურის კოლექტივები წარმოებებთან, დაწესებულებებთან, სასწავლებლებთან. ფიზკულტურული მუშაობის საწარმოო პრინციპზე გარდაქმნამ ბოლო მოუღო ფიზკულტურული ორგანიზაციების მოწყვეტას ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან. ფიზკულტურის კოლექტივის ხელმძღვანელობას ახორციელებდა არჩევითი ორგანო — კოლექტივის ბიურო. ფიზკულტურის კოლექტივებს საშუალება მიეცათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ წარმოების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ფიზიკური კულტურის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის განხორციელებამ და ფიზკულტურული მუშაობის საწარმოო პრინციპზე გარდაქმნამ ორგანიზაციულად გააძლიერა და განამტკიცა ფიზკულტურული მოძრაობა, მაგრამ ახლა საჭირო იყო ფიზკულტურული მუშაობის შინაარსის, ფორმისა და მეთოდების გარდაქმნა.

„მშმთ“ კომპლექსის შემოღება უკვე მომწიფებული იყო საკითხი ფიზიკური კულტურის მთლიანი საბჭოთა სისტემის შექმნის შესახებ და ამ სისტემის საფუძველი უნდა გამხდარიყო კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“.

ფიზკულტურული ორგანიზაციების სასწავლო-მეთოდური და სპორტულ-ტექნიკური მუშაობის გარდაქმნის ინიციატორი ლენინური კომკავშირი იყო. 1930 წლის 24 მაისს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ მოთავსებული იყო წინადადება კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ („მშმთ“). შემოღების შესახებ. ამ წინადადებას მხურვალე გამოძახილი და მხარდაჭერა კპოვა ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ საზოგადოებრიობაში. მალე კომპლექსის პროექტიც იქნა დამუშავებული. 1931 წლის მარტში ფიზკულტურის საკავშირო საბჭოს მეორე პლენუმზე დამტკიცებულ იქნა „მშმთ“ კომპლექსის დებულება და ნორმები.

ნორმების ჩაბარების უფლება ენიჭებოდა ორივე სქესის პირთ — ვაჟებს 18 წლის ასაკიდან, ხოლო ქალებს — 17 წლიდან. კომპლექსით მოითხოვებოდა გამოცდის ჩაბარება ფიზიკურ ვარჯიშობათა 15 სახეობაში, გარდა ამისა, საჭირო იყო გამოცდა თეორიაში.

„მშთ“ კომპლექსის შემოღებამ დიდი როლი შეასრულა მასობრივი თვითმომქმედი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში, მაგრამ კომპლექსის შემოღების შემდეგ მალე გამოიკვია, რომ საჭირო იყო უფრო მაღალ მოთხოვნათა დაწესება და, მართლაც, ფიზკულტურელთა მოთხოვნით 1932 წელს დამუშავებულ იქნა „მშთ“ კომპლექსის II საფეხური. 1932 წლის 7 დეკემბერს საკავშირო ფიზიკური კულტურის საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა „მშთ“ კომპლექსის II საფეხური.

II საფეხურის კომპლექსი უკვე 25 ნორმას შეიცავდა, ამათგან 3 თეორიული მოთხოვნა იყო და 22 — პრაქტიკული. ქალებისათვის 25 ნორმის ნაცვლად შემოღებული იყო 21. „მშთ“ კომპლექსის II საფეხურში სპორტი უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი, ვიდრე I საფეხურში.

ფიზკულტურული მუშაობა გარდაიქმნა აგრეთვე ბავშვთა და მოზარდთა შორის. პარტიის 1931 და 1932 წწ. მითითებებმა სკოლაში სწავლების ნაკლოვანებათა შესახებ, აიძულა განათლების ორგანოთა მუშაკები მეტი ყურადღება მიექციათ ფიზიკური აღზრდისათვის.

ბავშვთა სპორტმა განსაკუთრებით ფართო განვითარებას მიიღწია 1934 წლიდან. სკოლაში ნიშნის „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“ შემოღებამ საკითხი სპორტის ცალკეულ სახეობების განვითარების შესახებ უფრო ფართოდ დააყენა.

ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსი „იმშთ“ გათვალისწინებულ იყო ორი ასაკისათვის: 13—14 წლის და 15—16 წლის ბავშვთა და მოზარდთათვის. იგი შეიცავდა ფიზიკურ ვარჯიშობათა 16 ნორმას და სანმინიმუმს.

1935 წლიდან ჩვენს ქვეყანაში შემოიღეს მთლიანი სპორტული კლასიფიკაცია.

პროფკავშირების ნებაყოფლობით სპორტული საზოგადოებების დაარსება:

სოციალისტური მშენებლობის საერთო წარმატებამ საგრძნობლად გააუმჯობესა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას გაეუმჯობესებია ფიზიკური აღზრდის მატერიალური ბაზა. ამან ხელი შეუწყო ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომ გაფართოებას, საბჭოთა სპორტსმენების სპორტული ოსტატობის ამაღლებას. ახლა საკითხი იდგა ფიზიკური აღზრდის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამაღლებისა და ფიზკულტურაზე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ. საჭირო იყო ფიზკულტურული მოძრაობის გარდაქმნა ფართო დემოკრატიის სა-

ფუძველზე, რისთვისაც დაარსებულ იქნა პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები.

1936 წელს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებები მიზანშეწონილია დაარსდეს წარმოებათა დარგების მიხედვით პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებთან.

ხელმძღვანელობდა რა ამ მითითებებით, 1936 წლის მაისში პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიიღო დადგენილება 64 ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების დაარსების შესახებ. ამ საზოგადოებათა დაარსებამ ბევრად გააუმჯობესა ძირეული კოლექტივების სპორტული და მასობრივი მუშაობა. ცალკეულ საწარმოთა წვირელ კოლექტივებს შესაძლებლობა მიეცათ მოეხდინათ თავიანთი სპორტული ძალებისა და მატერიალური საშუალებების კონცენტრაცია. ამან ხელი შეუწყო კოლექტივების გაძლიერებასა და ფიზკულტურელთა უკეთ მომსახურებას. განმტკიცდა დისციპლინა და, რაც მთავარია, საბჭოთა ფიზკულტურულმა მოძრაობამ უფრო დემოკრატიული ხასიათი მიიღო (რამდენადაც ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების ყველა ხელმძღვანელ ორგანოს თვით ფიზკულტურელები ირჩევენ). საზოგადოებებმა მიიღეს თავიანთი წესდება, სპორტული ფორმა, დროშა, ნიშანი და საწევრო წიგნაკები.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის დაარსება

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მუშაობის შემდგომ განვითარებას ანელებდა ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოთა მოუქნელობა. საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭო ვერ აკმაყოფილებდა საგრძნობლად გაზრდილ მოთხოვნილებებს და საჭიროებდა გარდაქმნას. იგი მოწყვეტილი იყო ფიზკულტურელთა მასებს და ვერ უწყევდა დახმარებას ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომ განვითარებას.

ფიზიკური კულტურის დარგში გაზრდილ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ფიზიკური აღზრდის სისტემის მოსაწესრიგებლად და ფიზიკურ კულტურაზე სახელმწიფო კონტროლისა და ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით 1936 წლის 21 ივნისს საკავშირო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ გამოიტანეს დაგენილება საკავშირო სახკომსაბჭოსთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის დაარსების შესახებ.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომი-

ტეტის დაარსების შემდეგ მალე ჩამოყალიბდა ფიზკულტურის კომიტეტები რესპუბლიკებში, ოლქებსა და რაიონებში. ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებს უფრო ფართო უფლებები მიეცა. მათ მიენიჭა სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისა და კონტროლის სრული ფუნქციები ფიზკულტურის დარგში.

სპორტის განვითარება და საბჭოთა სპორტსმენების სპორტულ-ტექნიკური მიღწევები მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებამ, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების შექმნამ, ფიზიკურ კულტურაზე სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ გამოიწვია საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი აღმავლობა. გახშირდა და უფრო მასობრივი გახდა ფიზკულტურული ღონისძიებები, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება.

თუ წინა პერიოდში სპორტულ ტანვარჯიშს ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა და მისი განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ახლა მან საპატიო ადგილი დაიკავა როგორც ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთმა ძირითადმა საშუალებამ. პირველი საკავშირო შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში ჩატარდა მოსკოვში 1933 წელს. შეჯიბრებაში 183 ტანვარჯიშე მონაწილეობდა. საერთო პირველობა უკრაინის გუნდმა მოიპოვა. პირად პირველობაში ვაჟთა შორის საუკეთესონი იყვნენ თბილისელები გ. რცხილაძე და სხვ., ქალთა შორის — შეფერი და ზაიცევა. პირველი საკავშირო შეჯიბრების ჩატარებამ ერთგვარი ბიძგი მისცა ტანვარჯიშის განვითარებას საბჭოთა კავშირში. ჩაისახა სპორტული ტანვარჯიშის სექციები. 1933 წელს ჩატარდა მთელი რიგი ადგილობრივი შეჯიბრებები (ლენინგრადში, თბილისში, როსტოვში, ხარკოვში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში).

1934 წელს თბილისში ჩატარდა II სრულიად საკავშირო პირველობა ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის 14 ქალაქის ტანვარჯიშეთა კოლექტივი 243 კაცის შემადგენლობით. შეჯიბრებაში გაიმარჯვა ამიერკავკასიის კოლექტივმა, რომელიც ქართველ მოვარჯიშეთაგან იყო შემდგარი (რცხილაძე, ჯორჯაძე, ზაალიშვილი და სხვ.).

ფართო გასაქანი მიეცა მძლეოსნობის განვითარებას. ამას ხელი შეუწყო გარბენების, კროსებისა და ესტაფეტების შემოღებამ, იმართებოდა სამატჩო შეხვედრები ქალაქთა შორის. ყოველწლიურად ეწყობოდა საკავშირო პირველობა მძლეოსნობაში. ამ პერიოდში კარგი მიღწევები ჰქონდათ მძლეოსნებს: მ. შამანოვას, ნ. ოზოლინს, ვ. დიაჩკოვს, ი. სერგაევს, ძმებს ს. და გ. ზნამენსკებს, ა. რეშეტნი-

კოვს, ნ: დუმბაძეს. ვ. ალექსეევს და სხვ. საბჭოთა მძლეონების მიღწევები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მსოფლიოს საუკეთესო 50 სპორტსმენთა სიაში 36 საბჭოთა სპორტსმენი შედიოდა.

ნ. დუმბაძემ დაამყარა მსოფლიო რეკორდი ბადროს ტყორცნაში (49 მ 54 სმ). მაღალ შედეგს მიაღწიეს 5000 და 10000 მ რბენაში ძმებმა ს. და გ. ზნამენსკებმა. ნ. ოზოლინმა დაამყარა საკავშირო რეკორდი ჭოკით ხტომაში (4 მ 30 სმ). ეს საუკეთესო შედეგი იყო ევროპაში. ალექსეევის რეკორდი შუბის ტყორცნაში შეადგენდა 61 მ 88 სმ.

სწრაფი განვითარება ახასიათებდა ფეხბურთს ამ პერიოდში. ამაღლდა საბჭოთა ფეხბურთელების სპორტული ოსტატობა. ბევრი კარგი გუნდი ჩამოყალიბდა, გაუმჯობესდა ფეხბურთელთა წვრთნის მეთოდოლოგია, დიდი ყურადღება მიექცა მოთამაშეთა საერთო ფიზიკურ მომზადებას. პირველად გამოყენებულ იქნა „სამი დამცველის“ სისტემა.

1939 წელს მოეწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება. თბილისის დინამოელებმა თამაშის ტაქტიკაში პირველად გამოიყენეს თავდასხმელთა ადგილების გადანაცვლება. მალე ეს ტაქტიკა გადაიღეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო გუნდებმა, ხოლო შემდეგში იგი ჩვენი ქვეყნის გარეთაც გავიდა. ამ პერიოდის საუკეთესო გუნდებად ითვლებოდა მოსკოვის „დინამო“, „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“. თბილისისა და კიევის „დინამო“ და სხვ. ამ დროის სახელგანთქმული ფეხბურთელები იყვნენ: გ. ფედოტოვი, ა. აკიმოვი, ძმები სტაროსტინები, ბ. პაიჭაძე, ა. პონომაროვი, ვ. გრანატკინი, მ. სემიჩასტნი და მრავალი სხვ.

სათხილამურო სპორტის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სათხილამურო გადასვლებს, რომლებიც ხშირად იმართებოდა ამ პერიოდში. იზრდებოდა მოთხილამურეთა რიცხვი და გამართულ შეჯიბრებათა რაოდენობა. პროფკავშირთა პირველობაში 1938 წელს 600 მოთხილამურე მონაწილეობდა, ხოლო საკავშირო პირველობაში — 800 კაცი. სათხილამურო კროსებში ათასობით და ათიათასობით სპორტსმენი მონაწილეობდა. ამაღლდა საბჭოთა მოთხილამურეების სპორტული ოსტატობა. 1939 წლის საკავშირო პირველობაზე ნაჩვენები იყო მაღალი შედეგები. სპორტის ოსტატმა ვ. მიაგკოვმა 1 საათისა და 16 წუთში 20 კმ გაიარა; ვ. სმიჩნოვმა 50 კმ გავლას მოანდომა 3 საათი, 19 წუთი და 53 წამი; მ. პოჩატოვამ 5 კმ დისტანცია დაფარა 22 წუთსა და 52 წამში. წარჩინებულ მოთხილამურეთა შორის აღსანიშნავი არიან აგრეთვე

3. ორლოვი, ა. კარპოვი, პ. დემენტიევი, დ. როსტოვეცივი, ზ. ბოლოტოვა და სხვ.

1938 წელს ვორონეჟში შედგა I საკოლმეურნეო ზამთრის სპარტაკიადა.

ამ პერიოდში საკმაოდ მაღალ განვითარებას მიაღწია საციგურაო სპორტმა. ჩქაროსნულ რბენაში სახელი გაითქვეს კ. კუდრიაეცემა, ი. ანიკანოვმა, ა. ლიუსკინმა, ე. ლეტჩფორდმა. ისინი საზღვარგარეთაც ღირსეულად იცავდნენ საბჭოთა სპორტის სახელს. ქალთა პირველობა მრავალკილის პროგრამით პირველად გაიმართა 1935 წელს. გამარჯვება მოიპოვა ვ. კუზნეცოვამ. შემდეგში წარმატებით გამოდიოდნენ ს. პარომოვა, მ. ვალოვოვა, მ. ისაკოვა, ტ. კარე-ლინა. კვლავ ბრწყინვალედ გამოდიოდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. მელნიკოვი, რომელმაც მარტო ხსენებულ პერიოდში სამჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ხშირად იმართებოდა შორეული გაცურვები. გაცურვათა შორის მოსახსენებელია 1930 წელს მდინარე მოსკოვზე გამართული გაცურვა 15 კილომეტრზე. ეს მანძილი მალინმა და ფაიზულინმა 4 საათსა და 55 წუთში დაფარეს. 1934 წელს შავ ზღვაში მალინმა 40.8 კილომეტრი გაცურა 13 საათსა და 52 წუთში.

ნიჩბოსნობა განსაკუთრებით ლენინგრადში ვითარდებოდა. შორეულ ლაშქრობათა შორის აღსანიშნავია 1939 წელს 16-ნიჩბიან ბარკასით მოწყობილი ლაშქრობა მურმანსკიდან მოსკოვში — ბარენცისა და თეთრი ზღვიდან თეთრი ზღვის არხით (5600 კმ).

საკმაო განვითარებას მიაღწია საიალქნო სპორტმა. 1934 წლიდან დაიწყო დიდი მასშტაბის შეჯიბრებათა ორგანიზაცია.

30-იანი წლები საბჭოთა ალპინიზმის სწრაფი განვითარების პერიოდი. საბჭოთა ალპინისტებმა მრავალი ასვლა მოაწყეს და დაიპყრეს კავკასიონის, ტიან-შანის, პამირის, ალტაის მწვერვალები. 1934 წელს შემოღებულ იქნა ნიშანი „I საფეხურის ალპინისტი“. იმავე წელს დაწესდა მეორე საფეხურის ნიშანი. ალპინიზმმა სოფლის ახალგაზრდობაც გაიტაცა, განსაკუთრებით საქართველოში (სვანეთი). სსრ კავშირში სახელი ჰქონდათ განთქმული ალპინისტებ ალ. ჯაფარიძეს, ე. აბალაკოვს, ნ. გორბუნოვს და სხვ.; ქალთაგან — ალექსანდრა ჯაფარიძეს.

ხსენებულ პერიოდში სსრ კავშირის სპორტსმენებს საერთაშორისო შეხვედრებში ჰქონდათ საზღვარგარეთელ სპორტსმენებთან. 1937 წელს ქ. ანტვერპენში გამართულ III მუშურ ოლიმპიადაში სსრ კავშირის ტანმოვარჯიშეებმა, მძლეოსნებმა, ძალოსნებმა, მოცუ-

რავეებმა და ფეხბურთელებმა დიდი წარმატება მოიპოვეს. ტანვარჯიშში სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა გუნდებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ვაჟთა შორის პირველობა მოიპოვა ნ. სერომ, ხოლო ქალთა შორის — მ. ტიშკომ. ძალოსნობაში გაიმარჯვეს ი. კუცენკომ და კ. ხაზაროვმა. მძლეოსნობაში პირველობდნენ მ. შამანოვა და ზ. სინიციკაია.

სხვა საერთაშორისო შეხვედრათა შორის აღსანიშნავია უკრაინელ ფეხბურთელთა შეხვედრა საფრანგეთის პროფესონალთა გუნდთან — „რედ სტარ“. ეს შეხვედრა, რომელიც 1935 წელს ქ. პარიზში ჩატარდა, დამთავრდა უკრაინელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 6 : 1.

აღსანიშნავია, აგრეთვე 1937 წელს ბასკონიის ფეხბურთელთა გუნდის ჩამოსვლა სსრ კავშირში. ამ გუნდმა მთელს ევროპაში გაითქვა სახელი და ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდე ევროპის ბევრი უძლიერესი გუნდი დაამარცხა. ამ გუნდმა ზედიზედ დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი“, „დინამო“, თბილისის „დინამო“ და მხოლოდ მოსკოვის სპარტაკთან წააგო თამაში ანგარიშით 2 : 6.

ფიზიკური კულტურის საკავშირო პარადები

ადგილობრივი მნიშვნელობის ფიზკულტურული პარადების ისტორია ჩვენს ქვეყანაში 1931 წლიდან იწყება. აღნიშნულ წელს „წითელი სპორტული ინტერნაციონალის“ ათი წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში, წითელ მოედანზე, მოეწყო ფიზკულტურელთა პირველი პარადი, რომელიც საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და მთავრობის წევრებმა მიიღეს. ასეთ პარადებს ჩვეულებრივ ამა თუ იმ მნიშვნელოვან თარიღებს უკავშირებდნენ და მათი მიზანი იყო ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მიღწეულ წარმატებათა დემონსტრაცია და ფიზიკური კულტურის ერთგვარი პროპაგანდა.

მეორე ადგილობრივი მნიშვნელობის პარადი მოსკოვში მოეწყო 1932 წლის მაისში. ამ პარადში 70 ათასი კაცი მონაწილეობდა. ასეთივე პარადი 1932 წელს გაიმართა ლენინგრადშიც. 1933 წელს მოსკოვში კვლავ მოეწყო ფიზკულტურელთა დიდი პარადი, რომელშიც 105 ათასი კაცი მონაწილეობდა, ხოლო ლენინგრადში გამართულ პარადში — 94 ათასი კაცი. ასეთივე პარადები ეწყობოდა სსრ კავშირის სხვა ქალაქებში.

1937 წლიდან საბჭოთა კავშირში იმართება ფიზკულტურელთა საკავშირო პარადები. 1937 წლის 12 ივლისს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წლისთავისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის აღსანიშნავად, მოსკოვში ჩატარდა ფიზ-

კულტურელთა პირველი საკავშირო პარადი ჩვენი ქვეყნის ყველა მოძვე რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობით. რესპუბლიკების დელეგაციათა ფიზკულტურულმა გამოსვლებმა თავისი მრავალფეროვნებით, მოხდენილობითა და სილამაზით დამსწრეთა აღტაცება გამოიწვიეს.

ფიზკულტურელთა მეორე საკავშირო პარადი ჩატარდა 1938 წლის ზაფხულზე მოსკოვში. იგი მიეძღვნა საკავშირო რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებს და ლენინური კომკავშირის 20 წლისთავს.

1939 წელს სსრ კავშირის მთავრობამ დააწესა „ფიზკულტურელის საკავშირო დღე“. პირველად ეს დღე აღინიშნა 1939 წლის 18 ივლისს მრავალი ფიზკულტურული ღონისძიებებით ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკებში, ხოლო მოსკოვში ჩატარდა ფიზკულტურელთა მესამე საკავშირო პარადი.

დიდ სამამულო ომამდე, 1940 წელს კიდევ ერთი საკავშირო პარადი ჩატარდა. მიმდინარეობდა სამზადისი პარადის 1941 წელს ჩატარებისათვის, მაგრამ ომის დაწყებასთან დაკავშირებით იგი არ შედგა.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად შეაფასეს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიღწევები. საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სპორტული საზოგადოებები „დინამო“ და „სპარტაკი“ დაჯილდოებულ იქნენ ლენინის ორდენით, ბელორუსიის ფიზკულტურის ტექნიკუმი --- მშრომის წითელი დროშის ორდენით, ხოლო 50 სპორტის საუკეთესო ოსტატი და ფიზკულტურის მუშაკი — სსრ კავშირის სხვადასხვა ორდენებით. უფრო ადრე ლენინის ორდენით დაჯილდოებული იყვნენ მოსკოვის ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტი და ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტი.

მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა

სკოლაში ფიზიკურ აღზრდას შესამჩნევი გამოქობესება დაეტყო იმის შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა კანონი საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ. ამ კანონის საფუძველზე გადაისინჯა სკოლის სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობა. ახლად გამოცემულ პროგრამებში ფიზიკურ აღზრდაზე გავალისწინებული იყო თითოეულ ჯგუფზე კვირაში 2 საათი. ფიზიკური აღზრდის ახალი პროგრამის შემოღებასთან ერთად დაწესდა საშუალო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების ნორმატიული მოთხოვნა.

„იმშთ“ კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით გაცხოველდა

მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა სკოლაში. ფართოდ გაიშალა სპორტული მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობაში. გაიზარდა სასკოლო ფიზკულტურის წრეების რაოდენობა. იმართებოდა მოსწავლეთა სასკოლო, საქალაქო და სრულიად საქავშირო შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობებში. ასე. მაგალითად, 1935 წელს პირველად ჩატარდა დიდი მასშტაბის საქავშირო შეჯიბრება სათხილამურო და საციგურაო სპორტში, ხოლო 1936 წელს — ტანვარჯიშში. ამ უკანასკნელ შეჯიბრებაში ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა კარგი, მომზადება გამოამჟღავნეს. 1937 წელს ჩატარებული ტანვარჯიშის საქავშირო შეჯიბრების მასშტაბი კიდევ უფრო დიდი აღმოჩნდა. წინასწარ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 160 ათასმა ნორჩმა ტანმოვარჯიშემ.

მოსწავლე ახალგაზრდობაში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მძლეოსნობაც. ხშირად იმართებოდა საქავშირო შეჯიბრებები მძლეოსნობასა და სპორტულ თამაშობებში. 1937 წელს ჩატარებულ მოსწავლეთა სრულიად საქავშირო შეჯიბრებაში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების რაოდენობა 3000-ს აღემატებოდა. მალე ფიზიკური კულტურის საქავშირო კომიტეტმა დააწესა „სსრ კავშირის გარდამავალი თასი“ მოზარდთა გუნდებისათვის.

1935 წლიდან მოსწავლეთა თვითმოქმედ მოძრაობაში ფართო გამოყენება ჰპოვა ველოსპორტმა, სპორტის ზამთრის სახეობებმა, ტურიზმმა, სასროლო სპორტმა და სხვ.

მაგრამ გარკვეულ მიღწევებთან ერთად ფიზიკურ კულტურას სკოლაში ახასიათებდა მთელი რიგი ნაკლოვანებანი. სკოლებს საკმაო რაოდენობით ჯერ კიდევ არ გააჩნდა მასწავლებელთა კადრები, სკოლების საგრძნობი რაოდენობა ვერ იყო უზრუნველყოფილი სპორტული ბაზებით და ინვენტარით, სუსტად იყო დაყენებული საქიმო კონტროლი და ა. შ. სამწუხაროდ, განათლების ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ამ დიდად მნიშვნელოვან საქმეს და სათანადოდ ვერ ათვისებდნენ ფიზიკურ აღზრდას. ამის გამო გაზეთი „პრავდა“ 1940 წელს წერდა: „განათლების კომისარიატებმა უმართებულოდ, სრულიად უსაფუძვლოდ და მტკიცედ დაივიწყეს ფიზიკური კულტურა, რომელიც დაყვანილია მეორეხარისხოვანი, არასავალდებულო დისციპლინის საფეხურამდე. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ათასობით სკოლას არც კი გააჩნია ფიზიკური კულტურის მასწავლებელი“. აღნიშნავს რა ასეთ მდგომარეობას, „პრავდა“ ასკვნის: „სახალხო განათლების ორგანოთა სკოლების მუშაობის ერთ-ერთ ძირითად საზომად უნდა გახდეს მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება“.

ამის შემდეგ განათლების ორგანოებმა რამდენადმე იბრუნეს პირი ფიზიკური აღზრდისაკენ.

ხსენებულ პერიოდში გაუმჯობესდა ფიზკულტურული მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებშიც.

ჩერ კიდევ 1929—1930 სასწავლო წლიდან მთავრობის დადგენილებით ფიზიკური აღზრდა შემოღებული იყო უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც სავალდებულო საგანი. ამან გააუმჯობესა სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა, ამასთან ხელი შეუწყო მასობრივ-სპორტული მუშაობის გაშლას. სსრ კავშირის ყველა დიდი ქალაქის ფიზიკური კულტურის საბჭოებთან დაარსებულ იქნა სტუდენტთა სპორტული სექციები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევდნენ უმაღლეს სასწავლებელთა შორის სპორტული შეჯიბრებების ჩატარებას.

ამ პერიოდში მოხდა საშუალო და უმაღლესი სკოლების ფიზიკური აღზრდის პროგრამების გადამუშავება „მშმთ“ კომპლექსის საფუძველზე.

| | |
|---|--|
| ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება მოკავშირე რესპუბლიკებში | კომუნისტური პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებამ ხელი შეუწყო სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის სწრაფ განვითარებას. |
|---|--|

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დარგში დაწინაურდა და გაძლიერდა რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა. რსფს რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების საქმეში. 1941 წლის იანვრისათვის რსფს რესპუბლიკაში არსებობდა 33682 ფიზკულტურის კოლექტივი, რომლებიც 1 მილიონ 600 ათას ფიზკულტურელს აერთიანებდა. რესპუბლიკაში 1940 წელს ირიცხებოდა „მშმთ“ I საფეხურის ნიშნოსანი—2 მილიონ 876 ათასი, II საფეხურის—25 ათასამდე და „იმშმთ“—398 ათასი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებით უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა. 1940 წელს რესპუბლიკაში არსებობდა 14.500-მდე ფიზკულტურის კოლექტივი, რომლებიც აერთიანებდა 809 ათას ფიზკულტურელს.

დიდი გავრცელება ჰქონდა უკრაინაში ფეხბურთს. განვითარება ჰპოვა ძალოსნობამ. უკრაინას გააჩნდა ბევრი ძლიერი ძალოსანი — გ. პოპოვი, ი. კუცენკო, ე. ხოტიმირსკი, მ. კასიანიკი და სხვ. 42 საკავშირო რეკორდიდან 15 უკრაინელ ძალოსნებს ეკუთვნოდა. კარგი მიღწევები ჰქონდათ უკრაინელ მძლეოსნებსაც. მათ შორის სახელი

გათქვეს გ. რაევსკიმ და ზ. სინიციამ. დაწინაურდნენ უკრაინელი ტანმოვარჯიშენი. ხსენებულ პერიოდში ტანვარჯიში ომდენად განვითარდა, რომ 1938 წელს სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში უკრაინელ ტანმოვარჯიშეთა კოლექტივმა I ადგილი დაიკავა.

ფიზკულტურული მოძრაობის ზრდა ბელორუსის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 30-იან წლებში. სამამულო ომის წინ ბელორუსიაში 3200-ზე მეტი ფიზკულტურის კოლექტივი მოიპოვებოდა. ფიზკულტურელთა რიცხვი 300 ათას კაცამდე აღწევდა. რესპუბლიკაში გაიშალა ფიზკულტურულ ნაგებობათა მშენებლობა.

ხსენებულ პერიოდში სწრაფად ვითარდებოდა ფიზკულტურული მოძრაობა უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. რესპუბლიკა უზრუნველყოფილი იყო ფიზკულტურული ნაგებობებით. აქ აგებული იყო 20 სტადიონი, 540 სპორტული მოედანი, 55 სატანვარჯიშო ბაქანი, 2 წყლის სადგური, 1 ველოტრეკი, 62 სატანვარჯიშო დარბაზი და სხვ. რესპუბლიკაში იზრდებოდნენ ნიჭიერი სპორტსმენები.

30-იან წლებში მასობრივი ხასიათი მოიპოვა ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. 1935 წელს რესპუბლიკაში 63 ათასი ფიზკულტურელი ირიცხებოდა, ხოლო 1940 წელს მათი რაოდენობა 137 ათასს აღემატებოდა. განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ყაზახეთში სპორტის ნაციონალურმა სახეობებმა (ჭიდაობა, საცხენოსნო სპორტი და სხვ.).

ერთ-ერთი პირველი ადგილი სპორტის განვითარებაში ეჭირა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ამ დროს ტანვარჯიში. საქართველოს ტანმოვარჯიშენი უძლიერესნი იყვნენ სსრ კავშირში. 1933 და 1934 წლებში ტანვარჯიშში საკავშირო პირველობის ჩემპიონი გ. რცხილაძე იყო, ხოლო 1938 წელს კვლავ თავი ისახელეს ჩვენმა მოვარჯიშეებმა. სსრ კავშირში სახელი გაითქვეს აგრეთვე ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა ა. ჯორჯაძემ, ლ. ყანჩაველმა, კ. ზაუტაშვილმა, გ. ბაბილოძემ, ნ. თაყაიშვილმა და სხვ.

აღსანიშნავია საქართველოს მძლეოსანთა მღწევეებიც. სხვადასხვა დროს სსრ კავშირის რეკორდსმენები იყვნენ მძლეოსნები ე. გოკელი, ი. დუმბაძე, დ. იოსელიანი და სხვ. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი თავიდანვე სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია. იგი II და III საპრიზო ადგილებზე გამოდიოდა. სსრ კავშირის თასზე გათამაშებაში გუნდი რამდენჯერმე ფინალში გამოვიდა. საუკეთესო ფეხბურთელები იყვნენ ბ. პაიჭაძე, შ. შავგუ-

ლიძე, გ. ჭეჭელავა, მ. ბერძენიშვილი, ა. დოროხოვი და სხვ. სსრ კავშირში კარგად იყვნენ ცნობილი სრულიად საკავშირო პირველობის ჩემპიონები და პრიზორები: მოქიდავეები მ. ჩიხლაძე, ლ. ძეკონსკი, ვ. მაჩკალაიანი და სხვ.; მოკრივეები — ლ. ლუდუშაური, ა. ნავასარდოვი, შ. გორგასლიძე და სხვ.; ძალოსნები — მ. ჟლენტი, მ. კასიანიკი, პ. გუმაშიანი და სხვ.

სათანადო პირობები ხელს უწყობდა საქართველოში ალპინიზმის განვითარებას. მთელს სსრ კავშირში ცნობილი გახდნენ საქართველოს ალპინისტები გ. ნიკოლაძე, ალიოშა ჭაფარიძე, ალექსანდრა ჭაფარიძე, ი. კაზალიკაშვილი, კ. მარი, ს. გვალია და მრავალი სსკ. ფართო გასაქანი ჰპოვა ამ პერიოდში სპორტის ეროვნულმა სახეობებმა.

1936 წელს საქართველოს სპორტსმენებს 25 საკავშირო რეკორდი ქონდათ დამყარებული. უფროს სპორტსმენებს მოზარდებიც არ ჩამორჩებოდნენ. საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები საკმაოდ უზრუნველყოფილი იყვნენ სპორტული ბაზებითაც.

ფიზიკური კულტურის მასობრივი განვითარება აზერბაიჯანში დაიწყო 30-იან წლებში. სამამულო ომის დაწყების წინ აზერბაიჯანში ითვლებოდა 2036 ფიზკულტურის კოლექტივი, რომლებშიც 31 ათასი ფიზკულტურელი იყო გაერთიანებული. 1940 წელს აზერბაიჯანში მომზადებული იყო 14 სპორტის ოსტატი, 101 I თანრიგის სპორტსმენი. რესპუბლიკას გააჩნდა 2 დიდი სტადიონი. 300 ფრენბურთის, 50 კალათბურთის, 65 ფეხბურთის მოედანი, 15 კომბინირებული მოედანი, 3 წყლის სადგური.

1940 წელს ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ითვლებოდა ფიზკულტურის 442 კოლექტივი, რომლებშიც მეცადინეობდა 20 ათასი ფიზკულტურელი. პოპულარობით სარგებლობდა ალპინიზმი და სამთო-სათხილამურო სპორტი. პარალელურად ვითარდებოდა სპორტის სხვა სახეობებიც. გავრცელებული იყო აგრეთვე სპორტის ეროვნული სახეობებიც.

მშობ კომპლექსის შემოღების შემდეგ ფიზკულტურული მოძრაობა სომხეთში უფრო სწრაფად განვითარდა. 30-იან წლებში სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში განსაკუთრებით ძალოსნობა ვითარდებოდა. მთელ სსრ კავშირში სახელი გაითქვეს ცნობილმა რეკორდსმენებმა ს. ამბარკუმიანმა, რ. მანუკიანმა და ი. აზდაროვმა, მოკრივემ ა. პაპაიანმა. სომხეთში კარგ შედეგებს მიღწიეს ველოსიპედისტებმა და ტანმოვარჯიშეებმაც.

მეცნიერული გამო-
კვლევები ფიზიკური
აღზრდისა და სპორ-
ტის დარგში

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში
მეცნიერულ გამოკვლევათა შემდგომი განვითა-
რებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დი-
დი რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის შრომებს.
მისმა მოწაფემ პროფესორმა ა. ნ. კრესტოვნიკოვ-

მა შეისწავლა ფიზიკურ ვარჯიშობათა გავლენა ადამიანის ორგანიზმ-
ზე და დაამუშავა სპორტის ფიზიოლოგია. კრესტოვნიკოვის სახელმ-
ძღვანელო სპორტულ ფიზიოლოგიაში მეორედაა გამოცემული ჩვენს
ქვეყანაში.

პროფესორმა მ. ფ. ივანიცკიმ ადამიანის ანატომიის შესწავლა
დაუყავშირა სპორტის სხვადასხვა სახეობებში სწავლებისა და
წვრთნის მეთოდებს და შექმნა ანატომიის სახელმძღვანელო ფიზ-
იკულტურის ინსტიტუტებისათვის.

სამკურნალო ფიზიკულტურისა და სპორტული მასაჟის დარგში
დიდი შრომა გასწია პროფესორმა ი. მ. სარკიზოვ-სერაზინიმ. მისი
შრომები გამოცემულია ცალკე წიგნებად და დიდ ღირებულებას წარ-
მოადგენს.

ფიზიკური აღზრდის თეორიასა და მეთოდებაში თავისი შრომე-
ბი გამოაქვეყნეს ვ. ვ. ბელინოვიჩმა და ა. დ. ნოვიკოვმა.

სპორტული წვრთნის პრობლემებს მიეძღვნა მეცნიერული კვლე-
ვები პროფესორ ვ. ვ. გორინევისკის ხელმძღვანელობით.

გამოჩენილი რუსი პედაგოგი ა. ს. მაკარენკო
თავის პედაგოგიურ სისტემაში დიდ როლს ანი-
ჭებს მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას. ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენ ადამიანში ვა-
ფასებთ — ეს არის ღონე და სილამაზე. — ამბობს მაკარენკო თავის
„პედაგოგიურ პოემაში“. თავის მდიდარ პრაქტიკაში იგი ფართოდ
იყენებდა თამაშობებს. ტანვარჯიშს და სამხედრო ხასიათის ვარჯი-
შობებს. გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, შრომითი და ესთეტიკური
აღზრდას მაკარენკო ერთ მთლიან პედაგოგიურ პროცესში ახორციე-
ლებდა.

მაკარენკო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თამაშობებს.
ბავშვთა თამაშობების განვითარებაში მაკარენკო სამ სტადიას არ-
ჩევდა:

პირველი სტადია გრძელდება 5-6 წლამდე — ეს არის ოთახის
თამაშობათა (სათამაშოების) ხანა. ეს პერიოდი ხელს უწყობს ბავ-
შვის ფსიქიკური უნარიანობის (აღქმის, ყურადღების, აზროვნების,
წარმოსახვის) ფორმირებას. ამგვარი თამაშობები უმთავრესად ინდი-
ვიდუალური ხასიათისაა.

მეორე სტადია გრძელდება 11-12 წლამდე. თამაშობებს ამ ასაკში უკვე კოლექტიური ხასიათი აქვთ, ეს უკვე ბავშვთა საზოგადოებაა, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არაა არც მკაცრი დისციპლინა და არც საზოგადოებრივი კონტროლი.

მესამე სტადიაში — 12 წლის ზევით — ბავშვი უკვე სკოლის კოლექტივის წევრია. აქ თამაშობებს უფრო ორგანიზებულ, კოლექტიური ფორმა აქვთ და ისინი თანდათან სპორტულ თამაშობათა ხასიათს ღებულობენ. მათ უკვე გარკვეული ფიზკულტურული მიზანი აქვთ დასახული. გააჩნიათ მკაცრი წესები და, რაც მთავარია, აქ უკვე სუფევს კოლექტიური ინტერესებისა და კოლექტიური დისციპლინის გაგება.

მაკარენკოს გაგებით, მომავალი მოღვაწის აღზრდა უწინარეს ყოვლისა წარმოებს თამაშობათა საშუალებით, ამიტომაც თამაშობას უნდა ხელმძღვანელობდნენ. ხელმძღვანელმა თამაშობის პროცესში უნდა აღზარდოს და გამოიმუშავოს ბავშვებში მომავალი მოქალაქისათვის საჭირო თვისებები, ამიტომაც თამაშობა უნდა იყოს აქტიური. ამის გარეშე მაკარენკოს თამაშობა უვარგისად მიაჩნია. მხოლოდ წესიერად ორგანიზებული თამაშობა მოიტანს საჭირო სარგებლობას. ხელმძღვანელი უნდა ცდილობდეს თამაშის პროცესში აღზარდოს წარმოსახვა, აზროვნების გაქანება, სიძნელეთა დაძლევა, შრომითი ჩვევები.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მაკარენკო სპორტს. მისი აზრით სპორტისადმი სიყვარულს მართო სკოლა და ბავშვთა ორგანიზაციები კი არ უნდა უნერგავდნენ ბავშვებს, არამედ ოჯახიც. ყოველი ოჯახი უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვებს აინტერესებდეს სპორტი და აქტიურად ებმებოდეს პრაქტიკულ მეცადინეობაში. იგი მშობლებსაც მოუწოდებს აუცილებლად ივარჯიშონ სპორტის რომელიმე სახეობაში და სინანულს გამოსთქვამს, რომ თუ მამები ეგუებიან სპორტს, დედებს იშვიათად თუ აქვთ რაიმე საერთო სპორტთან მაშინ, როდესაც ახალგაზრდა დედისათვის იგი მეტად საჭირო და სასარგებლოა.

მაკარენკოს პედაგოგიურ გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს.

როგორც თავის შრომებში, ისე პრაქტიკულ მოღვაწეობაში ნ. კ. კრუპსკაია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ აღზრდას.

ჯერ კიდევ რეაქციის წლებში კრუპსკაია მოწინავე პედაგოგებს მოუწოდებდა ებრძოლათ ახალი სკოლის იდე-

ნ. კ. კრუპსკაია ფიზიკური აღზრდის შესახებ

ებისათვის და იგი მისაწვდომი გაეხადათ საზოგადოების პროგრესული ნაწილისათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე კრუპსკაია აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის განათლების კომისარიატის მუშაობაში, ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, რედაქტორობდა ჟურნალებს. სცემდა წიგნებს! კრუპსკაია ამავე დროს პიონერთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო.

კომუნისმისათვის მომავალი მებრძოლისა და კოლექტივისტის აღზრდა, კრუპსკაიას აზრით, სკოლას უნდა განეხორციელებინა. მას უნდა აღეზარდა ყოველმხრივად განვითარებული და დისციპლინიანი ადამიანი, რომელიც საღად იაზროვნებდა და ორგანიზებულად იმოქმედებდა. კრუპსკაიას შეხედულებით ასეთი ადამიანი უნდა იყოს ძლიერი, გამოწრთობილი, მოქნილი, ფიზიკურად მომზადებული. მას უნდა შეეძლოს დიადი სამშობლოსათვის ბრძოლა.

აღზრდის საუკეთესო საშუალებად კრუპსკაიას მიაჩნდა თამაშობები. კრუპსკაია გამოდიოდა პრესაში და თათბირებზე, მოითხოვდა ბავშვთა მოედნების მოწყობას, თამაშობათა გამართვას და ამ ღონისძიებებში პედაგოგების, მშობლებისა და ახალგაზრდობის ჩაბმას.

თამაშობა კრუპსკაიას მიაჩნდა არა მარტო ფიზიკური აღზრდის საშუალებად, არამედ სწამდა, რომ იგი ხელს უწყობდა შრომისათვის ბავშვების მომზადებას და კოლექტივიზმის აღზრდას. თამაშობის წინაშე კრუპსკაია ფართო პედაგოგიურ ამოცანებს სახავედა. მისი შეხედულებით საქმე ისე უნდა ყოფილიყო დაყენებული, რომ მათ ხელი შეეწყობთ ბავშვების კომუნისტურად აღზრდისათვის. კრუპსკაია აღნიშნავდა, რომ თამაშობები ხელს უწყობდნენ ბავშვთა ამხანაგურ და მეგობრულ შეკავშირებას, კოლექტივიზმის გრძნობისა და შეგნებული დისციპლინის განვითარებას. თამაშობას იგი დიდ განმანათლებელ მნიშვნელობას ანიჭებს, — იგი აცნობს ბავშვებს გარემოს და მის მოვლენებს, აფართოებს ბავშვების გონებას და ცოდნას. კრუპსკაია მოითხოვდა, რომ თამაშობების ხელმძღვანელებს სათანადო ცოდნა და მომზადება ჰქონოდათ. იგი მოითხოვს თამაშობების კარგად შერჩევას.

ფიზიკური კულტურა და სპორტი დიდი სამამულო ომის წლებში (1941—1945 წწ.)

სსრკ კავშირზე გერმანელ-ფაშისტთა ვერაგულმა თავდასხმამ 1941 წლის ივნისში საშიშროება შეუქმნა ჩვენს სამშობლოს. კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა ხალხს მოუწოდა დარაზმულიყო მტერთან საბრძოლველად და მთელი თავისი მუშაობა სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა.

პარტიის მოწოდებამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა საბჭოთა ადამიანების გულებში და უმოკლეს ხანში ჩვენი ქვეყნის მრეწველობა, ყველა სახელმწიფოებრივმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ გარდაქმნა თავისი მუშაობა საომარ ყაიდაზე.

მუშაობა გარდაქმნეს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმაც, რომელთა უმთავრეს ამოცანებს სამამულო ომის პირობებში შეადგენდა ფრონტისათვის დახმარების აღმოჩენა საბჭოთა არმიის საბრძოლო რეზერვების მომზადების საქმეში. დაკრილ მებრძოლთა ბრძოლისუნარიანობის აღდგენა სამკურნალო ფიზკულტურის საშუალებით. მაგრამ ფიზკულტურულ მოძრაობას სხვა ამოცანებიც ჰქონდა დაკისრებული: ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცება. სპორტული მუშაობის გაშლა და სპორტული ოსტატობის ამაღლება. ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა ახალი კადრების ჩაბმა, ფიზკულტურელთა მოწინავე როლის უზრუნველყოფა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მტრის ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი დახმარება, ჭარში გაწვეულთა ოჯახებისადმი დახმარება და სხვ.

დიდი სამამულო ომის წლებში ფიზკულტურული მოძრაობა საყოველთაო-სამხედრო სწავლების განუყოფელი ნაწილი გახდა. ადგილებზე საყოველთაო-სამხედრო სწავლების შემოღებისთანავე (1941 წლის ოქტომბერი) შეიქმნა საყოველთაო-სამხედრო სწავლების განყოფილებები სამხედრო კომისარიატებთან და სამხედრო-სასწავლო პუნქტება, რომლებიც მოსახლეობის სამხედრო და ფიზიკური მომზადების ცენტრებად იქცა.

სამხედრო-სასწავლო პუნქტებმა სამამულო ომის წლებში ასიათ-

სობით მებრძოლი და ოფიცერი მოამზადეს, რომელთაგან ბევრმა თავი ისახელა გერმანულ-ფაშისტებთან გამბრუნებულ ბრძოლაში.

მშრომელთა სამხედრო მომზადებისათვის შექმნილი იყო მძლავრი მატერიალური ბაზა. სამხედრო-სასწავლო პუნქტების ფართო ქსელი სავსებით უზრუნველყოფდა ყველა იმ მოქალაქის მომზადებას, რომელნიც ვალდებული იყვნენ სამხედრო მომზადება გაეცლით. ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციები აქტიურ დახმარებას უწევდნენ საყოველთაო სამხედრო მომზადების პუნქტებს მებრძოლთა ფიზიკური მომზადების საქმეში. ხსენებულმა პუნქტებმა სამამულო ომის წლებში ფიზკულტურული ორგანიზაციების დახმარებით ასიათასობით მოფარაკავე, ყუმბარმტყორცნელი, მოცურავე, მოთხილამურე, მთასვლელი, მშმთ კომპლექსის ნიშნოსნები მოამზადეს. საყოველთაო-სამხედრო სწავლების მებრძოლთათვის სისტემატურად იმართებოდა შეჯიბრებები, სპარტაკიადები, კროსები.

ლენინგრადში, ბლოკადის მძიმე პირობებში, ნებაყოფლობით სპორტული ორგანიზაციების მწვრთნელები და ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებლები საზოგადოებრივ ინსტრუქტორებად მუშაობდნენ სამხედრო-სასწავლო პუნქტებზე.

საყოველთაო-სამხედრო სწავლების მებრძოლთა სამხედრო-ფიზიკური მომზადებისათვის სპორტის ეროვნული სახეებიც იყო გამოყენებული. მაგალითად, საქართველოს ბევრ პუნქტებზე ჩამოყალიბდა საცხენოსნო სპორტის სკოლები წვევამდელთა მოსამზადებლად. საქართველოსა და ყაზახეთში მოწესრიგებული იყო ალპინისტების სამზადისი. 1941 წლის შემოდგომაზე საქართველოს ალპინისტებმა ჩაატარა წვევამდელთა გასამხედროებელი ლაშქრობები კავკასიონის მწვერვალებზე ასვლით. ამ ლაშქრობებში ორასამდე წვევამდელმა მიიღო მონაწილეობა. ალპინიზმის ინსტრუქტორთა ახალი კადრების მოსამზადებლად 1942 წელს საქართველოში სპეციალური სკოლა მოეწყო. ამგვარი სკოლა გაიხსნა ყაზახეთშიც.

ასეთივე სამზადისი წარმოებდა სათხილამურო სპორტსა და სხვა სახეობებში ინსტრუქტორთა კადრების მომზადების მიზნით. სამთო-სათხილამურო სპორტისათვის კადრების მომზადება წარმოებდა საქართველოში. ციმბირსა და ურალზე მხოლოდ ერთი საზამთრო სეზონის (1941—1942 წწ.) მანძილზე მომზადებული იყო სათხილამურო სპორტის 13 ათასი ინსტრუქტორი.

საქართველოს თოვლიან რაიონებში შეიქმნა სამთო-სათხილამურო შენაერთები. მაგალითად, 1942 წელს დუშეთის რაიონსა და ზემო სვანეთში შეიქმნა სამთო-სათხილამურო რაზმები საბჭოთა არმიის დასახმარებლად.

მოსახლეობის სამხედრო-ფიზიკურ მომზადებაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის 28 ათასზე მეტი ფიზკულტურის კოლექტივი. დიდი მუშაობა ჩატარეს ამ წაზით პროფკავშირთა ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა და აგრეთვე საზოგადოება „დინამომ“ და „სპარტაკმა“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლენინგრადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მუშაობა საბჭოთა არმიისათვის რეზერვების მომზადების საქმეში. დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული აგრეთვე მოსკოვისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტების მიერ.

საბჭოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენები. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე

საბჭოთა ხალხი, როგორც ერთი კაცი, აღდგა საყვარელი სამშობლოს დასაცავად. ყველას კარგად ესმოდა, რომ ეს იყო ჭეშმარიტად სამამულო ომი, ომი სამშობლოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მამულმა მილიონობით თავისი შვილი გაგზავნა ომში. მათ შორის

ყოფიდა როდი იყო საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის წარმომადგენელი. მრავალმა მათგანმა ისახელა თავი პიტლერულ ურდობთან შეუპოვარ ბრძოლებში. ბევრმა ფიზკულტურელმა და სპორტსმენმა გმირულად შესწირა თავისი სიცოცხლე საყვარელ სამშობლოს.

ჩვენი ქვეყნის მრავალი ათასი სპორტსმენი მოხალისედ წავიდა ბრძოლის ველზე. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი სპორტსმენები: სსრ კავშირის ჩემპიონები კრიევი ლ. თეიმურიანი, ნ. კოროლიოვა, ნ. შტეინი, მოციგურავე ა. კაპჩინსკი, მოთხილამურე ქალო ლ. კულაკოვა, მოჭიდავე გ. პილნოვი, ნიჩბოსანი ა. დოლგუშინი და მრავალი სხვ.

მრავალ ბრძოლაში ისახელა თავი მოსკოველმა ტანმოვარჯიშემ გენერალმაიორმა გ. ბაკლანოვმა. მას სსრ კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. სამგზის სსრ კავშირის გმირი ა. პოკრიშკინი თვითონვე აღიარებდა, რომ იგი კარგად გაწვრთნილი სპორტსმენი როცა არ ყოფილიყო, ვერ გადაიტანდა საჭაერო ბრძოლებთან დაკავშირებულ ესოდენ დიდ დაძაბვას.

მხურვალე პატრიოტიზმი, გამბედაობა და ვაჟკაცობა გამოიჩინეს სამამულო ომში მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა. სამშობლომ მაღალი შეფასება მისცა მათ თავგანწირულ მოქმედებას და 150-ზე მეტი კაცი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით, ხოლო ექვს კაცს მიენიჭა სსრ კავშირის გმირის წოდება. ესენი იყვნენ — ინსტიტუტის მასწავლებელი მ. მეშჩერიაკოვი, კომკავშირის კომიტე-

ტის მდინის მოადგლე ბ. გალუშკინი, სტუდენტები ო. სმირნოვი, ა. კუდანოვსკი, ეფრემოვი და ლობანოვი.

ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის 300-ზე მეტი სტუდენტი მოხალისედ გაემგზავრა ფრონტზე. მათ შექმნეს პარტიზანული რაზმები, რომლებიც ანადგურებდნენ მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას, თავს ესხმოდნენ გერმანელთა აეროდრომებს, აფეთქებდნენ ზიდებს, ეშვლონებს და სხვ. მთავრობამ ლენინგრადის ინსტიტუტი დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით. დაჯილდოებული იქნენ აგრეთვე სტუდენტებიც.

სსრ კავშირის გმირი გახდა უშიშარი მფრინავი, წარსულში ფეხბურთელი ა. ანპილოვი. ათასობით სპორტსმენი იბრძოდა უკრაინასა და ბელორუსიაში მოქმედ პარტიზანულ რაზმებში. ბელორუსიის სპორტსმენებს ა. გოროვეცს, ნ. იშუტინს, პ. მიშეროვს, გ. ტოკუევს, ვ. ლივინცევს მიენიჭათ სსრ კავშირის გმირის წოდება.

ყაზახეთის მრავალი სპორტსმენი თავგამოდებით იბრძოდა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ. ბევრი მათგანი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით. ყაზახეთის სპორტსმენები მ. მამეტოვი, მ. გაბდულინი, ტ. ბეგელდინოვი ღირსნი გახდნენ სსრ კავშირის გმირის წოდებისა.

სომხეთის სპორტსმენები ნ. სტეფანიანი ორგზის სსრ კავშირის გმირი გახდა. სსრ კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ აგრეთვე სომხეთის სპორტსმენებს უ. ავეტიანიანს, ს. ათანესიანს. ა. საფარიანს, გ. გასპარიანს, ო. სუვარიანს.

კავკასიის დაცვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ალპინისტები. მათ შეასწავლეს მთასვლელობის ტექნიკა საბჭოთა არმიის ნაწილებს, აქტიურად მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციების მომზადებასა და ჩატარებაში. ქართველი ალპინისტები და მათ მიერ აღზრდილი კადრები მამაცურად იბრძოდნენ შემდეგში კარპატების მთებსა და ნორვეგიაში.

ასოცდაცხრა სსრ კავშირის გმირი მისცა სამშობლოს ქართველმა ხალხმა. მათ რიგებში არა ერთი სპორტსმენია: ცნობილი პარტიზანი, მოჭიდავე დ. ბაქრაძე, გულადი მოჭირითე მ. ქანთარია, რომელმაც რუსი ხალხის შვილთან მ. ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა ბერლინში რეიხსტაგის შენობაზე, ტანმოვარჯიშე ი. ციციშვილი, ფეხბურთელები წიქარიძე და ნ. ურუშაძე, ძალოსანი ბალაშვილი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი. ვ. ლეჟავა, სპორტსმენები თ. ჯაფარიძე, ვ. ხარაზია, გ. მერკვილაძე, ლ. ჩუბინიძე და სხვ.

ფიზკულტურული
ორგანიზაციების მო-
ნაწილეობა დაჭრილ
მებრძოლთა გან-
მრთელობის აღდგე-
ნაში

სახელოვანი საბჭოთა არმიისათვის რეზერვე-
ბ-ს მომზადებასთან ერთად ფიზკულტურული
ორგანიზაციების წინაშე იდგა მეორე სახელმწი-
ფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა — ავადმყოფ
და დაჭრილ მებრძოლთა განმრთელობის აღდგენა
სამკურნალო ფიზკულტურის საშუალებით. სა-
მკურნალო ფიზიკური კულტურა სამამულო ომის

პერიოდში ფართოდ იყო გამოყენებული სამხედრო პოსპიტლებში.
როგორც დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლთა განმრთელობის აღდგე-
ნის საშუალება. ამ მხრივ საევაკუაციო პოსპიტლებში დიდი მუშა-
ობა ჩატარეს განმრთელობის სახალხო კომისარიატებმა, რომლებ-
მაც სპეციალური ბაზა შექმნეს საჭირო კადრების მოსამზადებლად.
სამკურნალო ფიზკულტურის დარგის მუშაკთათვის განმრთელობის
კომისარიატები იწვევდნენ თათბირებსა და კონფერენციებს. მოწეს-
რიგებული იყო სათანადო ლიტერატურის გამოცემა. ჩვენი ქვეყნის
ტერიტორიაზე მდებარე პოსპიტლებში სხვადასხვა პროცედურაში
ჩაბმული იყო ომის ბოლო წელს დაჭრილ და ავადმყოფ მებრძოლ-
თა 88%.

სამკურნალო ფიზკულტურის დარგში დიდი მუშაობა ჩატარეს
ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა (მათ შორის ფიზ-
კულტურულმა სასწავლებლებმაც). ფიზიკური კულტურის ინსტი-
ტუტებში გაძლიერებული იყო სამკურნალო ფიზკულტურის კურსის
სწავლება. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები გადიოდნენ
სამკურნალო ფიზკულტურის სათანადო პრაქტიკას. გარდა ამგვარი
პრაქტიკისა, საშეფო მუშაობის წესით სტუდენტები მომსახურებას
უწევდნენ ევაკოპოსპიტალებს. მაგალითად, თბილისის ფიზიკური
კულტურის ინსტიტუტი შეფობას უწევდა მთელ რიგ პოსპიტლებს,
რომლებსაც დირექციამ მიამაგრა ბრიგადები. სტუდენტები დაჭრილ
და ავადმყოფ მებრძოლებთან ატარებდნენ დილის ჰიგიენურ ტან-
ვარჯიშს, ინდივიდუალურ მეცადინეობას ექიმების მითითებით, სპე-
ციალურ მეცადინეობას აწარმოებდნენ გამოჯანმრთელების გზაზე
დამდგარ მებრძოლებთან და სხვ. ამგვარი ღონისძიებებით თბილისის
ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა (რომელთა რიცხვი ომის
დროს 52-მდე დავიდა და ისიც თითქმის მხოლოდ ქალებისაგან შე-
დგებოდა) მარტო 1942-43 სასწავლო წელს მომსახურება გაუწიეს
12 ათასზე მეტ დაჭრილ მეომარს. გარდა ამისა, ინსტიტუტი საშეფო
პოსპიტლებს ამარაგებდა სათანადო ინვენტარით და ლიტერატურით,
აწყობდა დაჭრილთათვის ფიზკულტურულ გამოსვლებს და სა-
ღამოებს.

ფიზკულტურული
მუშაობის გარდაქმნა
სკოლებში

1942 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა საკავ-
შირო სახკომსაბჭოს დადგენილება არასრული და
სრული საშუალო სკოლების მე-5-10 კლასებისა

და ტექნიკუმების მოსწავლეთა სამხედრო-ფიზიკური მომზადების შესახებ. ამასთან დაკავშირებით 1942 წელს სკოლებში შემოღებულ იქნა მოსწავლეთა სამხედრო და ფიზიკური მომზადების ახალი პროგრამა, რომელშიც ხაზგასმული იყო ფიზიკური აღზრდის სამხედრო გამოყენებითი მხარე. 1942-43 სასწავლო წლიდან დაწყებითი არასრული და სრული საშუალო სკოლების I-IV კლასის მოსწავლეთათვის შემოღებული იყო სამხედრო-ფიზიკური მომზადება. ფიზკულტურული მუშაობის გარდაქმნა მოსწავლეთა და პიონერთა შორის ფაქტიურად დიდი სამამულო ომის პირველსავე დღეებიდან დაიწყო. ეწყობოდა ლაშქრობები, სამხედრო თამაშობანი, შეჯიბრებები. საქმედრო სპეციალობის შესასწავლად შექმნილი იყო სამხედრო-ფიზკულტურული წრეები, მათ შორის სროლის შემსწავლელი, რადიოკავშირის, ხელჩართული ბრძოლის, ცურვის და სხვ. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩატარა, მაგალითად, თბილისის პიონერთა სასახლემ, სადაც ომის დაწყებისთანავე ჩამოყალიბდა ევრეთ წოდებული „ნორჩ არმიელთა კორპუსი“.

სკოლებში ფიზიკური აღზრდის მუშაობის გარდაქმნასთან დაკავშირებით განაძლებების ორგანოთა მითითებით ადგილებზე ჩატარდა სპეციალური სემინარები ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა კადრების გადსამზადებლად.

დიდი სამამულო ომის წლებში ფართოდ გაიშალა სკოლისგარეშე ფიზკულტურული მუშაობა საშუალო სკოლებსა და პიონერთა რაზმებში. წარმოებდა იმშმ და მშმ კომპლექსის ნორმათა ჩაბარება. მუშაობდა ბავშვთა სპორტული სკოლები, რომელთა რიცხვი 1943 წლის დამლევისათვის შესამჩნევად გაიზარდა. თუ 1942 წ. სსრ კავშირში ითვლებოდა 140 სპორტული სკოლა, 1943 წელს მათი რიცხვი 280-მდე გაიზარდა.

ომის პირობებში მოსწავლეთა სამხედრო ფიზიკური და წვევამდელთა სამხედრო მომზადების უშუალო ჩატარება დაევალიათ სამხედრო ხელმძღვანელებს და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს, საერთო ხელმძღვანელობას კი ახორციელებდნენ თავდაცვის სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები.

ომის დროის ამოცანებს ექვემდებარებოდა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სამხედრო-ფიზიკური მომზადებაც. მეცადინეობათა პროგრამაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა იმ ჩვევათა გამომუშავებას, რომლებიც ესაქაროებოდა მებრძოლს (ხელჩართული

ბრძოლა. ყუმბარის ტყორცნა. გეზობენი, თხილაძეურებით სიარული, ცურვა და სხვა სამხედრო-გამოყენებათი ვარჯიშობები).

სამხედრო-ფიზიკურ და სამხედრო მომზადებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა მოსწავლე. ახალგაზრდობის მასობრივ სამხედრო-სპორტულ მუშაობას.

1944 წელს მთელ რიგ რესპუბლიკებში, ოლქებსა და მხარეებში ჩატარდა შეჯიბრებები სპორტის ცალკე სახეობებში. ამავე წელს მოეწყო ბაეშვთა და მოზარდთა საკავშირო პირად-გუნდური შეჯიბრებები ტანვარჯიშში. მძლეოსნობაში, ცურვასა და კრივში.

მიუხედავად მძიმე პირობებისა, სამამულო **სპორტული მუშაობა** ომის პერიოდში სპორტული მუშაობა ჩვენს ქვე-
დიდი სამამულო ომის პერიოდში ყანაში არ შეწყვეტილა. ფიზკულტურელთა და
ომის პერიოდში სპორტსმენთა დიდი უმრავლესობა ომის დაწყებისთანავე ფრონტზე წავიდა. მაგრამ ზურგში დარჩენილი სპორტსმენები საბჭოთა არმიისათვის რეზერვების მომზადებასთან ერთად, იბრძოდნენ ახალი სპორტული მიღწევებისათვის და იმადლებდნენ თავიანთ სპორტულ ოსტატობას.

სამამულო ომის პერიოდში იმართებოდა სპორტული შეხვედრები და შეჯიბრებები. მართალია, მათი რაოდენობა ომის პირველ წლებში შემცირდა, მაგრამ შემდეგში ამ შეჯიბრებებმა თუ შეხვედრებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო. 1943 წელს აღდგენილ იქნა სსრ კავშირის პირველობა სპორტის 8 სახეობაში, 1944 წელს — 19 და 1945 წელს 22 სახეობაში. განუწყვეტლივ იზრდებოდა ქვეყნის რეკორდები. რომელთაგან ბევრი აჭარბებდა მსოფლიო რეკორდს.

გარდა სპორტის ცალკეულ სახეობებში შეჯიბრებებისა, სამამულო ომის პერიოდში ტარდებოდა მრავალი სხვა ფიზკულტურული ღონისძიება—კროსები, ესტაფეტები, საფაბრიკო-საქარხნო სპორტაკიადები, სასკოლო-პიონერული დღესასწაულები და სხვ.

1942 წლის ივლისში საკავშირო ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანა მშმთ კომპლექსში. შემცირდა ნორმათა რაოდენობა და მის ანგარიშზე გაძლიერებულ იქნა სამხედრო-გამოყენებითი ხასიათის სახეობები.

1943 წელს შეიქმნა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ზრომითი რეზერვები“, რომელიც მალე გაძლიერდა და ერთ-ერთი მოწინავე საზოგადოება გახდა.

* * *

დიდი სამამულო ომის წლებში კომუნისტურმა პარტიამ შეძლო ჩვენი ქვეყნის ადამიანთა ძალების გაერთიანება და მისი საერთო მიზნისაკენ წარმართვა. სამამულო ომის წლებში კომუნისტური პარ-

ტია, რაზმავდა რა საბჭოთა ხალხის მატერიალურ და სულიერ ძალებს მტრის გასანადგურებლად, განუწყვეტლივ აღვივებდა ჩვენს ხალხში სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულს და უნერგავდა მას გამარჯვებისადმი რწმენას.

საჭიროა აღინიშნოს სახელოვანი კომკავშირის დიდი როლი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის განვითარებაში. ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილი, დიადი სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული, ლენინური კომკავშირის მილიონობით წევრა თავდადებით იბრძოდა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მაგრამ ზურგში დარჩენილი კომკავშირელები გმირული შრომით აქტიურ დახმარებას უწყევდნენ ფრონტს და თავისი მაგალითით რაზმავდნენ ახალგაზრდობის მასებს. კომკავშირმა ფართო დახმარება აღმოუჩინა აგრეთვე ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. ბევრი კომკავშირელი აქტიურად მონაწილეობდა მოსახლეობის სამხედრო-ფიზიკურ მომზადებაში. გარდა ამისა, კომკავშირელებმა დიდი დახმარება გაუწიეს ფიზკულტურულ მოძრაობას სპორტული ბაზების აგებითა და ინვენტარის დამზადებით.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს კომკავშირი გახდა ინიციატორი ეგრეთ წოდებული „ფიზკულტურული ჰექტარებისა“, რომელთა მოსავალი მთლიანად სამამულო ომის ფრონტებზე გაწვეულთა ოჯახებს ხმარდებოდა.

დიდი სამამულო ომი წარმოადგენდა საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების გამოცდასა და შემოწმებას, საბჭოთა ახალგაზრდობის ფიზიკური და მორალური აღზრდის დარგში ჩატარებული მუშაობის მკაცრ გამოცდას, რომელიც სსრ კავშირის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა წარმატებით ჩააბარეს.

სამამულო ომში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხმა კვლავ განაგრძო მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა. ახორციელებდა რა კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, ჩვენმა ხალხმა განსაკუთრებით მოკლე ვადაში ახალი თვალსაჩინო მიღწევები მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში.

თ ა ვ ი

ფიზიკური კულტურა სოციალისტური მშენებლობის დამთავრების პერიოდში (1940—1958 წწ.)

დიდ სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ხალხი ენერგიულად შეუდგა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას და სახალხო მეურნეობის აღდგენისა და გან-

ვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. ომის შემდგომი ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენა და შემდეგ მისი გადაჭარბება. კომუნისტურმა პარტიამ ნათლად დასახა სახალხო მეურნეობის აღორძინების უდიდესი პერსპექტივები და განსაზღვრა პარტიისა და საბჭოთა ხალხის მუშაობის გეგმა უახლოესი ხუთი წლის მანძილზე.

საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგად მეოთხე ხუთწლედ წარმატებით იქნა შესრულებული ოთხ წელსა და სამ თვეში.

მეოთხე ხუთწლიანი გეგმის ამოცანათა გადაწყვეტაში მეტაუ მნიშვნელოვანი როლი მიენიჭა ფიზიკურ კულტურას. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის დონემ ომამდელს გადააჭარბა. სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონში განსაზღვრული იყო სსრ კავშირის ფიზკულტურული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანები. კანონი მოითხოვდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, ფიზკულტურულ ნაგებობათა ქსელის აღდგენასა და გაფართოებას; ახალი სტადიონების, მოედნების, სპორტდარბაზებისა და სხვა სპორტული ბაზების აგებას, სპორტული ინვენტარისა და მოწყობილობის დამზადების გაფართოებას და სხვ.

ომის შემდგომ პერიოდში, შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში, საბჭოთა მთავრობამ მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილება, რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაზე. მარტო ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის შესახებ საბჭოთა მთავრობის მიერ სულ მოკლე ხანში მიღებული იქნა სამი დადგენილება (1945 წლის 28 აგვისტოს, 1946 წლის 27 ივლისს, 1946 წლის 13 აგვისტოს). ამ დადგენილებათა საფუძველზე ფართოდ გაიშალა მუშაობა და დღეს სსრ კავშირის დიდი მიღწევები აქვს ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური აღზრდის დარგში.

ომის შემდგომ პერიოდში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი მთავრობის სათანადო დადგენილებებმა (სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 28 სექტემბრის დადგენილება და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 2 ივლისის დადგენილება).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 28 სექტემბრის დადგენილების მიხედვით ფიზიკური კულტურის საკავშირო კომიტეტა ეკისრებოდა ხელმძღვანელი კადრების მომზადება, სპორტული სკო-

ლებს ქსელის გაფართოება, ყოველწლიური საწვრთნელი შეკრებების ჩატარება სპორტის წამყვან სახეობებში. ამავე დადგენილებით ფიზკულტურის საკავშირო და რესპუბლიკურ კომიტეტებში შემოღებულ იქნა სახელმწიფო მწვრთნელების თანამდებობა სპორტის ძირითად სახეობებში. შემოღებულ იქნა მკერდზე სატარებელი ნიშნები სპორტის ოსტატებისათვის, აგრეთვე პირველი, მეორე და მესამე თანრიგის სპორტსმენებისათვის და სხვ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 2 ივლისის დადგენილებით შემოღებულ იქნა ჩილდობები (მედლები და ნიშნები) ბრწყინვალე სპორტული მიღწევებისათვის. ამ დადგენილებამ დიდად შეუწყო ხელი სპორტულ მიღწევათა შემდგომ აღმავლობას.

ზემოაღნიშნულ დადგენილებათა განხორციელებამ ჩვენს ქვეყანაში რამდენადმე გააუმჯობესა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტის მუშაობა. ხელი შეუწყო მისი სტრუქტურის გაუმჯობესებას. ფიზკულტურის კომიტეტებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას და სხვ.

1948 წლის დამლევისათვის სსრ კავშირში ფიზკულტურელთა რაოდენობამ ომამდელ დონეს მიაღწია, ხოლო ტექნიკური მიღწევების მხრივ გადაჭარბებულ იქნა ომამდელი მაჩვენებლები. მაგრამ ფიზკულტურული მოძრაობისათვის შექმნილ ხელსაყრელ პირობებში არსებული მიღწევები ვერ აკმაყოფილებდნენ ჩვენი ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებებს. საჭირო იყო ფიზკულტურულ ძირეულ კოლექტივებში აღმზრდელობითი და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გაუმჯობესება. საჭირო იყო ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენტთა კადრების წამოწვევა და მათი მზადება. ამავე დროს არადაამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდა.

საკ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ

სწორედ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებებზე მიუთითებდა საკ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შესახებ. ხსენებულ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფიზკულტურულ მოძრაობაში მასობრიობის შემდგომი ზრდისა და საბჭოთა სპორტსმენების სპორტული ოსტატობის ამაღლების საქმეში.

ფიზკულტურულ მუშაობაში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთავარ ამოცანად დასახა მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის

შემდგომი განვითარება, სპორტული ოსტატობის ამაღლება და ამის საფუძველზე საბჭოთა სპორტსმენების მიერ უახლოეს წლებში მსოფლიო პირველობის მოპოვება სპორტის წამყვან სახეობებში.

თავის დადგენილებაში საკ. კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი არადაამაკმაყოფილებლად ასრულებს პარტიისა და მთავრობის დირექტივებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში და არ ღებულობს საჭირო ზომებს მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებისათვის.

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების მუშაობას და მთლიანად არ იყენებს მისთვის მინიჭებული კონტროლის უფლებებს. პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, სამინისტროებისა და უწყებების მოღვაწეობაზე ფიზიკური აღზრდის დარგში. კომიტეტი არადაამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს ფიზკულტურულ მუშაობას სოფლად. მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურმა აღზრდამ ჯერ კიდევ ვერ დაიკავა სათანადო ადგილი სასწავლო-პედაგოგიურ პროცესში. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტრო, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრო სუსტად ახორციელებენ ხელმძღვანელობას მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაზე.

მრავალ კოლექტივსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებაში სასწავლო-სპორტული და აღმზრდელობითი მუშაობა დაბალ დონეზეა, რაც ხელს ვერ უწყობს სპორტული ოსტატობის ზრდას. სუსტად წარმოებს ახალგაზრდა სპორტული კადრების წამოწვევა, რაც ხელს უშლის სპორტულ მიღწევათა ზრდას. ფიზკულტურული კადრების მზადება და გადამზადება კომიტეტის მიერ არადაამაკმაყოფილებლად დაყენებული. მასწავლებელთა, ინსტრუქტორთა და მწვრთნელთა კადრები ცუდადაა გამოყენებული, სუსტადაა დაყენებული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მასწავლებელთა, მწვრთნელთა და ინსტრუქტორთა შორის. ფიზკულტურის პროპაგანდისათვის არასაკმარისადაა გამოყენებული პრესა, რადიო, კინო.

საკ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი სუსტად აწარმოებს მუშაობას სპორტულ ნაგებობათა ქსელის აღდგენისა და განვითარებისათვის.

საკავშირო პროფსაბჭო, პროფკავშირთა ცენტრალური, რესპუბ-

ლიკური, საოლქო. საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობენ სპორტულ საზოგადოებებს და ფიზკულტურის კოლექტივებს, არასაკმაოდ აბამენ პროფკავშირთა წევრებს ფიზკულტურასა და სპორტში.

საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, მრავალი საოლქო, სამხარეო კომიტეტები და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური კომიტეტები არ ღებულობდნენ საჭირო ზომებს ფიზკულტურასა და სპორტში ახალგაზრდობის ფართო ფენების ჩაბმისათვის.

სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს რა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას, საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტს, საკავშირო კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს და საკავშირო პროფსაბჭოს—აღმოეფხვრათ დადგენილებაში მითითებული ნაკლოვანებები და უზრუნველყნათ ფიზკულტურისა და სპორტის ფართო განვითარება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებს განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ სოფლისა და ქალაქის მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისათვის. ამავე დადგენილებამ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა სისტემატური დახმარება გაეწიათ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისათვის თავიანთ საქმიანობაში.

დადგენილება ავალბდა ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტს, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტებს მიეღოთ ზომები სოფლის მოსახლეობაში ფიზიკური აღზრდის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ კოლმეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის და ყოველმხრივ შეეწყნათ ხელი სპორტის ხალხური სახეობების განვითარებისათვის. დადგენილება შეეხო აგრეთვე ფიზკულტურის დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას და მოითხოვდა უფრო გაეძლიერებიათ ფიზიკური აღზრდის თეორიის, მეთოდისა და სპორტის ტექნიკის საკითხების მეცნიერული დამუშავება.

დადგენილებამ მიუთითა პრესას და რადიოს ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სამინისტროს დაევალა სპორტული კინო-

ჟურნალების, მოკლემეტრაჟიანი სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების გამოშვება. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტს დაევალა სპორტული ლიტერატურის (წიგნებისა და ბროშურების) ხარისხის გაუმჯობესება.

ზემოხსენებულმა დადგენილებამ დიდი როლი შეასრულა სსრ კავშირში ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობის საქმეში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს თავიანთი ყურადღება და პრაქტიკული დახმარება ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი. მიუღეს სსრ ჭკვირში გაიშალა ბრძოლა ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობისათვის, სპორტული ოსტატობის ამბლებისათვის. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ხელმძღვანელობდა რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის დადგენილებით, კომკავშირის XI ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია ფიზკულტურის საკითხებს. ყრილობამ მიუთითა კომკავშირის ორგანიზაციებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების უდიდეს მნიშვნელობაზე, რადგან იგი ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდის განხორციელების საქმეში. ყრილობამ კომკავშირის წევრებს, სპორტულ საზოგადოებებსა და ფიზკულტურის კოლექტივებს დაავალა გაეუმჯობესებიათ თავიანთი მუშაობა, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სპორტულ ნაგებობათა მშენებლობაში და სხვ.

მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხებს დიდი ყურადღება მიაქცია კომკავშირის XIII ყრილობამაც. ყრილობამ კომკავშირის წესდებაში ჩაწერა, რომ ფიზიკური გაწვრთნა და სპორტში მეცადინეობა თითოეული კომკავშირელის მოვალეობას შეადგენს. ყრილობაზე განსაკუთრებით იყო აღნიშნული კომკავშირის როლი სპორტში მასების ჩაბმის, სპორტის ოსტატთა და საზოგადოებრივი ინსტრუქტორთა მომზადების საქმეში.

საკ. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დადგენილების რეალიზაციისათვის პროფკავშირებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მშრომელთა ფართო მასების ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმისა და სპორტსმენთა ოსტატობის ამბლების მიზნით. პროფკავშირთა X ყრილობამ პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების უზრუნველყოფა, ფიზკულტურის ახალი კოლექტივების შექმნა ყველა წარმოებასა და დაწესებულებასთან. ყრილობამ მოითხოვა ყველა პროფკავშირული

ორგანიზაციისა და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებისა-
გან განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობოდნენ იმ ამოცანათა
განსორციელებას, რომლებიც დასმული იყო პარტიის ცენტრალურა
კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებამ.

პროფკავშირთა XI ყრილობის მიერ დამტკიცებულ პროფკავ-
შირთა ახალ წესდებაში გათვალისწინებული იყო მუხლი, რომელიც
ავალბდა პროფკავშირულ ორგანიზაციებს ყოველდღიური ხელმ-
ძღვანელობა გაეწიათ სპორტული ორგანიზაციებისათვის, განვიითა-
რებიათ ფიზიკური კულტურა და ტურიზმი ფაბრიკა-ქარხნებში, და-
წესებულებებსა და სასწავლებლებში.

პროფკავშირთა მიერ ჩატარებულ იქნა რეალური ღონისძიებები
ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების განსამტკიცებლად.
შეიცვალა მათი სტრუქტურა, რათა ნებაყოფლობით სპორტულ სა-
ზოგადოებათა მოღვაწეობა უფრო მეტად დაკავშირებოდა სამეურნეო
და კულტურული მშენებლობის ამოცანებს. ნაცვლად მანამდე არსე-
ბული მრავალრიცხოვანი სპორტული საზოგადოებებისა, რომლებიც
პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებობდნენ, 1957
წლის დამლევს და 1958 წლის დასაწყისში შეიქმნა პროფკავშირთა
მთლიანი საზოგადოებები მოკავშირე რესპუბლიკებში. ასე შეიქმნა
საზოგადოება „ტრუდი“ რუსეთის სფს რესპუბლიკაში, „ავანგარდი“
უკრაინის სს რესპუბლიკაში, „კრასნოე ზნამია“ ბელორუსიის სს
რესპუბლიკაში, „განთიადი“ საქართველოს სს რესპუბლიკაში
და ა. შ.

მაგრამ მეურნეობის ზოგიერთ დარგში არსებული შრომის სპეცია-
ფიკური პირობების გამო შენარჩუნებული იყო რკინიგზელთა ნე-
ბაყოფლობითი საზოგადოება „ლოკომოტივი“, წყლის ტრანსპორ-
ტის მუშათა საზოგადოება „ვოდნიკი“. ჩამოყალიბდა სტუდენტთა
ერთიანი საზოგადოება „ბურევესტნიკი“.

პროფკავშირთა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა მო-
ღვაწეობის კოორდინაციისა და საერთო ხელმძღვანელობისათვის და-
არსებულ იქნა პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული ორგა-
ნიზაციების საკავშირო საბჭო, ხოლო თვითმოქმედი ფიზკულტურუ-
ლი მოძრაობის საფუძვლად კვლავ ფიზიკური კულტურის კოლექტი-
ვი დარჩა.

ახალმა სტრუქტურამ გააუმჯობესა ფიზკულტურულ ორგანიზა-
ციებზე ხელმძღვანელობა, საშუალება მისცა პროფკავშირთა ნება-
ყოფლობითი სპორტული ორგანიზაციების საბჭოებს უფრო რაციო-
ნალურად გამოეყენებიათ ფინანსები და გაენაწილებიათ ფიზკულტუ-
რელთა კადრები.

საკოლმეურნეო
სპორტულ საზოგადოებათა
შექმნა

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძაფრმა ზრდამ განაპირობა საკოლმეურნეო წყობის ეკონომიური საფუძვლები და გამოიწვია სოციალისტური კულტურის აყვავებისა და მასთან ერთად ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობის შემდგომი განვითარება. მიუხედავად ზოგიერთი მიღწევისა, სოფლად ფიზკულტურული მუშაობა თვითომქმედი ფიზკულტურული მოძრაობის ყველაზე ჩამორჩენილი უბანი იყო. საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილებამ სოფლად ფიზკულტურული მუშაობა არადამაკმაყოფილებლად სცნო. ამ დადგენილების საფუძველზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებმა, კომკავშირის ორგანიზაციებმა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით დიდი მუშაობა ჩაატარეს ფიზკულტურასა და სპორტში სოფლის მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმისათვის.

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების მიზნით ჩვენი ქვეყნის ბევრმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ განახორციელა ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციების შეფობა სოფლის კოლექტივებზე. ქალაქის სპორტსმენები ატარებდნენ სოფლად საჩვენებელ გამოსვლებს, აწყობდნენ შეჯიბრებებს, პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა კადრების მომზადებაში, ატარებდნენ ლექციებსა და საუბრებს ფიზკულტურულ თემებზე და სხვ.

სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ შექმნამ. ასეთი საზოგადოებები ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა. ყველაზე მსხვილი მათგანი იყო „კოლხონიკი“ (რსფსრ), „კოლგოსპიკი“ (უსსრ), „კალგასნიკი“ (ბსსრ), „კოლმეურნი“ (საქ. სსრ), „პახტაკორი“ (უზბ. სსრ), „ვარპა“ (ლატვია).

ახალი სპორტული საზოგადოებების დაარსებამ საფუძვლიანად გააუმჯობესა მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის მდგომარეობა სოფლად. ჩამოყალიბებისთანავე ამ საზოგადოებებში ორ მილიონზე მეტი წევრი ირიცხებოდა, ხოლო 1957 წლისათვის მათი რიცხვი ოთხ მილიონს აღემატებოდა. რიცხობრივ ზრდასთან ერთად მტკიცდებოდა კოლმეურნეობათა ფიზკულტურის კოლექტივები, წარმოებდა საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა და მსახთა კადრების მომზადება, შენდებოდა სპორტული ნაგებობანი სოფლად. სისტემატურად იმართებოდა რაიონული, საოლქო, რესპუბლიკური და სრულიად საკავშირო საკოლმეურნეო სპარტაკიადები, ეწყობოდა აგრეთვე საკავ-

შირო პირველობები სპორტის ზოგიერთ სახეობაში. ყოველივე ამან ხელი შეუწყო სოფლად სპორტის განვითარებას და კოლმეურნე-სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას.

1952 წელს საფუძველი ჩაეყარა კოლმეურნე-ფეხბურთელთა საკავშირო პირველობას. 1952 წელს ფეხბურთში პირველობა უკრაინელ კოლმეურნეთა გუნდმა მოიპოვა. 1953 წელს — რუსეთის სფს რესპუბლიკის, ხოლო 1954 და 1956 წლებში — საქართველოს „კოლმეურნეს“ ფეხბურთელთა გუნდმა.

1954 წლის ოქტომბერში ქ. ლვოვში ჩატარდა კოლმეურნეობათა ფიზკულტურული კოლექტივების პირველი საკავშირო სპარტაკიადა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის 1200-ზე მეტი კოლმეურნე-სპორტსმენი მონაწილეობდა. სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული იყო მძლეოსნობა, ცურვა, ველოსპორტი, ფეხბურთი, ფრენბურთი და მშობი-ს მრავალკიდი.

1954 წელს შემოღებულ იქნა კოლმეურნეობათა საუკეაესო ფიზკულტურის კოლექტივების მიღწევათა დემონსტრაცია საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

1956 წელს სსრ კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკაში მოხდა პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტულ საზოგადოებათა „უროჟაის“ გაერთიანება საზოგადოება „კოლმეურნესთან“.

კოლმეურნე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლებამ მალე დააწინაურა ისინი და საშუალება მისცა მათ წარმატებით გამოსულიყვნენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან შეჯიბრებებში, არამედ საზღვარგარეთაც, მაგალითად: 1952 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მართონულ რბენაში მიენიჭა კოლმეურნეს ვ. დავილოვს, ა. კუზნეცოვმა ვერცხლის მედალი დაიმსახურა 1954 წელს მსოფლიო პირველობაზე გამართულ სათხილამურო სპორტში. კოლმეურნეობის წევრი, სოფლის მასწავლებელი ა. იგნატიევი 400 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა, ხოლო შემდეგ იგი მონაწილეობდა XV და XVI საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებში. კოლმეურნე სპორტსმენი ი. ჩერნიავსკი მონაწილეობდა მძლეოსნურ ასპარეზობაში, რომელიც ლონდონსა და პარიზში გაიმართა, შემდეგში ი. ჩერნიავსკი XVI ოლიმპიურ თამაშობებშიც გამოდიოდა.

მოსწავლე ახალგაზრ-
დობის ფიზიკური
აღზრდა

ომის შემდგომ პერიოდში მთავრობის მიერ გამოქვეყნებულმა დადგენილებებმა სკოლებში ფიზიკური აღზრდის შესახებ დიდად შეუწყო ხელი ბავშვთა და მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის განმტკიცებასა და გაუმჯობესებას. სკოლებში მოიხსნა ომის დროს შემოღებული სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდა კვლავ

შეტანილ იქნა სასწავლო გეგმებში. როგორც დამოუკიდებელი საგანი.

1947 წელს დამუშავებულ და შემოღებულ იქნა სკოლებში ფიზიკური აღზრდის ახალი პროგრამა. მიღებულ იქნა ზომები კლასგარეშე სპორტულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად. გაიხსნა ბავშვთა ახალი სპორტული სკოლები.

1945 წლიდან ჩვენს ქვეყანაში ტარდებოდა საკავშირო შეჯიბრებები სპორტის მრავალ სახეობებში. 1945 წელს მოსწავლეთა მე-8 სრულიად საკავშირო შეჯიბრებაზე ტანვარჯიშში წარმატებით გამოვიდნენ შემდეგში გამოჩენილი ტანმწვარჯიშენი ვალინა მინაიჩევა (შარაბაძე) და ე. კოვეშევი. სსრ კავშირის პირველობაზე მძლეოსნობაში (იმვე წელს) კარგ შედეგებს მიაღწიეს ლ. სანაძემ და ტ. ლუნევა. ნორჩ სპორტსმენთა დაოსტატებაში დიდი როლი შეასრულეს ბავშვთა სპორტულმა სკოლებმა. სწორედ აქ აღიზარდნენ სსრ კავშირის რეკორდსმენები და ჩემპიონები, ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონები და პრიზიორები სპორტის დამსახურებული ოსტატებია: ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია, მ. ჯულელი, დ. ციმაკურიძე, ნ. დვალიშვილი, ლ. სანაძე, პ. მშენიერაძე, ბ. შახლინი, ნ. ანიკინი, გ. ზიბინა, ი. ტუროვა, ლ. ლატინინა, ვ. მურატოვი და მრავალი სხვ.

1954 წელს ჩვენს ქვეყანაში პირველად მოეწყო მოსწავლეთა პირველი სრულიად საკავშირო სპარტაკიადა.

მოსწავლეთა I საკავშირო სპარტაკიადა ჩატარდა ლენინგრადში. მისი პროგრამა შეიცავდა მხოლოდ 5 სახეობას (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა, ველოსპორტი და სროლა). ამ დიდ ასპარეზობაში, რომლის ფინალში მონაწილეობდა 2597 მოსწავლე, პირველი ადგილი დაიკავა უკრაინის კოლექტივმა, მეორე — მოსკოვის და მესამე — ლენინგრადის მოსწავლეებმა.

მოსწავლეთა II საკავშირო სპარტაკიადა მოეწყო 1955 წლის ზაფხულში კიევში. პროგრამაში დამატებული იყო სპორტის ორი სახეობა — კალათბურთი და ფრენბურთი. წინასწარ ჩატარებულ ადგილობრივ სპარტაკიადებში მონაწილეობდა 8 მილიონამდე მოსწავლე. ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 2456 ნორჩმა სპორტსმენმა. სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაისაკუთრა მოსკოვის მოსწავლეთა კოლექტივმა, მეორე — უკრაინის, ხოლო მესამე — რუსეთის ფედერაციის მოსწავლეთა კოლექტივმა.

მოსწავლეთა III სპარტაკიადა გაიმართა 1956 წელს მოსკოვში. პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოვის ნორჩ სპორტსმენთა კოლექტივი, მეორე ადგილზე — რუსეთის ფედერაციისა და მესამეზე — უკრაინის მოსწავლეთა კოლექტივი.

1957 წლის ზაფხულში მოეწყო მორიგი, მეოთხე სპარტაკიადა. იგი ამჯერად რიგაში ჩატარდა. პირველი ადგილი ზედიზედ მესამედ მოსკოველმა მოსწავლეებმა მოიპოვეს, მეორე ადგილი წილად ხვდა უკრაინის კოლექტივს, მესამე — საქართველოს მოსწავლეთ.

მოსწავლეთა მესუთე სპარტაკიადა ჩატარდა თბილისში 1958 წლის აგვისტოში. ადგილებზე წინასწარ ჩატარებულ შეჯიბრებებში 11 მილიონამდე ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა, ხოლო ფინალურ ასპარეზობაში 3709 მოსწავლე. პირველი ადგილი ამჯერად საქართველოს მოსწავლეთა კოლექტივმა დაისაკუთრა, მეორე ადგილზე გამოვიდა უკრაინის, ხოლო მესამეზე — მოსკოვის მოსწავლეთა კოლექტივი.

მეექვსე სპარტაკიადა კვლავ მოსკოვში გაიმართა 1959 წლის ზაფხულში. პირველი ადგილი ისევ მოსკოვმა დაისაკუთრა, მეორე — რუსეთის ფედერაციის მოსწავლეებმა და მესამე უკრაინელმა ნორჩმა სპორტსმენებმა.

უკანასკნელ წლებში სკოლებში გაუმჯობესდა ფიზიკური აღზრდის სწავლების ხარისხი. ამას ხელი შეუწყო მატერიალური ბაზის გაუმჯობესებამ, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებამ, პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებამ და სხვ. გაუმჯობესდა ფიზიკური აღზრდა შრომითი რეზერვების სასწავლებლებშიც.

ომის შემდგომ პერიოდში ფიზკულტურული მუშაობა გარდაიქმნა უმაღლეს სასწავლებლებშიც. 1947 წლიდან აღდგენილ იქნა ფიზიკური აღზრდის კათედრები. 1951 წელს უმაღლეს სასწავლებლებში წემოლებული იყო ფიზიკური აღზრდის ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ზოგად ფიზიკურ მომზადებას I და II კურსის სტუდენტთათვის. გარდა ამისა, დაწესებული იყო სპორტული დახელოვნების ფაკულტატიური კურსი. სსრ კავშირის მსხვილ უმაღლეს სასწავლებლებთან შეიქმნა სპორტული კლუბები.

1955 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ სექციებში 5000 სტუდენტი მეცადინეობდა, მათ შორის 8 სპორტის ოსტატი და ათასზე მეტი I და II თანრიგის სპორტსმენი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ კლუბში 1956 წელს ირიცხებოდა 1800 სტუდენტი. მათ შორის 17 სპორტის ოსტატი და 1375 თანრიგოსანი. ასეთივე მრავალრიცხოვანი სპორტული კლუბები გააჩნდათ კიევის უნივერსიტეტს, მოსკოვის ენერგეტიკულ და საავიაციო ინსტიტუტებს, სვერდლოვის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და სხვ.

1951 წლიდან ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად ტარდება სტუდენტთა სპარტაკიადები. ომის შემდგომ პერიოდში საგრძნობლად

ამაღლდა ჩვენი სტუდენტობის სპორტული ოსტატობა. ისინი დიდ წარმატებით გამოდიან საერთაშორისო სარბიელზე.

სპორტულ-მასობრივი მუშაობა და სპორტის ცალკეულ სახეობათა განვითარება პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში სპორტულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს სპორტულ-მასობრივი მუშაობა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაციები, სოფლის ნებაყოფლობითი სპორტული ორგანიზაცია „კოლმეურნე“, საზოგადოება „დინამო“, „სპარტაკი“, „შრომითი რეზერვები“, საგრძნობლად იზრდებოდა სპორტულ ორგანიზაციათა მასობრიობა. ამ ზრდის დამადასტურებელია ქვემოთ მოყვანილი ციფრები:

| | | |
|--------------------------------|--------|--------------------|
| 1936 წ. სსრ კავშირში ითვლებოდა | 3.706 | ათასი ფიზკულტურელი |
| 1940 „ „ „ „ | 5.332 | „ „ |
| 1956 „ „ „ „ | 18.568 | „ „ |

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა მასობრივი შეჯიბრებები სპორტის ცალკეულ სახეობაში (პირველობები და თასის გათამაშება სპორტის სხვადასხვა სახეობებში, დაუსწრებელი შეჯიბრებები, ძალოსანთა კონკურსები და სხვ.). სასწავლო-საწვრთნელი მუშაობას გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას. თუ 1945 წელს სსრ კავშირში ირიცხებოდა 102 ათასი თანრიგოსანი, 1958 წელს მათმა რიცხვმა 191 ათასამდე მიაღწია. 1952 წელს ჩვენს ქვეყანაში 5000 სპორტის ოსტატი იყო, 1958 წელს კი 13.520.

ომის შემდგომ წლებში საბჭოთა ფიზიკური აღზრდის სისტემაში დიდი ადგილი დაეთმო ტანვარჯიშს. 1958 წელს ტანვარჯიშში ჩაბმულთა რიცხვი 800 ათასამდე აღწევდა. სწავლებისა და წვრთნის კარგად დამუშავებული მეთოდის გამოყენების შედეგად დაწინაურდნენ სსრ კავშირის ტანვარჯიშეები. ამაღლდა მათი სპორტული ოსტატობა და მალე უძლიერესნი გახდნენ მთელ მსოფლიოში. ყველასათვის ცნობილია ისეთ ტანვარჯიშეთა სახელები, როგორც არიან ვ. ჩუკარინი, ვ. მურატოვი, ბ. შახლინი, ა. აზარიანი, მ. გოროხოვსკაია, ს. მურატოვა. ლ. ლატინინა და სხვ., რომლებმაც საერთაშორისო სპორტულ არენაზე ბრწყინვალე გამოსვლებით სახელი მოუხვეჭეს საბჭოთა სპორტულ მოძრაობას.

დიდ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში მიაღწია მძლეოსნობამ. თავისი მასობრიობით მან ტანვარჯიშს გაუსწრო. ფიზკულტურის კოლექტივების მოღვაწეობაში მან წამყვანი ადგილი დაიკავა. ომის შემდგომ წლებში საბჭოთა მძლეოსნები აქტიურ მონაწილეობასღებულობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. დაწყებული 1946 წლიდან

ჩვენი ქვეყნის მძლეოსნები სისტემატურად მონაწილეობენ ევროპის პირველობაში. არა ერთხელ შესვედრიან ისინი ამერიკისა და ინგლისის მძლეოსნებს, აგრეთვე სხვა ქვეყნის სპორტსმენებს და ყოველთვის წარმატებისათვის მიუღწევიან.

ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ მძლეოსანთა შორის აღსანიშნავი არიან ვ. კუცი, მ. კრივონოსოვი, ნ. ოტკალენკო, ვ. ბრუმელი, პ. ბოლოტნიკოვი, ი. ტერ-ოვანესიანი, რ. შავლაყაძე, მ. ტკინა, თ. პრესა, ვ. კრეპკინა.

წარსულში ჩვენს ველოსიპედისტებს აკლდათ საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება და არ ჰქონდათ მაღალი სპორტული მაჩვენებლები. 1954 წლიდან გახშირდა საბჭოთა ველოსიპედისტების შეხვედრები უცხოელ სპორტსმენებთან. ამან რამდენადმე ამაღლა ჩვენი ქვეყნის ველოსიპედისტთა სპორტული ოსტატობა. წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა ველოსიპედისტები „მშვიდობის ველობოლაში“. მათ არა ერთხელ მოუპოვებათ გამარჯვება და საპრიზო ადგილები.

ბოლო წლებში ეწყობა ცალკე სპორტული საზოგადოებების, ქალაქებისა და რესპუბლიკების საერთაშორისო შეხვედრები უცხოელ ველოსიპედისტებთან. წარმატებით გამოვიდნენ სსრ კავშირის ველოსიპედისტები XVII ოლიმპიურ თამაშობებზე, ვ. კაპიტანოვი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ჯგუფურ რბოლაში გზატკეცილზე (175 კმ). ამავე თამაშობებზე სსრ კავშირის მთელმა რიგმა ველოსიპედისტებმა დაიმსახურა ბრინჯაოს მედლები.

საგრძობი განვითარება მოიპოვა ჩვენს ქვეყანაში ჰიდაობა. შეჯიბრებები თავისუფალ ჰიდაობაში სსრ კავშირში 1945 წლიდან იმართება. გაუმჯობესდა ჰიდაობის სწავლებისა და წვრთნის მეთოდიკა. მისი ტექნიკა და ტაქტიკა, რის შედეგად ჩვენი მოჭიდავეები დიდ წარმატებებს აღწევენ. მათ 1952 წელს XV ოლიმპიურ თამაშობებში პირველად სცადეს თავიანთი ძალები — ეს პირველი მათი საერთაშორისო ასპარეზობა იყო. თავისუფალ ჰირადობაში საბჭოთა მოჭიდავეებმა გუნდური პირველობა მოიპოვეს, ხოლო ა. მეკოკიშვილი და დ. ციმაკურიძე ოლიმპიადის ჩემპიონები გახდნენ და ოქროს მედლები მიიღეს. მსოფლიოს 1954 წლის პირველობაზე მსოფლიო ჩემპიონის საპატიო წოდება სამმა საბჭოთა მოჭიდავემ დაიმსახურა: ესენი იყვნენ: ვ. ბალავაძე, ა. ენგლასი და ა. მეკოკიშვილი. XVI ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონი გახდა მ. ცალქალამანიძე. 1957 წელს ჩემპიონობა მოიპოვეს ჩვენმა მოჭიდავეებმა ა. ბესტაევმა და ვ. ბალავაძემ.

ომის შემდგომ წლებში ამაღლდა მოჭიდავეთა ტექნიკა და ტაქტი-

კა კლასიკურ ჭიდაობაში. 1947 წელს ევროპის პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში ჩვენმა მოჭიდავეებმა თავიანთი ძალები გამოცადეს. ძიუხელავად იბისა. რომ ჩვენს მოჭიდავეებს (გარდა ი. კოტკასისა) საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება არ ჰქონდათ. მათ შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავეს. ხოლო ნ. ბელოვმა, კ. კობერიძემ და ი. კოტკასმა ევროპის ჩემპიონის საპატიო წოდება დაიმსახურეს. შემდეგში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა ა. ტერანმა, გ. შატკორიანმა, გ. კარტოზიამ, ა. ენკლასმა, ვ. სტაშკევიჩმა, ა. მახურმა, გ. გამარნიკმა, ბ. გურევიჩმა, ი. კარავაევმა, რ. აბაშიძემ, ი. ბოგდანმა.

მასობრიობისათვის ბრძოლაში ომის შემდგომ პერიოდში გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა ძალოსნებმაც, რომლებიც ერთ-ერთი უძლიერესთაგანი გახდნენ მსოფლიოში. სახელი მოიხვეჭეს როგორც მსოფლიოში უძლიერესმა ძალოსნებმა სსრ კავშირის სპორტსმენებმა ი. უდოლოვმა, რ. ჩიმიშკიანმა, ტ. ლომაკინმა, ე. მონაევმა, ვ. ბუშუევმა, ა. კურინოვმა, ა. ვორობიოვმა, ი. ვლასოვმა, ი. რიბაკმა, ფ. ბოგდანოვსკიმ, ვ. კაპლუნოვმა, ვ. სტოგოვმა და სხვ.

ღიდ წარმატებებს მიაღწიეს სსრ კავშირის მოკრივეებმაც. მათი პირველი საერთაშორისო შეხვედრა XV საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებზე მოხდა. ეს იყო მათი პირველი გამოცდა. მაშინ საბჭოთა მოკრივეებმა მეორე ადგილი დაიკავეს. XVI ოლიმპიურ თამაშობებზე მათ უკვე პირველობა მოიპოვეს და ოლიმპიადის ჩემპიონები გახდნენ. ამ ასპარეზობაში ოქროს მედლები მოიპოვეს და ჩემპიონები გახდნენ გ. შატკოვი, ვ. ენგიბარიანი და ვ. საფრონოვი.

სსრ კავშირის ძალოსნები წარმატებით გამოდიან მსოფლიო პირველობაზე. მათ არა ერთხელ მოუპოვებათ მსოფლიოს ჩემპიონობა. უკანასკნელ წლებში სპორტულ ასპარეზზე წარმატებით გამოდიან მსოფლიოს ჩემპიონები ა. აბრამოვი, ვ. ენგიბარიანი, ო. გრიგორიევი, გ. შატკოვი, ს. სივკო, ა. ტუმინში, ბ. ლაბუტინი, რ. ტამულინი.

სათხილამურო სპორტი სსრ კავშირში მასობრივი და მეტად პოპულარული სახეობაა. სათხილამურო სექციები ჩვენს ქვეყანაში აერთიანებს სამ მილიონამდე სპორტსმენს. სისტემატურად ეწყობა საკავშირო პირველობები და მრავალი სხვა ღონისძიებები, რომლებმაც ხელი შეუწყო ჩვენი მოთხილამურეების სპორტული ოსტატობის ამაღლებას. საბჭოთა მოთხილამურეები სისტემატურად მონაწილეობენ მსოფლიო პირველობასა და ზამთრის ოლიმპიურ თამაშობებში. ზამთრის VII ოლიმპიურ ასპარეზობაში ჩვენი ქვეყნის მოთხილამურეებმა პირველობა მოიპოვეს ესტაფეტში 4X100 (პ. კოლჩინი,

ნ. ანიკინი, ვ. კუზინი და ფ. ტერენტიევი). ლ. კოზირევამ პირველობა დაისაკუთრა 10 კმ რბენაში.

სსრ კავშირში საციგურაო სპორტმა მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია. ჩვენში მრავალი შეჯიბრება ეწყობა სპორტის ამ სახეობაში. საბჭოთა მოციგურავენი ხშირად მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ჩვენში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მალემსარბოლები. მოციგურავეთა შორის ფართოდ გაითქვეს სახელი მ. ისაკოვამ, ლ. სელიხოვამ, რ. ჟუკოვამ, ს. კონდაკოვამ, ი. არტამონოვამ, ვ. სტენინამ, ო. გონჩარენკომ, ე. გრიშინმა, ბ. შილკოვმა, ბ. სტენინმა და სხვა საბჭოთა მალემსარბოლებმა.

ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით ფართო გავრცელება პპოვა სპორტულმა თამაშობებმა (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჰოკეი). ახალგაზრდობის დიდი სიყვარულით სარგებლობას ფეხბურთი. ბოლო წლებში ამალდა საბჭოთა ფეხბურთელების ოსტატობა. ომის შემდგომ წლებში ძალზე გახშირდა ჩვენი ფეხბურთელების შეხვედრები უცხოელ ფეხბურთელებთან. XVI საერთაშორისო ოლიმპიურ ასპარეზობაში სსრ კავშირის ნაკრებმა გუნდმა პირველობა მოიპოვა და ოლიმპიადის ჩემპიონი გახდა. 1958 წლის მსოფლიო პირველობაზე ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი ფინალში გავიდა.

სსრ კავშირში ფეხბურთელთა ბევრი მოწინავე გუნდია. მათ რიცხვს მიეკუთვნება მოსკოვის, თბილისისა და კიევრს დინამო-ელთა გუნდები, მოსკოვის გუნდები — „სპარტაკი“, „ცსკა“, „ტორპედო“ და სხვ.

მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესნი არიან ჩვენი ქვეყნის კალათბურთელები. სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა XV და XVI ოლიმპიურ თამაშობებზე მეორე ადგილი დაიკავა. ხსენებულ პერიოდში ისინი ევროპის ჩემპიონები იყვნენ და ევროპის თასს ფლობდნენ.

დიდადაა გავრცელებული ჰოკეი. ჩვენი ქვეყნის ჰოკეისტებმა 1954 და 1956 წლებში მსოფლიო პირველობა მოიპოვეს.

საბჭოთა ფრენბურთელები ევროპისა და მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონები არიან.

საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ მიუთითა ფიზკულტურის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაფართოების აუცილებლობაზე. დადგენილება მოითხოვდა, რათა კიდევ უფრო გაძლიერებულიყო ფიზიკური აღზრდის თეორიის, მეთოდისა და სპორტის ტექნიკის საკითხების მეცნიერული დამუშავება.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ფიზიკური კულტურის დარგში

ამ დარგში მუშაობა ჩვენს ქვეყანაში ტარდება ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში (მოსკოვის, ლენინგრადისა და საქართველოს). პედაგოგიურ და სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიების ინსტიტუტებში, ფიზიკური კულტურის სასწავლო ინსტიტუტებში. სხვა უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრებზე.

საბჭოთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მოპოვებულ წარმატებებში თავიანთი წვლილი შეიტანეს მოწინავე საბჭოთა მეცნიერებმა.

ომის შემდგომ პერიოდში ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სპორტული წვრთნის მეცნიერული საფუძვლების შესწავლა. საკმაოდ ცნობილია საბჭოთა მეცნიერების შრომები სპორტის ფიზიოლოგიის, დინამიკური ანატომიის, სპორტული ბიოქიმიის, ფიზიკური აღზრდის თეორიის, სპორტული ტექნიკის დარგში და სხვ. ბოლო წლებში გამოკვლეულია მთელი რიგი სახელმძღვანელოები ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, სათხილამურო სპორტში, კრივში, სპორტულ ფიზიოლოგიაში, ფიზიკური აღზრდის თეორიასა და ისტორიაში და ა. შ.

გაწვერთნილობის ფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ ა. კრესტოვნიკოვს (ლენინგრადის ინსტიტუტი). საკმაოდ დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული სპორტულ ფიზიოლოგიაში აგრეთვე მოსკოვის (პროფ. ფარფელი), თბილისისა (პროფ. ს. ნარკიაშვილი), კიევისა და სხვა ფიზკულტურის ინსტიტუტებს. მათ მიერ დამუშავებულია ძირითადი ფიზიკური თვისებების — ძალის, ამტანობის, სისწრაფის, სიმარდის ფიზიოლოგიური დახასიათება. ეს ხელს უწყობს ფიზკულტურის მასწავლებელს და მწვრთნელს დასახოს ხსენებულ თვისებათა განვითარების გზები სპორტული წვრთნის პროცესში.

აღსანიშნავია პროფესორ ვ. ბელინოვიჩის შრომები, რომლებიც ხსნიან სწავლების პრინციპებსა და მეთოდებს. იძლევიან მამოძრავებელი ჩვევების დახასიათებას. სპორტული წვრთნის მეცნიერული საფუძვლების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი შრომა, აქვს ჩატარებული აგრეთვე პროფესორ ნ. ოზოლინს. სპორტის ბიოქიმიის დარგში გარკვეული წვლილი შეიტანა პროფესორმა ნ. იაკოვლევა-

სპორტული მედიცინის დარგში მნიშვნელოვანი შრომები გამოაქვეყნეს პროფესორებმა ი. სარკიზოვ-სერაზინიმ, ს. ლეტუნოვმა, ვ. კუნჭულიამ და სხვ. აღსანიშნავია პროფესორ მ. ივანიცკის შრომები, რომლებშიც მას ზუსტად დამუშავებული აქვს ფიზიკურ ვარჯიშობათა ანატომიური დახასიათება. პროფესორ გ. თვალაძის მიერ:

გამოცემული ანატომიის შესანიშნავ ატლასში ადამიანის სხეულის მოძრაობათა მექანიკას მთელი განყოფილება აქვს დათმობილი.

სპორტის ფსიქოლოგიაში მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ ჩატარებული პროფესორებს პ. რუდიკს, ა. პუნის, ვ. ნორაკიძეს.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ჯერ კიდევ ჩამორჩება პრაქტიკას. მაგრამ ის დიდი გამოკდილება, რომელიც გააჩნიათ საბჭოთა მეცნიერებს ფიზკულტურის დარგში, ბოლო ხანებში გაუმჯობესებული მატერიალური ბაზა და მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობები სრულ იმედს იძლევა, რომ ამ დარგში მუშაობა კიდევ უფრო გაბედული და სწრაფი ტემპით წარიმართება.

საბჭოთა ფიზკულტურული ორგანიზაციების საერთაშორისო სპორტული ურთიერთობა. XV და XVI საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობები

ბურჟუაზიული სპორტული მოძრაობის რეაქციულ მესვეურთა გავლენით მეორე მსოფლიო ომამდე საერთაშორისო სპორტულა გაერთიანებები მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობისადმი. მათი უმრავლესობა სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ფიზკულტურულ ორგანიზაციათა ურთიერთობის წინააღმდეგი იყო. ამის გამო ჩვენს სპორტსმენებს არ ჰქონდათ საერთაშორისო სპორტული შეხვედრების საშუალება, მათ მიერ ჩვენს ქვეყანაში დამყარებული მსოფლიო რეკორდები ყურადღების გარეშე რჩებოდა და მსოფლიო მიღწევათა (რეკორდები) ცხრილში არ ინიშნებოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესულ სპორტსმენთა წრეები გამოვიდნენ პრესაში საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებათა დემოკრატიზაციის მოთხოვნით. სპორტულ პრესაში თავსდებოდა დემოკრატიულად განწყობილ სპორტსმენთა წერილები, რომლებშიც მოითხოვდნენ საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციებიდან ფაშიზმის მიმდევართა განდევნას. საზოგადოებრივი ზეგავლენით მრავალი საერთაშორისო სპორტული გაერთიანების ხელმძღვანელობა იძულებული გახდა გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობისადმი. ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ დაეთმოთ მასებისათვის, რადგან თვითონაც რწმუნდებოდნენ, რომ საბჭოთა სპორტსმენების გარეშე შეუძლებელი ხდებოდა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება.

1946 წლიდან დაიწყო სსრ კავშირის სპორტული სექციების ჩარიცხვა საერთაშორისო ფედერაციებში, რამაც ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის საშუალება მისცა. სსრ კავშირის სპორტსმენებმა საერთაშორისო შეჯიბრებებში სულ მალე მოიპოვეს გამარჯვებები და საერთო აღიარება და პატრვისცემა დაიმსახურეს.

საბჭოთა სპორტსმენების მსხვილ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობამ ახალი ნაკადი შეიტანა ამ შეხვედრებში და სპორტსმენთა შორის ახალი ურთიერთდამოკიდებულება განაპირობა. წარსულში არც თუ ისე იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შორის ნაციონალისტური ანტაგონისტური გრძნობების გაღვივება, მაგრამ სსრ კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების სპორტსმენთა საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლამ ეს შეჯიბრებები ყველა ქვეყნის უბრალო ადამიანთა მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულად აქცია. საერთაშორისო ასპარეზობანი გახდა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის ფაქტორად.

ომის შემდგომ პერიოდში სსრ კავშირის სპორტსმენებს მრავალი საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან. ძნელია დავასახელოთ ისეთი სახელმწიფო (თუკი იქ სპორტი რამდენადმე მაინც განვითარებულია), რომელთანაც სსრ კავშირის სპორტსმენებს არ ჩაუტარებიათ შეჯიბრება. როგორც ოლიმპიურ თამაშობებში, ისე მრავალ სხვა საერთაშორისო ასპარეზობაში საბჭოთა სპორტსმენებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს და მსოფლიოში უძლიერესთა სახელი მოიხვეჭეს.

XV საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებში სსრ კავშირიდან 335 სპორტსმენი მონაწილეობდა. ეს მათი პირველი გამოსვლა იყო ასეთი მსხვილი, საერთაშორისო მასშტაბის ასპარეზობაში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს არ გააჩნდათ საჭირო გამოცდილება, მათ ძლიერი მეტოქეობა გაუწიეს ამერიკელ სპორტსმენებს, რომლებიც წარსულში მიჩვეული იყვნენ იოლ გამარჯვებებს. რეაქციული პრესა იმ აზრს გამოთქვამდა, რომ, თითქოს, საბჭოთა სპორტსმენებს არ ძალუძთ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ ამერიკელ სპორტსმენებს და ამ უკანასკნელთ უწინასწარმეტყველებდა იოლ გამარჯვებას, როგორც ეს 1948 წლის ოლიმპიადაზე მოხდა. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებმა 547,5 ქულა მოაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს, მეორე ადგილზე მოსულმა შვეციის სპორტულმა დელეგაციამ მხოლოდ 309,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ რეაქციული გაზეთების წინასწარმეტყველება არ გამართლდა და ოლიმპიურ თამაშობებზე ჩვენი ქვეყნის წარმომად-

გენლებმა იმდენივე ქულა დააგროვეს, რამდენიც ამერიკელებმა (494).

აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის სპორტსმენები შეჯიბრებათა მთელ მანძილზე ლიდერობდნენ და მხოლოდ უკანასკნელ დღეებში, ზოგიერთი მსაჯის აშკარად უსამართლო ქცევის გამო, ამერიკის გუნდი დაეწია და გაუთანაბრდა სსრ კავშირის გუნდს.

სპორტის ხუთ სახეობაში — ტანვარჯიშში, კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, სიმძიმეების აწევასა და სროლაში — სსრ კავშირის სპორტსმენებმა საერთო გუნდური პირველი ადგილები მოიპოვეს, ხოლო ოთხ სახეობაში — მძლეოსნობაში, კრიკეტი, კალათბურთსა და აკადემიურ ნიჩბოსნობაში საერთო გუნდური მეორე ადგილები დაიკავეს. ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 38 ოქროს, 53 ვერცხლის და 15 ბრინჯაოს მედალი. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ჩვენი ტანმწვარჯიშეთა უპირატესობა და მათი ბრწყინვალე გამარჯვება. საბჭოთა ტანმწვარჯიშეებმა დაიმსახურეს 23 ოქროს, 9 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი.

სსრ კავშირის სპორტსმენებიდან ოქროს მედლები დაიმსახურეს ტანმწვარჯიშეებმა: ვ. ჩუკარინმა (4 ოქროს მედალი), გ. შაგინიანმა, ვ. მურატოვმა, ე. კოროლკოვმა, ვ. ბელიაკოვმა, ი. ბერდიევი, მ. პერელმანმა, დ. ლეონკინმა, მ. გოროხოვსკაიამ, ნ. ბოჩაროვამ. გ. მინაევიჩევამ (შარაბიძე), გ. ურბანოვიჩმა, პ. დანილოვამ, გ. შარაბიძე, მ. ჯულელმა, ე. კალინჩუკმა; მძლეოსნებმა — გ. ზიბინამ, ნ. რომაშკოვამ; ძალსნებმა — ი. უდოლოვმა, რ. ჩიმიშკიანმა, ტ. ლონაკინმა; მოჭიდავეებმა — დ. ციმაკურიძემ და ა. მეკოკიშვილმა (თავისუფალ ჭიდაობაში), ბ. გურევიჩმა, ი. პუნკინმა, შ. საფინმა, ი. კოტკასმა (კლასიკურ ჭიდაობაში); მოკრივემ — გ. გარბუზოვმა; მსროლელმა — ა. ბოგდანოვმა; ნიჩბოსანმა — ი. ტიუკალოვმა.

1956 წლის დამლევს ქ. მელბურნში ჩატარდა XVI საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობები, რომლებშიც 68 ქვეყნის ხუთი ათასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.

ჩვენი დიადი სამშობლოს სპორტსმენებმა ბრწყინვალე წარმატება მოიპოვეს. ამჯერად მათ 624,5 ქულა მოაგროვეს და 126,5 ქულით გაუსწრეს თავის უახლოეს მეტოქეებს ამერიკელ სპორტსმენებს.

საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს 37 ოქროს, 29 ვერცხლისა და 32 ბრინჯაოს მედალი, ხოლო ამერიკელებმა — 32 ოქროს, 25 ვერცხლისა და 17 ბრინჯაოს მედალი.

ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტსმენები პირველ ადგილზე გამოვიდნენ ტანვარჯიშში, ფეხბურთში, თანამედროვე ხუთქილში, კრიკეტი, კლასიკურ ჭიდაობაში, ტყვიით სროლაში, ნიჩბოსნობაში კანოეთი

და ბაიდარებით; მათ მეორე ადგილად დაისაკუთრეს — მძლეოსნობაში, კალათბურთში, თავისუფალ ქ-დაობაში, ძალოსნობაში და აკადემიურ ნიჩბოსნობაში. ხოლო წყალბურთში — მესამე ადგილი.

ოლიმპიადაზე ოქროს მედლებით დაჯილდოებულ იყვნენ შემდეგი საბჭოთა სპორტსმენები: მძლეოსნები — ვ. კუცი, ტ. ტიშკევიჩი, ლ. სპირინი, ი. იაუნზემე; ძალოსნები — ი. რიბაკი, ფ. ბოგდანოვსკი, ა. ვორობიოვი; ტანმოვარჯიშენი — ვ. ჩუკარინი, ვ. მურატოვი, ბ. შახლინი, ა. აზარიანი, ი. ტიტოვი, პ. სტოლბოვი, ს. მურატოვა; თ. მანინა, პ. ასტახოვა, ლ. კალინინა, ლ. ეგოროვა; მოჭიდავეები — მ. ცალქალამანიძე (თავისუფალი ჭიდაობა), ნ. სოლოვიოვი, კ. ვორუპაევი, გ. კარტოზია, ვ. ნიკოლაევი, ა. პარფენოვი; მოკრივენი — ვ. საფრონოვი, ვ. ენგიბარიანი, გ. შატკოვი; მსროლელნი — ვ. ბორისოვი, ა. ბოგდანოვი, ვ. რომანენკო; სუთქიდელნი — ი. ნოვიკოვი, ი. დერიუგინი, ა. ტარასოვი; ნიჩბოსნები — ვ. ივანოვი, ა. ბერკუტოვი, ი. ტიუკალოვი (აკადემიური ნიჩბოსნობა), პ. ხარინი, გ. ბოტევა (კანოე), ე. დემენტიევა (ბაიდარი); ფეხბურთელები — ლ. იაშინი, მ. ოგონკოვი, ბ. კუხნეცოვი, ა. ბაშაშკინი, ა. მასლიონკინი, ი. ნეტო, ბ. ტატუშინი, ა. ისაევი, ნ. სიმონიანი, ს. სალნიკოვი, ა. ილინი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მიღწევებს როგორც მასობრიობის განვითარების, ისე სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლების დარგში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, 1957 წლის 27 აპრილის დადგენილებით ჩვენი ქვეყნის 967 სპორტსმენი, მწვრთნელი და ფიზკულტურის მუშაკი დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. მათ შორის 27 კაცს გადაეცა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.



1955 წლის იანვარში საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება 1956 წელს სსრ კავშირის ხალხთა სპორტაკიადის ჩატარების შესახებ.

სსრ კავშირის ხალხთა I სპორტაკიადას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი საშუალებით შესაძლო გახდა მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში. მან ხელი შეუწყო სპორტის ცალკეული სახეობების განვითარებას და სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას; მან საშუალება მისცა ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკათა სპორტსმენებს და მწვრთნელებს ერთმანეთ-

სათვის გაეზიარებიათ გამოცდილება. ამავე დროს ხალხთა I სპარტაკიადა წარმოადგენდა ჩვენი სპორტული ძალების დათვალიერებას XVI საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობათა ჩატარებას წინ.

სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადას წინ უძღოდა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სპარტაკიადები. სპარტაკიადები ჩატარდა აგრეთვე უწყებათა ხაზითაც. სპარტაკიადის საფინანსო ნაწილი, რომელშიც ჩვენი სამშობლოს 9244 საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა, ჩატარდა მოსკოვში 1956 წლის აგვისტოს. ლუწენიკებში ახლად აგებულ მსოფლიოში საუკეთესო ბაზაზე. ამ დიდ თამაშობაში მონაწილეობდა ჩვენი დიადი ქვეყნის 43 ეროვნების წარმომადგენელი.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა და ქალაქები — მოსკოვი და ლენინგრადი. სპარტაკიადაზე დამყარებული იყო 32 ახალი საკავშირო რეკორდი, რომელთაგან 9 მსოფლიო რეკორდს აღემატებოდა.

მონაწილე კოლექტივებისათვის დაწესებული იყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი ხუთი პრიზი, რომლებიც ჩაბარდათ პირველ ხუთ ადგილზე გამოსულ კოლექტივებს: I—მოსკოვის (471 ქულა), II—რსფსრ-ს ნაკრები (434 ქულა), III—ლენინგრადის (413,5 ქულა), IV—უკრაინის სსრ (346 ქულა), V—საქართველოს სსრ (338,5 ქულა).

თ ა ვ ი VI

ფიზიკური კულტურა და სპორტი კომუნისმის გავლილი მხინჯალოების წლებში (1959—1964 წწ.)

სკკ XX ყრილობის დადგენილებათა რეალიზაციის პროცესში საბჭოთა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში. პარტიამ დროულად გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში ახალი პერიოდის დასაწყისი. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ საჭიროდ მიიჩნიეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენა უფრო დიდი პერიოდისათვის და დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სახალხო მეურნეობების საბჭოებს შეემუშავებიათ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების გეგმის პროექტი. წამოყენებულ იქნა

კონკრეტული წინადადებები. საყოველთაო მოწონების შემდეგ შვიდწლიანი გეგმის პროექტი დამტკიცდა პარტიის XXI ყრილობაზე.

პარტიის XXI ყრილობის დადგენილებათა მნიშვნელობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის

პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობის დადგენილებებში ხაზგასმითაა აღნიშნული ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის აუცილებლობა. აღნიშნულმა დადგენილებებმა დიდი როლი შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების საქმეში და კიდევ უფრო აამაღლეს მშრომელთა ყოველმხრივი — ფიზიკური და

გონებრივი განვითარების მნიშვნელობა სოციალიზმიდან კომუნისმში გადასვლის პერიოდში. ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო იყო ფიზკულტურული მოძრაობის უფრო გამოსაღვი და მიზანშეწონილი საორგანიზაციო ფორმების გამოჩახვა. პარტიის XXI ყრილობაზე აღინიშნა, რომ დღემდე ფიზიკური კულტურის საქმიანობას სსრ კავშირში ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ორგანო — ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი, ახლა კი გამოჩახულია ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზაციის უფრო მიზანშეწონილი ფორმა, რომლის დროსაც გადამწყვეტ როლს შეასრულებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. რომლებიც ფიზკულტურულ მოძრაობაში მონაწილეობენ. იქმნება ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებრთა კავშირი — არა სახელმწიფოებრივი, არამედ საზოგადოებრივი ორგანო.

სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1050 წ. 9 იანვრის დადგენილება

1959 წლის 9 იანვარს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე ხელმძღვანელობის შესახებ“. დადგენილებაში ნათქვამია, რომ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც სულ უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებს, განსაკუთრებით კი პროფკავშირებსა და კომკავშირს, საჭირო აღარ არის, რომ ხელმძღვანელობა ფიზკულტურასა და სპორტზე სახელმწიფოებრივი ორგანოების ხელში იყოს. ფიზკულტურული მოძრაობა ფართო დემოკრატიულ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს, ხოლო მასზე ხელმძღვანელობას არჩევითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია უნდა ახორციელებდეს.

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურული მოძრაობის მიმართულებისა

და კოორდინაციის მიზნით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებებისა და ორგანიზაციების შექმნის შესახებ. რომელსაც მუშაობა უნდა წარემართა პროფკავშირებისა და კომკავშირის აქტიური ხელმძღვანელობით, ფიზკულტურელთა ფართო მასების თვითმოქმედებისა და ინიციატივის საფუძველზე.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი მძლავრი განვითარება, რადგან ფიზიკური კულტურა აღიარებულია კომუნისტური აღზრდის, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების მძლავრ საშუალებად.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ დააწესეს, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ყოველდღიური ხელმძღვანელობისათვის ოთხი წლის ვადით არჩეულ უნდა იქნეს სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პროფკავშირების, კომკავშირის სპორტულ საზოგადოებათა, საბჭოთა არმიის, სამინისტროთა და უწყებების, სპორტსმენებისა და მწვრთნელთა წარმომადგენლები.

დადგენილებამ დაავალა სსრ კავშირის სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირს სსრ კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან და კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად უახლოეს წლებში ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმულთა რიცხვის მკვეთრად გაზრდა, მუშათა და მოსამსახურეთა შორის საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისა და საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფა.

დადგენილებამ მიუთითა განათლების სამინისტროებს სკოლებში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობაზე და ბავშვთა სპორტული სკოლების მუშაობის დონის ამაღლებაზე. მითითებული იყო აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლებსა და სოფლად მუშაობის გაუმჯობესებისა და ფიზკულტურის დარგში პროპაგანდის გაძლიერების შესახებ.

პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილების საფუძველზე 1959 წლის 1-ლი მარტიდან გაუქმებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი და შემდეგ ფიზკულტურისა და სპორტის ყველა რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები.

ფიზკულტურული მოძრაობის გარდაქმნამ დიდი ნაყოფი გამო-

ილო და საგოძნა ბლად გააუმჯობესა მეშობა ფიზიკური აღზრდის დარგში.

მასობრიობისათვის და სპორტული ოსტატობისათვის ბრძოლის ახალი ფორმები

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობისა და სპორტული ოსტატობის ამალღებ-სათვის ბრძოლის საქმეში გამოყენებულ იქნა ახალი ფორმები. ფიზკულტურის მასობრიობას ერთგვარად ხელი შეუწყო 1959 წლის იანვრიდან

შემოღებულმა მშობის ახალმა კომპლექსმა, რომელშიც გამოყენებული იყო გამოცდების შეფასებათა ქულობრივი სისტემა. ახალი კომპლექსის მიხედვით ნორმების ჩაბარება ჩათვლება მხოლოდ შეჯიბრებაზე ნაჩვენები. შედეგებით. შემოღებულ იქნა ჩათვლის წიგნაკი, რომელშიც აღინიშნება შესრულებული ნორმები.

მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცებაში სათანადო როლი შეასრულა წარმოება-დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიშის ფართოდ გამოყენებამ, ტურიზმმა, სტუდენტთა სპორტულ-გამაჯანსაღებელმა ბანაკებმა, სათხილამურო ლაშქრობებმა, ნადირობამ, თევზაობამ და სხვ.

მეტად კარგი შედეგი გამოიღო საუკეთესო ფიზკულტურის კოლექტივებისათვის „სპორტული კლუბის“ სახელწოდების მინიჭებამ.

სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადამ, ამ პერიოდში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ აღმავლობაზე დიდი გავლენა მოახდინა სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადამ, რომელიც ჩატარდა მოსკოვში 1959 წლის აგვისტოში. ხალხთა II სპარტაკიადის მიზანს შეადგენდა სსრ კავშირის სპორტული მოძრაობის წარმატებათა დემონსტრირება და ამავე დროს XVII მსოფლიო ოლიმპიური თამაშობებისათვის მზადყოფნის წინასწარი შემოწმება. ხალხთა II სპარტაკიადამ დიდი როლი შეასრულა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში კომუნისტების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის წინ ჩატარდა ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და ქალაქების — მოსკოვისა და ლენინგრადის სპარტაკიადები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 40 მილიონმა ფიზკულტურელმა, ხოლო სპარტაკიადის საფინანსო შეჯიბრებებში — 8432 სპორტსმენმა. სპარტაკიადის პროგრამა სპორტის 22 სახეობას შეიცავდა.

ხალხთა მეორე სპარტაკიადის შეჯიბრებაში, გარდა მოკავშირე რესპუბლიკათა და ქალაქების — მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდებისა, მონაწილეობდნენ ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების ფიზკულტურის კოლექტივები. ისინი სპორტის მხოლოდ

ხუთ სახეობაში გამოდიოდნენ (მძლეოსნობა. ცურვა, ტანვარჯიში-კვლოსპორტი და ძალსნობა).

სპარტაკიადაზე განახლებულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკათა 154 რეკორდი, გარდა ამისა, დამყარებულ იქნა სსრ კავშირის 12 რეკორდი, რომელთა შორის სამმა გადააჭარბა მსოფლიო რეკორდს. საერთო ჩათვლაში პირველი ხუთი საგუნდო ადგილი ზუსტად ისევე განაწილდა, როგორც ეს ხალხთა I სპარტაკიადაზე მოხდა. პირველ ადგილზე გამოვიდა მოსკოვის გუნდი. მეორეზე — რუსეთის ფედერაციის ნაკრები გუნდი, მესამეზე — ლენინგრადის, მეოთხეზე — უკრაინის სსრ, ხოლო მეხუთეზე — საქართველოს სსრ გუნდი.

სხენებულ პერიოდში კიდევ უფრო გახშირდა საბჭოთა-სპორტსმენების საერთაშორისო შეხვედრები. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1959 წელს სსრ კავშირში იმყოფებოდა 352 საზღვარგარეთელ სპორტსმენთა დელეგაცია, ხოლო ჩვენი სპორტსმენები 353-ჯერ გაემგზავრნენ საზღვარგარეთ.

სსრ კავშირის სპორტსმენთა შეხვედრები უცხო ქვეყნების სპორტსმენებთან მუდამ ხელს უწყობდა ყველა ქვეყნის სპორტსმენთა შორის ძმურ და მეგობრულ დამოკიდებულებას, ხელს უწყობდა მშვიდობის დამყარებას მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის. ამ საქმეში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობები.

1960 წლის ზაფხულში იტალიის დედაქალაქში -- რომში ჩატარდა მორიგი XVII მსოფლიო ოლიმპიური თამაშობანი. ჯერ კიდევ იმავე წლის დამდეგს სკვო-ველში (აშშ) ჩატარდა ზამთრის VIII მსოფლიო ოლიმპიური თამაშობანი, რომელშიც წარმატება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ დაისაკუთრეს 7 ოქროს, 5 ვერცხლის და 9 ბრინჯაოს მედალი.

XVII საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობებში 84 ქვეყნის 5892 სპორტსმენი მონაწილეობდა. სპორტსმენთა შემადგენლობა მეტად ძლიერი გამოდგა და ამიტომ ოლიმპიადის შედეგები ძალზე ნაყოფიერი აღმოჩნდა. აქ დამყარებული იყო 74 ოლიმპიური და 24 მსოფლიო რეკორდი.

ჩვენმა სპორტსმენებმა ოლიმპიადაზე სულ 683 ქულა მოაგროვეს და პირველი ადგილი მოიპოვეს. მათ წილად ხედათ 103 ოლიმპიური მედალი — 43 ოქროსი, 29 ვერცხლისა და 31 ბრინჯაოს. ამერიკის შეერთებული შტატების სპორტული დელეგაცია 219,5 ქულით ჩამორჩა სსრ კავშირის სპორტსმენებს, მან მხოლოდ 463,5 ქულის მოგროვება შეძლო. ამერიკელები მეორე ადგილზე გამოვიდნენ — მათ

მოიპოვეს სულ 71 ოლიმპიური მედალი: 34 ოქროს, 21 ვერცხლისა და 16 ბრინჯაოს მედალი. შემდგომი ადგილები სახელმწიფოთა შორის ასე განაწილდა: მესამე ადგილზე გამოვიდა გერმანიის გაერთიანებული კოლექტივი (282,5 ქულა). მეოთხეზე — იტალიის კოლექტივი (232 ქულა). მეხუთეზე — უნგრეთის სპორტსმენები (150,5 ქულა). მეექვსეზე — პოლონეთის კოლექტივი (148 ქულა) და ა. შ.

ზაფხულის XVII და ზამთრის VIII საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებში წარმატებით მონაწილეობისათვის და მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 317 სპორტსმენი. მათ შორის იყვნენ ოლიმპიურ თამაშობათა ჩემპიონები პ. ბოლოტნიკოვი, რ. შავლაყაძე, ვ. ციბულენკო, თ. პრესი, ირ. პრესი, ვ. კრეპკინა, ვ. შახლინი, ლ. ლატინინა, ს. ფილატოვი, ა. ქორიძე, ი. ვლასოვი, ლ. სკობლიკოვა და მრავალი სხვ.

კარგი წარმატებები ჰქონდათ XVII ოლიმპიურ თამაშობებში სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს — უნგრეთს, რომელმაც საერთო მეხუთე ადგილი დაიკავა, პოლონეთს (მეექვსე ადგილი), რუმინეთს (მეათე), ჩეხოსლოვაკიას (მეთერთმეტე).

აღსანიშნავია, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა შორის კარგ შედეგებს მიაღწიეს საქართველოს სსრ სპორტსმენებმა, რომლებმაც რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის სპორტსმენტა შემდეგ ქულათა საგრძნობი რაოდენობა მოაგროვეს (44 ქულა).

ოქროს მედლები მოიპოვეს:

1. რ. შავლაყაძემ
2. ა. ქორიძემ

ვერცხლის მედლები:

1. გ. სნირტლაძემ
2. გ. მინაშვილმა
3. ვ. უგრეხელიძემ
4. გ. ჩიქვანაიამ
5. ლ. გოგოლაძემ

ბრინჯაოს მედლები:

1. გ. კარტოზიამ
2. ვ. რუბაშვილმა
3. გ. კოსტავამ

გარდა ამისა, ა. შჩერბინამ დაიკავა IV ადგილი (მძლეოსნობაში) და სამი ქულა წესძინა გუნდს.

საანტერესოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს სპორტსმენებმა XVII ოლიმპიურ თამაშობებზე ქულათა უფრო მეტი რაოდენობა მოაგროვეს, ვიდრე ავსტრიის, ბრაზილიის, ინდოეთის, საზერძნეთისა და ესპანეთის სპორტსმენებმა ერთად.

სკკპ XVII ყრილობის დადგენილებათა მნიშვნელობა ფიზკულტურული მოძრაობისათვის. კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ისტორიულმა ყრილობამ, რომელიც შედგა 1951 წლის ოქტომბერში, პარტიისა და ხალხის წინაშე დასახა დიდი ამოცანები სახელმწიფოებრივ-პარტიული და სამეურნეო-კულტურული მოღვაწეობის ყველა სფეროში. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა სკკპ ახალი პროგრამა, რომელიც

თავისი დიადი ისტორიული მნიშვნელობით სიამაყის გრძნობას იწვევს ყოველ საბჭოთა ადამიანში. პარტიის ახალ პროგრამას სამართლიანად უწოდა ხალხმა კომუნისმის მშენებლობის პროგრამა, თანამედროვე ეპოქის კომუნისტური მანიფესტი. პარტიის ახალ პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საბჭოთა ხალხის ფიზიკურ აღზრდას. პროგრამაში ნათქვამია: „პარტიას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია უზრუნველყოს ფიზიკურად მაგარი ახალგაზრდა თაობის აღზრდა, დაწყებული სულ პატარაობიდან, და მათი ფიზიკური და სულიერი ძალების პარმონიული განვითარება. ეს მოითხოვს ყველა სახეობის მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის ყოველი ღონისძიებით წახალისებას. მათ შორის სკოლებში, ფიზკულტურულ მოძრაობაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ჩაბმას“.

კომუნისმზე გადასვლის პერიოდში იზრდება შესაძლებლობა აღიზარდოს ახალი ადამიანი, რომელშიც პარმონიულად იქნება შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

თავისუფალ დროს ადამიანი მოახმარს საზოგადოებრივ მოღვაწეობას. კულტურულ ურთიერთობას, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას და მხატვრულ შემოქმედებას. ფიზიკური კულტურა და სპორტი მტკიცედ დამკვიდრდება ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. დიდი ყურადღება მიექცევა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას.

პარტიის ახალ პროგრამაში ნათქვამია: „ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის მიზნით ყველა სკოლაში და სკოლისგარეშე დაწესე-

ბულებში მოეწყო ტანვარჯიშის დარბაზები, სპორტული მოედნები, შეიქმნება პირობები ბავშვთა მხატვრული შემოქმედებისათვის, მუსიკაში, ფერწერასა და ქანდაკებაში მეცადინეობისათვის. გაფართოვდება ქალაქისა და სოფლის საბავშვო სტადიონების, სპორტული სკოლების, ტურისტული ბანაკების, სათხილამურო ბაზების, საწყალკომარდო სადგურების, აუზებისა და სხვა სასპორტო ნაგებობათა ქსელი“.

კომუნისტური საზოგადოების მომავალი წევრი უნდა იყოს ახალი ცხოვრების შეგნებული, განათლებული, ყოველმხრივად განვითარებული მშენებელი, რომელსაც ერთნაირად შესწევს როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომის უნარი.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ის მძლავრი საშუალებაა. რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდობაში საბჭოთა პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის, კოლექტივიზმისა და მეგობრობის გრძნობის აღზრდასა და განმტკიცებას. ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციები, მასწავლებლები და მწვრთნელები უნერგავენ ახალგაზრდობას კომუნისტური საზოგადოების ადამიანთათვის საჭირო ჩვევებს და თვისებებს. სპორტი ამ საქმეში ნაცადი და საიმედო საშუალებაა — აი, რატომ უთმობს ამდენ ყურადღებას პარტია და ხელისუფლება ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას.

სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადიდან მესამემდე ფიზკულტურულმა მოძრაობამ დიდ წარმატებას მიაღწია. შეიქმნა ფიზიკური კულტურის მრავალი ახალი კოლექტივი, გაიზარდა სპორტულ ნაგებობათა რაოდენობა. მოსკოვში — ლუნიჩებში დიდი სპორტული ქალაქი გაშენდა, სადაც მოთავსებულია შესანიშნავი სპორტული ბაზები, აშენებულია საუცხოო სპორტის სასახლეებო (მათ შორის თბილისშიც). საგრძნობლად გაიზარდა სპეციალისტთა კადრების რაოდენობა, გამრავლდა სპორტის ოსტატთა და თანრიგოსანთა რიცხვი. თუ 1957—1959 წწ. სსრ კავშირში მომზადებული იყო 7 ათასი სპორტის ოსტატი და 94 ათასი პირველი თანრიგის ოსტატი, 1960—1962 წწ. ჩვენი ქვეყნის სპორტულმა საზოგადოებებმა და ორგანიზაციებმა მოამზადეს 13610 სპორტის ოსტატი და 190 ათასი პირველი თანრიგის სპორტსმენი. სათანადოდ გაიზარდა საბჭოთა სპორტსმენების ტექნიკური მიღწევები. 1957—1959 წწ. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენების მიერ დამყარებული იყო 632 საკავშირო და 243 მსოფლიო რეკორდი, ხოლო 1960—1962 წწ. — 796 საკავშირო და 382 მსოფლიო რეკორდი.

სსრ კავშირის სპორტსმენთა მაღალი მიღწევების დემონსტრაციას წარმოადგენდა ხალხთა III სპარტაკიადა. რომელიც ჩატარდა 1963 წლის აგვისტოში ქ. მოსკოვში. სპარტაკიადამ გამოავლინა ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა. სპარტაკიადაზე, რომლის საფინანსო შეჯიბრებებში 4843 სპორტსმენი მონაწილეობდა, დამყარებულ იქნა 392 რეკორდი, ამთავან 6 მსოფლიო, 5 ევროპის და 35 საკავშირო. ადგილები საერთო გუნდურ პირველობაში განაწილდა რესპუბლიკების ნაკრები გუნდების, ფიზკულტურის საწარმოო კოლექტივებისა და მოსწავლეთა კოლექტივების მონაცემების გათვალისწინებით (ჯამი). ეს ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

| ადგილი | რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა | ნაკრები გუნდები | | კოლექტივების აუნდები | | მოსწავლეთა ნაკრები გუნდები | | საერთო გუნდური ჩაითვის კულები |
|--------|-------------------------|-----------------|--------|----------------------|--------|----------------------------|--------|-------------------------------|
| | | ქულები | ადგილი | ქულები | ადგილი | აუნდები | ადგილი | |
| | | | | | | | | |
| 1 | რსფსრ (მოსკოვი) | 344 | 1 | 81 | 1 | 147,5 | 2 | 572,5 |
| 2 | ჟუკაინის სსრ | 331 | 3 | 80 | 2 | 155 | 1 | 566 |
| 3 | რსფარ (ოლქ. მხარ. ასსრ) | 317,5 | 2 | 72 | 3 | 135 | 3 | 544,5 |
| 4 | რსფსრ (ლენინგრადი) | 288,5 | 4 | 66 | 4 | 122 | 5 | 476,5 |
| 5 | საქართველოს სსრ | 248,6 | 5 | 56 | 5 | 134,5 | 4 | 439 |
| 6 | ბელორუსიის სსრ | 224 | 6 | 54 | 6 | 103,5 | 7 | 391,5 |
| 7 | ლიტვის სსრ | 173 | 11 | 45 | 9 | 106,5 | 6 | 325 |
| 8 | ესტონეთის სსრ | 206 | 7 | 47 | 8 | 68 | 12 | 321 |
| 9 | აზერბაიჯანის სსრ | 182 | 10 | 49 | 7 | 87 | 8 | 318 |
| 10 | ლატვიის სსრ | 193 | 8 | 25 | 13 | 65 | 9 | 303 |
| 11 | უზბეკეთის სსრ | 185 | 9 | 39 | 11 | 77 | 11 | 301 |
| 12 | ყაზახეთის სსრ | 163 | 12 | 40 | 10 | 60 | 13 | 263 |
| 13 | სომხეთის სსრ | 136 | 13 | 22 | 15 | 81 | 10 | 239 |
| 14 | მოლდავეთის სსრ | 129 | 14 | 15 | 17 | 59 | 14 | 203 |
| 15 | ყირგიზეთის სსრ | 98 | 15 | 37 | 12 | 50 | 15 | 185 |
| 16 | ტაჯიკეთის სსრ | 80 | 16 | 22 | 14 | 35 | 16 | 137 |
| 17 | თურქმენეთის სსრ | 77 | 17 | 15 | 16 | 23 | 17 | 115 |

აღსანიშნავია, რომ საწარმოო კოლექტივებს შორის სპორტის სახეობების მიხედვით პირველი ადგილენი დაისაკუთრა: ცურვაში კლუბის „ტორპედოს“ გუნდმა (საზ. „ტრუდი“); ტანვარჯიშში — თბილისის სპორტული კლუბის „სინათლის“ გუნდმა (საზ. „განთიადი“); მძლეოსნობაში — სპორტული კლუბის „მეტეორის“ გუნდმა (დნეპროპეტროვსკი, საზ. „აევანგარდი“); ძალოსნობაში — ივანოვოს საზ. „ტრუდის“ გუნდმა.

სსრ კავშირის სპორტ-
კავშირის ცენტრალური
საბჭოს VIII
პლენუმი

1963 წლის ნოემბრის დამლევს შედგა სსრ კავშირის სპორტული საზოგადოებების და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმი, რომელმაც განიხილა საბჭოთა ფიზკულტურული ორგანიზაციების შემდგომი ამოცანები.

ხელმძღვანელობდა რა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებებით იდეოლოგიურ საკითხებზე, სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმმა დასახა ამოცანები ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით. პლენუმმა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაავალა ფართოდ გაეშალათ მუშაობა ახალი ადამიანის — კომუნისტის მშენებლის აღზრდისათვის.

XVIII საერთაშორისო
ოლიმპიური თამაშობანი

1964 წლის ოქტომბერში იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართა მორიგი XVIII საერთაშორისო ოლიმპიური თამაშობები, რომელშიც 94 ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

ძალზე დაძაბული ასპარეზობა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით დაბოლოვდა. საერთო ჯამში მათ 608,3 ქულა დააგროვეს, ხოლო მათმა უახლოესმა მეტოქემ — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდმა 581,8 ქულა მოიპოვეს და მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

გუნდური (არაოფიციალური) ჩათვლის შედეგები

| | | |
|----------------------------------|-------|------|
| 1) სსრ კავშირი | 608,3 | ქულა |
| 2) აშშ | 581,8 | „ |
| 3) გერმანიის გაერთიანებული გუნდი | 337,5 | „ |
| 4) იაპონია | 235 | „ |
| 5) იტალია | 185 | „ |
| 6) უნგრეთი | 174 | „ |
| 7) პოლონეთი | 151,5 | „ |
| 8) ინგლისი | 135,5 | „ |
| 9) ავსტრალია | 130,5 | „ |
| 10) ჩეხოსლოვაკია | 101 | „ |
| 11) საფრანგეთი | 97 | „ |
| 12) რუმინეთი | 95 | „ |
| 13) ჰოლანდია | 70 | „ |

| | | | |
|---------------|---|------|---|
| 14) შვეცია | . | 68,5 | „ |
| 15) ბულგარეთი | . | 65,5 | „ |
| 16) ფინეთი | . | 39,5 | „ |
| დ ა. შ. | | - | |

ქართველ სპორტსმენთაგან დაჯილდოებული იყვნენ: ოქროს მედლებით ვ. კაჭარავა (ფრენბურთი) და ნ. ასათიანი (ფარეკაობა); ვერცხლის მედლებით — შ. ქველიაშვილი (სროლა), რ. რურუა (ჭიდაობა), გ. საღარაძე (თავისუფალი ჭიდაობა), ლ. მოსეშვილი (კალათბურთი); ბრინჯაოს მედლებით — ნ. ხონაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), გ. კოსტავა (ფარეკაობა), ა. კაკნაძე (ძიუ-დო), ფ. ჩიკვილაძე (ძიუ-დო). გარდა ამისა, V ადგილი დაიკავეს რ. აბაშიძემ (კლასიკური ჭიდაობა), რ. შავლაყაძემ (მძლეოსნობა) და VI ადგილზე გამოვიდნენ ბ. პოლულაძე (ცურვა) და ზ. ბერიაშვილი (ჭიდაობა).



ამჟამად ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე ახალი ამოცანებია დასმული. 1965 წლისათვის ფიზკულტურელთა რიცხვმა ჩვენს ქვეყანაში 50 მილიონამდე უნდა მიაღწიოს. ამავე ვადისათვის უნდა მომზადდეს 17 მილიონი თანრიგოსანი (მათ შორის 30 ათასი სპორტის ოსტატი).

ფიზკულტურულ ორგანიზაციებს პროფკავშირებისა და კომკავშირის დახმარებით ევალება სასწავლო-სპორტული და მასობრივი მუშაობის გაუმჯობესება (როგორც სასწავლებლების, ისე წარმოება-დაწესებულებებისა და კოლმეურნობათა ფიზკულტურის კოლექტივებში), ყველა წარმოება-დაწესებულებაში, კოლმეურნობასა და სკოლაში ფიზკულტურის კოლექტივების ჩამოყალიბება, საზოგადოებრივი მწვრთნელების და მსაჯთა მომზადება, ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის გაძლიერება.

სსრ კავშირის ფიზკულტურული ორგანიზაციები და სპორტული საზოგადოებრიობა დიდ მუშაობას ატარებენ, რათა უზრუნველყონ პარტიის მითითებათა განხორციელება კომუნისმის მშენებელთა ყოველმხრივი განვითარების შესახებ.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის აღმავლობა საქართველოს სსრ-ში¹

კომუნისმის გაშლილი მშენებლობის წლებში საქართველოს ფიზკულტურულმა მოძრაობამ დიდ წარმატებებს მიაღწია. 1964 წელს საქართველოს რესპუბლიკაში ირიცხებოდა 6414 ფიზკულტურის კოლექტივი, რომელშიც მეცადინეობდა 892 ათასი ფიზკულტურელი.

საქართველოში ერთობ გაიზარდა წარმოებათა რიცხვი, სადაც ტარდება საწარმოო ტანვარჯიში და სხვა მასობრივი ღონისძიებები. ცალკეულმა დაწინაურებულმა კოლექტივებმა მოიპოვეს სპორტული კლუბის წოდება. საქართველო მდიდარია ფიზკულტურის მუშაკთა, ინსტრუქტორთა, მწვრთნელთა და მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით. რესპუბლიკაში 1964 წელს ირიცხებოდა 87 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 43 სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, 32 საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, 115 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, 13 საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი; 212 საკავშირო კატეგორიის მსაჯი, 1732 სპორტის ოსტატი.

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობას. დიდი მიღწევები მოიპოვა რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სპორტული ოსტატობის ამალგების დარგშიც. გეგმის გადაჭარბებით სრულდება სპორტის ოსტატთა და თანრიგოსანთა მომზადება. სპორტულ მიღწევათა დარგში საქართველო ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა გახდა. ბოლო წლებში მაღალ შედეგებს მიაღწიეს საქართველოს სპორტსმენებმა, როგორც საკავშირო, აგრეთვე საერთაშორისო სარბიელზე.

1961 წლის შემოდგომაზე იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში გაიმართა ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი. უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ასპარეზობას უნდა გამოერკვია, თუ ვის მოუხდებოდა მსოფლიო ჩემპიონთან — ელისაბედ ბიკოვასთან გამამწყვეტი ბრძოლა.

ნონა გაფრინდაშვილმა დიდ წარმატებას მიაღწია. მან 16 შესაძლებლობიდან 13 ქულა მოაგროვა და არც ერთი წაგება არ ჰქონია. მისი უახლოესი მეტოქე — ვ. ბორისენკო 11 ქულით დაკმაყოფილდა.

¹ ფიზკულტურის ისტორიის პროგრამაში არ არის გათვალისწინებული მოკავშირე რესპუბლიკებში სპორტის განვითარების განხილვა ხსენებულ პერიოდში, მიუხედავად ამისა, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც ავსახოთ ზოგიერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი საქართველოს ფიზკულტურის ისტორიიდან. (ავტ.).

1962 წლის შემოდგომაზე მოსკოვში გაიმართა მატჩი, რომელსაც უნდა გამოეცვლინა მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის. ერთმანეთს შეხედნენ მსოფლიო ჩემპიონი ჯადრაკში ქალთა შორის ე. ბიკოვა და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი ნ. გაფრინდაშვილი. ბრძოლა, რომელიც ნ. გაფრინდაშვილის დიდი უპირატესობით წარმართა, მისივე ბრწყინვალე გამარჯვებით დაბოლოვდა ანგარიშით 9:2 და საქართველოს ნიჭიერი ახალგაზრდა მოქადარე მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

იმავე წელს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდმა შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა ევროპის თასის გათამაშებაში. „დინამოელთა“ გუნდი ფინალში ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „რეალს“ (ესპანეთი) შეხვდა, გამარჯვა და დაეუფლა ევროპის საპატრო თასს.

საქართველოს სპორტსმენთა სიძლიერეზე ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის რესპუბლიკიდან მონაწილეობს სამი გუნდი, წყალბურთში ორი გუნდი, კალათბურთსა და ფრენბურთში — სამ-სამი გუნდი.

განსაკუთრებული მიღწევები მოიპოვეს საქართველოს სპორტსმენებმა 1964 წელს. ჯადრაკში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

1964 წლის გაზაფხულის და ზაფხულის დასაწყისი აღინიშნა ქართველ მოჭიდავეთა ოქროს მედლებით. ანზორ კიკნაძემ ბერლინში მოიპოვა ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ძიუ-დოში, ხოლო ზარიბეგ ბერიაშვილი, გურამ სალარაძე, შოთა ლომიძე და ნუგზარ გოგიბედაშვილი გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები თავისუფალ კიდაობაში.

პოლონეთის ქ. კრაკოვში სახელი გაითქვა ქართველმა მოფარეკავებმა გურამ კოსტავამ. მან დაშნით მოფარეკავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა და დაეუფლა „ბარბაკანის თასს“, ამავე წელს საქართველოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მსროლელმა შოთა ქველიაშვილმა ფინეთ-საბჭოთა კავშირის საერთაშორისო შეხვედრაში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მამაკაცთა წყვილ თანრიგში უნგრეთის ჩემპიონობა მოიპოვეს ქართველმა ჩოგბურთელებმა ალექსანდრე მეტრეველმა და ნუგზარ მძინარაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ა. მეტრეველი იმყოფებოდა აგრეთვე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში. რომელმაც „გალეას თასი“ დაისაკუთრა.

1964 წელს ოქროს მედლები და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვეს ველოსიპედისტმა ომარ ფხაკაძემ. წყალში მსტომელმა ბორის პოლულიახმა. მძლეოსანმა რობერტ შავლაყაძემ.

XVIII საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშობებში საბჭოთა კავშირის სპორტულ დელეგაციაში საქართველოდან 18 სპორტსმენი მონაწილეობდა, რომელთაგან თექვსმეტმა მისცა საბჭოთა გუნდს ჩათვლითი ქულები. საქართველოს თერთმეტი სპორტსმენი დაჯილდოებულ იქნა მედლებით. პირად ჩათვლაში ქართველმა სპორტსმენებმა 44 ქულა დააგროვეს და მრავალ სახელმწიფოთა გუნდებს გაუსწრეს. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ: ვაჟა კაჭარავა (ფრენბურთი) და ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა); ვერცხლის მედლებით — გურამ სალარაძე (თავისუფალი ჭიდაობა), რომან რურუა (კლასიკური ჭიდაობა), ლევან მოსეშვილი (კალათბურთი), შოთა ქველიაშვილი (სროლა); ბრინჯაოს მედლებით — გურამ კოსტავა (ფარიკაობა), ნოდარ ხოხაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა). დავით გვანცელაძე (კლასიკური ჭიდაობა), ანზორ კიკნაძე (ძიუ-დო) და ფარნაოზ ჩიკვილაძე (ძიუ-დო).

1964 წელს საქართველოს ხელბურთელთა გუნდმა („ბურევესტნიკი“) კვლავ დაისაკუთრა სსრ კავშირის ჩემპიონის საპატიო წოდება.

1964 წ. XXVI საკავშირო ჩემპიონატში ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის თბილისის „დინამომ“ და მოსკოვის „ტორპედომ“ მოაგროვეს ქულათა ერთნაირი რაოდენობა (46). საერთო წესის თანახმად სსრ კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი მატჩი. მატჩი შედგა ქ. ტაშკენტში 12 ნოემბერს. 90-წუთიანა დამატებული სპორტული შერკინება დამთავრდა ფრედ — ანგარიშით 1:1. დაინიშნა დამატებითი 30 წუთი. თბილისის „დინამოელებმა“ დაამარცხეს მეტოქეები ანგარიშით 4:1, მოიპოვეს ოქროს მედლები და გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები ფეხბურთში. ასევე თბილისის „დინამოს“ სათადარიგო კოლექტივმაც პირველი ადგილი აიღო. თბილისის „დინამოს“ გუნდი დაკომპლექტებულია ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენებისაგან. მათგან მ. მესხი, ს. შეტრეველი და გ. სიჭინავა შეყვანილია სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებში.

დღითი დღე იზრდება და ძლიერდება საქართველოს ფიზკულტურული მოძრაობა. დღეს რესპუბლიკის სპორტსმენები საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის მოწინავე რაზმს წარმოადგენენ. საქართველოს ფიზკულტურულ მოძრაობას დიდ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. აღსანიშნავია რესპუბლიკის სპორტკავშირის ოპერატიული ხელმძღვანელობა საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954.
 ფ. ენგელსი ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938.
 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3.
 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 16.
 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 20.
 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29.
 ნ. კ. კრუპსკაია, რჩეული პედაგოგიური ნაწარმოებები, 1953.
 შ. ი. კალინინი, კომუნისტური აღზრდის შესახებ, 1956.
 ა. ს. მაკარენკო, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, 1950.
 გეორგიკა — ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 3.
 აბ. როდოსელი, არგონავტიკა, ა. ურუშაძის გამოცემა, 1948.
 გ. გოზალიშვილი, ძველი ისტორიის ტრესტომათია, 1951.
 ივ. ჭაბუაშვილი, საქართველოს ისტორია, ტტ. 1, 2, 3 და 4, 1948—1951.
 ივ. ჭაბუაშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1946.
 ს. გორგაძე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, წიგნი I და 2. 1908.
 შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“.
 ნ. ბერძენიშვილი, მასალები XI საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ (ეურნალი „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, ტ. 1, 1937).
 ქართლის ცხოვრება, კ. კეკელიძის რედაქციით, 1941.
 არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938.
 მ. გორგაძე, ნარკვევები საქართველოს ფიზიკური კულტურის ისტორიიდან, 1959.
 მ. გორგაძე, ფიზიკური კულტურა და სპორტი საქართველოში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე, 1957.
 ა. ციხაძე, მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებში, საქ. საბ. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შრომათა კრებული, ტ. I, 1958.
 გაზეთი „დროება“, № 35, 1867.
 „სახალხო გაზეთი“, № 11—12, 1874.
 გაზეთი „ივერია“, № 1, 1885.
 გაზეთი „ივერია“, № 108, 1889.
 გაზეთი „ივერია“, № 92, 1899.
 ეურნალი „განათლება“, №№ 5, 7, 8, 1911.
 ეურნალი „განათლება“ №№ 1, 8, 1912.
 ეურნალი „განათლება“, № 7, 1915.
 გაზეთი „ლელო“, 1949—1964.

- К. Маркс и Ф. Энгельс, *Сочинения*, т. 14.
К. Маркс и Ф. Энгельс, *Сочинения*, т. 23.
Ф. Энгельс, *Роль труда в процессе превращения обезьяны в человека*, Ленинград, 1948.
- История КПСС, Ленинград, Изд. Ленингр. университета, 1963.
Г. Плеханов, *Литература и эстетика* т. 1, М., 1958.
В. Г. Белинский, *Статьи и рецензии*, 1946.
Н. Г. Чернышевский, *Избранные философские сочинения*, т. 2, 1950.
П. Ф. Лесгафт, *Собрание педагогических сочинений*, тт. 1 и 2, 1912.
Л. Морган, *Древнее общество*, Ленинград, 1935.
Э. Тэйлор, *Первобытная культура*, М. 1939.
Б. Пиотровский, *Урарту*, Эриван, 1941.
В. Латышев, *Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе*, СПб., 1893—1906.
- Геродот, *История*, тт. 1 и 2, 1888.
Страбон, *География*, М., 1879.
В. И. Авдиев, *История древнего Востока*, 1953.
История древнего мира, Учебник для педагогич. институтов, М. 1962.
В. С. Сергеев, *История древней Греции*, Изд. III, 1963.
История средних веков, т. 2, Москва, 1954.
Фред. Дюбуа, *Путешествие вокруг Кавказа*, т. 1, Изд. АН СССР.
Новая история, т. I, Москва, 1953.
История СССР, часть I, Москва, 1961.
История физической культуры, Москва, 1956.
В. Столбов и И. Чудинов, *История физической культуры*, Москва, 1962.
История физической культуры, Москва, 1961.
- М. А. Горгадзе, *Физкультура и спорт в Грузии*, Тбилиси, 1959.
Ференц Мезэ, *Современные олимпийские игры*, Будапешт, 1961.
Н. И. Любомиров, *XV Олимпийские Игры*, 1955.
Н. Любомиров и др., *XVI Олимпийские игры*, М., 1957.
А. Кулешов и П. Соболев, *В далеком Мельбурне*, 1957.
П. Соболев, *Олимпия*, Афины, Рим, Москва, 1960.
Римские репортажи, Москва, 1960.
Олимпийский факел над Римом, Москва, 1960.
- Энциклопедический словарь по физической культуре и спорту*, тт. 1, 2, 3, М., 1961—1963.
- И. Чудинов, *Основные постановления, приказы и инструкции по вопросам физкультуры и спорта*, Москва, 1959.
Газета «Красный Спорт», 1944.
Газета «Советский Спорт», 1946—1964.
Журнал «Теория и практика физической культуры», 1950—1964.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნ ა წ ი ლ ი კ ი რ ვ ე ლ ი

ფიზიკური კულტურის მსოფლიო ისტორია

| | | |
|--------------|---|-----|
| თ ა ვ ი I. | ფიზიკური კულტურა ძველ მსოფლიოში | 3 |
| | § 1. ფიზიკური კულტურის წარმოშობა და განვითარება პირველ- ყოფილ-თემურ წყობილებაში | 3 |
| | § 2. ფიზიკური კულტურა მონათმფლობელურ საზოგადოებაში | 6 |
| თ ა ვ ი II. | ფიზიკური კულტურა შუა საუკუნეებში | 27 |
| | § 1. ფიზიკური კულტურა ადრინდელი და განვითარებული ფეო- დალიზმის ხანაში | 27 |
| | § 2. ფიზიკური კულტურა გვიანდელი ფეოდალიზმის პერიოდში | 38 |
| თ ა ვ ი III. | ფიზიკური კულტურა საზღვარგარეთის ქვეყნებში ახალი ისტო- რიის ხანაში | 47 |
| | § 1. ფიზიკური კულტურა და სპორტი ახალი დროის პირველ პე- რიოდში | 47 |
| | § 2. ფიზიკური კულტურა კაპიტალიზმის დაცემისა და მისი იმპე- რიალიზმში გადაზრდის პერიოდში (1870—1918 წწ.) | 70 |
| თ ა ვ ი IV. | ფიზიკური კულტურისა და სპორტის უახლესი ისტორია | 88 |
| | § 1. ფიზიკური კულტურა კაპიტალისტურ ქვეყნებში პირველი და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში | 88 |
| | § 2. ფიზიკური კულტურა და სპორტი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ | 109 |

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ა

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურის ისტორია

| | | |
|-------------|--|-----|
| თ ა ვ ი I. | სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ფიზიკური კულ- ტურა უძველესი დროიდან რუსეთის ცენტრალიზებული სახელ- მწიფოს ჩამოყალიბებამდე | 131 |
| | § 1. ფიზიკური კულტურა პირველყოფილი თემური წყობილების დროს. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძველად არსებულ მონათ- მფლობელურ სახელმწიფოთა ფიზიკური კულტურა | 131 |
| | § 2. ფიზიკური კულტურა კიევის რუსეთში ფეოდალური დაქუც- მაციების პერიოდში | 139 |
| | § 3. შუა საუკუნეების საქართველოს ფიზიკური კულტურა | 142 |
| თ ა ვ ი II. | ფიზიკური კულტურა რუსეთში ნაციონალური სახელმწიფოს წარმოშობიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარამდე | 145 |

| | | |
|--|--|-----|
| | § 1. ფიზიკური კულტურა რუსეთის ცენტრალიზებულ სახელმწიფოში (XV—XVII სს.) | 145 |
| | § 2. ფიზიკური კულტურა რუსეთის იმპერიის ჩამოყალიბების პერიოდში | 150 |
| | § 3. ფიზიკური კულტურა რუსეთის თავადაზნაურულ იმპერიაში (1725—1800 წწ.) | 154 |
| | § 4. ფიზიკური კულტურა რუსეთში XIX საუკუნის პირველ ნახევარში | 159 |
| თ ა ვ ი | III. ფიზიკური კულტურა რუსეთში კაპიტალიზმის განმტკიცების პერიოდში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი) | 164 |
| | § 1. ტანვარჯიშის შემოღება არმიასა და ფლოტში. ფიზიკური აღზრდა სამხედრო და სამოქალაქო სასწავლებლებში. | 164 |
| | § 2. ბურჟუაზიული სპორტული მოძრაობის წარმოშობა. სპორტის განვითარება XIX საუკუნის დამლევეს | 166 |
| | § 3. ფიზიკური კულტურა რუსეთის ხალხთა ყოფა-ცხოვრებაში. | 171 |
| | § 4. გამოჩენილ მეცნიერთა შრომების მნიშვნელობა ფიზიკური აღზრდის დარგში მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის | 172 |
| თ ა ვ ი | IV. ფიზიკური კულტურა და სპორტი რუსეთში იმპერიალიზმისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციათა პერიოდში. | 178 |
| | § 1. ბურჟუაზიული სპორტულ-ტანვარჯიშული მოძრაობა რუსეთის პირველი რევოლუციის წინ და რევოლუციის წლებში | 178 |
| | § 2. მეშათა სპორტული მოძრაობა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში და მის შემდეგ | 181 |
| | § 3. ცარიზმისა და ბურჟუაზიის რეაქციული პოლიტიკა ფიზიკური აღზრდის დარგში 1905 წლის რევოლუციის შემდეგ | 183 |
| | § 4. რუსეთის სპორტსმენების საერთაშორისო შეჯიბრებები. რუსეთის ოლიმპიადები | 186 |
| | § 5. ფიზიკური კულტურის განვითარების თავისებურებანი რუსეთში პირველი მსოფლიო ომის წლებში | 187 |
| ფიზიკური კულტურა და სპორტი სსრ კავშირში | | |
| თ ა ვ ი | I. ფიზიკური კულტურის განვითარება უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში (1918—1920 წწ.) | 190 |
| თ ა ვ ი | II. ფიზიკური კულტურა და სპორტი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის წლებში | 196 |
| თ ა ვ ი | III. ფიზიკური კულტურა და სპორტი სოციალიზმის გაშლილი მშენებლობისა და გამარჯვების წლებში (1930—1941 წწ.) | 207 |
| თ ა ვ ი | IV. ფიზიკური კულტურა და სპორტი დიდი სამამულო ომის წლებში (1941—1945 წწ.) | 224 |
| თ ა ვ ი | V. ფიზიკური კულტურა სოციალისტური მშენებლობის დამთავრების პერიოდში (1946—1958 წწ.) | 231 |
| თ ა ვ ი | VI. ფიზიკური კულტურა და სპორტი კომუნისმის გაშლილი მშენებლობის წლებში (1959—1964 წწ.) | 251 |
| | გამოყენებული ლიტერატურა | 265 |